

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

გივი გაგუა

საქართველოს  
აგროკლიმატური რესურსები

თბილისი  
2013

**Tbilisi Ivane Javakhishvili State University**

**Vakhushti Bagrationi Institute of Geography**

**Givi Gagua**

## **AGROCLIMATIC RESOURCES OF GEORGIA**

**Tbilisi  
2013**

---

**Тбилисский Государственный Университет  
им. И. Джавахишвили**

**Институт Географии им. Вахушти Багратиони**

**Гиви Гагуа**

## **АГРОКЛИМАТИЧЕСКИЕ РЕСУРСЫ ГРУЗИИ**

**Тбилиси  
2013**

\* \* \*

რედაქტორი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი ვაჟა გოგიტიძე

რეცენზიენტები: გეოგრაფიის დოქტორი  
გამარლი დოხნაძე,  
სოფლის მეურნეობის დოქტორი  
მარია მირველაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: მარიამ გაგუა

\* \* \*

*Editor:* Dr. Sciences (Agricul.) **Vazha Gogitidze**

*Reviewers:* Dr. of Geography **Gamarli Dokhnadze**  
Dr. Agricul. **Maya Mirvelashvili**

*Technical Editor:* **Mariam Gagua**

\* \* \*

*Редактор:* доктор с.-х. наук **Гогитидзе Важа**

*Рецензенты:* доктор географии **Дохнадзе Гамарли,**  
доктор с.-х. **Мирвешвили Майя**

*Технический редактор:* **Гагуа Мариам**

ნიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-ახფაზეთის მიტროპოლიტის, უნინდესისა და უნეტარესი ილია II-ის დაბადებიდან 80, აღსაყდრებიდან 35 და მღვდელმთავრობის 50 წლის საიუ-ბილეო თარიღებს.

„ეკონომიკურმა პრობლემებმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. არ უნდა შევეჩიოთ სხვებისგან მონაცემებიც დახმარებებს, არამედ ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ გამოსაცალი...“

დღეს ჩვენ მოცუნებული ინერციით ვწეოვრობთ. თუ თვითონ არ მივხედავთ ჩვენს ქვეყანას, სხვა ვერავინ გვიშველის. უცნა ქვეყანას, მათ შორის ეკონომიკურად ძლიერსაც. თავისი პრობლემები აქვს და არა მონაცემებს ილებს ვინმე ასე უანგარობა და უძირებოდ.

უნდა ვისწავლოთ შრომა – შრომა მუხლომოქმედები და დაუღალავი. მსგავსად იმ ქვეყნების მოქალაქეებისა, რომელთა ყოფასაც ასე შევნაფრით.

ექვსი დღე იძროდება და ოფლით შენით მოიპოვებ პური შენი არსობისა, – შრდანებს უფალი. ეს დასჭა კი არა, კურთხევაა ღვთისა! ლორვისა და შრომის გარეშე ღვთისათვის სათნოს ვერავერს გავაყენებთ.

შრომა აუკირდებელია. დავაკვირდეთ თუნდაც ნინახნამე-ტყველებს და ნმინდა მოწიქულების მოღვაწეობას, ისინი ძალიან ჰყვრს შრომობრინენ.

ქაქართველმა კარმა იქის მინაზე მყარობა. მიხედეთ მინას; მინა დაგაპურებთ და გაგათხობთ. ბუნებასთან კავშირი აჭანსაღებს სულსა და სხეულს.

საქართველო მყარად იყო და კვლავაუ უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.

ჩვენი ნინაპრები მინაზე შრომის დროს ლორცულობდნენ. ადამიანი მოვალეა ყოველფლიური შრომის დროს დალორცოს მინას. მოსავალის და პირუტყვის. ეკლესიაში ამისათვის სპეციალური ლორცებია დაფგენილი.

იმედის თვალით შევყურებ მომავალს და მჭერა, რომ ქართველი კაჯის შრომისმოყვარეობით საქართველო კვლავ ალორმინდება და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო გახდება.“

სრულიად საქართველოს  
კოოლიკოს-პატრიარქი



**უაკ: 63: 551. 56 (479. 22)**

**გ-14**

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა (ხეხილოვანები, ვაზი და მინდვრის კულტურები) ზრდა-განვითარების და მოყვანის აგროეკოლოგიური პირობები; დადგენილია აგროკლიმატური მაჩვენებლები, რომლებიც განაპირობებენ მათ მაღალ მოსავლიანობასა და მიღებული პროდუქციის ხარისხს; შედგენილია განტოლებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია თბილი პერიოდის რაციონალური გამოყენების პრობლემის მოგვარება.

სავეგეტაციო პერიოდის სითბოს, დატენიანების, ზამთრის პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აგროეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, აგროკლიმატური პოტენციალის საფუძველზე, ჩატარებულია საქართველოს ტერიტორიის აგროკლიმატური დარაიონება; შემუშავებულია კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების მეთოდი.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია: აგროკლიმატოლეგებისა და საერთოდ გეოგრაფიისათვის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და ფერმერებისათვის, სოფლის მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა და დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტი ახალგაზრდებისათვის.

**ISBN 978-9941-0-5733-5**

**UDC: 63: 551. 56 (479. 22)**

**G -14**

The present monograph sets out the agro-ecological conditions for the growth and development of the following cultures in Georgia: fruit trees, vine and field cultures. The agro-climate conditions affecting the higher productivity and quality of produce have been determined. In addition, equations have been made up for the solution of problems related to the rational benefitting from the warm periods.

In consideration of, and based on the warm periods of vegetation, winter conditions, humidity, agro-ecological conditions of cultures and agro-climate potential, the Georgian territory has been drawn up into agro-climatic zones. The method for the estimation of the agricultural capacity and productivity has been also made up.

The work is principally designed for agro-climatologists. More generally, it can be used by geographers, leading workforce in agriculture, farmers, and also the researches interested in the agriculture and rural economy. As an ancillary guidance it can be benefitted by students as well.

**ISBN 978-9941-0-5733-5**

**УДК: 63: 551. 56 (479. 22)**

**Г -14**

В монографии рассмотрены агроэкологические условия роста, развития и выращивания сельско-хозяйственных культур в Грузии (плодовые, виноград и полевые культуры); установлены агроэкологические показатели, которые обусловливают их высокую урожайность и качество полученной продукции; составлены уравнения, с помощью которых возможно решение проблемы рационального использования теплого периода.

С принятием в виду тепла вегетационного периода, влажности, зимних условий и агроэкологических условий сельско-хозяйственных культур, на основании агроклиматического потенциала, проведено агроклиматическое районирование территории Грузии; разработан метод оценки сельско-хозяйственного плодородия климата.

Труд, в основном, предназначен: для агроклиматологов и географов вообще, для руководящих сотрудников сельского хозяйства и фермеров, для исследователей, заинтересованных вопросами сельского хозяйства, а также, как вспомогательный учебник для студентов.

**ISBN 978-9941-0-5733-5**

## სარჩევი:

ნინასიტყვაობა.....	18
შესავალი.....	19
<b>თავი I. თერმული რესურსები.....</b>	<b>20</b>
1. მზის რადიაცია.....	22
1.2. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.....	27
1.3. სითბური რესურსების რაციონალური გამოყენება.....	32
1.4. გაზაფხულისა და შემოდგომის აგროკულიმატური სეზონები.....	38
<b>თავი II. დატენიანების რეჟიმი.....</b>	<b>47</b>
2.1. ატმოსფერული ნალექების განაწილება.....	47
2.2. სავეგეტაციო პერიოდის ტენით უზრუნველყოფა.....	49
2.3. დატენიანების ზონები.....	53
<b>თავი III. გამოზამთრების პირობები.....</b>	<b>68</b>
3.1. ზამთრის სავეგეტაციო პერიოდის სითბური პირობები.....	68
3.2. მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობების შეფასება.....	70
3.3. ზამთრის ტიპები.....	73
<b>თავი IV. ზოგიერთი ტრადიციული და პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარების აგროეკოლოგიური პირობები.....</b>	<b>75</b>

<b>4.1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების აგროკლიმატური პირობები საქართველოში</b>	
ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.....	75
<b>4.2. ხეხილოვანები.....</b>	<b>83</b>
ვაშლი.....	83
ლელვი.....	88
ბრონეული.....	93
აქტინიდია (კივი).....	98
თხილი.....	105
ზეთისხილი.....	111
<b>4.3. ვაზი.....</b>	<b>118</b>
ქიშმიში.....	118
<b>4.4. მინდვრის კულტურები.....</b>	<b>124</b>
სიმინდი.....	124
სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე	
(„ჭყინტი სიმინდი“) პერიოდში.....	130
სიმინდი სრულ სიმწიფემდე	
(სამარცვლედ) პერიოდში .....	136
ბრინჯი.....	140
ბამბა.....	146
<b>თავი V. ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გავლენა სასოფლო-სამეურნეო</b>	
<b>პროდუქციის ხარისხზე.....</b>	<b>151</b>
5.1. მეხილეობა შიდა ქართლში.....	151
5.2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების	
განვითარების პერსპექტივები ჯავახეთში.....	159
5.3. ცქრიალა (შამპანური) ღვინომასალების	
ნარმოება ზემო იმერეთში.....	167

5.4. სამარკო ღვინომასალების წარმოება.....	173
5.5. საფერავის სამარკო ღვინოები შიგნითკახეთში.....	183
5.6. ვენახების სეტყვისაგან დაცვისა და დასუტყვილი ვაზის მოვლის ღონისძიებები კახეთში.....	191
<b>თავი VI. აგროკლიმატური რესურსების შეფასება.....</b>	<b>197</b>
6.1. კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირების სამეცნიერო კვლევების მოკლე მიმოხილვა.....	197
6.2. კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირება. აგროკლიმატური პოტენციალი.....	202
6.3. ვაზის კულტურის აგროკლიმატური დარაიონება.....	210
6.4. აგროკლიმატური დარაიონება.....	220
6.5. აგროკლიმატური რაიონები.....	228
<b>საერთო დასკვნები და რეკომენდაციები.....</b>	<b>234</b>
<b>ლიტერატურა.....</b>	<b>247</b>

## CONTENTS

Preface.....	18
Introduction.....	19
<b>Chapter I. Thermal resources.....</b>	<b>20</b>
1.1. Solar radiation.....	22
1.2. Points of active temperatures.....	27
1.3. Rational use of thermal resources.....	32
1.4. The agro-climatic resources of spring and autumn.....	38
<b>Chapter II. Mode of moisture.....</b>	<b>47</b>
2.1. The distribution of sediment in atmosphere.....	47
2.2. The supply of vegetative period with humidity.....	49
2.3. The zone of humidity.....	53
<b>Chapter III. Overwintering conditions.....</b>	<b>68</b>
3.1. The thermal conditions during the winter period.....	68
3.2. Estimation of the conditions for the overwintering of the perennial agricultural crops.....	70
3.3. The winter types.....	73
<b>Chapter IV. Some of the traditional and perspective agro-ecological conditions for the development of agricultural crops.....</b>	<b>75</b>
4.1. Agro-climatic conditions of the dissemination of agro-cultural crops in Georgia by Mr.Vakhshuti Bagrationi .....	75
4.2. Fruit cultures .....	83

Apple .....	85
Figs .....	88
Kiwifruit (Actinidia) .....	93
Pomegranate.....	98
Nuts .....	105
The olive tree .....	111
4.3. Viticulture and winemaking .....	118
Raisins.....	119
4.4. The field cereal crops.....	124
Corn.....	124
Corn up to milky-waxy maturity (early period of Corn).....	130
Full maturity of corn (for grains).....	136
Rice.....	140
Cotton.....	146

<b>Chapter V Impact of the physical-geographic peculiarities on the quality of the agricultural produce.....</b>	151
5.1 fruit growing in Shida (Inner) Kartli .....	151
5.2. Prospects of the agricultural growing Javakheti .....	159
5.3. Production of the sparkling wine (Champagne) materials in Zemo (upper) Imereti .....	167
5.4 Production of the brand wine materials .....	173
5.5 The Saperavi brand wines in the inner Kakheti.....	183
5.6 Arrangements for the protection of vineyards from the hail and care for the hailed grapes .....	191

<b>Chapter VI. Assessment of agro-climatic resources .....</b>	197
6.1. Short scientific-literary review of agricultural evaluation of the climate.....	197
6.2 Assessment Agricultural Productivity by climate method of Appraisal. Agro-climatic potential.....	202

6.3. Agro-climatic zoning of the grapes.....	210
6.4 Agroclimatic zoning.....	220
6.5 Agro-climatic regions.....	228
<b>General conclusions and recommendations.....</b>	<b>239</b>
<b>References.....</b>	<b>247</b>

## СОДЕРЖАНИЕ

Предисловие.....	18
Введение.....	19
Глава I. Термические ресурсы.....	22
1.1. Солнечная радиация.....	22
1.2. Сумма активных температур.....	27
1.3. Рациональное использование термических ресурсов.....	32
1.4. Весенние и осенние агроклиматические ресурсы.....	38
Глава II. Режим увлажнения.....	47
2.1. Распределение атмосферных осадков.....	47
2.2. Влагообеспеченность вегетационного периода.....	49
2.3. Зоны увлажнения.....	53
Глава III. Условия перезимовки.....	68
3.1. Термические условия зимнего вегетационного периода.....	68
3.2. Оценка условий перезимовки многолетних сельско-хозяйственных культур.....	70
3.3. Типы зим.....	73
Глава IV. Агроклиматические условия роста и развития некоторых традиционных и перспективных сельско-хозяйственных культур.....	75
4.1. Агроклиматические условия распространения сельско-хозяйственных культур в Грузии по Вахушти Багратиони.....	75

<b>4.2. Плодовые культуры.....</b>	<b>83</b>
Яблоня.....	83
Инжир.....	83
Гранат.....	93
Актинидия (Киви).....	98
Лещина.....	105
Маслина.....	111
<b>4.3. Лоза.....</b>	<b>118</b>
Кишмиш.....	119
<b>4.4. Полевые культуры.....</b>	<b>124</b>
Кукуруза.	
Кукуруза в период до молочно-восковой спелости.....	130
Кукуруза в период до полной спелости (на зерно).....	136
Рис.....	140
Хлопчатник.....	146

## Глава V. Влияние физико-географических особенностей на качество сельско-хозяйственной продукции.....

<b>5.1. Плодоводство в Шида Картли.....</b>	<b>151</b>
<b>5.2. Перспективы развития сельско-хозяйственного производства в Джавахети.....</b>	<b>159</b>
<b>5.3. Производство Цкриала (Шампанского) виноматериала в Земо Имерети.....</b>	<b>167</b>
<b>5.4. Производство марочных вин.....</b>	<b>173</b>
<b>5.5. Марочные вина сорта Саперави в Шидакахети....</b>	<b>183</b>
<b>5.6. Защита виноградников от града в Кахетии и мероприятия по уходу за лозой, пораженной от градобития.....</b>	<b>191</b>

<b>Глава VI. Оценка агроклиматических ресурсов.....</b>	<b>197</b>
<i>6.1. Краткое обозрение научных исследований сельско-хозяйственной бонитировки климата.....</i>	<i>197</i>
<i>6.2. Оценка сельско-хозяйственного плодородия климата (бонитировка); агроклиматический потенциал.....</i>	<i>202</i>
<i>6.3. Агроклиматического районирование культуры винограда.....</i>	<i>210</i>
<i>6.4. Агроклиматическое районирование.....</i>	<i>220</i>
<i>6.5. Агроклиматические районы.....</i>	<i>228</i>
<b>Общие выводы и рекомендации.....</b>	<b>243</b>
<b>Литература.....</b>	<b>247</b>

## ნინასიტყვაობა

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. მისი ეკონომიკის ძირითად საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ჩვენმა სოფლის მეურნეობამ განვითარების შედარებით მაღალ დონეს გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მიაღწია. სოფლად არსებობდა ფერმები — მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, მეღორეობის, მეფრინველეობის; გვერდა პლანტაციები — ჩაის, ტუნგის, ციტრუსების; ხეხილისა და ვენახების ბალები; იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმღები პუნქტები; რაიონულ ცენტრებში კი — აღნიშნული პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები. სოფლად მოსახლეობა დასაქმებული და ეკონომიკურად შეძლებული იყო. საუკუნის დასასრულს დაიწყო ჩვენი სოფლის მეურნეობის ნგრევა: დაიშალა ფერმები, განადგურდა პლანტაციები; სოფლებიდან დაიწყო მუშახელის უცხოეთში გადინება. მთავრობაში შეიქმნა კომისიები, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება. ჩვენც აქტიურად ვთანამშრომლობდით აღნიშნულ კომისიებში. ვურჩევდით, თავი შეეკავებინათ დიდი სპეციალიზებული მეურნეობების დაშლისა და მიწების მასობრივი პრივატიზაციისაგან (გაზ. „სოფლის ცხოვრება“ 18, 1992 წ.).

სამწუხაროდ, გაგრძელდა სოფლის მეურნეობის დაშლა; შემდგომში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გაყიდვა. ქვეყნის „სინგაპურიზაცია“ დევიზით: „საქართველოს სოფლის მეურნეობა არ სჭირდება!“ — 2012 წლამდე მიმდინარეობდა.

სოფლის მეურნეობის აღდგენა ზოგიერთს „ძველ დროში დაბრუნებად“ მიაჩნია.

ნინამდებარე მონოგრაფია, სწორედ, სოფლის მეურნეობის აღგენა-აღორძინების საქმეს ეძღვნება. მასში თავმოყრილია თემასთან დაკავშირებით ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევები 90-იანი წლებიდან დღემდე.

## შესავალი

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები განსაკუთრებით დღიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ თავმოყრილია დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა კლიმატური ტიპი (გარდა ეკვატორული და ტროპიკულისა), დაწყებული კავკასიონის მაღალი მთის მარადი თოვლისა და ყინვარების კლიმატიდან შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო სუბტროპიკული და აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის მშრალ კონტინენტურ კლიმატამდე (მ. კორძახია, 1961). ამასთან, ჩვენი ქვეყნის კლიმატურ პირობებს ახასიათებს განუმეორებელი თავისებურება, კლიმატის ეს აღნიშნული მრავალფეროვნება წარმოდგენილია მცირე ტერიტორიაზე. ეს არის საქართველოს ნამდვილად ეროვნული სიმდიდრე, რომლის მსგავსი არ გააჩნია მსოფლიოს ბევრ დიდ ქვეყანასაც (თ. დავითაია, 1962).

საქართველოში ვერტიკალური ზონალურობით მოცემულია კლიმატის მთელი ზემოაღნიშნული მრავალგვარობა. ადგილის სიმაღლის ცვლილებასთან ერთად იცვლება კლიმატური პირობები, ძირითადად, სითბო და სინოტივე და მათი შეთანაწყობა, რაც განაპირობებს კულტურულ მცენარეთა სახეობისა და მათი ჯიშების, ნიადაგის ნაყოფიერებისა და, საერთოდ, მიწათმოქმედების მთელი სისტემის ცვლილებას. ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები განაპირობებენ მიწის ერთეული ფართობიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სხვადასხვა რაოდენობასა და ხარისხს; უშუალო გავლენას ახდენენ მოსავლის მისაღებად საჭირო ფულად, შრომით და მატერიალურ დანახარჯებზე და მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვთ პროდუქციის თვითლირებულებაში. გარემოს ყოველი კომპონენტი, მათ შორის, კლიმატი, უნდა განვიხილოთ როგორც რესურსი, რომელიც ექვემდებარება რაციონალურ გამოყენებას.

„ბუნებრივი რესურსები“ ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს აგროკლიმატურ რესურსებს. „კლიმატური და აგროკლიმატური რესურსები“, შედარებით ახლი ცნებებია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა XX საუკუნის 30-იან წლებში.

დიდი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშ-

ნავია ა. ვოეიკოვისა (1884) და ი. ფიგუროვსკის (1919) შრომებიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი გამოკვლევები. როგორც ცნობილია, ა. ვოეიკოვმა გამოთქვა მოსაზრება ამიერკავკასიაში ჩაის, ბამბუკისა და ციტრუსოვანთა გავრცელების შესაძლებლობაზე. ამის გამო დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ნოტიო სუბტროპიკული ზონის შესწავლას. ამ ზონაში, სუბტროპიკული კულტურების გავრცელების მიზნით, დიდი სამუშაოები ჩატარდა პროფ. გ. სელიანინოვის ხელმძღვანელობით.

გასული საუკუნის 70-იანი წლებში ჩვენი გამოკვლევების მიხედვით დასაბუთდა, რომ საქართველოში შესაძლებელია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მათი ჯიშების წელიწადის თითქმის ყველა პერიოდში მოყვანა ისე, რომ უზრნველყოთ მოსახლეობის, განსაკუთრებით, მსხვილი ქალაქების, მომარაგება მთელი წლის განმავლობაში, თითქმის უწყვეტად, ახალი ბოსტნეულითა და ხილით გეოგრაფიული (ბუნებრივი) კონვეიერის მეთოდით. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენი ქვეყნის აგროკლიმატური რესურსების უფრო ღრმად შესწავლას.

მონოგრაფიებში (გაგუა, 1988; Гагуа и др., 1990) მოცემული გვაქვს ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის, ხეხილოვანების, ციტრუსოვანების, ეთერზეთოვანი კულტურების და ჩაის აგროკლიმატური პირობების კვლევა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ კულტურებზე აღარ შევჩერდებით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროკოლოგიური პირობების შესწავლისას, ჩვენს ძირითად მიზანს შეადგენდა იმ ოპტიმალური ფაქტორების გამოვლენა, რომელიც უზრუნველყოფა მათ წარმატებულ მოყვანას; შეგვესწავლა, თუ რამდენად ნაყოფიერია მათვის მოცემული ადგილის კლიმატური რესურსები. ჩავატარეთ საქართველოს ტერიტორიის აგროკლიმატური დარაიონება, რომლის ძირითადი მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ოპტიმალური გაადგილება და აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენება, მიღებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით.

ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მისი კლიმატური და ნიადაგური რესურსები გვაძლევს საშუალებას, მივიდეთ იმ

დასკვნამდე, რომ ქვეყანაში სასურსათო პრობლემა არ უნდა არსებობდეს. პირიქით, ქვეყანას შეუძლია აგროპროდუქტების ექსპორტიორად იქცეს. ამისათვის, უნინარეს ყოვლისა, საჭიროა ქვეყნის ხელისუფლების კეთილი წება. სოფლის მეურნეობის სწორად გაძლიერისა და მართვის პირობებში, შესაძლებლობა იქმნება გამოვიყენოთ ქვეყნის უნიკალური აგროკლიმატური რესურსები მაღალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის. დღემდე, სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული აგრარული მეცნიერება, არ ითვლებოდა იმ პრიორიტეტულ მიმართულებად, რომელსაც შეუძლია შეასრულოს წამყვანი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. მოსახლეობას სერიოზულად აწუხებს უხარისხო, ჯანმრთელობისათვის საზიანო, გენმოდიფიცირებული პროდუქტების პრობლემა, რომლებიც უცხოეთიდან უხვად შემოედინება.

საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური პოტენციალის საფუძვლად სწორედ აგრარული სექტორი ითვლება, რომელმაც თავის მხრივ ქვეყანაში შექმნა საშუალება მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების მძლავრი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გამოკვლევის მიზანია საქართველოს აგროკლიმატური რესურსების შესწავლა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველვყოთ მათი რაციონალური გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

# თავი I. თერმული რესურსები

## 1.1. მზის რადიაცია

მცენარე ასიმილაციის პროცესის წარმართვისათვის საჭიროებს და შთანთქავს მზის რადიაციის გარკვეულ ნაწილს. რადიაციის ეს ნაწილი ფიზიოლოგიური რადიაციაა. ფიზიოლოგიური რადიაციის ნილი განსაკუთრაპით მაღალია გაბნეულ რადიაციაში, კერძოდ, 70-დან 90%-მდე. ამიტომ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გაბნეული რადიაციას დიდი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

მზის პირდაპირი რადიაცია აქტიურად მოქმედებს მცენარეზე და მისი შესწავლა მნიშვნელოვანია აგრონომიულ მეცნიერებაში. ჩვენს გამოკვლევებში (გაგუა 1970, 1974, 1975 და სხვ.) ყურადღება დათმობილი აქვს ამ საკითხს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მზის გაბნეულ რადიაციასა და მის აქტივობაზე სოფლის მეურნეობაში.

გაბნეული რადიაციის სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე გავლენის შესწავლა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მასზე დაკვირვება ყველა მეტეოროლოგიურ სადგურზე არ წარმოებს, ამიტომ საჭირო ხდება მისი გამოანგარიშება შემდეგი პარამეტრებით: ცის თაღის საერთო მოღრუბლოლობითა და მზის ნათების ხანგრძლივობით.

მზის გაბნეული რადიაციას, საერთო მოღრუბლულობასა და მზის ნათების ხანგრძლივობას შორის ემპირიული კავშირის დასადგენად გამოყენებულია (თავართქილაძე, გაგუა და სხვ. 1991) ანასეულის მეტეოსადგურის მრავალწლიანი მონაცემები. რამდენადაც გაბნეული რადიაციის გამოთვლა გვაინტერესებს აგროკლიმატური პირობების შესწავლის მიზნით, ემპირიული მონაცემებით შემოვისაზღვრეთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურების (კერძოდ, ჩაის) სავეგეტაციო პერიოდით. დროის შუალედად, რომლის განმავლობაში ვეძებთ კავშირს ზემოაღნიშნულ პარამეტრებს შორის, ავიღეთ დღეთა რაოდენობა ჩაის კრეფის ცალკეულ ვადებს შორის. აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა წლების განმავლობაში საკმაოდ მერყეობს 10-დან 35 დღემდე. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ პერიოდის ხანგრძლივობაზე ნაკლებადაა დამოკიდებული გაბ-

ნეული რადიაციას ჯამის განსაზღვრის კანონზომიერება. ემპირიული კავშირის განმსაზღვრელი მონაცემები შედგენილია დროის სხვადასხვა პერიოდისათვის. კერძოდ, 1971-1980 წლების დაკვირვების მასალებში დღეთა რიცხვის სხვადასხვა ხანგრძლივობისათვის განისაზღვრა გაბნეული რადიაციის ჯამები ( $\text{კალ}/\text{სმ}^2$ ), მზის ნათების ხანგრძლივობა (ს.ტ.) და პერიოდის საშუალო მოლრუბლულობა დღის საათების დაკვირვების ვადების მიხედვით.

გამოთვლილ იქნა გაბნეული რადიაციის ჯამები მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე აქტინომეტრიული ქსელში დაკვირვების ვადებზე გაზომილი გაბნეული რადიაციის მნიშვნელობების და ე.წ. ტრაპეციის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს დაკვირვების ვადიდან მომდევნო ვადამდე რადიაციის ინტენსიურობის წრფივ ინტერპოლაციას. ყოველი წყვილი გაბნეული რადიაციისა (D) და შესაბამისი მზის ნათების ხანგრძლივობისა (S) განაწილებული იქნა ამა თუ იმ სიმრავლეში საშუალო მოლრუბლულობის სიდიდის მიხედვით. სტატისტიკურად დასაყრდენი მხოლოდ 5 სიმრავლის შედგენა მოხერხდა 5-, 6-, 7-, 8- და 9-ბალიანი საერთო მოლრუბლულობისათვის. ეს დამოკიდებულება შეიძლება წარმოვადგინოთ წრფივი სახით:

$$\mathbf{D=a + bS,}$$

სადაც,  $a$  და  $b$  ემპირიული პარამეტრებია. მათი რიცხვითი მნიშვნელობები, მოცემული ღრუბლიანობისათვის, განსაზღვრულია უმცირეს კვადრატთა მეთოდით. აღნიშნული მეთოდით  $a$  და  $b$  კოეფიციენტების გამოსათვლელად მივიღეთ შემდეგი მარტივი გამოსახულებები:

$$\mathbf{a = 470n - 3300,}$$

$$\mathbf{b = 42 - 2n;}$$

გამოსახულებების ჩასმით, მივიღეთ ასეთი განტოლება:

$$\mathbf{D = 2(21 - n) \cdot S + (n - 7) \cdot 470} \quad (1.1)$$

თუ ი განსაზღვრული იქნება ცის თაღის საერთო მოლრუბლულობის 10-ბალიანი სისტემით, მზის ნათების ხანგრძლივობა — საათებში, გაბნეული რადიაციის ჯამის მნიშვნელობას მივიღებთ

კალ/სტ<sup>2</sup>-ში იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია თ და S.

რადგან ფორმულა (1) მიღებულია 10-წლიანი პერიოდის მასალებით, ანასეულის პირობებში და თანაც, სხვადასხვა დღეთა რიცვის შემთხვევაში, ძირითადად, წლის პირველი ნახევრისათვის, ფაქტია, დიდ ინტერესს იწვევს წლის ნებისმიერ დროში საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენებით მიღებული შედეგების სიზუსტე. ამ მიზნით გამოვიყენეთ რადიაციული ცნობარის მონაცემები იმ მეტეორსადგურებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ზემოაღნიშნული სამივე პარამეტრის ყოველთვიური მნიშვნელობები. ასეთი სადგურებია: თბილისი, სოხუმი, თელავი, ჯვრის გადასასვლელი. აღნიშნული სადგურების გეოგრაფიული მდებარეობა კარგად ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი პირობების განსხვავებულ რეჟიმს. ამიტომ ემპირიული ფორმულის სიზუსტე, რომელსაც აღნიშნულ სადგურებზე ამ ფორმულის შემოწმებით მიღებული შედეგები განსაზღვრავს, დამახასიათებელი იქნება საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის. ამასთან, გაბნეული რადიაცია მხოლოდ დღის განმავლობაში გვაქვს. (1) ფორმულის გამოყვანისას მხედველობაში იყო მიღებული საერთო მოლრუბლულობის მხოლოდ დღის საშუალო მნიშვნელობა, ცნობარში კი მოცემულია მოლრუბლულობის საშუალო დღელამური სიდიდეები, ამიტომ ქვემოთ მოტანილი ცდომილებათა ფარგლები გაზრდილია (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო კვადრატული ცდომილება ყველა სადგურისათვის თითქმის ერთნაირია და 25-28% ფარგლებშია. ცდომილებათა შედარებით მაღალი სიდიდეები თბილისის, სოხუმისა და თელავისათვის ერთდროულად VII-XII თვეებში, ხოლო მაღალმთიანი — ჯვრის გადასასვლელისათვის II-VI თვეებში აღინიშნება. ძირითადად, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ (1) ფორმულა ითვალისწინებს მხოლოდ საერთო მოლრუბლულობას, ხოლო სხვადასხვა იარუსების ღრუბლებს, რომელთაც გაბნეული რადიაციის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მიღებული ემპირიული ფორმულა, რა თქმა უნდა, ვერ ითვალისწინებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გაბნეული რადიაცია მკვეთრად ცვალებადი სიდიდეა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, იგი უაღ-

მზის გაპნეული რადიაციის თვითური ჯამშების გამოთვლილ მნიშვნელობათა  
განსხვავება (%) ფაქტიურთან შედარებით

პუნქტი	თვეები											-ფაქტიური განსხვავება (%)	
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი	17	-8	-10	-16	-2	26	29	41	36	39	27	20	25,6
სოხუმი	16	-1	-16	-17	-14	2	-3	18	34	45	47	41	26,5
თელავი	23	1	-14	-12	-10	12	21	35	27	55	30	45	28,1
ვაკესი													
ვაღარეას.	-5	-35	-42	-53	-45	-27	-19	-12	-4	1	12	-8	27,8

რესად მნიშვნელოვანი პარამეტრია ამა თუ იმ რეგიონის აგროკლი-  
მატური პირობების შესწავლისას, ამასთან, მასზე დაკვირვებები  
საქართველოში მხოლოდ რამდენიმე მეტეოსადგურზე წარმოებს,  
ჩვენს მიერ მიღებული ფორმულის სიზუსტე მრავალი ამოცანის  
გადაწვეტისას სრულიად საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს.

მ. ბუდიკოს, თ. დავითაისა და სხვა მეცნიერების მიხედვით, რა-  
დიაციულ ბალანსსა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამს შორის არსე-  
ბობს კარგი კორელაციური კავშირდამოკიდებულება. თუმცა,  
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლი-  
მატური პირობების შესაფასებლად რადიაციული ბალანსი და სხვა  
რადიაციული მახასიათებლები იშვიათად გამოიყენება, რაც შეი-  
ძლება ორი მთავარი მიზეზით აიხსნას:

1. რადიაციის მასალების არასაკმარისობით;
2. რადიაციულ მახასიათებლებთან სასოფლო-სამეურნეო  
მცენარეულობის ზრდა-განვითარების კავშირის მცირედ შესწა-  
ვლილობით.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გ. სელიანინოვისა და შემდ-  
გომი პერიოდის სხვა მკვლევარების მიერ დამუშავებულ იქნა ძირი-  
თადი აგროკლიმატური მაჩვენებლები, რაც გამოიყენება სავე-  
გეტაციო პერიოდის თერმული რესურსების აგროკლიმატურ  
შესაფასებლად.

## 1.2. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი

კლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქტიულობის ამაღლების პოტენციური შესაძლებლობის შესაფასებლად აუცილებელია ტერი-ტორიის სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფის პირობების აღრიცხვა-შეფასება.

სითბო წარმოადგენს გეოგრაფიული გარემოს იმ ძირითად ფაქ-ტორს, რომელიც გასაზღვრავს საერთოდ ცოცხალ ორგანიზმთა ზრდა-განვითარების პირობებს.


გეოგრაფიული მდებარეობა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით შემოსაზღვრა და დასავლეთით შავი ზღვის არსებობა განაპირობებს საქართველოში, კერძოდ, მის დაბლობ ნაწილში, ჰაერის შედარებით მაღალ ტემპერატურას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სითბო წარმოადგენს. არასაკმარისი სითბოს შემთხვევაში მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება და მი-თუმეტეს, მაღალი მოსავლის მიღება, თითქმის შეუძლებელია. რაც უფრო ხანგრძლივია წლის თბილი პერიოდი და რაც უფრო მეტია ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, მით უფრო მეტია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი და მაღალია ხარისხიც.

თ. დავითაიას (1964) მიხედვით, გაზაფხულის კლიმატურ ინდე-ქსად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს საშუალო დღელამური ტემპერ-ატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლის თარიღი.  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღსა და მთელ თბილ პერიოდში დაგროვილ აქტიურ ტემპერატუ-რათა ჯამს შორის არსებობს საკმაოდ კარგი კავშირი (კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს  $0,6$ — $0,9$ ). რაც უფრო გვიან გეგება აღ-ნიშნული თარიღი, მით ნაკლები აქტიურ ტემპერატურათა ჯამი გროვდება წლის მანძილზე; ე.ი. გვიანი გაზაფხული წარმოადგენს მო-ცემულ წელიწადში სითბოს მოსალოდნელი დეფიციტის მაუწყებელს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უმეტესობა ვეგეტაციას იწყებს და ამთავრებს საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$  დად-გომის თარიღთან დაკავშირებით. ამიტომ სითბოთი უზრუნველყ-

ოფის მაჩვენებლად აღებული გვაქვს  $10^0$ -ზე მაღალი საშუალო დღელამური ტემპერატურების ჯამი (იხ. სურ. 1).



სურ.  $1 \cdot 10^0$  C-ზე მეტი აკტიურ ტემპერატურათა ჯამები.

წარმოდგენილი რუკის (სურ. 1) ანალიზი გვიჩვენებს, რომ სითბოთი ყველაზე მეტად უზრუნველყოფილია დაბლობი რაიონები, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4000^{\circ}$  და მეტია. ყველაზე მაღალი ჯამი  $4550^{\circ}$  და მეტი გროვდება კოლხეთში, კერძოდ, ქუთაისის დასავლეთით და მოიცავს სამტრედიისა და აბაშის მუნიციპალიტეტებს. აღებული რეგიონი წარმოადგენს მწვანე ბოსტნეულის წარმოების რაიონს, ზამთრის სავეგეტაციო პერიოდის გამოყენებით. ბარის ზონას ( $500$  მ-მდე სიმაღლე ზღვის დონიდან) შემოსაზღვრავს  $3800^{\circ}$ -იანი იზოთერმა.

ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირდება ყოველ  $100$  მ სიმაღლეზე, დაახლოებით,  $160^{\circ}$ -ით და  $1500$  მ სიმაღლეზე  $2000^{\circ}$ -მდე ეცემა. საკმად დიდ ტერიტორიას მოიცავს ზოლი  $800^{\circ}$  და მასზე დაბალი სითბოს ჯამით. იგი ვრცელდება ჯავახეთის ზეგანსა და კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე  $2200$  —  $2300$  მ ზემოთ.

აქვე მოტანილია ცხრილი (იხ. ცხრ. 2), რომელიც წარმოდგენას გვიქმნის თუ რა ალბათური ჯამებია მოსალოდნელი ამა თუ იმ საშუ-


## ცხრილი 2

### 10<sup>0</sup>-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამების უზრუნველყოფაზი

საშუალო ჯამი $^{\circ}\text{C}$	ალბათობანი (%-ებში)				
	95	75	50	25	5
1000	700	860	1000	1140	1300
1500	1200	1360	1500	1640	1800
2000	1700	1860	2000	2140	2300
2500	2200	2360	2500	2640	2800
3000	2700	2860	3000	3140	3300
3500	3200	3360	3500	3640	3800
4000	3700	3860	4000	4140	4300
4500	4200	4360	4500	4640	4800

ალო ჯამის ზოლში შესაბამის რუკაზე (სურ. 1). აქვე მოგვაქვს აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატებადობის ნომოგრამა (სურ. 2), რომლის საშუალებით შესაძლებელია სასურველ თარიღზე გავიგოთ, თუ რა რაოდენობის ჯამი შეიძლება დაგროვდეს მოცემულ ზონაში.

**სურ. 2.  $10^{\circ}C$ -ზე მაღალი აქტიურ ტემპერატურათა ჯამების დაგროვების ნომოგრამა.**



I ზონა ( $> 4000^{\circ}$ ) მოიცავს კოლხეთის დაბლობს (სურ. 1).

II ზონა ( $4000 - 3500^{\circ}$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამების ზოლი) ვრცელდება დაახლოებით 600 მ სიმაღლემდე.  $5^{\circ}$ -ზე მაღალი საშუალო დღელამური ტამპერატურების ჯამი  $4200 - 4000^{\circ}$ -ია, ხოლო  $15^{\circ}$  მეტი კი  $3200 - 2800^{\circ}$ . სავეგეტაციო პერიოდი იწყება აპრილის პირველ დეკადიდან შუა რიცხებამდე და გრძელდება 200 — 190 დღეს. გაზაფხულის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში 80 — 75 დღეა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 60 — 70 დღე; შემოდგომის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში 80 — 70 დღეა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 50-60 დღე. წლიური აბსოლუ-

ტური მაქსიმუმების საშუალო  $35^{\circ}$ -ს აღწევს.

**III ზონა** ( $3500 - 3000^{\circ}$ ) ვრცელდება  $900 - 1000$  გ სიმაღლემდე.  $5^{\circ}$ -ზე მაღალი ტემპერატურების ჯამი  $4000 - 3500^{\circ}$ -ია, ხოლო  $15^{\circ}$ -ზე მეტი  $2800 - 2200^{\circ}$ . სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისი მოდის აპრილის შუა რიცხვებიდან ბოლომდე და ვრცელდება  $190 - 170$  დღეს. გაზაფხულის ხანგრძლივობა  $75 - 70$  დღეა, ხოლო შემოდგომისა  $70 - 60$ . ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო  $34 - 33^{\circ}$ -ის ფარგლებშია.

**IV ზონა** ( $3000 - 2000^{\circ}$ ) ვრცელდება დაახლოებით  $1500 - 1600$  გ სიმაღლემდე.  $5^{\circ}$ -ზე მეტი ჯამი გროვდება  $3500 - 2300^{\circ}$ , ხოლო  $15^{\circ}$ -ზე მეტი  $2200 - 600^{\circ}$ . სავეგეტაციო პერიოდი იწყება აპრილის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე და გრძელდება  $170 - 130$  დღეს. გაზაფხულის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში  $70 - 60$  დღეა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში  $75 - 85$  დღე. შემოდგომის ხანგრძლივობა საშუალოდ  $70$  დღეა. ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო  $33 - 28^{\circ}$ -ია.

**V ზონა** ( $2000 - 1500^{\circ}$ ) ვრცელდება დაახლოებით  $1900 - 2000$  გ სიმაღლემდე. ზონაში  $5^{\circ}$ -ზე მაღალი ტემპერატურათა ჯამების მნიშვნელობა  $2300 - 2000^{\circ}$ -ია,  $15^{\circ}$ -ზე მეტი კი  $600^{\circ}$ -ზე ნაკლები. სავეგეტაციო პერიოდი იწყება მაისის შუა რიცხვებიდან მაისის ბოლომდე და გრძელდება  $90$  დღეს. გაზაფხულის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში  $60 - 75$  დღე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში  $85 - 90$  დღეა. შემოდგომის ხანგრძლივობა  $70$  დღეს შეადგენს. ჰაერის ტამპერატურის ნლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო  $28 - 26^{\circ}$ -ია.

**VI ზონა** ( $1500 - 1000^{\circ}$ ) ვრცელდება  $2100 - 2200$  გ სიმაღლემდე.  $5^{\circ}$ -ზე მაღალი ტემპერატურათა ჯამი  $2000 -$ დან  $1500^{\circ}$ -მდე მცირდება. სავეგეტაციო პერიოდი იწყება ივნისის პირველ დეკადიდან შუა რიცხვებამდე, პერიოდის ხანგრძლივობა ზონაში საშუალოდ შეადგენს  $80$  დღეს. ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო  $26 -$ დან  $24^{\circ}$ -მდეა.

### 1.3. სითბური რესურსების რაციონალური გამოყენება

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სითბო წარმოადგენს.

აკად. თ. დავითაიას (1964) მიხედვით, გაზაფხულის კლიმატურ ინდექსად მიჩნეულია საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლის თარიღი. აღნიშნულ თარიღსა და სავეგეტაციო პერიოდში დაგროვილ აქტიურ ტემპერატურულ ჯამს შორის არსებობს საკმაოდ კარგი კავშირ-დამოკიდებულება. რაც გვიან დგება აღნიშნული თარიღი, მით ნაკლები აქტიურ ტემპერატურათა ჯამი გროვდება სავეგეტაციო პერიოდში; ე.ი. გვიანი გაზაფხული წარმოადგენს მოცემულ წელინადში სითბოს მოსალოდნელი დეფიციტის მაუწყებელს.

შედგენილია (გაგუა, 1974) რეგრესიის განტოლებები, რომელთა საშუალებით გაზაფხულზე,  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღზე, შესაძლებელია  $10^{\circ}$ -ზე მაღალი ტემპერატურული ხანგრძლივობის პერიოდისა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამების პროგნოზირება (იხ. ცხრ. 3).

მოცემულ განტოლებებში  $n$  – სავეგეტაციო პერიოდის საპროგნოზო ხანგრძლივობაა,  $\Sigma t$  – აქტიურ ტემპერატურათა საპროგნოზო ჯამი.  $n_1$  –  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღი. აღნიშნული განტოლებებით შევვიძლია დავადგინოთ, თუ  $10^{\circ}$ -ზე გადასვლა მოხდება მარტში, მაშინ დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია  $10^{\circ}$ -ზე მაღალი ტემპერატურინი პერიოდის ხანგრძლივობა 270-240 დღე, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება კი  $4900 - 4400^{\circ}$ , აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში კი, შესაბამისად, 245 – 220 დღე და  $4700 - 4250^{\circ}$ ; ხოლო თუ  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღი აპრილზე მოდის, მაშინ დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში შესაძლებელია სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 240 – 210 დღე, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4400 - 3900^{\circ}$ ; აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში კი, შესაბამისად, 220 – 195 დღე და  $4250 - 3800^{\circ}$ .

დასავლეთ საქართველოს ბარის ზონისათვის რეგრესიის განტოლებებს ასეთი სახე აქვს:

$$n = -1,08n_1 + 304$$

ცხრილი 3

რეგრესიის განტოლებები  $10^0$ -იანი პერიოდის სანგრძლივობისა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამშის პროგნოზირებისათვის

პუნქტი	$10^0$ -იანი პერიოდის სანგრძლივობის გუვიკიენტი r	რეგრესიის განტოლება n	კორელაციის გუვიკიენტი r	აქტიურ ტემპერატურათა ჯამშის განტოლება n
ფოთი	-0,78 ± 0,05	-1,15 nı + 312	-0,68 ± 0,06	-14,77 nı + 5337
სამტრედია	-0,80 ± 0,05	-1,24 nı + 313	-0,70 ± 0,07	-19,10 nı + 5550
სოხუმი	-0,76 ± 0,05	-1,10 nı + 305	-0,68 ± 0,07	-14,78 nı + 5425
საქარა	-0,72 ± 0,06	-1,05 nı + 292	-0,60 ± 0,08	-14,98 nı + 5199
ქუთაისი	-0,76 ± 0,05	-0,93 nı + 297	-0,68 ± 0,07	-15,12 nı + 5280
წნორი	-0,74 ± 0,05	-0,92 nı + 252	-0,73 ± 0,06	-15,60 nı + 4860
გარდაბანი	-0,78 ± 0,05	-0,93 nı + 248	-0,66 ± 0,07	-15,54 nı + 4842
ობილისი	-0,72 ± 0,05	-0,87 nı + 245	-0,64 ± 0,06	-16,00 nı + 4668
გურჯაანი	-0,70 ± 0,06	-0,85 nı + 247	-0,68 ± 0,07	-15,70 nı + 4627
ლაგოდეხი	-0,72 ± 0,06	-0,81 nı + 242	-0,71 ± 0,06	-15,32 nı + 4700

$$\Sigma t = -15,75n_1 + 5338$$

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონისათვის კი,

$$n = -0,87n_1 + 247$$

$$\Sigma t = -15,63n_1 + 4739$$

საქართველოს დაბლობ ზონაში თებერვალ-მარტში ჯერ კიდევ მოსალოდნელია გაზაფხულის წაყინვები, რაც საშიშროებას უქმნის სითბომოყვარულ ბოსტნეულ კულტურებს (კიტრი, პამიდორი და სხვ.). მარტის მეორე ნახევარში საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღის დადგომის ალბათობა 50–75%-ია, ხოლო ის, რომ ეს თარიღი აპრილის პირველ ნახევარზე მოვა, 80–95%-ს შეადგენს. იმ ნლებში, როცა  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღი აპრილის პირველ ნახევარზე მოდის, რაც ფაქტობრივი მონაცემებით გარანტირებულია 10 წლიწადში 8-9 ჯერ, უნდა მოველოდეთ დასავლეთ საქართველოში  $10^{\circ}$ -ზე მაღალი პერიოდის ხანგრძლივობას 240-220 დღეს, აქტიურ ტემპერატურათა ჯამს 4000-4200<sup>0</sup>, აღმოსავლეთ საქართველოში კი სავეგეტაციო პერიოდი იქნება 220–205 დღე და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4250–4000<sup>0</sup>.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და შემდგომი განვითარება უნდა განხორციელდეს იმ მიმართულებით, რომ დიდი ყურადღება მიექცეს აუთვისებელი სითბური რესურსების გამოვლინებას, გავზარდოთ ერთეული ფართობის მოსავლიანობა და, რაც მთავარია, შევძლოთ მოსახლეობის მომარაგება თითქმის მთელი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ახალი პროდუქტებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოსვლის პერიოდი ძირითადად ემთხვევა ზაფხულსა და შემოდგომას. ამ დროს სარეალიზაციო პუნქტებზე იქმნება მათი სიჭარბე.

წლის დანარჩენ სეზონში მათ ნაკლებობასთან გვაქვს საქმე, ე.ი. ადგილი აქვს წარმოება-მოხმარების პერიოდის სეზონურობას. ასე მაგალითად, კიტრი და პამიდორი სარეალიზაციო პუნქტებში შემოდის ივლისში (სელმისაწვდომი ფასები) და წყდება ოქტომბერში (ზოგჯერ ადრეც).

მაშინ, როდესაც საქართველოს დაბლობ რაიონებში შესაძლებელია ამ პროდუქტების წარმოება ივნისიდან ნოემბრამდე.

**საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღების შემდგომი  
ნარჩენი სარეზერვო სითბო**

<b>პუნქტი</b>	<b>ჯიში</b>	<b>მოსავლის აღების თარიღი</b>	<b>შემოდგომაზე 10°-ის ზღვიგომის თარიღი</b>	<b>აკტიურობის მისამართის აღების ჯამში მოსავლის აღების 10°-ის დაფიქსი თარიღის</b>
ჭრებალო	ხულოგო	12.VII	30.X	2050
ამპროლაური	ხულოგო	14.VII	30.X	1970
საჩხერე	თეთრი დოლი	8.VII	2.XI	2200
კორბოული	თეთრი დოლი	19.VII	27.X	1720
ხაშური	ადგილობრივი	19.VII	23.X	1650
სკრა	დოლი	10.VII	24.X	1910
თეთრი წყარო	თეთრი დოლი	29.VII	15.X	1290
	ხოტორა			
მარნეული	ნოვოუკრაინკა	3.VII	1.XI	2380
თიანეთი	თეთრი დოლი	3.VIII	11.X	1060
სიონი	ადგილობრივი	3.VIII	11.X	1060
გარდაბანი	დოლის პური	26.VI	3.XI	2740
თელავი	დოლის პური	8.VII	1.XI	2190
გურჯაანი	თეთრი დოლი	29.VI	3.XI	2520
ლაგოდეხი	თეთრი დოლი	26.VI	2.XI	2630
შირაქი	ნოვოუკრაინაკა	10.VII	23.X	2030

საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღების შემდგომი  
ნარჩენი სარეზერვო სითბო (ჯიში — „ბეზოსტაია“)

პუნქტი	თესავის თარიღი	მოსავლის აღების თარიღი	შემოდგომის 10°-ზე უმცირესი გარეშემოსავალი	ტემპერატურაზე უძველესი გარეშემოსავალი
ახალციხე	17.X	7.VIII	18.X	1170
ახალქალაქი	22.IX	6.IX	30.IX	320
ცხინვალი	21.X	27.VII	21.X	1450
გორი	17.X	27.VII	27.X	1650
მარნეული	20.X	7.VII	1.XI	2290
დმანისი	12.X	8.VIII	13.X	960
ასურეთი	20.X	14.VII	15.X	1520
გარდაბანი	12.X	16.VII	3.XI	2220
დედოფლის წყარო	22.X	6.VII	22.X	1980
ლაგოდეხი	16.X	28.VI	2.XI	2580
წალკა	17.IX	31.VIII	30.IX	360

აღნიშნული სეზონურობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ადგილობრივი აგროკლიმატური რესურსების შეუფასებლობა.

დაბლობ ზონაში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღების შემდეგ რჩება აქტიურ ტემპერატურათა აუთვისებელი ჯამი  $10^{\circ}$ -ზე მეტი  $3000^{\circ}$ -მდე, რომელის გამოყენება შესაძლებელია მეორე მოსავლის მისაღებად. ასე მაგალითად, საშემოდგომო ხორბლის აღების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ნარჩენი

სარეზერვო სითბო შეადგენს  $2500^{\circ}$ — $2800^{\circ}$ -ს (იხ. ცხრ. 4, 5).

აღნიშნული სითბოს განაწილება სიმაღლის მიხედვით ხასიათდება გარკვეული კანონზომიერებით: 400 მ-მდე ჰიფსომეტრიულ ზონაში იგი შეადგენს  $2500^{\circ}$ -ს. ყოველი 100 მ-ით სიმაღლის მატებასთან ერთად, იგი მცირდება დაახლოებით  $200^{\circ}$ -ით და 1400 მ სიმაღლეზე ეცემა  $500^{\circ}$ -მდე.

## 1.4. გაზაფხულისა და შემოდგომის აგროკლიმატური სეზონები

გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონების შესწავლას აგროკლიმატოლოგიაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გაზაფხულის ოპოტიმალურად მიმდინარეობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციის დაწყების პროცესი დამაკმაყოფილებლად წარიმართება, რაც მცენარეთა სრულყოფილი ზრდა-განვითარების საწინდარია. სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები სპეციფიკურია; უმეტესობა მხოლოდ გაზაფხულზე და თანაც შეზღუდულ ვადებში სრულდება. ასევე მნიშვნელოვანია შემოდგომის, მისი თერმიული რეჟიმის სწორად გათვალისწინება. ამ სეზონზეცაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავლის მიღება, მისი მომწიფების ხარისხის უზრუნველყოფა, მასში სასარგებლო ნივთიერებათა დაგროვება. შემოდგომის სეზონი განაპირობებს მცენარეთა ნაზი ყლორტების დროულ მომწიფებას და გამოსაზამთრებლად მომზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაზაფხულისა და შემოდგომის აგროკლიმატური სეზონების ხანგრძლივობათა შესწავლის საკითხი (გაგუა, ცხაკაია, 2006).

აგროკლიმატოლოგიაში გაზაფხულის საშუალო თარიღად მიღებულია საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით მდგრადი გადასვლის თარიღი. ასევე, შემოდგომის საშუალო თარიღად — საშუალო დღელამური  $10^{\circ}$  ტემპერატურის შემოდგომაზე დადგომის თარიღი. ამასთან, შესწავლილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ვეგეტაციის საწყისი ტემპერატურული ინდექსი განსხვავებულია და სუბტროპიკულ სარტყელში მოქცეულია საშუალო დღელამური ტამპერატურების  $5$ -დან  $15^{\circ}$ -მდე დადგომის თარიღებს შორის.

ასე მაგალითად, სიცივისამტანი კულტურები — ვაშლი, მსხალი, ქლიავის სხვადასხვა ჯიშები და სხვ. ვეგეტაციას იწყებენ  $5-6^{\circ}$ -ზე ზევით. სითბოს მომთხოვნები კი შედარებით უფრო მაღალზე — აქტინიდია (კივი)  $8^{\circ}$ -ზე, გაზი  $9-10^{\circ}$ -ზე, ლელვი  $12^{\circ}$ -ზე, ბრინჯი და ბამბა —  $15^{\circ}$ -ზე და ა.შ. (იხ. ცხრ. 6).

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	ვეგეტაციის საწყისი ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$
კარტოფილი, კომბოსტო	5
ვაშლი, შიხალი, ქლიავები	5-6
აქტინიდია (კივი)	8
ვაზი	9-10
კიტრი, პამიდორი	10
ლელვა	12
ბაშპა, ბრინჯი	15

ამრიგად, გაზაფხულის აგროკლიმატურ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი საშუალო დღელამური ტემპერატურების  $5^{\circ}-\text{ზე } 15^{\circ}$  ზევით მდგრადი გადასვლის თარიღიდან  $15^{\circ}-\text{ზე } 20^{\circ}$  ზევით მდგრადი გადასვლის თარიღამდე; შემოდგომის აგროკლიმატურ მაჩვენებლად კი — საშუალო დღელამური ტემპერატურების  $15^{\circ}-\text{ზე } 25^{\circ}$  ქვევით დაწევის თარიღიდან  $5^{\circ}$ -ის დადგომის თარიღამდე. აღნიშნული პერიოდები, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა გაზაფხულისა და შემოდგომის კალენდარულ სეზონებს; ამიტომ მათ ვუწოდებთ გაზაფხულისა და შემოდგომის აგროკლიმატურ სეზონებს.

აქვე მოგვაქვს გაზაფხულისა და შემოდგომის აგროკლიმატური სეზონების ხანგრძლივობათა მონაცემები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი პუნქტისათვის (იხ. ცხრ. 7, 8).

თბილისის მონაცემების მიხედვით, საშუალო დღელამური ტამპერატურების  $5^{\circ}-\text{ზე } 15^{\circ}$  ზევით გაზაფხულზე გადასვლა აღინიშნება 4.III-ს,  $15^{\circ}-\text{ზე } 25^{\circ}$  კი — 1.V-ს; ე.ი. დღეთა რიცხვი  $5^{\circ}-\text{ზე } 20^{\circ}$  ზევით მდგრადი გადასვლიდან  $15^{\circ}-\text{ზე } 25^{\circ}$  ზევით მდგრად გადასვლამდე, გახაფხულის \* — საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 58 დღეს. შემოდგომაზე  $15^{\circ}$ -ის დადგომის თარიღი მოდის 9.X-ს,  $5^{\circ}$ -ის დადგომის თარიღი საშუალოდ აღინიშნება 30.XI-ს; დღეთა რიცხვი  $15^{\circ}$ -ის დადგომიდან  $5^{\circ}$ -ის დადგომამდე, ე.ი. შემოდგომის საშუალო ხანგრძლივობა, შეადგენს 52 დღეს (იხ. ცხრ. 8).

**გაზაფხულისა და შემოღვრმის საშუალო თარიღები,  
მათი ხანგრძლივობანი დასავლეთ საქართველოში**


პუნქტი	1*	2*	3*	4*	5*	6*	7*	8*	9*	10*	11*	12*
წალენჯიხა	15.II	4.IV	48	6.V	32	80	17.X	19.XI	33	8.I	50	85
ზუგდიდი	8.II	1.IV	52	3.V	32	84	15.X	19.XI	35	10.I	52	87
ქარტველი	10.II	31.III	49	1.V	31	80	19.X	23.XI	35	12.I	50	85
ხონი	5.II	28.III	51	27.IV	30	81	23.X	23.XI	31	10.I	48	79
წყალტუბო	2.II	27.III	53	24.IV	28	81	24.X	24.XI	31	16.I	53	84
სენაკი	24.I	24.III	59	29.IV	36	95	27.X	29.XI	33	17.I	49	82
ქუთაისი	2.II	28.III	54	28.IV	31	85	25.X	26.XI	32	18.I	53	85
სამტრედია	8.II	25.III	47	27.IV	33	80	24.X	23.XI	30	6.I	44	74
ფოთი	31.I	29.III	57	6.IV	38	95	23.X	27.XI	35	18.I	52	87
ლანჩხუთი	13.II	31.III	46	3.V	33	79	19.X	21.XI	33	29.XII	38	71
სუფსა	13.II	5.IV	50	8.V	33	83	17.X	18.XI	32	3.I	46	78
დაბლაციხე	3.II	2.IV	58	5.V	33	91	24.X	26.XI	33	18.I	53	86
ანასეული	11.II	3.IV	51	7.V	34	85	21.X	27.XI	37	9.I	43	80
სოხუმი	4.II	30.III	54	5.V	36	90	21.X	27.XI	37	14.I	48	85
ქობულეთი	7.II	9.IV	61	13.V	34	95	18.X	21.XI	34	6.I	46	80

1. 5<sup>o</sup>-ზე ზევით გაზაფხულზე გადასვლის თარიღი; 2. 10<sup>o</sup>-ზე ზევით გადასვლის თარიღი; 3. დღეთა რიცხვი 5<sup>o</sup>-დან 10<sup>o</sup>-ზე გადასვლამდე; 4. 15<sup>o</sup>-ზე გადასვლის თარიღი; 5. დღეთა რიცხვი 10<sup>o</sup>-დან 15<sup>o</sup>-ზე გადასვლამდე; 6. დღეთა რიცხვი 5<sup>o</sup>-ზე გადასლოდან 15<sup>o</sup>-ზე გადასვლამდე; 7. შემოღვრმაზე 15<sup>o</sup> დადგომის თარიღი; 8. 10<sup>o</sup>-ის დადგომის თარიღი; 9. დღეთა რიცხვი 15<sup>o</sup>-დან 10<sup>o</sup>-ის დადგომამდე; 10. შემოღვრმაზე 5<sup>o</sup> დადგომის თარიღი; 11. დღეთა რიცხვი 10<sup>o</sup>-ის დადგომიდან 5<sup>o</sup>-ის დადგომამდე; 12. დღეთა რიცხვი 15<sup>o</sup>-დან 5<sup>o</sup>-ის დადგომამდე.


გაზიაფხულისა და შემოდგომის საშუალო თარიღები,  
გათი ხანგრძლივობანი აღმოსავლეთი საქართველოში

პუნქტი	1*	2*	3*	4*	5*	6*	7*	8*	9*	10*	11*	12*
ნაფარეული	5.III	5.IV	3.IV	28	59	8.IX	2.IX	25	29.IX	27	52	
სკრა	20.III	18.IV	29	17.V	29	58	28.IX	24.X	26	19.IX	26	52
გორი	16.III	13.IV	28	12.V	27	55	3.X	27.X	24	20.IX	24	48
მუხრანი	16.III	14.IV	29	12.V	27	56	30.IX	27.X	27	21.IX	25	52
თელავი	12.III	9.IV	28	9.V	30	58	4.X	1.XI	28	28.IX	27	55
ბორჯომი	27.III	25.IV	29	26.V	31	60	20.IX	17.X	27	12.IX	26	53
ლაგოდეხი	5.III	6.IV	32	2.V	26	58	9.X	2.XI	24	29.IX	27	51
გურჯაანი	7.III	5.IV	29	4.V	29	58	7.X	3.XI	27	29.IX	26	53
საგარეჯო	19.III	16.IV	28	13.V	27	55	29.IX	27.X	28	23.IX	27	55
თბილისი	4.III	4.IV	31	1.V	27	58	9.X	2.XI	24	30.IX	28	52
წნორი	28.II	31.III	31	27.IV	27	58	15.X	8.XI	24	6.XII	28	52
რუსთავი	4.III	6.IV	33	2.V	26	59	13.X	5.XI	23	30.IX	25	48
ალაზანი	28.II	2.IV	33	30.IV	28	61	16.X	6.XI	22	1.XII	25	47
გარნეული	9.III	8.IV	30	3.V	25	55	8.X	1.XI	24	25.XI	24	48
გარდაბანი	5.III	4.IV	30	30.IV	26	56	11.X	3.XI	23	26.XI	23	46
ქლდარი	17.III	12.IV	26	8.V	26	52	5.X	29.X	24	21.XI	23	47
ახალგორი	24.III	22.IV	29	24.V	32	61	25.IX	22.X	27	17.XI	26	53

\* — 1.  $5^{\circ}$ -ზე ზევით გაზაფხულზე გადასვლის თარიღი; 2.  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლის თარიღი; 3. დღეთა რიცხვი  $5^{\circ}$ -დან  $10^{\circ}$ -ზე გადასვლამდე; 4.  $15^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღი; 5. დღეთა რიცხვი  $10^{\circ}$ -დან  $15^{\circ}$ -ზე გადასვლამდე; 6. დღეთა რიცხვი  $5^{\circ}$ -ზე გადასლიდან  $15^{\circ}$ -ზე გადასვლამდე; 7. შემოდგომაზე  $15^{\circ}$  დადგომის თარიღი; 8.  $10^{\circ}$ -ის დადგომის თარიღი; 9. დღეთა რიცხვი  $15^{\circ}$ -დან  $10^{\circ}$ -ის დადგომამდე; 10. შემოდგომაზე  $5^{\circ}$  დადგომის თარიღი; 11. დღეთა რიცხვი  $10^{\circ}$ -ის დადგომიდან  $5^{\circ}$ -ის დადგომამდე; 12. დღეთა რიცხვი  $15^{\circ}$ -დან  $5^{\circ}$ -ის დადგომამდე.



სურ. 3. გაზაფხულის ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესთან დასავლეთ საქართველოში.




სურ. 4. გაზაფხულის ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესთან აღმოსავლეთ საქართველოში.

სურ. 3—6 ნარმოდგენილია გაზაფხულისა და შემოდგომის ხანგრძლივობათა დამოკიდებულებანი ადგილის სიმაღლესთან. როგორც აღნიშნული სურათებიდან ჩანს, გაზაფხულის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში 600 მ სიმაღლემდე კლებულობს, 600-დან 800 მ-დე — უცვლელია და 800 მ ზევით — მკვეთრად მატულობს; აღმოსავლეთ საქართველოში 600 მ სიმაღლემდე — უცვლელია და შემდეგ მკვეთრად მატულობს.


შემოდგომის ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში, ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, მცირდება 600 მ სიმაღლემდე; 600-დან 800 მ-დე უცვლელია და 800 მ სიმაღლეს ზევით მატულობს; აღმოსავლეთ საქართველოში კი სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება.

აქვე მოტანილია გაზაფხულისა და შემოდგომის ხანგრძლივობათა ტერიტორიული განაწილების რუკები (იხ. სურ. 7, 8).

როგორც აღნიშნული რუკებიდან ჩანს, გაზაფხულის საშუალო



სურ. 5. შემოდგომის ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესთან დასავლეთ საქართველოში.



სურ. 6. შემოდგომის ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესთან აღმოსავლეთ საქართველოში.

ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში, ზღვის სანაპირო ზოლში 90 დღეზე მეტია, რაც გამოწვეულია გაზაფხულის გახანგრძლივებით თებერვლის თვის ხარჯზე. ზღვიდან დაშორებისა და ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად, გაზაფხულის ხანგრძლივობა კლებულობს და ქ. ზესტაფონთან იგი 75 დღემდე მცირდება.


300მ-დან 1300 მ სიმაღლემდე გამოიყოფა ზოლი გაზაფხულის 75-დღიანი ხანგრძლივობით; ამ ზოლის ჩაკეტილ ხეობებში კი გეხვდება 60 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის მიკროზონები. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, შიდა და ქვემო ქართლში და ალაზნის ვაკეზე გამოიყოფა გაზაფხულის ყველაზე დაბალი ხანგრძლივობის ზონა ( $\leq 60$  დღე), რომელსაც როგორც სამხრეთ საქართველოში, ისე კავკასიონის მთავარი ქედის საშუალო მთიანეთში (1300 მ სიმაღლე) აკრავს 75 დღეთა რიცხვის იზოხაზი.

შემოდგომის ხანგრძლივობის რუკაზე დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპირო ვიწრო ზოლში გვაქვს 90-დღიანი ხანგრძლივობა.

(၁၀၃) ရွှေခါးမြစ်လျှပ်စီး မြန်မာရှိသူများ ပုဂ္ဂန်မြတ်များ



Fig. 8. Distribution of water table in the study area (contour map)



როგორც გაზაფხულის ხანგრძლივობაზე აღინიშნა აქაც ადგილი აქვს შემოდგომის გახანგრძლივებას გვიანი შემოდგომისა და დეკემბრისა თვის ხარჯზე. ზღვიდან დაშორებისა და ადგილის სიმაღლის ზრდას-თან ერთად, ხანგრძლივობა კლებულობს და 300-დან 1300 მ სიმაღ-ლემდე იქმნება 70-დღიანი ხანგრძლივობის ზოლი, ხოლო ჩაკეტილ ხეობებში — 60 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის მიეროზონები. აღ-მოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, შიდა და ქვემო ქართლში და შიდა კახეთში ყველაზე მოკლეა შემოდგომა და შეადგენს 50 დღეს. სიმაღლის ზრდასთან ერთად, იგი ხანგრძლივდება და 1700 მ სიმაღ-ლეზე 70 დღეს აღემატება.

## თავი II. დაფინანსირების რეჟიმი


### 2.1. ატმოსფერული ნალექების განაწილება

საქართველოს ტერიტორიის თითქმის უმეტეს ნაწილში წლის გან-მავლობაში მოსული ნალექების 50-70%- თბილ პერიოდზე მოდის. დასავლეთ საქართველოში ატმოსფერული ნალექები ტერიტორიუ-ლად 2279 მმ-დან (ცისკარა) 454 მმ-მდე (საჩხერე) მერყეობს. ზღვი-დან დაშორებით კოლხეთის ბარში, ნალექები საგრძნობლად მცირდება, სიმაღლის ზრდასთან ერთად, პირიქით, ყველგან მატუ-ლობს. პლუვიომეტრული გრადიენტი განსხვავებულია. მესხეთის ქედის ზღვისაკენ მიქცეულ ფერდობებზე ყოველ 100 მ სიმაღლეზე 70 მმ-ით მატულობს. დიდი გრადიენტი ახასიათებს კოდორის, ეგრისის და რაჭის ქედების სამხრეთ ფერდობებს (შ. ჯავახიშვილი, 1981).

ცივ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა ყველგან ნაკლებია თბილ პერიოდში მოსულ ნალექებთან შედარებით; გამონაკლისი — აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია. ზამთარში ნალექების სიუხვეს აქ ხშირი ციკლონური მოქმედება იწვევს. მსგავსი მდგომარეობაა შიდა მთიან აჭარაში და მესხეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში.

აღმოსავლეთ საქართველოში ცივ პერიოდში მოსული ატმოსფერ-ული ნალექები ბევრად ნაკლებია თბილ პერიოდში მოსულ ნალექე-თან შედარებით.

დასავლეთ საქართველოში თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა ტერიტორიულად იცვლება 300-800 მმ-ის, ხოლო აღ-მოსავლეთ საქართველოში 160-600 მმ-ის ფარგლებში (გაგუა, მუმ-ლაძე, ჯავახიშვილი, 2000).



## 2.2. სავეგეტაციო პერიოდის ტენით უზრუნველყოფა

საქართველოს ტერიტორიის დატენიანება მრავალფეროვანია. ზღვის სიახლოვის გავლენა განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა საქართველოს ტერიტორიის დატენიანების ხასიათზე. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სანაპირო ზოლში გ. სელიანინოვის ჰიდროთერმიული კოეფიციენტი მაღალია და მთელ სავეგეტაციო პერიოდში საშუალოდ 3,5-ს აღწევს. სიმაღლის მატებასთან და ზღვიდან დაშორებასთან ერთად (კოლხეთში აღმოსავლეთისაკენ), იგი მცირდება და 300 მ სიმაღლეზე 3,0-ს შეადგენს. ჰიდროთერმიული კოეფიციენტი მცირდება თანდათან 800-900 მ სიმაღლემდე, შემდეგ კი იზრდება, ატმოსფერული ნალექების მატებასთან დაკავშირებით და 2000 მ სიმაღლეზე 3,5-ს შეადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შავი ზღვის გავლენა შემცირებულია, ჰიდროთერმიული კოეფიციენტის მნიშვნელობა 400 მ სიმაღლეზე მეტად დაბალია ამავე სიმაღლესთან შედარებით დასავლეთ საქართველოში და 1,0-ს უდრის. სიმაღლის ზრდასთან ერთად იგი თანდათანობით მატულობს და 2000 მ სიმაღლეზე 2,5-ს შეადგენს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მყარი მოსავლის მიღების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, სითბოთი უზრუნველყოფის შემდეგ, წარმოადგენს ტენით უზრუნველყოფის პირობები. ამის გამო, მიწის რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით აუცილებელია ტერიტორიის ჰიდრორესურსების სწორი აღრიცხვა-შეფასება. საქართველოს მცირემინიანობის პირობებში, როცა ფართოდ უნდა წარიმართოს ნიადეგების მელიორაცია, ტერიტორიის ტენით უზრუნველყოფის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტერიტორიის დატენიანების ხარისხზე. საქართველოში ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დიდ ფარგლებში იცვლება 400-დან 4500 მმ-მდე. ყველაზე მეტი ნალექი მოდის ჩაქვის ქედის ზღვისაკენ მოქცეულ ფერდობზე (მთა მტირალა), სადაც ნალექების საშუალო მრავალწლიური ჯამი 4500 მმ-ს აღემატება. კოლხეთის ბარში ადგილის სიმაღლის ზრდის მიუხედავად,

აღმოსავლეთისაკენ ნალექები საგრძნობლად მცირდება. ასე მაგალითად, ზღვის სანაპიროზე მოდის 1800 – 1900 მმ ნალექი, კოლხეთის ბარის აღმოსავლეთ ნაწილში 1100 – 1200 მმ. უფრო აღმოსავლეთით, ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ნალექები ისევ მატულობს, მაგრამ 1500 მმ-ს არ აღემატება.

აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთთან შედარებით, მეტად მცირე ნალექი მოდის. აქ წლიური ჯამი ტერიტორიულად იცლება 400 – 1800 მმ ფარგლებში. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ზღვის დონიდან დაახლოებით 1000 მ სიმაღლემდე), რომელიც უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენს, განსაკუთრებით ნალექების მცირე რაოდენობას იღებს, საშუალოდ, 400 – 800 მმ. ყველაზე მცირე (400 მმ) ნალექი მოდის საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში. მცირეა ნალექი (400 – 500 მმ) აგრეთვე ახალქალაქის პლატოზე და ახალციხის ქვაბულში, რომლებიც დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დაცულია მაღალი ქედებით. ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, ნალექების რაოდენობა იზრდება, მასზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ხეობის მიმართულება. ასე მაგალითად, შიგნით კახეთში, რომელიც მდებარეობს მდ. ალაზნის ხეობაში, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თავისუფლად იჭრება ჰაერის მასები და ხელსაყრელი პირობები იქმნება ნალექებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ნორმალურ პირობებში ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნალექების შიდანლიურ განაწილებას.

დასავლეთ საქართველოში, ზღვის სანაპირო ზოლის უმეტეს ნაწილში, შემოდგომაზე და ზამთარში მნიშვნელოვნად მეტი ნალექი მოდის, ვიდრე დანარჩენ სეზონში. ყველაზე მშრალია გაზაფხულის თვეები. მთიან ნაწილში განსაკუთრებით წვიმიანია ზაფხული. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მშრალია იანვარი და აგვისტო. შედარებით უხვნალექიანია მაისი და ივნისი, მეორადი მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბრის თვეებშია (კორძახია, ჯავახიშვილი, 1963).

მართალია, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა განსაზღვრავს ტერიტორიის დატენიანების რეჟიმს, მაგრამ მხოლოდ ნალექებით ძნელია ტერიტორიის დატენიანების შეფასება. ამ მიზნით საჭიროა საიმედო აგროკლიმატური მაჩვენებელი. განვიხ-

ილოთ, თუ რა სახით აქვს იგი წარმოდგენილი ზოგიერთ ავტორს.

გ. სელიანინოვის (1933) ჰიდროთერმიული კოეფიციენტი (ჰთ):

$$\Gamma\mathbf{T}\mathbf{K} = \Sigma\mathbf{P} / \Sigma\mathbf{t} : 10$$

სადაც  $\Sigma\mathbf{P}$  – ატმოსფერული ნალექების ჯამია გარკვეული პერიოდისათვის (თვე, სეზონი და ა.შ.),

$\Sigma\mathbf{t}$  –  $10^0$ -ზე მეტი ტემპერატურათა ჯამი, გაანგარიშებული იმავე პერიოდისათვის.

გ. სელიანინოვის მიხედვით, ჰთ = 1,0 შეესაბამება ტყე-სტეპს, 0,7 – არამდგრად მინათმოქმედებას, 0,5 – ნახევარუდაბნოების საზღვარს, 0,3 – უდაბნოების საზღვარს. ამასთან, თუ ჰთ < 1,0 შეესაბამება გვალვიან პერიოდს;

0,5-ზე ნაკლები კი – მშრალ პერიოდს. აღნიშნული პერიოდების დასაწყისი და დასასრული შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ინტერ-პოლაციური ფორმულით:

$$P = [d(K - b)/(a-b)] - 15$$

სადაც,  $K$  – ჰიდროთერმიული კოეფიციენტის სასაზღვრო მნიშვნელობაა

(1,0 ან 0,5),  $b$  – ჰიდროთერმიული კოეფიციენტის საშუალო თვიური მნიშვნელობა სასაზღვროზე ნაკლები,  $a$  – ჰიდროთერმიული კოეფიციენტის შესაბამისი მნიშვნელობა სასაზღვროზე მეტი,  $d$  – დღეთა რიცხვი თვეში, როცა  $\Gamma\mathbf{T}\mathbf{K} = b$ .

გ. სელიანინოვის კოეფიციენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სავაგეტაციო პერიოდისათვის ( $10^0$ -ზე მაღალი ტემპერატურიანი პერიოდი). ამასთან,  $(\Sigma\mathbf{t}:10)$  – ავტორის მიხედვით შეესაბამება აორთქლებადობას, რაც საქართველოს პირობებში არ მართლდება.

6. ივანოვის (1949) მიერ მოცემულია ასეთი მაჩვენებელი ( $K$ ):

$$K = P/f$$

სადაც,  $P$  – არის ნალექების წლიური ჯამი (მმ),  $f$  – წლიური აორთქლებადობა (მმ).

აორთქლებადობის გამოსაანგარიშებლად იგი იძლევა ასეთ ფორმულას:

$$E_M = 0,0018(25 + t)^2(100 - a)$$

სადაც,  $E_M$  – არის თვიური აორთქლებადობა (მმ),  $t$  – საშუალო

თვიური ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ ),  $a$  – ჰაერის საშუალო შეფარდებითი სინოტივე (%).

მ. ბუდიკოს (1955) მიერ შემოტანილია სიმშრალის რადიაციული ინდექსი (K):

$$K = R/Lr$$

სადაც,  $R$  – არის რადიაციული ბალანსი,  $L$  – აორთქლების ფარული სითბო,  $r$  – ნალექების წლიური ჯამი.

დ. შაშკო (1961) გვთავაზობს დატენიანების შემდეგ კოეფიციენტს ( $M_d$ ):

$$Md = \Sigma P / \Sigma d \text{ ან } Md = \Sigma P / f$$


სადაც,  $\Sigma P$  – არის ნალექების წლიური ჯამი (მმ),  $\Sigma d$  – ჰაერის სინოტივის დეფიციტის საშუალო წლიური ჯამი (მმ),  $f$  – კი აორთქლებადობის მაჩვენებელი. იგი იანგარიშება ასე:

$$f = 0,45 \Sigma (E-e),$$


სადაც  $\Sigma(E-e)$  არის სინოტივის დეფიციტის საშუალო დღედამური მნიშვნელობების ჯამი. სიდიდე  $Md=0,45$  გვიჩვენებს წლის განმავლობაში ნალექებისა და აორთქლებადობის თანაფარდობას,  $Md > 0,45$  ნალექები ჭარბობს აორთქლებადობას;  $Md \geq 0,60$  – შეესაბამება ჭარბად დატენიანებას;  $Md < 0,45$  არის არასაკმარისი დატენიანების მაჩვენებელი;  $Md < 0,15$  მიუთითებს მეტად მშრალ პირობებს.

## 2.3. დატენიანების ზონები

საქართველოს ტერიტორიის დატენიანების ხასიათზე, როგორც ცნობილია, დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვის სიახლოვე. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, მის სანაპირო ზოლში გ. სელიანინოვის ჰავალია და მთელ სავეგეტაციო პერიოდში საშუალოდ 3,5-ს აღწევს; სიმაღლის მატებასა და ზღიდან დაშორებასთან ერთად (კოლხეთში აღმოსავლეთისაკენ), იგი მცირდება და 300 მ სიმაღლეზე 3,0-ს შეადგენს. მისი შემცირება აღინიშნება თანდათან 800-900 მ სიმაღლემდე, შემდეგ კი იზრდება, ატმოსფერული ნალექების მატებასთან დაკავშირებით, და 2000მ სიმაღლეზე 3,5-ს აღწევს. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შავი ზღვის გავლენა შემცირებულია ჰავალის მნიშვნელობა 400მ სიმაღლეზე მეტად დაბალია, დასავლეთ საქართველოს იმავე სიმაღლესთან შედარებით და 1,0-ს უდრის. სიმაღლის ზრდასთან ერთად, იგი თანდათან მატულობს და 2000მ სიმაღლეზე 2,5-ს აღწევს.



სურ. 10. დატენიანების მაჩვენებლის ( $Md$ ) განაწილება სიმაღლეზე დასავლეთ საქართველოში.



სურ. 11. დატენიანების მაჩვენებლის ( $Md$ ) განაწილება სიმაღლეზე აღმოსავლეთ საქართველოში.

## დატენიანების კოეფიციენტი დ. შაშქოს მიხედვით

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
გესტია	2,19	1,81	1,25	0,78	0,52	0,41	0,34	0,34	0,54	0,95	1,26	2,14	0,67
ხაიში	3,33	2,71	1,30	0,59	0,49	0	0,42	0,36	0,67	1,50	2,05	3,25	0,85
ყორულ დაში	1,86	2,14	1,95	1,52	1,09	0,90	0,75	0,71	0,98	1,34	1,53	2,03	1,20
ლენტები	3,06	2,71	1,43	0,76	0,53	0,49	0,39	0,34	0	1,07	1,53	3,35	0,79
ლეპარდე	3,31	4,08	2,99	1,95	1,62	1,35	1,16	0,88	1,53	1,76	2,16	2,70	1,81
ჯვარი	1,81	1,67	1,24	0,75	0,67	0,89	1,19	0,86	0,94	0,77	0,80	1,01	0,98
შოვი	2,67	2,72	1,73	1,13	0,92	0,75	0,50	0,58	0,88	1,35	1,88	2,58	1,08
ყაზბეგი 8/8	2,54	3,16	3,83	4,45	3,93	3,05	2,01	2,09	1,83	1,87	1,93	1,70	2,56
ყაზბეგი	0,35	0,45	0,63	0,76	0,01	0,68	0,55	0,48	0,50	0,41	0,35	0,32	0,63
შუბური	1,50	1,35	1,21	1,10	1,73	0,90	1,30	0,82	0,89	0,86	0,76	1,05	0,95
ცაგერი	2,45	2,45	1,37	0,70	0,72	0,61	0,57	0,33	0,57	0,95	1,29	2,17	0,73
ნალენჯიხა	1,61	1,56	1,11	0,68	0,60	0,89	1,14	0,89	1,01	0,98	1,01	1,23	1,02
ონი	1,41	1,26	0,75	0,47	0,45	0,39	0,26	0,25	0,39	0,70	0,92	1,39	0,52

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
ჭრებალო	1,98	1,69	0,80	0,48	0,45	0,39	0,29	0,27	0,40	0,79	1,17	2,00	0,56
კობი	0,83	0,12	1,48	1,40	1,31	1,07	0,85	0,67	0,81	0,85	0,81	0,89	0,98
ზუგდიდი	1,64	1,44	0,98	0,66	0,57	0,75	0,92	0,78	1,19	1,02	1,00	1,21	0,94
ლილი ჭყონი	2,54	2,33	1,62	1,17	0,63	0,04	1,26	1,16	1,59	1,48	1,59	1,75	1,29
ამბროლაური	1,76	1,42	0,79	0,48	0,46	0,38	0,27	0,95	0,39	0,75	1,11	1,65	0,53
ჯგრის გაღ.	3,73	6,19	5,48	4,45	3,99	3,56	2,42	1,63	2,15	2,32	3,09	2,96	2,94
გურსაჭილი	1,35	1,71	1,61	1,68	1,67	1,29	0,82	0,64	0,85	0,99	1,12	1,11	1,13
ახტოთი	1,27	0,84	0,89	0,62	0,54	0,78	1,02	0,77	1,01	0,84	0,82	0,98	0,87
გუდაური	2,12	3,08	3,11	2,62	2,38	1,72	1,17	0,97	1,26	1,47	1,83	1,81	1,72
გარისახო	1,21	1,45	1,09	1,02	1,16	0,99	0,63	0,51	0,67	0,74	0,95	1,11	0,86
ზედა გორდი	2,28	2,27	1,46	0,74	0,58	0,95	1,30	1,06	1,37	1,36	1,31	1,53	1,24
ჩერგა	2,93	2,73	1,80	1,08	0,88	0,76	0,55	0,52	0,82	1,39	1,69	0,56	1,07
ნარაზენი	1,47	1,34	0,96	0,64	0,57	0,80	0,92	0,88	0,89	0,85	0,81	0,98	0,86

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლი.
ქვედა	1,78	1,87	1,34	0,67	0,47	0,74	1,02	0,91	1,14	1,06	1,15	1,31	1,05
გორծი	1,62	1,55	1,09	0,56	0,41	0,47	0,88	0,82	1,16	1,02	1,09	1,15	0,93
ქვეშეთი	1,23	1,54	1,37	1,11	1,13	0,90	0,60	0,49	0,67	0,89	1,17	1,17	0,90
ანაკლია	1,42	1,33	1,02	0,80	0,75	0,96	0,98	0,86	1,23	1,07	1,00	1,16	1,02
ომალო	0,86	1,02	0,65	0,69	0,75	0,63	0,36	0,27	0,34	0,42	0,56	0,78	0,52
ხეთა	1,12	1,07	0,86	0,62	0,90	0,79	1,02	0,84	1,11	0,78	0,74	0,88	0,84
ორპირი	1,63	1,41	1,18	0,66	0,52	0,65	0,79	0,53	0,70	0,83	0,94	1,19	0,82
ტყიბული	2,03	1,35	1,49	0,84	0,62	0,80	0,87	0,59	0,74	0,99	1,11	1,44	0,95
საჩხერე	1,98	1,58	0,69	0,36	0,26	0,23	0,17	0,17	0,28	0,58	1,01	1,75	0,43
ვასანაური	1,09	1,20	0,88	0,78	0,91	0,74	0,45	0,35	0,48	0,60	0,76	1,04	0,67
ხონი	1,63	1,41	1,14	0,56	0,42	0,59	0,76	0,59	0,81	0,96	0,87	0,11	1,81
წყალტუბო	1,70	1,43	1,07	0,56	0,42	0,53	0,67	0,46	0,73	0,91	0,96	1,08	0,77
სენაკი	1,53	1,53	1,02	0,53	0,39	0,59	0,77	0,73	1,03	0,95	0,98	1,07	0,86

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
ქვეთასი	1,29	1,26	0,82	0,55	0,39	0,45	0,57	0,44	0,50	0,66	0,77	1,01	0,60
ქლორბორჟლი	2,52	2,58	1,44	0,71	0,47	0,45	0,35	0,33	0,53	0,99	1,40	2,03	0,78
ჯოყოლო	0,86	0,92	0,87	0,78	0,90	0,64	0,31	0,26	0,44	0,80	0,96	0,82	0,60
ფოთი	1,38	1,31	0,87	0,69	0,45	0,79	1,08	1,20	1,73	1,29	1,20	1,24	1,10
საქარა	1,70	1,60	0,88	0,95	0,29	0,28	0,21	0,19	0,27	0,70	1,07	1,37	0,54
მეჯგრისხევი	0,76	0,71	0,43	0,33	0,38	0,25	0,14	0,10	0,21	0,40	0,65	0,89	0,30
თანავეთი	1,05	1,18	0,84	0,78	0,91	0,67	0,37	0,28	0,47	0,64	0,78	0,78	0,60
ლანჩხუთი	2,71	2,18	1,31	0,51	0,32	0,36	0,65	0,85	1,47	1,84	1,78	2,14	1,13
დიძი	1,52	1,56	0,92	0,50	0,34	0,35	0,28	0,24	0,43	0,71	0,98	1,21	0,60
ღუშეთი	0,53	0,64	0,50	0,53	0,69	0,48	0,22	0,17	0,31	0,44	0,47	0,48	0,10
სუფსა	2,90	2,41	1,50	0,97	0,53	1,00	1,51	0,19	2,90	2,16	2,09	2,37	1,71
განი	1,73	1,53	0,86	0,40	0,25	0,30	0,38	0,34	0,64	0,90	1,20	1,52	0,65
აცანა	2,41	2,15	1,32	0,54	0,39	0,72	0,89	1,17	2,01	2,33	2,04	1,95	1,92
ნაფარეკული	0,41	0,55	0,47	0,52	0,62	0,39	0,22	0,19	0,33	0,52	0,65	0,01	0,39

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	შლ.
მთა-საბუეთი	4,69	4,04	2,33	1,02	0,89	0,87	0,67	0,48	0,76	1,66	2,61	2,95	1,31
ახმეტა	0,50	0,55	0,55	0,43	0,53	0,52	0,35	0,16	0,27	0,48	0,60	0,43	0,37
დაბლა-ციხე	1,53	1,43	0,96	0,40	0,29	0,52	0,65	0,77	1,23	1,31	1,14	1,19	0,88
ხარაგაული	1,55	1,32	0,89	0,52	0,50	0,47	0,36	0,27	0,38	0,61	0,80	1,07	0,58
ურეკი	1,97	1,63	0,93	0,52	0,29	0,54	0,75	1,31	1,93	1,58	1,49	1,46	1,41
დიდი-განი	1,77	1,64	1,15	0,48	0,37	0,78	0,98	1,22	1,84	1,68	1,33	1,53	1,18
წიფა	2,27	1,99	1,16	0,57	0,48	0,45	0,29	0,23	0,36	0,88	1,36	1,73	0,66
ხაშური	0,94	0,91	0,53	0,37	0,43	0,28	0,17	0,12	0,22	0,45	0,75	0,94	0,34
სერა	0,83	0,76	0,40	0,30	0,35	0,22	0,13	0,09	0,11	0,20	0,63	0,89	0,27
სიონი	1,27	1,35	0,78	0,73	0,90	0,66	0,36	0	0,44	0,60	0,80	0,80	0,59
შრომა	1,98	1,69	1,41	0,55	0,50	0,85	1,17	1,41	2,40	1,97	1,62	1,62	1,39
გორი	0,76	0,67	0,39	0,30	0,35	0,21	0,11	0,09	0,17	0,34	0,60	0,89	0,26
ყვარელი	0,60	0,55	0,58	0,61	1,13	0,51	0,26	0,20	0,37	0,61	0,70	0,67	0,46
გუბრანი	0,46	0,45	0,27	0,32	0,48	0,27	0,15	0	0,18	0,34	0,50	0,68	0,26

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლი.
თელავი	0,38	0,39	0,45	0,47	0,65	0,42	0,20	0,15	0,28	0,43	0,50	0,41	0,35
ანასუშლი	2,28	2,10	1,34	0,68	0,43	0,73	0,86	0,89	1,77	2,09	1,87	1,85	1,31
სამცოველია	1,69	1,54	0,80	0,46	0,29	0,39	0,44	0,42	0,76	0,98	1,10	1,41	0,72
საირმე	2,22	2,18	1,37	0,77	0,58	0,61	0,51	0,41	0,73	1,13	1,55	2,01	0,99
წინანდალი	0,33	0,42	0,41	0,46	0,72	0,37	0,68	0,46	0,65	0,44	0,48	0,40	0,35
გომორი	0,52	0,75	0,88	0,71	0,83	0,62	0,36	0,19	0,47	0,52	0,80	0,45	0,55
პახმარე	3,61	3,62	2,43	0,85	0,79	1,06	0,94	0,79	1,32	1,97	2,38	2,47	1,56
ორმოცი	0,68	0,69	0,51	0,44	0,50	0,33	0,17	0,01	0,25	0,48	0,64	0,75	0,36
ლაგოდები	0,68	0,68	0,72	0,60	0,67	0,41	0,21	0,19	0,20	0,44	0,70	0,77	0,30
ცემი	1,12	1,12	0,79	0,54	0,57	0,62	0,26	0,21	0,07	0,62	1,00	1,01	0,50
დილომი	0,23	0,31	0,26	0,28	0,35	0,22	0,11	0,08	0,15	0,25	0,36	0,32	0,20
ზეგანი	0,45	0,50	0,54	0,28	0,43	0,36	0,19	0,15	0,35	0,49	0,55	0,42	0,36
აბაზუმანი	1,54	1,22	0,64	0,44	0,57	0,59	0,31	0,23	0,30	0,48	0,97	1,41	0,50
გურჯაანი	0,47	0,52	0,58	0,50	0,60	0,33	0,17	0,13	0,33	0,54	0,61	0,46	0,36

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	შედ.
ბაქურიანი	1,23	1,45	1,29	1,02	0,96	0,93	0,55	0,42	0,61	0,83	0,98	0,94	0,82
საგარევო	0,41	0,52	0,60	0,53	0,61	0,53	0,22	0,12	0,30	0,53	0,65	0,38	0,38
თბილისი	0,23	0,29	0,25	0,27	0,32	0,20	0,10	0,08	0,14	0,26	0,38	0,32	0,19
სამეორი	0,27	0,27	0,33	0,35	0,42	0,26	0,12	0,09	0,16	0,28	0,44	0,35	0,23
მანგლისი	0,42	0,53	0,63	0,66	0,83	0,53	0,22	0,21	0,43	0,60	0,69	0,23	0,45
ადიგენი	0,89	0,75	0,40	0,25	0,35	0,36	0,19	0,15	0,19	0,29	0,52	0,74	0,31
ქოჯორი	0,61	0,73	1,02	0,91	0,95	0,81	0,38	0,25	0,26	0,57	0,65	0,51	0,58
ახალციხე	0,59	0,54	0,38	0,29	0,31	0,32	0,15	0,13	0,18	0,29	0,51	0,61	0,26
წნორი	0,50	0,48	0,43	0,36	0,44	0,23	0,13	0,10	0,24	0,43	0,56	0,66	0,27
სიღნაღი	0,40	0,47	0,52	0	0,77	0,66	0,29	0,16	0,31	0,60	0,62	0,37	0,39
წალება	0,44	0,59	0,74	0,77	1,06	0,77	0,37	0,31	0,54	0,47	0,55	0,32	0,57
ასპინძა	0,24	0,34	0,53	0,60	0,54	0,41	0,20	0,16	0,28	0,30	0,24	0,22	0,31
რუსთავი	0,19	0,19	0,22	0,20	0,24	0,16	0,06	0,06	0,12	0,24	0,32	0,23	0,15
თეთრიწყარო	0,45	0,58	0,72	0,75	0,74	0,53	0,20	0,15	0,35	1,00	0,81	0,38	0,44

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	ველ.
შდაბნო	0,30	0,34	0,39	0,34	0,36	0,23	0,11	0,08	0,16	0,29	0,39	0,33	0,28
ალაზანი	0,37	0,35	0,34	0,37	0,46	0,27	0,13	0,10	0,18	0,32	0,46	0,44	0,25
მარნეული	0,28	0,31	0,30	0,30	0,29	0,21	0,08	0,06	0,13	0,25	0,44	0,25	0,19
გარაფანი	0,67	0,96	0,75	0,76	0,80	0,81	0,49	0,34	0,37	0,41	0,59	0,59	0,63
ღეღოფლის	0,46	0,54	0,50	0,50	0,60	0,34	0,17	0,14	0,29	0,54	0,70	0,46	0,34
წყარო	0,29	0,30	0,35	0,35	0,35	0,24	0	0	0	0,29	0,27	0,26	0,21
გარდაპანი	0,22	0,21	0,23	0,21	0,32	0,14	0,05	0,05	0,10	0,19	0,32	0,28	0,14
ახალქალაქი	0,67	0,87	0,64	0,47	0,56	0,55	0,32	0,29	0,23	0,21	0,48	0,54	0,40
შირაქი	0,02	0,44	0,43	0,41	0,49	0,43	0,20	0,10	0,20	0,35	0,48	0,46	0,27
ბორჯომი	0,82	0,82	0,57	0,77	0,51	0,47	0,22	0,19	0,30	0,60	0,87	0,82	0,43
დმანისი	0,43	0,58	0,69	0,79	0,83	0,67	0,25	0,19	0,41	0,59	0,73	0,30	0,50
კლდარი	0,28	0,29	0,33	0,31	0,36	0,22	0,10	0,08	0,16	0,27	0,37	0,32	0,26
კარწახი	0,61	0,77	0,53	0,44	0,39	0,36	0,35	0,41	0,61	0,29	0,46	0,51	0,51

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლი.
ეფურქმოვნება	1,85	2,35	1,65	1,02	0,84	0,82	0,55	0,33	0,34	0,51	0,91	1,07	0,68
როგა	0,02	2,53	1,84	1,33	1,29	0,96	0,63	0,51	0,81	1,23	1,80	1,79	1,13
ედისი	1,34	1,59	1,44	1,06	1,02	0,78	0,54	0,51	0,62	0,78	1,00	1,26	0,85
ერმანი	1,31	1,73	1,67	1,49	1,44	1,08	0,73	0,63	0,77	0,84	0,96	1,21	1,06
ჯაფა	1,31	1,44	0,96	0,69	0,74	0,56	0,34	0,27	0,51	0,84	1,09	1,18	0,66
ცხინვალი	0,86	0,90	0,54	0,36	0,36	0,18	0,15	0,12	0,23	0,44	0,65	0,73	0,32
ახალგორი	0,82	0,78	0,55	0,42	0,42	0,30	0,17	0,15	0,28	0,50	0,76	0,78	0,37
აგადხარა	11,3	9,36	5,77	3,71	1,97	1,18	1,05	1,36	1,91	2,48	3,58	11,3	4,58
ბაღნარი	1,87	1,72	1,25	0,74	0,51	0,45	0,51	1,12	0,64	0,85	1,05	1,22	0,81
ფსხუ	9,75	6,90	3,09	1,22	0,94	0,72	0,67	0,77	1,23	2,23	3,75	7,83	3,26
ლექსელი	1,83	1,76	1,48	0,99	0,63	0,45	0,44	0,48	0,64	0,91	1,30	1,43	0,86
სიხარული	1,26	1,28	1,02	0,79	0,61	0,51	0,49	0,48	0,50	0,61	0,78	0,91	0,72
გაგრა	1,38	1,32	1,09	0,85	0,71	0,56	0,56	0,58	0,69	0,80	0,96	1,01	0,87
ბარმიშვი	2,76	2,43	1,61	1,03	0,74	0,51	0,77	0,62	1,12	1,40	1,89	2,25	1,17

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლი.
ბიჭვინთა	1,84	1,74	1,46	1,09	0,71	0,50	0,59	0,51	0,75	0,80	1,18	1,45	0,91
ზემო აჭარა	3,30	2,77	1,65	0,78	0,76	0,90	0,79	0,79	0	2,04	1,33	2,08	1,20
გუდაუთა	1,69	1,53	0,91	0,81	0,61	0,43	0,65	0,47	0,71	0,75	1,01	1,22	0,83
ახალი ათონი	1,26	1,16	0,99	0,79	0,63	0,44	0,67	0,43	0,59	0,55	0,78	0,96	0,73
ლათა	3,89	2,78	1,59	0,82	0,83	0,91	0,80	0,83	1,34	1,81	2,06	2,92	1,33
სოხუმი	1,16	1,09	0,94	0,74	0,58	0,46	0,48	0,45	0,71	0,61	1,64	0,78	0,69
გაბუშერა	1,68	1,68	1,30	1,00	0,79	0,60	0,57	0,52	0,93	0,94	1,13	1,41	0,93
კოდორი	1,79	1,58	1,14	0,79	0,75	0,78	0,88	0,67	0,83	0,87	0,90	1,09	0,93
კვეთანი	2,29	2,11	1,61	1,05	1,20	1,51	1,70	1,17	1,21	1,15	1,16	1,45	1,41
ოჩამჩირე	1,69	1,47	1,17	0,87	0,79	0,86	0,82	0,66	1,00	1,07	1,17	1,39	0,99
გალი	1,78	1,49	0,98	0,71	0,59	0,79	0,87	0,82	1,15	0,99	1,15	1,33	1,00
ქობულეთი	3,28	2,87	1,98	1,01	0,74	0,97	0,96	1,28	2,58	2,78	2,94	2,99	1,58
ჩაქვი	2,81	2,40	2,06	0,95	0,81	1,00	1,05	1,43	2,37	2,49	2,59	2,28	1,75

პუნქტი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
მწვანე ქონცხი	2,46	2,43	1,80	0,99	0,79	1,09	1,17	1,79	2,76	2,68	2,12	1,98	1,77
მახინჯაური	3,15	3,22	2,33	1,21	0,84	0,96	1,12	2,23	2,78	3,04	3,00	2,66	1,98
ბათუმი	2,45	2,36	1,79	1,12	0,71	0,93	0,92	1,29	2,40	2,72	2,73	2,23	1,71
ხულო	1,70	1,31	0,84	0,38	0,35	0,39	0,34	0,29	0,52	0,89	1,13	1,16	0,64
ახალშენი	1,95	1,76	1,29	0,77	0,55	0,91	1,05	1,56	2,61	2,14	1,90	1,64	1,48
ქედა	2,58	2,11	1,06	0,42	0,35	0,41	0,49	0,54	1,13	1,80	1,97	2,00	0,97
ჭარნალი	2,05	1,85	1,35	0,76	0,58	1,14	1,31	1,89	2,75	2,02	1,91	1,71	1,58

ჩვენს მიერ გამოყენებულია დ. შაშვილს დატენიანების მა-ჩვენებელი. აյვე მოტანილია ცხრილი 9, რომელ-შიც გაანგარიშებულია აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო თვითური და ნლიური მნიშვნელობანი მთელი საქართველოსათვის. გამოყენებით დატენიანების ზონები (იხ. სურ. 10, 11, 12 და ცხრ. 10).



სურ. 12. დატენიანი სახელმწიფო ა. გავათის მთიანეთი

## კლასიფიკაცია დატენიანების პირობების მიხედვით

N	ზონა	დატენიანების კლასიფიკაცია Mდ ს. მიხედვით	გენიუსნა
1	ჭარბად დატენიანებული (ჭდ)	0,050 – 1,2 ტრი	დასავლეთ საქართველოში
2	ძლიერ დატენიანებული (ძლ)	1,2 – 1,0	დასავლეთ საქართველოში
3	საკმარისო დატენიანებული (სკ)	1,0 – 0,60	დასავლეთ საქართველოში
4	დატენირებული (დ)	0,60 – 0,45	დამტკიცებული საქართველოში
5	ზომიერად დატენიანებული (ზდ)	0,45 – 0,35	აღმოსავლეთ საქართველოში
6	სუსტად გვალვაზი (სგ)	0,35 – 0,25	აღმოსავლეთ საქართველოში
7	გვალვაზი (გ)	0,25 – 0,20	აღმოსავლეთ საქართველოში
8	ეტაზ გვალვაზი (ეგ)	0,20 – ნაკლები	აღმოსავლეთ საქართველოში

1) ჭარბად დატენიანებული (ჭდ), დატენიანების მაჩვენებელი მეტია 1,2-ზე. ზონა მოიცავს: დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებს 1600 მ ზემოთ, აჭარა-გურიის სანაპირო ზოლს და მთიან სისტემას 1000 მ-ის მაღლა.

2) ძლიერ დატანიანებული (ძდ), 1,0-დან 1,2-მდე დატენიანების მაჩვენებლით. ზონა მოიცავს: დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერ-დობებს 1000-დან 1600 მ-მდე, აჭარა-გურიის ტერიტორიის ნაწილს, აღ-მოსავლეთ კავკასიონის ფერდობებს 2000 მ ზევით.

3) საკმაოდ დატენიანებული (სდ), 0,6-დან 1,0-მდე მაჩვენებლით. მასში შედის: დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი თითქმის 1000 მ სიმაღლემდე, ზემო იმერეთისა და მდ. მდ. რიონისა და ცხენისწყლის ზემო ნელის აუზების გამოკლებით, მდ. მდ. აჭარისწყლისა და სუფსის ზემო ნელის აუზები; აღმოსავლეთ საქართველოში — თრიალეთის ქედის ჩრდილო და კავკასიონის სამხრეთი ფერდობები 1400-დან 2000 მ-მდე.

4) დატენიანებული (დ), 0,45-დან 0,6-მდე მაჩვენებლით. მასში შედის: დასავლეთ საქართველოში — ზემო იმერეთი და მდ. მდ. რიონისა და ცხენისწყლის ზემო ნელის აუზები; აღმოსავლეთ საქართველოში — კი ზოლი 1000-დან 1400 მ სიმაღლემდე.

5) ზომიერად დატენიანებული (ზდ), 0,35-დან 0,45-მდე დატენიანების მაჩვენებლით. იგი მოიცავს ტერიტორიას მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში 600-დან 1000 მ-მდე.

6) სუსტად გვალვიანი (სგ), 0,25-დან 0,35-მდე მაჩვენებლით. იგი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინების გორაკ-ბორცვიან ზოლს 600 მ სიმაღლემდე.

7) გვალვიანი (გ), 0,2-დან 0,25-მდე მაჩვენებლით. მასში შედის ქვემო ქართლის ბარის ზონა, მდ. მდ. ივრისა და ალაზნის ქვემო ნელის აუზები.

8) ძლიერ გვალვიანი (ძგ), 0,2-ზე ნაკლები მაჩვენებლით. მასში შედის: თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო ზოლი, გარდაბნის რაიონი, ელ-დარისა და შირაქის ტერიტორია.

### III. გამოზამთრების პირობები

#### 3.1. ზამთრის სავეგეტაციო პერიოდის სითპური პირობები

ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ყველაზე თბილი ზამთარი შავი ზღვის სანაპიროზეა. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა აღემატება  $5^{\circ}$ -ს. აღმოსავლეთ საქართველოში კი ყველზე თბილი ზამთარი ქვემო ქართლსა და შიგნით კახეთშია. იანვრის საშუალო ტემპერატურა აქ  $0^{\circ}$ -ზე მაღალია, კერძოდ,  $1^{\circ}$ -ის მახლობლობაშია. მაღალი თერმიული რეჟიმის მიუხედავად კოლხეთში ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ეცემა  $-8$ ,  $-15^{\circ}$ -მდე. ტემპერატურის განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიეფის ფორმა. უფრო თბილი ადგილებია გორაკებსა და ფერდობებზე, საიდანაც ხდება ცივი ჰამოდინება. კოლხეთში ასეთ ადგილებზე, ძირითადად, გაშენებულია ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები. ზღვიდან დაშორებით და ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურის მნიშვნელობები უფრო დაბალია და კორბოულში  $-28^{\circ}$ -მდე ეცემა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა  $-20$ ,  $-28^{\circ}$ -მდე აღინიშნება. მთელ საქართველოს ტერიტორიაზე აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა იცვლება  $-8$ -დან ( $\delta$ ათუმი),  $-42^{\circ}$ -მდე (მაღალმთიანი ყაზბეგი). კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, რომელიც ხშირი ტყით არის დაფარული, მეტია სითბო, ვიდრე სამხრეთ მთიანეთში, რომელიც მოშიშვლებულია და ქვეფენილი ზედაპირის მეტი ინტენსიური გამოსხივებით ხასიათდება (შ. ჯავახიშვილი 1977).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობებს და მათ მეცნიერულ შეფასებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრავალნლიანი კულტურების გავრცელებისა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის. გამოზამთრების პირობების შესწავლა გულისხმობს როგორც შემოდგომისა და გაზაფხულის წაყინვებს, ისე ზამთრის ყინვებს.

საქართველოს თითქმის ყველა მეტეოროლოგიური სადგურის (ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მაღლა არსებული მეტეოროლოგიურების

გამოკლებით, რადგან იქ წაყინვები ზაფხულის თვეებშიცაა მოსალოდნელი) ყოველწლიური მასალების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა (გაგუა, 1996) დამოკიდებულება შემოდგომის პირველი წაყინვის თარიღებსა (x) და ყინვიანი პერიოდის საერთო ხანგრძლივობას (y) შორის. დამოკიდებულებას (კორელაციის კოეფიციენტი  $r = -0,98$ ) აქვს ასეთი სახე:

$$y = -1,6x + 650$$

მოცემული განტოლებით, შემოდგომის პირველი წაყინვის თარიღზე საშუალოდ  $\pm 5$  დღის ცდომილებით, შესაძლებელია, განისაზღვროს ყინვიანი პერიოდის საერთო მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

### **3.2. მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობების შეფასება**


მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზამთრის ჰაერის ტემპერატურებს. მცენარეთა გამოზამთრების პირობების შესაფასებლად გამოიყენება ჰაერის ტემპერატურის შემდეგ მაჩვენებლები: ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი, წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო, დღელამური მინიმალური ტემპერატურების საშუალო, ტემპერატურის საშუალო თვიური მაჩვენებლები.

გამოზამთრების პირობად ითვლება ზამთრის ტემპერატურების სიდიდეები ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ცხადია, რომ საშუალო ტემპერატურებს არ შეუძლია მოცემული ადგილის ყინვასაშიში პირობების შეფასება მოგვცეს. მცენარეს საშუალო ტემპერატურა კი არ აზიანებს, არამედ ტემპერატურის დაცემა მისთვის კრიტიკული დონის დაბლა.


ამაზე წარმოდგენას გვიქმნის ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები. თუმცა, აგროკლიმატოლოგიაში ტერიტორიის ყინვასაშიში პირობების შესაფასებლად იგი არ გამოდგება. ამ მიზნით გ. სელიანინოვმა (1928) შემოიტანა ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო. ამ მაჩვენებლით შესაძლებელია კრიტიკული ტემპერატურების განმეორებაზეც მსჯელობა.

ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობების შეფასების მაჩვენებელი, პირველად გამოიყენებული იყო თვით გ. სელიანინოვის მიერ; შემდგომში, აღნიშნული მაჩვენებლით ისარგებლეს თ. დავითაიამ (1948) და ს. საპოუნიკოვამ (1958).

დ. შაშკო (1967, 1985) ზამთრის სიმკაცრის დასახასიათებლად იღებს უცივესი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურას. მისი აზრით, ეს მაჩვენებელი გამოხატავს ტემპერატურების გავლენას ხანგრძლივ პერიოდში, რის შედეგადაც ის შეიძლება გამოგვადგეს მოზამთრე კულტურების ეკოლოგიური ტიპების არიალების დასახასიათებლად.



სურ. 13. პარაზ ტემპერატურის გლობური აბსოლუტური ეფექტების საშუალო



სურ. 14. კავკასიის ტემპერატურული მანძილი.

### 3.3. ზამთრის ტიპები

გამოზამთრების პირობების შესაფასებლად, ჩვენს მიერ გამოყენებულია ორივე ზემოაღნიშნული მაჩვენებელი (იხ. სურ. 13 და 14): ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო (გ. სელიანინოვი) და უცივესი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა (დ. შაშკო). აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, ჩავატარეთ საქართველოს ტერიტორიის დარაიონება. ზამთრის პირობების შესაფასებლად გამოყოფილ იქნა ტიპები და ქვეტიპები. მთელ ტერიტორიაზე გამოყოფილია სამი ტიპის ზამთარი: თბილი, რბილი და ცივი. თითოეულში გამოყოფილია ქვეტიპები (იხ. ცხრ. 11).

#### ცხრილი 11 კლასიფიკაცია ზამთრის პირობების მიხედვით

ტიპი	ქვეტიპი	უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა $^{\circ}\text{C}$	წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო $^{\circ}\text{C}$
თბილი	ძალიან თბილი	$\geq 3$	ზევით — -8
	თბილი	1 — 0	ზევით — -12
	ზომიერად თბილი	$\geq 0$	ზევით — -14
რბილი	ძალიან რბილი	0 — -3	-14 — -17
	რბილი	-3 — -5	-17 — -20
	ზომიერად რბილი	-5 — -7	-20 — -23
ცივი	ზომიერად ცივი	-7 — -9	-23 — -25
	ცივი	-9 და ქვევით	-25 და ქვევით

თბილი ზამთრის ტიპის ტერიტორია მოიცავს თითქმის მთელ საქართველოს ბარს. მასში გამოყოფილია ქვეტიპები:

- ძალიან თბილი ზამთრით, მოიცავს კოლხეთს, დაახლოებით, 300 მ სიმაღლემდე;
- თბილი ზამთრით, მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ნაწილს 450 მ სიმაღლემდე;

— ზიმიერად თბილი ზამთრით, მოიცავს დასავლეთ და აღ-მოსავლეთ საქართველოს მთისწინების ზოლს 600 მ სიმაღლემდე.

**რბილი ზამთრის ტიპში შედის ქვეტიპები:**

— ძალიან რბილი, რომელიც ვრცელდება 600-დან 1100მ სიმაღლემდე;

— რბილი, მოიცავს ტერიტორიას 1100-დან 1500 მ სიმაღლემდე;  
— ზომიერად რბილი, მოიცავს ზოლს 1500-დან 1900 მ სიმაღლემდე.

**ცივი ზამთრის ტიპში შედის ქვეტიპები:**

— ზომიერად ცივი, მოიცავს ტერიტორიას 1900-დან 2200 მ-მდე;

— ცივი, რომელიც ვრცელდება 2200 მ ზევით.

## თავი IV. ზოგიერთი ტრადიციული და პერსონალური სასოფლო სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარების აგროკომისამატური პირობები საქართველოში

### 4.1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების აგროკლიმატური პირობები საქართველოში ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით

ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში — „აღნერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“ — კლიმატის შეფასება მოცემულია ადამიანის ორგანიზმზე გავლენისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლებელი გავრცელების თვალ-საზრისით. პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე, დიდ მეცნიერს ზედმიწევნით აქვს შესწავლილი იმდროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობა; ამასთან, სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობა მხოლოდ წარმოდგენილი კი არ აქვს, არამედ აღნიშნულია ამ დარგის პოტენციური შესაძლებლობანიც; დასახელებულია კულტურათა გავრცელების არეალები, მათი ვერტიკალური გავრცელების საზღვრები; მითითებულია ადგილები, სადაც ესა თუ ის კულტურა არ ხარობს; აღნიშნულია მათი გაუვრცელებლობის მიზეზი და სხვ.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს (1930) განხილული აქვს ვახუშტის მიერ დადგენილი კულტურულ მცენარეთა ზონები, რომლის საფუძვლად აღებულია მოსავლიანობა — ნაყოფიერების პრინციპი;

ნარინჯ-თურინჯის — მეტად ნაყოფიერი ზონაა; ეს კულტურები ვახუშტის ყველაზე ნაზ და ბუნებრივი პირობებისადმი მომთხოვნად მიაჩნია. „თურინჯ-ნარინჯის გარდა ნაყოფიერებს ყოველნიო“, მიუთითებს იქ, სადაც ისინი აგროკლიმატურად ვერ ხარობს, ხოლო „თურინჯ-ნარინჯის არეალი კი შეიცავს ყოველთა მცენარეთ.“

ბრინჯ-ბამბის; თურინჯ-ნარინჯთა შემდეგ, უფრო მეტი სითბო-მოყვარე მცენარეებია. ამ ზონაში გაერთიანებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონები.

ვენახ-ხილიანი; კულტურულ მეცარეთაგან საქართველოში იგი ყველაზე დიდი ზონაა. მას უჭირავს ტერიტორია ზღვის დონიდან 1200

მ სიმაღლემდე.

უვენახ-ხილო; ამ ზონაში გაბატონებულია მარცვლეული: ხორ-ბალი, ქრთილი, შვრია და მის მაგვარნი.

ბალახ-ყვავილოვანი; აქ ვახუშტი საზაფხულო საძოვრებს გულისხმობს.

აკად. ნ. კეცხოველის (1957) აზრით, რადგან ვახუშტი ზონალურობას დიდ ყურადღებას აქცევდა და ასე დეტალურად აქვს იგი მოცემული, ჩანს, რომ ძველად ჩვენი სოფლის მეურნენიც ამ მომენტს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ყოველ ზონაში შესაფერ მეურნეობის დარგს ავითარებდნენ.

ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში“ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი; საკითხი განხილულია მდინარეთა ხეობების მიხედვით. ადგილის შესაფასებლად გამოყენებულია მოსავლიანობა — ნაყოფიერების პრინციპი. სწორედ ამავე პრინციპზეა დამყარებული აგროკლიმატოლოგიაში თანამედროვე პერიოდში აღიარებული — კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების (ბონიტირება) მეთოდი (გაგუა, გოგიტიძე, 1997).

ვახუშტის შრომა წარმოდგენას გვიქმნის, თუ რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იყო საქართველოში გავრცელებული XVIII საუკუნის I ნახევარში და თუ რა ცვლილებები მოხდა ამ საქმეში მის შემდეგ. განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართული მიწის ნაყოფიერება და აღნიშნულია, რომ მიწის ეს ბარაქა ღვთის მადლითა და არა მხოლოდ ადამიანის გარჯის შედეგი: „გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა ხელოვნებითა კაცთათა, რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, ხორბალნი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა“ (გვ. 29).

ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან აშკარად ჩანს, რომ იმჟამად საქართველოში ფართოდ გავრცელებული კულტურები ყოფილა ბრინჯი და ხორბალი. ამასთან, ცნობილი ყოფილა მათი მრავალი ჯიში. ამაზე მეტყველებს ჩამონათვალში ჩანაწერი — „ბრინჯნი“, „ხორბალნი“.

„კვალად ბამბას სთესენ, განა სხვაგნებური უმჯობეს არს, არამედ მრავალნაყოფიერებს“ (გვ. 29). როგორც ჩანს, ჩვენში ბამბა უხვ-მოსავლიანობით გამოირჩეოდა. ვახუშტის „ბრინჯა-ბამბის“ ზონაც აქვს გამოყოფილი. ამ ზონაში მოქცეულია საქართველოს ბარის რაიონები, (დაახლოებით, 500-600 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან), სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამები 3600<sup>0</sup> და უფრო მაღალია. ამ ზონაში მეცნიერი ურნყავის ბრინჯს გულისხმობს, რადგან ბრინჯს ხშირად იხსენიებს ისეთ რაიონებში, სადაც მორწყვა ჭაობის ბრინ-ჯისთვის საკმარისი არ იყო. ოდიშში „...ბრინჯი ნაყოფიერებს ურ-ნყავად“ (გვ. 170). ბრინჯის ნარმოების პრაქტიკაში მიღებულია მისი მოყვანა წყლით დაფარული და მშრალობის წესით. ვახუშტის მი-თითება „ურნყავად“ გულისხმობს ბრინჯის იმ ჯიშებს, რომლებიც მშრალობის წესით მოიყვანება.

არქანჯელო ლამბერტის (1939) ცნობით, ბრინჯი სამეგრელოში ითესებოდა ისეთ ჭაობიან ადგილებში, სადაც ღომი არ მოდიოდა; მო-ჰყავდათ იმდენად დიდი რაოდენობით, რომ ზოგჯერ საზღვარგარე-თაც კი გაპქონდათ. ივანე ჯავახიშვილს (1930) მიაჩნია, რომ საქართველოში ბრინჯი IX ს. უნინარეს არ უნდა შემოსულიყო და ის ირანიდან შემოუტანიათ.

სხვა რეგიონებისთვის ჩამოთვლილ კულტურებზე ვახუშტი წერს: „...იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესენ ბრინჯ-ბამბასა“ (გვ. 103); იმერეთში „...გარნა ბრინჯ-ბამბას სთესენ იშვით და ეგრეთვე ხორ-ბალსა და ქრთილსა, და ღომისა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანც მით. და სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან...“ (გვ. 145); კახ-ეთში „...ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვნერეთ აბრემუმით, ბამბით, ბრინჯით“ (გვ. 88).

ცნობილია, რომ საქართველოში ბრინჯის ნათესები 1900 წლიდან შემცირდა და მისი თესვა თანდათან შეწყდა. უფრო გვიან, კერძოდ, 50-იან წლებში შეწყდა ღომისა და ფეტვის ნარმოებაც. მათი გამოდ-ენვა ჩვენი სოფლის მეურნეობიდან სიმინდის კულტურის ფართოდ გავრცელებამ გამოიწვია. ამჟამად, ჩვენი მოსახლეობა იძულებულია ბრინჯი საზღვარგარეთიდან შემოიტანოს, რაც მეტისმეტად ძვირი ჯდება.

საქართველოში ბამბა ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცლებული

ქვემო ქართლში, კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მოჰყავდათ აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც. ჩვენს ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის სამარხებში, სელისა და მატყლის ქსოვილების გარდა, ბამბის ნაშთიცა დაცული (ივანე ჯავახიშვილი, 1930). XX საუკუნის 40-იან წლებში კი შეწყვიტეს საქართველოში ბამბის მოყვანა. ამჟამად ბამბის მრეწველობის საწარმოების საჭიროებისათვის საკუთარი ნედლეული არ გაგვაჩნია და ისმება საკითხი საკუთარი სანადლეულო ბაზის შექმნაზე. შესწავლილ იქნა (გაგუა 1992, გაგუა 1992) ვახუშტის ეპოქაში ბრინჯაოსა და ბამბის გავრცელების ისტორიული არეალები, მათი მოყვანის აგროკლიმატური პირობები, რის საფუძველზეც შევარჩიეთ აგროკლიმატური ანალოგები და შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები აღნიშნულ კულტურათა აღასდგენად საქართველოში.

ღომი — ერთ-ერთი უძველესი კულტურაა საქართველოში; ამასთან, იგი ყუათიანი საკვებია ადამიანისა და ფრინველისათვის. ვახუშტის მიხედვით, იმერეთში ღომი ფართოდ იყო გავრცელებული, იგი ითვლებოდა წამყვან მარცხვლოვან კულტურად: „...სთესენ ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიან მით...“ (გვ. 145). ხევინის ხევის (ძირულას ხეობის მონაკვეთი) აღნერისას, ვახუშტი მიუთითებს, რომ „ქართლისაგან მეტი არს აქა ღომი“ (გვ. 83).

საქართველო ხორბლეულის სამშობლოა (ნიკო კეცხოველი, 1957). ხორბლის გავრცელებას ვახუშტი უთითებს დაახლოებით 1400 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან. „ხოლო ხეობა ხევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შერივისა, შთასავლით გველეთამდე“ (გვ. 68), (გველეთი — 1320 მ ზ.დ.). აქვე შევნიშნავთ, რომ იგი მთიულეთშიც მოიხსენიებს „პურს“. „პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა“ (გვ. 66) — აქ იგი გულისხმობს მხოლოდ საადრეო ხორბლის ჯიშებს. ვახუშტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს პურის მაღალხარისხოვნებაც მდინარე ლიახვის ხეობაშიც: „...რომელნი ველი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“ (გვ. 75). ამით იგი მიგვანიშნებს მდ. ლიახვის წყლის დიდ გავლენაზე პურის ხარისხზე.

საქართველოში გავრცელებულ მარცხლოვანთა საერთო ჩამონათვალში ვახუშტი იხსენიებს სიმინდს. თუმცა, სიმინდი ჩვენში

XVII საუკუნეში შემოვიდა და, ბუნებრივია, იგი მაშინვე ვერ გახდებოდა წამყვანი მარცვლოვანი კულტურა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. საერთოდ, მარცვლოვანი კულტურები მეცნიერს შეტანილი აქვს უვენახ-ხილო ზონაში, რომელიც ვრცელდება, დაახლოებით, ზ.დ. 1800-1900 მ სიმაღლემდე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1500<sup>0</sup>-მდეა.

ძველი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მევენახეობა-მეხილეობა იყო. მის დამადასტურებელია ვახუშტის მიერ ხილთა მოყვანილი ჩამონათვალი: „ხოლო ხილი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბრონეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყე-მალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუზტული, ქლიავი მრავალგვარი, ლელვი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა, კიტრი...“ (გვ. 29). ფცის-წყლის ხეობაში ვახუშტი იხსენიებს უცნაური ჯიშის ნიგოზს, რომელიც თანამედროვე მეხილეობისთვის უცნობია: „აქა არს ნიგოზი: გასტეხო რა ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი“ (გვ. 80). როგორც ჩანს, ნიგვზის აღნიშნული ჯიში ამჟამად გადაშენებულია.

ხილის ხარისხის მიხედვით, ვახუშტი ქართლზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს კახეთს, თუმცა აქ მევენახეობა მეხილეობაზე წინ დგას. იგი ადგილის დახასიათებისას მოიხსენიებს „ვენახიან-ხილიანს“ ქართლსა და იმერეთს, ხოლო „ვენახითა და ხილითა“ — კახეთს. ამით მეცნიერმა განსაკუთრებით გამოყო ქართლი და იმერეთი, სადაც პრიორიტეტულია მეხილეობა, ხოლო კახეთი კი — მევენახეობა.

მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის წვლილი მეღვინეობის საკითხშიც. იგი ტერიტორიის დახასიათებისას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ღვინოებს. კახეთის ღვინო არის „კეთილი და კარგი“, კონდოლის ღვინო — „წარჩინებული“, ახმეტისა და მანავის — „კეთილი“; ქართლის ღვინო — თხელი და მომჟავო, თუმცა „საამო სასმელად“, „სასმელად მშვენი“; იმერეთის ღვინო — „კეთილი“, „ზოგან მსუბუქი მხნე-გემოიანი“; გურიის ღვინო არის „კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი“; სამეგრელოს ღვინო — „მსუბუქი და კარგი“. აღ-

ნიშნულ რეგიონებში სხვადასხვა ხარისხის ღვინოების წარმოება, ძირითადად, განპირობებულია განსხვავებული აგროკლიმატური და ნიადაგური პირობებით, რაც ალბათ კარგად ესმოდა ვახუშტისაც.

ქართველი მეცნიერი ეხება ერთ საინტერესო საკითხს მეღვინეობაში, კერძოდ: „ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი... ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“ (გვ. 42), ასევე მთიულეთშიც (გვ. 66). ცნობილია, რომ თრიალეთისა და მთიულეთის სოფლების მკვიდრთ ვენახები ბარში ჰქონდათ, იქვე წურავდნენ ყურძენს, ტკბილი მიჰქონდათ სოფლებში და იქ აყენებდნენ ღვინოს. ტკბილში არსებული შაქარი ვერ ასწრებს მთლიანად სპირტად გარდაქმნას და რჩება ოდნავ ტკბილი. თითქმის ანალოგიურ ტექნოლოგიურ პროცესებთან გვაქვს საქმე რაჭაში „ხვანჭკარის“ დამზადებისა და ატენის ხეობაში: „...ციხისგორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული“ (გვ. 57). ტენის ხეობაში ციხის ძირს არის კლდოვანი ადგილები, სადაც არის ხვრელები და სიცარიელეები. აქ ჩაფლულია ქვევრები, რაც ადასტურებს, რომ ეს ადგილები ძველად მარნად ყოფილა გამოყენებული. აქ ზამთრობით მოჰქონდათ თოვლი და ქმნიდნენ „საცივს“ (ხარაძე, 1992). დაბალი ტემპერატურის პირობებში ტკბილის დადუღება ხდებოდა ნანილობრივ, არასრულად, რაც განაპირობებდა ღვინოში ნახშიროჟანგისა და სიტკბოს შენარჩუნებას და დგებოდა წარჩინებული ატენური ღვინო. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ატენური ყურძენი მოჰყავთ განსაკუთრებულ მიკროკლიმატურ პირობებში.

აგროკლიმატური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ვახუშტის მიერ მეღვინეობის განსხვავებული პირობების დახასიათება ქართლში, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარის ტერიტორიაზე. მარჯვენა მხარე უფრო ხარისხოვანი ღვინოების წარმოებით გამოიჩინა: „...ხოლო დამჩხერლოდამ ტფილისამდე მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი... ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“ (გვ. 59). მტკვრის მარჯვენა მხარეს, რადგან იგი მთებითაა დაცული, ქარის სიჩქარე რამდენადმე ნაკლებია და აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება სავეგეტა-

ციონ პერიოდში 200-300<sup>0</sup>-ით მეტია მარცხენა სანაპიროს ანალოგიურ ვერტიკალურ ზონებთან შედარებით.

ძველი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სა-ფუძველი მევენახეობა-მეხილეობა იყო. ვახუშტის შემდგომ პერიოდში საქართველოში გამოჩნდა და გავრცელდა: თამბაქო — XVII საუკუნის ბოლოს, ჩაი — XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, პამიდორი — XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კარტოფილი — XIX საუკუნეში, ფეიხოა — 1900 წლიდან, პეკანი — 1909 წლიდან, აქტინიდია (კივი) და შტოში — XX საუკუნის მეორე ნახევარში.

ნარსულში, აწმყოსა და მომავალში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მათ შორის, მევენახეობა და მეხილეობა წარმოადგენს. სამი საუკუნის წინანდელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებაზე ნათელ სურათს გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი.

\* \* \*

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოში კულკანურ ამოფრქვევებს და საწვავის ხარჯვას შედეგად მოჰყვა ატმოსფეროს ზედა ფენებში ჰაერის დაჭუჭყიანება, ნახშიროუანგისა და სხვა „სათბურის გაზების“ კონცენტრაციის ზრდა, რამაც დედამინაზე ჰაერის ტემპერატურის სხვადასხვა ხარისხით მატება გამოიწვია. გლობალური დათბობის შედეგად, ჰაერის წლიური ტემპერატურის მატება განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების არეალის გაფართოებას. საჭირო ხდება კულტურათა გასავრცელებლად ახალი ხელსაყრელი მიკროზონების გამოვლინება-დაზუსტება.

ქართველი მეცნიერების გამოკვლევებით, XXI საუკუნის მომავალ ათწლეულებში საქართველოში მოსალოდნელია ჰაერის საშუალო ტემპერატურის მომატება 1-2<sup>0</sup> C, რაც ჩვენს ქვეყანაში შეცვლის კლიმატურ რეჟიმს და მცენარეთა გავრცელების არეალის გაადგილების საზღვრებს. საქართველოში მრავალწლიური საშუალო ტემპერატურის მატების ტენდენცია, ძირითადად, შეინიშნება ზამთრის პერიოდში (იანვარ-თებერვალი), ზაფხულში კი, შედარებით, ნაკლებია. აღნიშვნული პროცესი გამოიწვევს ჰაერის საშუალო ტემპერატურის 0,5<sup>0</sup> C მომატებას, რაც ყინვასაში ზონებში გააუმჯობესებს

მცენარეთა გამოზამთრების პირობებს. გლობალური დათბობა, ჰაერის საშულო ტემპერატურის  $0,5^{\circ}$  C მომატებისას, საქართველოში გამოიწვევს ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების ვეგეტაციის 3 დღით ადრე დაწყებას, შემოდგომაზე კი, — იმდენივე დღით ადრე დამთავრებას. დათბობა გამოიწვევს აორთქელებადობის მატებას და ტენის მომატებას. ეს ამჟამად განსაკუთრებით შეიგრძნობა აღმოსავლეთ საქართველოში. ჰაერის ტემპერატურის  $1,0^{\circ}$  C-ით მომატება 10 დღით გაახანგრძლივებს ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სავეგეტაციო პერიოდს და მათი 100-150 მ-ით მაღლა გაადგილების შესაძლებლობას მოგვცემს.

გლობალური დათბობის შედეგად, ჩვენს პირობებში ჰაერის წლიური ტემპერატურის მატება განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების არეალის გაფართოებას. საჭირო გახდება კულტურათა გასავრცელებლად ახალი მიკროზონების გამოვლინება-დაზუსტება.

## 4.2. ხეხილოვანები ვაშლი

ვაშლის კულტურის დასაწყისი ისტორიამდელ ეპოქაში გადადის. მისი წარმოშობის ერთ-ერთ კერათაგან მიჩნეულია ამიერკავკასია, საიდანაც იგი გავრცელებულა ევროპაში. ამჟამად, გავრცელების მიხედვით, ვაშლს უპირატესი ადგილი უკავია, რომლის მიზეზია ის, რომ იგი წარმოდგენილია 25 ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობით; მეორე, მისი ნაყოფი კარგი შენახვითა და ტრანსპორტაბელობით გამოირჩევა; მესამე, მას ახასიათებს ნაყოფის სიმწიფისა და მოხმარების მეტად გრძელი პერიოდი. ვხვდებით, როგორც ზაფხულისა და შემოდგომის, ისე საზამთრო-საგვიანო ჯიშებს, რომელთა სამომხმარებლო სიმწიფე მოკრეფიდან რამდენიმე თვის შემდეგ იწყება და ახალ მოსავლამდეც კი ინახება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ვაშლის ჯიში — კეხურა (ხომიზურაშვილი, ჭიპაშვილი, 1959).

ვაშლის საქართველოში გავრცელებულ ჯიშთა მრავალფეროვნებიდან აქ მოტანილია მისი ზამთრის ჯიშების (ანტონოვკა, აფხაზური, კანდილ-სინაპი და ბაკურიანის ადგილობრივი) მრავალწლიანი ფენოლოგიური დაკვირვების მასალების დამუშავების შედეგები (იხ. ცხრ. 12).

ვაშლის ხე ყვავილობის პერიოდში ყველაზე მეტად მგრძნობიარეა ამინდის არახელსაყრელი პირობების მიმართ. ნორმალური ყვავილობისათვის აუცილებელია ჰაერის ტემპერატურა არანაკლებ  $15^{\circ}\text{C}$ ;  $2^{\circ}\text{C}$ -ზე დაბლა დანევისას ყვავილობის პროცესი წყდება. ყვავილობიდან მომწიფებამდე პერიოდში ხელსაყრელია  $26^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა. ვაშლის კულტურის სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის, ადგილის სიმაღლის მიხედვით, ცვლილების საკითხზე გამოკვლევა ჩატარებული აქვს ი. გოლცბერგს ამიერილის ალათაუს ჩრილო ფერდობის მაგალითზე.

საქართველოს პირობებისათვის (გაგუა, 1969) ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვაშლის ვეგეტაციის საწყისი ტემპერატურა იცვლება ზღვის დონეზე  $6,6^{\circ}\text{C}$ -დან  $1600\text{m}$  სიმაღლეზე  $4,7^{\circ}\text{C}$ -მდე. ამგვარად, ი. გოლცბერგისაგან განსხვავებით, ვაშლის ვეგე-

ტაციის დაწყების (კვირტის დაბერვა) ტემპერატურად საქართველოს პირობებისათვის აღებული გვაქვს  $5-6^{\circ}\text{C}$ . ამიტომ ვაშლის სავეგეტაციო პერიოდის თერმული რეჟიმის შესაფასებლად ვსარგებლობთ  $5^{\circ}\text{C}$ -ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით.

კერძოდ, დავადგინეთ, ვაშლის საზამთრო ჯიშების მაგალითზე, კვირტების დაბერვიდან საკრეფი სიმნივემდე საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $\Sigma > 5^{\circ}\text{C}$ )  $3400^{\circ}\text{C}$ -დან ( $\theta$ ღვის დონეზე) მცირდება

## ცხრილი 12


ვაშლის სავეგეტაციო პერიოდის (კვირტის დაბერვა —  
საკრეფი სიმნივე) ხანგრძლივობისა და სითბური  
მახასიათებლების ცვლილება სიმაღლის მიხედვით

მახასიათებლები	სიმაღლე ზღვის დონიდან, მ-ებში				
	0	400	800	1200	1600
ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა კვირტების დაბერვის თარიღზე, $^{\circ}\text{C}$	6,6	6,1	5,6	5,0	4,7
სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, დღ.	187	184	177	167	160
ჰაერის საშუალო დღელამური ტემპ. ჯამი $> 5^{\circ}$ სავეგეტაციო პერიოდში, $^{\circ}\text{C}$	3400	3180	2850	2500	2200
მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი სავეგეტაციო პერიოდში, კვალ/სმ <sup>2</sup>	125	130	138	145	150

$2200^{\circ}\text{C}$ -მდე (1600 მ სიმაღლემდე); მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი კი იმავე პერიოდში 125 კკალ/სმ<sup>2</sup>-დან (ზღვის დონეზე) იზრდება 150 კკალ/სმ<sup>2</sup>-მდე (1600 მ სიმაღლეზე) (ცხრ. 12).

აქტიურ ტემპერატურათა საჭირო ჯამების შემცირება მთაში, როგორც აკად. თ. დავითაია (1962) აღნიშნავს, ანაზღაურდება სიმაღლეზე მზის პირდაპირი რადიაციის მატებით და მცენარის ქსოვილების, საერთოდ მისი მოქმედი ზედაპირის, გახურებით (იხ. სურ. 15).

ამავე მიზეზით აიხსნება, რომ ვაშლის კვირტების დაბერვის (ვეგ-ეტაციის) დასაწყებად საჭირო ჰაერის საშუალო დღელამური ტამ-პერატურის მნიშვნელობა სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება.



სურ. 15. ვაშლის სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა ( $\sum t > 5^{\circ}\text{C}$ ) (1) და მზის პირდაპირი რადიაციის ჯამის (2) ცვლილება სიმაღლის მიხედვით.

ვაშლის კულტურის სამეურნეო მიზნით გავრცელების ზედა საზღვრად აღებული გვაქვს 1500 მ სიმაღლე ზღვის დონიდან, რაც ემთხვევა  $2300^{\circ}$  C ჰაერის ტემპერატურათა ჯამს  $>5^{\circ}$  C; საერთოდ, ვაშლის, როგორც ყინვაგამძლე კულტურის სამოყვარულო დანიშნულებით გავრცელების ზედა საზღვარი 2000 მ-ს აღწევს (იხ. სურ. 16).



**სურ. 16. ვაშლის კულტურა. თუშეთი, სოფ. შენაქო (1920 გ ზღვის დონიდან).**

გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში, საქართველოსთვის ძნელბედობის უამს, ქართლში ძლიერ განადგურდა ხეხილის, კერძოდ, ვაშლის ბალები, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა მომარაგების შემცირება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ზამთარსა და გაზაფულზე, მასზე ფასების მკვეთრად ზრდით. სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში საჭირო გახდება ვაშლის კულტურის წარმოების გაფართოება, როგორც ბარის, ისე მთის ზონაში.

შ. ცერცვაძისა და ი. ზაპოროჟკის (1962) მიხედვით, ხეხილოვანი

კულტურების გასავრცელებლად საჭიროა: 1800<sup>0</sup> C-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 130 დღე, უცივესი თვის ტემპერატურა არანაკლებ -7,5<sup>0</sup> C-ისა, ხოლო წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო — -23<sup>0</sup>C-მდე.

მაღალმთიანი ტერიტორია ძირითადად გამოყენებულია მეცხოველეობაში; შეიძლება მისი გამოყენება მიწათმოქმედებაშიც — კარტოფილის, ქერის, ბარდის, მწვანე ბოსტნეულისა და სამკურნალო მცენარეების მოსაყვანად. მაღალმთიან რაიონებში ხეხილოვანი კულტურების გავრცელების შესაძლებლობის საკითხი განხილული გვაქვს ჯავახეთის მთიანი მხარის მაგალითზე (გაგუა, გოგიტიძე, 2012).

## ლეღვი

საქართველოში ლეღვი უძველესი დროიდან ვრცელდება. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელია ამ კულტურის სამეურნეო დანიშნულებით გასავითარებლად.

ლეღვის დადებით ბიოლოგიურ თავისებურებას წარმიადგენს მისი ადვილად გამრავლება და მსხმოიარობაში ადრე შესვლა; უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ მისი ნაყოფი მაღაფუჭებადა.

საქართველოს შავი ზღვისპირა ზონაში ლეღვი კვირტის გაშლას აპრილის პირველ ნახევარში, ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის  $11^{\circ}$ -ზე ზევით მდგრადი გადასვლიდან იწყებს. ყვავილობა კი — მაისის შუა რიცხვებში აღინიშნება. აღმოსავლეთ საქართველოში, შედარებით გრილი გაზაფხულის პირობებში, ეს პროცესები ოდნავ იგვიანებს (გაგუა, 1975).

არსებობს საჭმელად ვარგისი ნაყოფის მომცემი ლეღვის ერთ-მოსავლიანი და ორმოსავლიანი ჯიშები. ზოგჯერ ეს უკანასკნელი კლიმატურად მეტად თბილ წლებში მესამე მოსავალსაც იძლევა. პირველი გენერაციის ნაყოფები წინა წლის ტოტებზე — ფოთლის იღლიებში ისახება. ნორმალურად გამოზამთრების შემდეგ — გაზაფხულზე ისინი ვითარდებიან და იგნისის მეორე ნახევარში გვაძლევენ მომწიფებულ ნაყოფებს. გაზაფხულზე მოწეული მოსავლის რაოდენობა ბევრადაა დამოკიდებული გაზაფხულის ამინდის პირობებზე და მცენარის მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებებზე (ხომიზურაშვილი, იაკობაშვილი, 1978).

საქართველოში გავრცელებულია ლეღვის შემდეგი ჯიშები: ყირიმის შავი, ჩაფლა, კადოტა, დიდი მწვანე (ოსმალური), დალმაციის, აფხაზური იისფერი, ქალაქურა, სოჭის, კახეთის თეთრი, იმერეთის თეთრი, მწვანე ლეღვი და სხვ.

ლეღვი სამხრეთის კულტურაა და მეტად მომთხოვნია სითბოსა და სინათლის მიმართ. ლეღვისთვის კლიმატურ მინიმუმად შეიძლება ჩაითვალოს  $3000^{\circ}$ , ხოლო მისი სამრეწველო კულტურისთვის,  $3500-4000^{\circ}$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (გაგუა, 1975).

ორმოსავლიანი ჯიშების პირველი გენერაციის ნაყოფთა

ორმოსავლიანი ლელვის ჯიშების ნაყოფების მომწიფების  
ვალები და ხანგრძლივობა

ჯიში	I გენერაცია	II გენერაცია			
	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1. თეთრი სააღრეო	20.VI o-----o 5.VII	1.VIII o--o 31.VIII			
2. ჩაფლა	25.VI o-----o 15.VII	10.VIII o-----o 15.IX			
3. არატული	25.VI o-----o 15.VII	10.VIII o-----o 30.IX			
4. თეთრი ლელვი	25.VI o-----o 15.VII	10.VIII o-----o 30.IX			
5. კაღოტა	20.VI o-----o 10.VII	15.VIII o-----o 20.X			
6. კუმისური	25.VI o-----o 15.VII		1.IX o-----o 31.X		
7. შავი ლელვი	25.VI o-----o 15.VII		10.IX o-----o 31.X		
8. დალმაციის	20.VI o-----o 15.VII		10.IX o-----o 31.X		


მომწიფების დასრულებიდან თითქმის ერთ თვეში იწყებენ მომწიფებას მიმდინარე წლის ნაზარდებზე ჩასახული და განვითარებული მეორე გენერაციის ნაყოფები, რომელთა სიმწიფე ქვემო ქართლის დაბლობ ადგილებში აგვისტოში იწყება. მოსამწიფებლად მათ ესაჭიროება  $2600^{\circ}$ -ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (იხ. ცხრ. 13).

ქვემო ქართლის შეგვიძლია გავავრცელოთ ჯიში — თეთრი საადრეო, რომელიც პირველ მოსავალს სხვა ჯიშებზე ადრე (20 ივნისს) მოგვცემს. მისი მეორე მოსავლის მწიფობის საერთო პერიოდი მოკლეა და 35-40 დღეს უდრის.

ქვემო ქართლის პროვინციის დაბლობ ზონაში შეიძლება გავაშენოთ ორმოსავლიანი ლელვის სხვა ჯიშებიც — დალმაციის, კუ-მისური, კადოტა, შავი ლელვი. ეს ჯიშები მეორე მოსავლის ნაყოფთა სიმწიფეს, პირველი მოსავლის დამთავრებიდან 40-50 დღის შემდეგ იწყებენ. აღნიშნული ჯიშები 800მ სიმაღლის ზევით გაშენების შემთხვევაში მეორე მოსავალს ვერ მოგვცემს.

აქვე მოცემულია ნახაზი, სადაც ორდინატთა ლერძზე დატანილია ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან მ-ებში, ხოლო აბცისთა ლერძზე ნაყოფების მომწიფების ვადები (თვე და რიცხვი); მისი გამოყენებით შესაძლებელია აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით გამოვთვალოთ ნაყოფთა მომწიფების შესაძლებელი ვადები.

როგორც აღნიშნა, მეორე გენერაციის ნაყოფების სიმწიფე იწყება აგვისტოს მეორე დეკადიდან; ეს პროცესი  $2600-2700^{\circ}$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვებიდან ხდება. მოსავლის მოცემის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჯიშებსა და სიმწიფის პერიოდში კლიმატურ პირობებზე. პირველი გენერაციის მსგავსად, მეორე გენერაციის ნაყოფების სიმწიფის დაწყების ვადები სიმაღლის ყოველი 100 მ-ით მატებასთან ერთად 5 დღით იგვიანებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე გენერაციის ნაყოფების მომწიფებას ლელვი, ხელ-საყრელი აგროკლიმატური პირობების შემთხვევაში, სხვადასხვა ვადებში ამთავრებს: თეთრი ლელვი — სექტემბრის პირველ რიცხვებში ნიკიტის არომატული და ჩაფლა — სექტემბრის შუა რიცხვებში, ხოლო დალმაციის, კადოტა, კუ-მისური და შავი ლელვი —



Նպար. 17. - ռարմանասացլուանո լույսավոր ջութերին ճակատա բայրուցտա մոմենոցյերին շահագեծ սովածուատու ջոներին ժոնելու դեպքուա պարտութեա.

ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ამგვარად, ივნისის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე ქვემო ქართლის პროვინციაში სხვადასხვა სიმაღლეზე გაშენებული ორ-მოსავლიანი ლელვის სხვადასხვა ჯიშებიდან მიღებული მოსავლით აკად. თ. დავითაიას ბუნებრივი (გეოგრაფიული) კონვეიერის მეთოდის (1962) საფუძველზე (იხ. სურ. 17), შეიძლება უწყეტად მოვა-მარაგოთ მომხმარებელი ახალდაკრეფილი ლელვით (გოგიტიძე, გაგუა, 2012).

## ბრონეული

აღმოსავლეთ საქართველოში ხელსაყრელი აგროეკოლოგიური პირობებია შექმნილი ბრონეულის გასავრცელებლად. კულტურის ხანგრძლივი ისტორიული წარსულის მიუხედავად, საქართველიში ბრონეულის წარმოებას არ მიუღია სათანადო განვითარება (კეცხოველი, 1957). ბრონეულის ხელსაყრელი მიკროზონების გამოსავლენად ჩვენს მიერ 1998 — 2001 წწ. წარმოებდა დაკვირვებები შიდა ქართლში (სოფლებში კოშკებსა და ატენში) (გოგიტიძე, გაგუა, 2003).

ბრონეული უხვ და მაღალხარისხოვან მოსავალს იძლევა მშრალ და ცხელ კლიმატურ პირობებში. კულტურისათვის შერჩეულ სპეციფიკურ მიკროზონებში მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი მნიშვნელობის ძირითადი აგროკლიმატური პირობები: ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა  $12,0-13,5^{\circ}\text{C}$ ; ყველაზე თბილი თვეების (ივლისი-აგვისტო) საშუალო დღელამური ტემპერატურა  $22-25^{\circ}\text{C}$  და მეტი; სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა  $200-220$  დღე და მეტი; მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა  $2000-2500$  სთ., სავეგეტაციო პერიოდში კი  $1550-1750$  საათი; აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $\Sigma T > 10^{\circ}\text{C}$ )  $3700-4300^{\circ}\text{C}$ ; ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმებიდან საშუალო  $35-37^{\circ}\text{C}$ ; ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი  $400-600$  მმ, სავეგიტაციო პერიოდში კი  $300-450$  მმ; ჰაერის ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმებიდან საშუალო მინუს  $10-12^{\circ}\text{C}$ .

ქართლ-კახეთის რეგიონში დასახელებული კლიმატური ფაქტორები მეტად ხშირად მეორდება  $200$ -დან  $600$  მ სიმაღლეთა ფარგლებში; სადაც ბრონეულის ჯიშების გავრცელება პირველ რიგში უნდა მოხდეს სითბოსადმი მოთხოვნილების შესაბამისად.

ბრონეულის დარაიონების დროს, უნდა გავითვალისწინოთ ჯიშების სითბოსადმი მოთხოვნილება. საქართველოში ამჟამად გავრცელებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშებიდან საადრეო სიმწიფის პერიოდის ჯიშებისათვის ნაყოფის მოსამწიფებლად საჭიროა  $3600$ -დან  $3800^{\circ}\text{C}$ -მდე, საშუალოსათვის  $3800-4000^{\circ}\text{C}$ -მდე, საგვიანოსათვის კი  $4000^{\circ}-ზე$  მეტი აქტიური ტემპერატურათა ჯამი. ბრონეულის საშუალო პერიოდის ჯიშები ნაყოფის ნორმალუ-

რად მოსამწიფებლად თუ საჭიროებს  $3700^{\circ}$ -ს და მეტს, ხოლო მოცე-  
მულ მიკროზონაში საშუალო მრავალწლიური ნორმა დაახლოებით  
ასეთივე რაოდენობის, ან მასზე ნაკლებია, მაშინ ეს მიკროზონა  
მათვის არ შეიძლება ჩავთვალოთ შესაფერისად. იმისათვის რომ  
ნაყოფთა მომწიფება უზრუნველყოფილი იქნას თითქმის ყოველწ-  
ლიურად (95% ნლებში), მიკროზონაში აქტიურ ტემპერატურათა  
ჯამი დაახლოებით  $4000^{\circ}$  და მეტი უნდა დაგროვდეს.


საქართველოში გავრცელებული ბრონეულის საადრეო სიმწიფის  
პერიოდის ჯიშებისათვის საკმაო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  
( $3600$ - $3800^{\circ}\text{C}$ ) ქართლ-კახეთში საშუალოდ  $600$ - $500$  მ სიმაღლის ფარ-  
გლებში გროვდება. საშუალო პერიოდის ჯიშებისათვის საჭირო  
 $3800$ - $4000^{\circ}$  სითბოს ჯამი —  $400$ - $500$  მ სიმაღლემდე, საგვიანო პე-  
რიოდის ჯიშებისათვის საკმარისი —  $4000$ - $4200^{\circ}$  სითბოს ჯამი კი  
 $300$ -დან  $400$  მ სიმაღლემდე გროვდება. ამიტომ მათი სამეურნეო  
მნიშვნელობით მასიური გაშენება რეკომენდდებულია მხოლოდ  $200$ -  
დან  $600$  მ სიმაღლის ფარგლებში (იხ. სურ. 18).

ბრონეული განათების ინტენსივობით მეტად უზრუნველყოფილია  
გარე კახეთის სტეპურ ზონაში, თუმცა მცენარეთა გამოზამთრების  
პირობები აქ სხვა მხარეებთან შედარებით გაუარესებულია. ამ მხრივ  
შედარებით ხელსაყრელი პირობები არის შექმნილი ქვემო ქართლში  
და კახეთის წინამხარში.

ბრონეული ნაკლებმყინვაგამძლე კულტურაა. ზამთრის მოსვენე-  
ბის პერიოდში მისი ერთნალიანი ნაზრდი და მოზამთრე კვირტები -  
 $14^{\circ}\text{C}$ -ზე თითქმის მთლიანად იღუპება. მინუს  $16$ - $17^{\circ}\text{C}$ -ზე ზიანდება  
 $2$ - $3$  წლიანი ნაზრდი, ხოლო  $-18^{\circ}\text{C}$ -ზე მცენარის მთელი მიწისზედა ნა-  
წილი.

ქართლ-კახეთის დაბლობ ადგილებში ( $200$ - $600$  მ) ჰაერის ტემპე-  
რატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მინუს  $9$ -  
 $14^{\circ}\text{C}$  ფარგლებში იცვლება. მინიმალური ტემპერატურის  
მნიშვნელობაზე ძირითადად გავლენას ახდენს რელიეფური პირო-  
ბები და ადგილმდებარების სიმაღლე.

მინიმალური ტემპერატურებიდან საშუალო ეს ისეთი მაჩვენებე-  
ლია, რომლის განმეორებასას შეგვიძლია ყოველწლიურად ველო-  
დოთ, მისი მნიშვნელობა ყველაზე დაბალი ( $-12$ ,  $-13^{\circ}\text{C}$ ). მდ. მტკვრის



**სურ. 18. პრონეულის სამუშაოები დანიშნულებით გავრცელების  
ზონა აღმოსავლეთ საქართველოში.**

მარჯვენა სანაპიროზე მდ. მდ. ალგეთისა და ქცია-ხრამის ხეობაში (მარნეული, ბოლნისი). მარცხენა სანაპიროზე კი გარდაპნის მუნიციპალიტეტის დაბლობ ადგილებში და კუმისის ტბის შემოგარენში მათი ინტენსივობა შედარებით მეტია. კულტურის დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია საზიანო ყინვების ზემოქმედების ხანგრძლივობაზე. ქართლ-კახეთის დაბლობ ნაწილში, პერიოდულად ნარმოქმნილი ყინვები ნაკლები ხანგრძლივობით ხასიათდება. ყინვების ხანგრძლივობა ჩვეულებრივ ათეული წუთებიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება. ასეთი ხანგრძლივობის ყინვები სრულიად საკმაოა ნაკლებად ყინვაგამძლე ბრონეულის ნაზრდების დასაზიანებლად. კა-

ხეთში მინიმალური ტემპერატურების (-11-12°C) ხშირი განმეორება მოსალოდნელია მდ. ალაზნის ხეობაში (ახმეტა, ნაფარეული, წინანდალი, წნორი).

ქართლ-კახეთის რეგიონში ბრონეულის ზრდა-განვითარებისათვის სინოტივით უზრუნველყოფის დასადგენად, გამოყენებულ იქნა ჰიდროთერმული კოეფიციენტი ( $k=\Sigma p/\Sigma T:10$ ), რომელიც წარმოადგენს ნალექების ჯამის ( $\Sigma p$ ) შეფარდებას  $10^{\circ}$ -ზე ზევით ტემპერატურათა ჯამთან ( $\Sigma T$ ). თუ  $k$  ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნალექია 0,5-ზე ბრონეული მორნყვას საჭიროებს; თუ  $k$  0,5-დან 1,0-მდე საზღვრებში იცვლება მცენარეთა სიმწიფის პერიოდში ტენით უზრუნველყოფა საკმაოა. ასეთ შემთხვევაში ცალკეულ პერიოდებში საჭიროა ხარგაობის მორნყვა; კოეფიციენტის 1,0-დან 1,5-მდე და მეტი მნიშვნელობისას ბრონეულისათვის ტენიანობა ჭარბად ითვლება.

ქვემო ქართლის ვაკეზე ( $300-600$  მ ზ. დ.) ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი  $400-600$  მმ-ის ფარგლებშია. წლის თბილ პერიოდში  $300-450$  მმ ნალექი მოდის. აღმოსავლეთით მოსაზღვრე მდ. იორის ხეობაში სავეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექები მცირედით აღმატება ქვემო ქართლის ვაკეზე მოსულ ნალექების რაოდენობას და  $400-500$  მმ-ს უდრის.

კახეთში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ნალექების წლიური ჯამი მნიშვნელოვნად მეტია ( $800-900$  მმ), ვიდრე ქვემო ქართლის ვაკეზე და ივრის ხეობაში. აქ სავეგეტაციო პერიოდში  $600-650$  მმ ნალექი მოდის; მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე ნალექების წლიური ჯამი  $800-1100$  მმ, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში  $700$  მმ-ზე მეტი არ არის.

ქვემო ქართლის ვაკეზე მდ. მტკვრის გასწვრივ — (თბილისის საგარეუბნო ზონიდან წითელ ხიდამდე) ბრონეულის ყვავილობისა და ნაყოფთა გამონასკვის პერიოდი ტენიანობის მხრივ ხელსაყრელია, როცა ჰიდროთერმული კოეფიციენტი  $1,0$ -დან  $0,5$ -მდე საზღვრებში იცვლება.

ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე (გარდაბანი) ზოგან სექტემბრის პირველ ნახევრამდე პერიოდი ძალზე გვავლიანია ( $k<0,5$ -ზე). ამიტომ ბრონეულის ნარგაობა მორნყვას სა-

ჭიროებს. საადრეო და საშუალო სიმწიფის პერიოდის ჯიშებისათვის, რომლებიც ნაყოფის მომწიფებას სექტემბრის ბოლოს იწყებენ, დროგამოშვებით არასაკმაღლ ტენიანია ( $k=0,5-1,0$ ); ასეთ შემთხვევაში ხელსაყრელი პირობები იქმნება ნაყოფის ხარისხიანად მოსამწიფებლად.

გარე კახეთში ბრონეულის ყვავილობა და ნაყოფის გამონასკვა (მაისის დასასრულიდან — ივლისის შუა რიცხვებამდე პერიოდი) ტენიან ( $k=1,5-1,0$ ) პირობებში მიმდინარეობს. ზაფხულის თვეებში გვალვიანი პერიოდი არ აღინიშნება; თუმცა ცალკეულ წლებში, დროგამოშვებით ტენის ნაკლებობას აქვს ადგილი.

შიგნითკახეთში მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე (წინამხარი) ბრონეულის ყვავილობისა და ნაყოფის გამონასკვის პერიოდი (მაისი — ივნისი) მეტად ტენიანია ( $k=2,0 - 1,5$ ). მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე (გაღმამხარი), ბრონეულის გავრცელების არეალი მარჯვენა მხარესთან შედარებით მეტად ნოტიოა. კავკასიონის ქედის სამხრეთულ დაქანებებზე მეტად მოღრუბლული და ნალექიანი დღეები მიკროზონის გადიდებულ დატენიანებას განაპირობებს; ამიტომ აქ გავრცელებული ბრონეული ბუნებრივად ნაკლებშაქრიან და მომეტებული მჟავიანობის ნაყოფებს ივითარებს, ვიდრე გომბორის ქედის ჩრდილო დაქანებებზე.

შიგნითკახეთში ბრონეულის ტენით ბუნებრივი უზრუნველყოფის მხრივ შედარებით ხელსაყრელი პირობებია შექმნილი წინამხარში. ამიტომ შეგვიძლია ვანარმოოთ ბრონეულის მომჟავო—ტკბილი და ტკბილი ჯიშები. გაღმა მხარში კი უპირატესად ტკბილ ჯიშებს უნდა დაუთმოთ ადგილი (გოგიტიძე, გაგუა, წიკლაური, 2013).

**დასკვნა:** ქართლისა და კახეთის რელიეფის განსაკუთრებული თავისებურება ტერიტორიის დაბლობ ნაწილში, ზღვის დონიდან 200—600 მ სიმაღლის ფარგლებში განაპირობებს მზის მაღალ რადიაციას, თერმულ რეჟიმს და ზომიერ ნალექებს.

## აქტინიდია (კივი)

აქტინიდია (კივი) — მრავალწლიანი, ფოთოლმცვენი, ვაზისებური (ხვიარა), სუბტროპიკული მცენარეა. იგი წარმოშობილია აღმოსავ-ლეთ აზიის ქვეყნებიდან; მისი გარეული ფორმები გვხვდება აღმო-სავლეთ აზიის სამხრეთ და საშუალო განედებში: ინდოჩინეთში, ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში, ამურისა და ზღვისპირა მხარეში; არ-სებობს მისი 5 სახეობა, რომელთაგან კულტურაში ჩართულია 2 (სინსკაია, 1969).

კივის ნაყოფი ყავისფერია, ბუსუსებიანი, გემოთი მოგვაგონებს ფეიპოას, ანანასსაც, მეტად მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრე-ბით, C ვიტამინით; ამ მხრივ იგი ლიმონსაც კი უსწრებს. ნაყოფი სამ-კურნალო თვისებებით ხასიათდება; არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. მისი ნაყოფისაგან ამზადებენ მურაბას, ჯემს, კომპოტს, წვენს, ცუკატს; ზოგ ქვეყანაში მისგან ღვინოსაც კი აყენებენ. მიტო-მაც, მასზე საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა, საერთაშორისო ბაზარზე კივის ნაყოფს ოქროს მაღალი ფასი აქვს.

კივი კულტურულ მცენარედ ჩინეთის ტყეების (მდ. იანძის აუზი) ველური ფორმებისაგან გამოიყვანეს ახალზელანდიელმა სელექ-ციონერებმა. სწორედ მათ უწოდეს აქტინიდიას — კივი. იგი ფართოდ გავრცელდა ახალ ზელანდიაში, კერძოდ, ოკლენდის რაიონში. ახალი ზელანდიდან კივი გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიის შტატში. თუმცა, შემოსაზღვრულია აქ, ამ კულტურისათვის სასარგებლო ფართობები, წაყინვების, გაზაფხუ-ლისა და შემოდგომის ძლიერი ქარების გამო, აქ მისი გავრცელების ძირითადი რეგიონია საკრამენტოს ხეობა. კივი გავრცელებულია სამხრეთ აფრიკაში, მის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, ქ. კეიპტაუნის რეგიონი, სუბტროპიკულ ზონაში. თუმცა, აქ მის გავრცელებას გააჩ-ნია გარკვეული პრობლემა — ძალიან თბილი ზამთარი. ამერიკის კონ-ტინენტიდან კივი გავრცელდა ევროპაში. ამჟამად მისი პლანტაციები გაშენებულია იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ბულგარეთში. იტალიაში იგი ხარობს პადუანის დაბლობზე. საფრანგეთში მას დიდი ფართობები უჭირავს ბისკაის ყურის მდინარეების ტარნასა და გა-რონის ხეობებში. ესპანეთში იგი გავრცელებულია ატლანტიის ოკეა-

ნის სანაპიროს გასწვრივ და პირინეის მთისწინეთში; მისი პლანტაციები გვხვდება გალიციასა და კანტაბრიაში.

კივისათვის ხელსაყრელია არც ძალიან თბილი ზამთარი და არც მეტისმეტად ცივი. ამის გამო მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია: 34—46° შორის — ჩრდილო ნახევარსფეროში და 30—42° — სამხრეთში (იტალო ეინარდი, 1990).

კივი, სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან შედარებით, ყინვაგამძლეა. იგი ციტრუსოვან კულტურებზე უკეთ უძლებს ჰაერის დაბალ ტემპერატურებს, მაგრამ უფრო მომთხოვნია სითბოს მიმართ ვიდრე ვაზი. მისთვის არახელსაყრელიც კი ძალზე თბილი ზამთარი. ნორმალური პროდუქტიულობისთვის მას აუცილებლად ესაჭიროება ზამთარში შედარებით ცივი დღეები. მისი კვირტების ნორმალური დიფერენციაციისა და ზრდისათვის საჭიროა, რომ ფოთოლცვენის შემდეგ მისი მცენარე 600—1000 საათის განმავლობაში იმყოფებოდეს 10°-დან 4° C-მდე საშუალო დღელამური ტემპერატურების ზემოქმედების ქვეშ.

არსებული მეცნიერული გამოკვლევებით და ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებებით, დადგენილია, რომ კივის მცენარის ცალკეული კვირტებისა და ტოტების ნაწილობრივი დაზიანება აღინიშნება -16°-ზე; -20° C-ზე კი მცენარის მინისზედა ნაწილი მთლიანად მოიყინა. ამიტომ ისეთ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია ზამთრის მკაცრი ყინვები, უნდა მოხდეს მცენარის შეფუთვა.

კივი ვეგეტაციას იწყებს ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის 8° C-ის დადგომისას. მისი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 8-9 თვეს; აქტიურ ტემპერატურათა მისთვის საჭირო ჯამი — 3600°-ს და მეტს. იგი ყვავილობს მაისში; აღნიშნული ფაზა გრძელდება 10-14 დღეს. ნაყოფი მწიფდება და იკრიფება ნოემბერში (გაგუა, გოგიტიძე, 1993).

კივს რგავენ ვაზივით, 4 მ ინტერვალით. არსებობს მისი მამრობითი და მდედრობითი ნერგები. უნდა დაირგას ორივე სქესის ნერგი. მოსავალს მდედრობითი იძლევა, მამრობითს კი აშენებენ მდედრობითის დასამტვერიანებლად, თანაც ისეთი თანაფარდობით, რომ ერთ მამრობით ნერგზე მოდიოდეს 5-7 მდედრობითი. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან III, IV ნელს. თითოეულ ძირზე იძლევა 60-70 ცალ

**აქტინიდიის გავრცელების რეგიონების ზოგიერთი  
აგროკულიმატური მაჩვენებელი**

პუნქტი	8°-ზე ზევით საშუალო დღელამური			უცივესი თვის (იანვარი)		t°C	
	t °C	t °C	თვიური	მინიმალური	მინიმალური		
გაჯახელის თარიღი	დღესა რიცხვი	ჯამი		საშუალო წლიური	საშუალო წლიური		
კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)		365	6060	12,0*	7,0*	16,6	
ოკლენდი (ახალი ზელანდია)		365	5550	10,8*	-0,1*	15,2	
ტულუზი (საფრანგეთი)	7.III	254	3965	4,5	0,8	12,5	
პამპლონა (ესპანეთი)	9.III	252	3885	4,4	0,6	12,4	
ვერონა (იტალია)	15.III	242	4125	0,9	-0,4	12,4	860
პეტრიჩი (ბულგარეთი)	15.III	246	4505	1,6	-2,1	13,6	820

**შენიშვნა:** \* — ამ შემთხვევაში უცივესი თვეა ივლისი.

ნაყოფს. სრულმოსავლიანი კივის პლანტაცია ჰექტარზე გვაძლევს — 20-25 ტ მოსავალს.

კივი მავნებელ-დაავადებათა მიმართ საკმაოდ გამძლეა. მის მცე-

ნარეს ცხოველები საკვებად არ ეტანება და მოსავლელედაც ადვილია.

პლანტაციაში ნიადაგის ტენის შესანრჩუნებლად აწარმოებენ ნია-დაგის დამულჩვას. ამ მიზნით მოთიბულ ბალახსაც კი ტოვებენ ნაკ-ვეთში.

საქართველოში კივი რამდენიმე წლის უკან შემოიტანეს. იგი გაავრცელეს გურიაში (ანასეული), სამეგრელოსა (სენაკის რაიონი) და აფხაზეთში. სარგავი მასალა შემოტანილ იქნა ბულგარეთიდან, ნანილობრივ, იტალიიდან და საფრანგეთიდან. საქართველოში კივის შესაძლო გავრცელების რაიონების გამოსავლენად, ვისარგებლეთ კლიმატოლოგიაში საკმაოდ ცნობილი კლიმატური ანალოგების მე-თოდით — დავინტერესდით მისი საზღვარგარეთ გავრცელების რაიონების აგროკლიმატური პირობებით. აქვე მოგვყავს ამ რეგიონების ზოგიერთი აგროკლიმატური მაჩვენებელი ცხრილის სახით (ცხრილი 14), რომელიც შედგენილია საზღვარგარეთის კლიმატური ცნობარების საფუძველზე (1979). შემდეგ ვადარებთ მათ საქართველოს ბარის ზონის ზოგიერთი მეტეოროლოგიური სადგურის აგროკლიმატურ მაჩვენებელს (ცხრილი 15).

როგორც ცხრილი 14-დან ჩანს, კივი გავრცელებულია ისეთ რე-გიონებში, სადაც ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში  $8^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალია (კეიპტაუნი, ოკლენდი) და ისეთ რეგიონებშიც, სადაც  $8^{\circ}\text{C}$ -ზე მეტი საშუალო დღელამური ტემპერატურებიანი პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება  $240$ -დან (ვე-რობა)  $255$  დღემდე (ტულუზა).  $8^{\circ}\text{-ზე}$  მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყველაზე დაბალია პამპლონას მონაცემებით ( $3885^{\circ}$ ), ხოლო ყველაზე მაღალი —  $6060^{\circ}$  კეიპტაუნში. კივის გავრცელების რეგიონებში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება  $12,4^{\circ}$ -დან (პამპლონა, ვერონა)  $16,6^{\circ}\text{ C}$ -მდე (კეიპტაუნი). უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა ყველაზე მაღალია კეპტაუნში ( $12,0^{\circ}$ ) და ყველაზე დაბალი ვერონაში ( $0,9^{\circ}\text{ C}$ ). იმავე უცივესი თვეების საშუალო მინიმალური ტემპერატურა იცვლება  $7,0^{\circ}$ -დან (კეიპტაუნი)  $-2,1^{\circ}\text{ C}$ -მდე (პეტრიჩი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კივის ნორმალური მსხმოიარობისათვის საჭიროა, რომ შემოდგომაზე, ფოთოლცვენის შემდეგ, საშუალო დღელამური ტემპერატურა იცვლება  $7,0^{\circ}$ -დან (კეიპტაუნი)  $-2,1^{\circ}\text{ C}$ -მდე (პეტრიჩი).

**აქტინოფილის შესაძლებელი გავრცელების  
ზოგიერთი რაონის აგრძელებაზური მაჩვენებელი**

პუნქტი	გვ.-ზე ზევით საშუალო დღემუშაო $t_0$ C	(-დღ.) აგრძელებული გამოსამართ გადასამართ გადასამართ გადასამართ 100 C 40 C 10 C			
		საშ. წლიური $t^0$ C		საშ. წლიური $t^0$ C	საშ. წლიური $t^0$ C
		ამონიკ-დიოსიდი	ამონიკ-ბიტონი		
სენაკი	4.III	283	4815	5,4	2,4
საჩილდება	8.III	274	4750	4,7	1,8
გურჯაალი	14.III	265	4450	4,9	1,1
ანასული	15.III	269	4420	4,9	1,9
ქუთაისი	10.III	276	4775	5,2	2,0
პათარები	5.III	296	4750	6,5	3,5
სოხუმი	9.III	282	4635	5,2	2,6
თბილისი	23.III	234	4230	0,9	-2,4
ნნორი	18.III	244	4475	1,4	-2,1
ალაზანი	19.III	242	4445	1,0	-2,7
ლაგოდეხი	23.III	234	4200	0,9	-2,2
					14,5
					13,8
					13,6
					14,5
					14,3
					14,1
					12,7
					840
					820
					770
					840

თარიღებს შორის პერიოდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 600-დან 1000 საათამდე. პეტრიჩში აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 820 საათს, ვერონაში — 860-ს, სხვა პუნქტების მიხედვით კი  $4^0$ -ის ქვემოთ საშუალო დღელამური ტემპერატურის დაწევა საერთოდ არ ხდება. ტმოსფერული ნალექების ნლიური რაოდებობა აღნიშნული მეტეოროლოგიური პუნქტების მონაცემებით იცვლება 506-დან (კეიპტაუნი) 1242 მმ-მდე (ოკლენდი).

კივის საზღვარგარეთ გავრცელების რეგიონების აგროკლიმატური მაჩვენებლების საქართველოს ბარის ზონის პუნქტების მონა-

ცემებთან შედარებით, ვხედავთ აღნიშნული რეგიონების აგროკლი-მატური მახასიათებლების ანალოგიურობას; კერძოდ, როგორც ცხრილი 15-დან ჩანს, საქართველოს პუნქტების მონაცემებით ჰაე-რის საშუალო ნლიური ტემპერატურა  $12,6^{\circ}$ -დან ( $\text{ლაგოდები}$ )  $14,5^{\circ}$  C (ქუთაისი, სენაკი) აღწევს.

8<sup>0</sup> საშუალო დღელამური ტემპერატურიანი პერიოდის ხანგრძლი-ვობა იცვლება 234-დან (თბილისი, ლაგოდები) 296 დღემდე (ბათუმი). სავეგეტაციო პერიოდის აღნიშნული ხანგრძლივობანი სავსებით საკ-მარისია კივისათვის. 8<sup>0</sup> C-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბარის ზო-გიერთი პუნქტის მონაცემებით, უცირესია ლაგოდებში ( $4200^{\circ}$  C), ყველაზე მეტია კი სენაკში ( $4815^{\circ}$  C). ტემპერატურათა ჯამების აღ-ნიშნული რაოდენობაც სრულიად საკმარისია კივისათვის. უცივესი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა ყველგან დადებითია და იცვლება  $0,9^{\circ}$ -დან (თბილისი, ლაგოდები)  $6,5^{\circ}$ -მდე C (ბათუმი). იმავე, უცივესი თვის საშუალო მინიმალური ტემპერატურა, აღმოსავლეთ საქართველოს ჩვენს მიერ წარმოდგენილ პუნქტებზე,  $-2,1^{\circ}$ -დან ( $\text{წნორი}$ )  $-2,7^{\circ}$ -მდე C (ალაზანი) ახლოსაა პეტრიჩის მონაცემებთან ( $-2,1^{\circ}$  C); დასავლეთ საქართველოს პუნქტებზე კი ყველგან დადებითია და იცვლება  $1,1^{\circ}$ -დან (ზუგდიდი)  $3,5^{\circ}$ -მდე C (ბათუმი). გვიან შემოდ-გომაზე, ფოთოლცვენის შემდეგ, საშუალო დღელამური ტემპერატუ-რის  $10^{\circ}$  და  $4^{\circ}$ C დადგომის თარიღებს შორის პერიოდის ხანგრძლ-ივობა აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნულ პუქტებზე მერყეობს  $770$ -დან (ალაზანი)  $840$  საათამდე (თბილისი, ლაგოდები). დასავლეთ საქართველოს ბარის ზონის წარმოდგენილ პუნქტებზე  $4^{\circ}$ -ზე დაბლა დაწევა საერთოდ არ აღინიშნება. საქართველოს ბარის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელიც ხელსაყრელია კივისათვის.

ამასთან, დასავლეთ საქართველოს წარმოდგენილ პუნქტებზე მო-სალოდნელი არ არის ჰაერის მინიმალური ტემპერატურის კივისათ-ვის საშიშ დონემდე დაწევა; აღმოსავლეთ საქართველოს პუნქტებზე კი — 5%-ის უზრუნველყოფით მოსალოდნელია თბილისში  $-16^{\circ}$ , წნორისა და ლაგოდებში  $-17\%$ , ხოლო ალაზანში  $-18^{\circ}$ C დაცემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კივის კვირტების დაზიანება. თუმცა, აღნიშ-ნული მინიმალური ტემპერატურები მოსალოდნელია მხოლოდ  $20$  წე-ლიწადში ერთხელ (იხ. ცხრილი 16).

## ჰაერის მინიმალური ტემპერატურების ალბათობა (%-ში)

პუნქტი	5	25	50	75	95
ბათუმი	-11	-8	-5	-3	1
სოხუმი	-11	-8	-5	-3	1
სენაკი	-12	-9	-6	-4	-1
ანასეული	-12	-9	-6	-4	-1
სამტრედია	-13	-10	-7	-5	-2
ქუთაისი	-13	-10	-7	-5	-2
ზუგდიდი	-14	-11	-8	-6	-3
თბილისი	-16	-13	-10	-8	-5
წნორი	-17	-14	-11	-9	-6
ლაგოდეხი	-17	-14	-11	-9	-6
ალაზანი	-18	-15	-12	-10	-7

ამრიგად, აგროკლიმატური ანალოგების მეთოდით, საქართველოს ბარის ზონის აგროკლიმატური პირობების შედარება კივის საზღვარ-გარეთ გავრცელების რეგიონებთან, გვაძლევს საშუალებას, და-ვასკვნათ, რომ აღნიშნული კულტურა შეიძლება წარმატებით გავრცელდეს საქართველოს ბარის ზონაში.

აქ მას ხელს შეუწყობს სავეგეტაციო პერიოდის საკმარისი ხანგრძლივობა, საშუალო დღედამური ტემპერატურების  $10^{\circ}$  და  $4^{\circ} \text{C}$  შე-მოდგომაზე დადგომის თარიღებს შორის პერიოდის ხელსაყრელი ხანგრძლივობა, ზამთრის მინიმალური ტემპერატურებისა და მათი ალბათობების კივის გამოზამთრებისათვის არასაშიში მნიშვნელობანი (გაგუა, გოგიტიძე, 1993).

## თხილი

საქართველოში გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურ-ათა შორის, თხილმა, მაღალი კვებითი ღირებულებისა და მრავალმხრივი სარგებლობის გამო, საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთი წარმყვანი ადგილი დაიკავა.

თხილის კულტურა ნაკლებშორმატევადია, გასაშენებლად დიდ კაპიტალდაბანდებებს არ საჭიროებს; მისი ნაყოფი გამოირჩევა კარგი ტრანსპორტაპელურობით, შენახვა შეიძლება ორი წლის გან-მავლობაში.

თხილის მცენარე ივითარებს ძლიერ კომპაქტურ ფესვთა სის-ტემას, რითაც ფერდობებს იცავს ჩამორეცხვისაგან; ამასთან, შეი-ძლება გამოვიყენოთ მაღალტანიან ხე-მცენარეებთან დასარგავად ქარსაფარ ზოლში.

თხილის კულტურა მოვლა-პატრონობით ჩვენთან განებივრებული არასდროს ყოფილა. იგი, ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთების ნაპირებზე იყო გამენებული, არსებობდა მისი უმნიშვნელო პლანტა-ციებიც.

მკვლევართა აზრით (გოცირიძე, 1978, ლასარეიშვილი, 1995), თხ-ილის კულტურის წარმოშობის კერად შავი ზღვის სამხრეთ-აღ-მოსავლეთი მხარე, მათ შორის, საქართველოც ითვლება, საიდანაც იგი გავრცელებულა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში. საქართველოში იგი ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვებამდე.

დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ხილთა შორის ტყის თხილსაც მოიხსენიებს. იგი აღწერს მის ტერიტორიულ გავრცელებას, მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა, რომ ოქონაში (ფცის ხეობა) არსებულა თხილის ან კაკლის ისეთი სახეობა „გასტეხო რა ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი“. როგორც ჩანს, აღნიშნული სახეობა ამჟამად გადაშენებულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში, აღწერილია ველური ან ტყის თხ-ილის 20 სახეობა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონშია აღ-მოჩენილი; აქედან საქართველოში — 3: პონტოური, კოლხური და იმერული. დღეისათვის, საქართველოში გავრცელებულია თხილის

45 ჯიში, რომელთაგან 11 — ქართულია (Бахтаев, 1970, გოცირიძე, 1978).

არსებობს თხილის უნიკალური ჯიში, რომელიც შეტანილია „წითელ წიგნში“, ესაა დათვის თხილი. იგი ხემცენარეა, იზრდება 20 მ-მდე სიმაღლის და 1,5 მ-მდე დიამეტრის. კარგად ეგუება ყველა ეკოლოგიურ ზონას (გარდა კოლხეთის დაჭაობებული ნიადაგებისა). შემორჩენილია მხოლოდ ფშავის მიუვალ ტყეებში.

გარდა ამისა, კახეთში გვხვდება „წითურა თხილი“; სქელ-ნაჭუჭიანი, ერთ ბუდეში ზის 8-10 ცალი, ცხიმოვნებით უახლოვდება ნიგოზს, უხვმოსავლიანია.

საქართველოში თხილის ველური ფორმები ზღვის დონიდან 1500, ზოგან 1800 მ-მდე ვრცელდება. აღნიშნულ სიმაღლეებზე  $10^{\circ}$ -ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ  $1700^{\circ}$ -ის მახლობლობაშია, საშუალო წლიური ტემპერატურა  $5^{\circ}$ , უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა  $-6^{\circ}$ , უთბილესი თვისა კი  $15^{\circ}$ . აღნიშნული ტემპერატურული მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს თხილის კულტურის ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

საქართველოში თხილის ჯიშები, მომწიფების პერიოდის მიხედვით, შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

ძალზე საადრეო — მოსავალს იძლევა ივლისის დასაწყისში და საჭიროებს  $1800^{\circ}$ -მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამს;

საადრეო — ივლისის მეორე ნახევარში იკრიფება და მოითხოვს  $2100^{\circ}$ -მდე სითბოს;

საშუალო პერიოდის — იკრიფება ივლისის ბოლოს — აგვისტოს დასაწყისში და საჭიროებს  $2400^{\circ}$ -მდე სითბოს;

საგვიანო — იკრიფება აგვისტოს მეორე ნახევარში და საჭიროებს  $2700^{\circ}$ -მდე სითბოს;

ძლიერ საგვიანო — იკრიფება სექტემბრის პირველ ნახევარში და მოითხოვს  $3000^{\circ}$ -მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამს.

როგორც ვხედავთ, თხილის კულტურული ფორმების საგვიანო ჯიშები მთელ სავეგეტაციო პერიოდში საჭიროებენ  $3000^{\circ}$  სითბოს ჯამს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თხილის კულტურის მასიური გაშენება სანარმოო მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ 900-1000 მ სიმაღლემდე.

პლანტაციების მასიური გაშენების შემთხვევაში ჯიშების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ჯიშები, რომლებიც დამამტკერიანებელს ითხოვენ (თხილი ჯვარედინად დამამტკერიანებელია). ასეთი ჯიშებია:

ა). მამრობით ყვავილებს ან საერთოდ არა, ან ივითარებენ ძალიან მცირე რაოდენობით: გულშიშველა, ჩხიკვისთავა, ლომბარდიის თეთრი, ანაკლიური (ფუთქურამი);

ბ). მდედრობითი და მამრობითი ყვავილები სრულიად სხვადასხვა დროს ყვავილობენ: გუსტავი, ნოტინგემსკი, გოლიათი (ისპოლინი), ლუიზა.

თხილის კულტურაზე არსებობს მრავალი მეცნიერული გამოკვლევა, მაგრამ ისინი ძირითადად ეძღვნება მისი მოყვანის ისტორიას, აგროტექნიკას და ჯიშების შესწავლას. მისი წარმოების აგროკლიმატური პირობების შესასწავლად კი მცირეა გაკეთებული. დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თითქოს თხილის კულტურა გარემო პირობებისადმი ძლიერ მომთხოვნი არ არის, რაც არასწორად მიგვაჩნია.

თხილის კულტურის გარემო პირობებისადმი დამოკიდებულების შესწავლას ითვალისწინებდა მიზნად ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ხობის რაიონის სოფელ თორსაში და ახმეტის რაიონის სოფელ ზემოხოდაშენში უკანასკნელ წლებში წარმოებული რეგულარული ექსპერიმენტული სამუშაოები. შესრულებულია მეტად საინტერესო გამოკვლევები, რომლის ნაწილი მოცემული გვაქვს შრომაში (გაგუა, გოგიტიძე, 2003).

თხილის კულტურის მოსავლიანობა დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რადგან იგი ფესვთა სისტემას ივითარებს ნიადაგის ზედაპირთან ახლოს, ჰორიზონტალურად. აღნიშნული ბიოლოგიური თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ თხილის ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა ძლიერ არის დამოკიდებული აგროკლიმატურ პირობებზე.

ცხრილ 17-ში მოცემულია თხილის ერთ-ერთ ჯიშზე (გულშიშველა) ფენოლოგიური დაკვირვების მრავალწლიანი მასალები. აღნიშნული ჯიში — ადგილობრივი წარმოშობისაა, საკმაოდ გავრცელებული; საადრეოა — კვირტის გაშლიდან ნაყოფის სრულ

**თხილის (კიბი - „გულშემველა“) მრავალნოიანი  
ფენოლოგიური დაკვირვებები**

საზორი	ლატონები	ბაზრი (ციხე) (ცურჭაანი)	ნაკაფუ (წალენჯიხა)	ჭირულები (მდგრადი)	კანკული (ვალი)	განა ხეთა	პუნქტი კერძო	გვირტის გაშლის დასაწყისი	მდედრობითი ყვავილების ყვავილობა	ნაჭრულის მომზადება		გვირტის გაშლიდან ნაყოფის მომზიდებამდე	მომზიდების გვერდი
										თე	დასაწყისი დასასრული		
20.III	8,4	16.II	10.III	20.III	25.VII	127	20.VII	127	2135	15	15	15	15
23.III	8,0	1.II	5.III	31.VII	130	2240	20.III	124	2110	8	8	8	8
20.III	7,5	20.I	10.III	5.VIII	138	2490	25.VII	132	2160	14	14	14	14
31.III	8,0	24.II	6.III	5.VIII	127	2320	5.VIII	122	2070	8	8	8	8

მომწიფებამდე პერიოდში ესაჭიროება 120-130 დღე და საშუალოდ 2100<sup>0</sup> აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. ვეგეტაციას (კვირტის გაშლა) იწყებს მარტის შუა რიცხვებიდან, საშუალოდ, 8,5<sup>0</sup>-ზე; კერძოდ, დაბლობ რაიონებში 9,0<sup>0</sup>-ზე, ხოლო ბარის (300-500 მ) ზონაში 8,0<sup>0</sup> საშუალო დღედამური ტემპერატურის პირობებში. ივითარებს მხოლოდ მდედრობით ყვავილებს, დამამტვერიანებლად ესაჭიროება სხვა ჯიშთან ერთად გაშენება.

თხილი ზრდა-განვითარებისა და კარგი მსხმოიარებისათვის მოითხოვს თბილ და ტენიან გარემო პირობებს. მისი ყვავილობის და ნაყოფის ფორმირების ნორმალურად წარმართვა დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მის აბსოლუტურ სიმაღლეზე, რელიეფის ფორმაზე, ფერდობის ექსპოზიციაზე და მათთან უშუალოდ დაკავშირებულ აგროკლიმატურ პირობებზე.

ყვავილობის პერიოდი ჯიშების მიხედვით განსხვავდება, თუმცა განსაზღვრავს ამინდის პირობებიც (აჩქარებს ან ანელებს). აღნიშნულ ფაზაში ჰაერის ტემპერატურის 12-15<sup>0</sup> პირობებში ყვავილობა დაჩქარებით მიმდინარეობს. საერთოდ, მამრობითი ყვავილები უფრო მგრძნობიარეა ყინვების მიმართ, ვიდრე მდედრობითი. იმის გამო, რომ თხილის ყვავილობა ძირითადად წლის ცივ პერიოდში (ზამთარში — ადრე გაზაფხულზე) მიმდინარეობს, მისი გაშენებისას უნდა შეირჩეს ნაკლებად ყინვასასაშიში ადგილები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თხილის კულტურა ფესვებს ნიადაგში ღრმად არ ივითარებს. ამიტომ, გვალვისადმი მეტად მგრძნობიარეა. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოშიც კი, სადაც იგი თითქოს ტენით უზრუნველყოფილია, დიდ მოსავალს მხოლოდ უხვნალექიან წლებში იძლევა. იგი ურნყავად მოდის ისეთ რაიონებში, სადაც ნალექების წლიური ჯამი 1500-2000 მმ-ია, ხოლო ნაყოფის ფორმირების პერიოდში (მაისი-ივლისი) 330მმ და მეტი. აღმოსავლეთ საქართველოში კი იგი უმეტეს რაიონებში საჭიროებს მრავალჯერად მორწყვას. თუმცა, ზოგან მორწვაც საკმარისი არ არის. ნაყოფის გამონასკვისა და ფორმირების პერიოდში, როცა ყველაზე მეტ ტენს საჭიროებს, მისთვის აუცილებელია ჰაერის შედარებით მაღალი შეფარდებითი სინოტივე (70%-ზე მეტი). ისეთ რაიონებში, სადაც ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 800-900 მმ-ზე ნაკლე-

ბია და თანაც იგი არათანაბრადაა განაწილებული, მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა სავეგეტაციო პერიოდში რამდენიმეჯერ მორწყვა.

თხილის კულტურაზე უარყოფით გავლენას ახდენს ძლიერი მშრალი ქარები, განსაკუთრებით ნაყოფის ფორმირების პერიოდში, აშრობს ნიადაგს, ნაყოფები ვერ აღწევს ნორმალურ სიმსხოს, გულს ვერ ივსებს და მოსავალი საგრძნობლად მცირდება. ასეთი შემთხვევები ხშირად აღინიშნება აღმოასავლეთ საქართველოში. აღნიშნულ რეგიონში თხილის ტენით უზრუნველყოფის მხრივ პუნქტოვად შედარებით ხელსაყრელი პირობებია მდ. აღაზნის ხეობაში, განსაკუთრებით მდინარის მარცხენა ნაწილში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 750-1000 მმ ფარგლებშია, ხოლო ნაყოფის ფორმირების პერიოდში — 300 მმ-ზე მეტი. თუმცა, ცალკეულ წლებში აქაც ნაყოფის ფორმირების პერიოდში მორწყვის გარეშე მაღალი მოსავლის მიღება შეუძლებელია. არახელსაყრელი პირობებია დედოფლის წყაროსა და საგარეჯოს რაიონებში, სადაც ნალექების წლიური ჯამი 600 მმ, ხოლო ნაყოფის ფორმირების პერიოდში — 250მმ-ზე ნაკლებია. ასევე არახელსაყრელი პირობებია ქვემო და შიდა ქართლის ბარის რაიონებში, სადაც ნაყოფის ფორმირების პერიოდში ატმოსფერული ნალექები 200მმ-ზე ნაკლებია.

## ზეთისხილი


ზეთისხილის კულტურა ერთ-ერთი უძველესი სუბტროპიკული მარადმწვანე მცენარეა. ამჟამად იგი გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე (ანტარქტიდის გარდა). ზეთისხილისა (8,6 მლნ. ტ) და ზეთიუნის ზეთის (1, 75 მლნ. ტ) ძირითადი მნარმოებელია ევროპა. აქვე მოგვაქვს გერმანელ მეცნიერთა მიერ შემუშავებული სტატისტიკური მონაცემები (2004 წ.) (Handelsblatt: „Die Welt in Zahlen“, 2005), რომლებიც ასახავს მსოფლიოში ზეთისხილის წარმოების ძირითად მოცულობას (ცხრ. 18).

ზეთისხილის კულტურა საქართველოში შემოტანილია ჩვენს ერამდე სმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან /საბერძნეთი, იტალია/ . ვა-ხუშტი ბაგრატიონი (1997) ზეთისხილს საქართველოში ბევრგან იხ-

### ცხრილი 18

**მსოფლიოში ზეთისხილის ძირითადი მნარმოებელი ქვეყნების  
რეიტინგი და წარმოების მოცულობა**

სასამართლო	მნარმოებელი ქვეყნა, ქვეყნების რაოდი	წარმოება (ათას ტ-ში)	სასამართლო	მნარმოებელი ქვეყნა, ქვეყნების რაოდი	წარმოება (ათას ტ-ში)
1	ესპანეთი	4.556	11	ალჟირი	170
2	იტალია	3.150	12	ლიბია	148
3	საბერძნეთი	2.300	13	არგენტინა	95
4	თურქეთი	1.800	14	იორდანია	85
5	სირია	950	15	აშშ	77
6	მაროკო	470	16	ირანი	43
7	ტუნისი	350	17	პერუ	38
8	ეგვიპტე	320	18	ხორვატია	33
9	პორტუგალია	270	19	ალბანეთი	30
10	ლიბანი	180			



### სურ. 19. ზეთისხილის მწარმოებელი ქვეყნები

(Tracy, California. Musco Family Olive Co.

<http://www.olives.com/world.html>)

სენიებს. ამჟამად კი შემორჩენილია ზოგან მხოლოდ ცალკეული ასაკოვანი ხეები.


საქართველოში ზეთისხილის გადაშენების მიზეზად მეცნიერებს მიაჩინათ კატასტროფული ყინვები, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში; შემდგომში თათართა ხშირი შემოსევების გამო, ახალი დასარგავი მასალა ვერ შემოჰქონდათ და რაც ყინვებს გადაურჩა, ისიც მოისპო (კეცხოველი, 1957).

ზეთისხილის ნაყოფები გამოიყენება მწვანედ ან მომწიფებულის სახით /შავად/ დასამწნილებლად და ზეთის მისაღებად.

ზეთისხილი ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. იგი ვერ ეგუება ნიადაგის ჭარბტენიანობას; მისთვის საუკეთესოდ ითვლება ფჟვიერი, ქვიშნარი და თიხნარი, კირის საკმარისი შემცველობით. ამრავლებებს როგორც თესვით, ისე დაკალმებით. პირველ შემთხვევაში მსხმოიარობს 10 — 12 წლის შემდეგ, დაკალმებისას კი მეოთხე — მეხუთე წელს. იგი ძირითადად ჯვარედინად დამამტვერიანებელია. თვითდამტვერიანებისას ზოგი ჯიში მოსავალს საერთოდ არ იძლევა (ჩხეიძე, 1996). ზეთისხილის კულტურის ცალკე ნერგის დარგვა არ არის რეკომენდებული, რადგან იგი მოსავალს არ მოისხამს. მსხმოიარობისთვის აუცილებელია თუნდაც ორი ნერგის დარგვა,

დაახლოებით, 7 მ დაშორებით.

ზეთისხილის კულტურის აგროეკოლოგიური პირობების შესასწავლად, ლაგოდეხსა /ჯიში — ნიკიტის 1/ და ბაკურციხეში /ჯიში — თბილისური /ჩვენს (Gogitidze, Gagua, 2004) მიერ წლების განმავლობაში წარმოებული ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით (იხ. ცხრ. 19), მისი კვირტები გაღვიძებას იწყებს საშუალოდ მარტის ბოლოს — აპრილის დასაწყისში, საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$  — ზე ზევით მდგრადი გადასვლისას. ყვავილობა აღინიშნება საშუალოდ ივნისის პირველ დეკადაში, ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის  $19 - 20^{\circ}$  — ზე ზევით გადასვლისას. ყვავილობიდან ნაყოფის ზრდის დამთავრებამდე პერიოდის /ამ დროს ხელსაყრელია  $22 - 23^{\circ}$  საშუალო დღელამური ტემპერატურა/ ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 100 დღეს; სიმწიფის დასაწყისი /შეფერვა/ სექტემბრის მეორე ნახევრიდან აღინიშნება. იგი, სხვა მარადმწვანე კულტურებთან შედარებით, ყინვაგამძლედ შეიძლება ჩაითვალოს. სანაყოფე კვირტების დაზიანების კრიტიკულ ტემპერატურად აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება მივიჩნიოთ  $-15^{\circ}$ .



**სურ. 20. ზეითუნის ზეთის მსოფლიო წარმოება:**  
(Source: International Olive Council, 2010/11).

1971-1972 წლების ანომალურად მკაცრ ზამთარში  $-17$  —  $-18^{\circ}$  ყინვების დროს ბაკურციხეში მოიყინა ზეთისხილის მოუვლელი მრავალნლიანი ტოტები. 1975—1976 წლების ზამთარში  $-15^{\circ}$  ყინვისას, ზოგიერთი ჯიშის /ნიკიტის 1 და 2/ გარდა, ყველა ჯიშმა დაკარგა მოსავალი. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა 2002-2003 წ.წ. ზამთარში, როცა ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დაეცა  $-16$ ,  $-18^{\circ}$  — მდე, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა მოუვლელი ზეთისხილის მრავალნლიანი ტოტები. საერთოდ,  $-18$ ,  $-20^{\circ}$  ყინვისას მისი მცენარე შეიძლება ფესვის ყელამდეც კი მოიყინოს. ადრეული შემოდგომის წაყინვები  $-3^{\circ}$ -დან  $-5^{\circ}$ -მდე დაუკრეფავი ნაყოფების დაზიანებას იწვევს. მისი ფოთლებისათვის კრიტიკულად შეიძლება ჩაითვალოს  $-14^{\circ}$  ჰაერის მინიმალური ტემპერატურა, ხოლო მრავალნლიანი ტოტებისათვის  $-18^{\circ}$ . შიდა კახეთისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ზეთისხილის სითბოთი უზრუნველყოფილ ზონებში, ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო  $-11$ ,  $-12^{\circ}$ -ის ფარგლებშია. იქ  $-15^{\circ}$ —მდე ჰაერის ტემპერატურის დაცვემის ალბათობა 10% —ს შეადგენს, რაც მისი მცენარის ფოთლების დაზიანებას გამოიწვევს 10 წელიწადში ერთ-ჯერ.

ზეთისხილი გვალვაგამძლე მცენარეა, რაშიც მას ხელს უწყობს ნიადაგში ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემა. იქ, სადაც ატმოსფერული ნალექების ნლიური ჯამი 600 — 750 მმ-ია, იგი ნორმალურად ვითარდება და ურწყავად ვრცელდება, ხოლო თუ ნალექების ნლიური ჯამი 500 მმ-ზე ნაკლებია, სასურველია მისთვის დამატებითი წყლის მიწოდება. ნალექების დიდი რაოდენობის /1300 — 1500 მმ/ პირობებში იგი ნორმალურად იზრდება, მაგრამ სოკოვანი დავადებები უზნდება და მცირე, უხარისხო მოსავალს იძლევა. ამიტომ ასეთ უხვნალექიან ზონებში მისი გაშენება მხოლოდ ფერდობებზე უნდა მოხდეს. განსაკუთრებით საყურადღებოა ზეთისხილის სიმნივის პერიოდში /სექტემბერ — ოქტომბერი/ მოსული ნალექების რაოდენობა: აფხაზეთში იგი შეადგენს 120 მმ-ს, სამეგრელოში — 150 მმ -ს, გურიაში — 200 მმ-ს, აჭარაში — 300 მმ-ს აღემატება. მოყვანილი მონაცემები დასავლეთ საქართველოში ყველგან ჭარბია.

၃၁၂။	၂၀၁၇	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀
၃၁၃။	၂၀၁၇	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀
၃၁၄။	၂၀၁၇	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀	၁၀

სავეგეტაციო პერიოდში სითბოსადმი მოთხოვნილების მიხედვით,  
ზეთისხილის ჯიშები შეიძლება დაიყოს:

საადრეო, რომელთა ნაყოფების მოსამწიფებლად ესაჭიროებათ  
3500 — 3700<sup>0</sup> აქტიურ ტემპერატურატა ჯამი;

საშუალო პერიოდის მომწიფების ჯიშები — 3700 — 3900<sup>0</sup> და

საგვიანოდ, რომლებიც მოითხოვენ 3900<sup>0</sup> და მეტ აქტიურ ტემ-  
პერატურათა ჯამს.

აქვე მოგვაქვს საქართველოში გავრცელებული და, ამასთან, ჩვენს  
მიერ რეკომენდებული ჯიშების ნუსხა:

ნიკიტის 1 — საადრეოა, ყინვაგამძლე; პერსპექტიულია როგორც  
დასავლეთ საქართველოს 200 — 400 მ-მდე სიმაღლის ფერდობებზე,  
ისე აღმოსავლეთ საქართველოში 500 მ-მდე სიმაღლის ნაკლებყინ-  
ვასაშიშ ზონებში.

ბაქოს 17 — მომწიფების საშუალო პერიოდის ჯიშია; პერსპე-  
ქტიულია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში.

ყირიმის 172 — საგვიანო ჯიშია; იგი უნდა გავრცელდეს გურიისა  
და სამეგრელოს 100 მ-იან და იმერეთის 200 მ-მდე სიმაღლის ზონაში.

ნიკიტის მსხვილნაყოფა 2 — საგვიანო ჯიშია; პერსპექტიულია  
დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზონაში გასავრცელებლად.

ასკოლანო, კორედულიოლო და სეველიანო — საგვიანო ჯიშებია;  
პერსპექტიულია დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის.

საქართველოს ადგილობრივი ჯიშებიდან, განსაკუთრებით  
დასავლეთ საქართველოსთვის პერსპექტიულია: თბილისური, სოხუ-  
მური და ახალ—ათონური.

საგვიანო ჯიშების გავრცელება მიზანშეწონილად მიგვაჩინა:  
სამეგრელოსა და გურიიაში ზღვის დონიდან 100 მ, იმერეთში — 200 მ,  
ქვემო ქართლსა და შიდა კახეთში — 450 მ სიმაღლემდე.

საშუალო პერიოდის მომწიფების ჯიშები უნდა გავრცელდეს:  
გურიასა და აჭარაში 150 მ სიმაღლემდე, აფხაზეთში — 100 მ -მდე,  
სამეგრელოში — 200 მ-მდე, იმერეთში — 300 მ-მდე, ქვემო ქართლსა  
და შიდა კახეთში 400 მ სიმაღლემდე.

საადრეო ჯიშების გავრცელება მიზანშეწონილად მიგვაჩინა:  
გურიასა და აჭარაში 250 — 300 მ სიმაღლემდე, აფხაზეთში — 200 მ-  
მდე, სამეგრელოში — 300 მ-მდე და იმერეთში — 400 მ-მდე სიმაღლის

ზონებში; ქვემო ქართლსა და შიდა კახეთში — 500 მ სიმაღლემდე.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ზეთისხილის გავრცელების ძირითადი მაღიმიტირებელი პირობებია: დასავლეთში — ჭარბი ტენიანობა, ხოლო აღმოსავლეთში — გამოზამთრების პერიოდის ჰაერის მინიმალური ტემპერატურები. ამიტომ ზეთისხილის გასაშენებლად დასავლეთ საქართველოში უნდა შევარჩიოთ ფერდობები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — ნაკლებყინვასაშიში მიკრორაიონები (გაგუა, გოგიტიძე, ცხაკაია, 2013).

## 4.3. ვაზი

### ქიშმიში

ქიშმიში სასუფრე და საჩამიჩე ყურძნის ჯიშია. მისი წარმოშობა სპარსულია. ქიშმიშის რამდენიმე სახეს ხვაობა არსებობდა კახეთსა და ქვემო ქართლში. ყურძნის გამოშრობას ახდენდნენ თონეებში (ჯავახიშვილი, 1934).

მშრალი ყურძნის, როგორც საკვები პროდუქტის, წარმოების ისტორია საუკუნეებს მოიცავს. ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად იწარმოება საშუალოდ 600 000 ტ მშრალი ყურძენი.

ქიშმიშს ძირითადად აწარმოებენ **სამხრეთ ევროპაში, აზიაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში და აშშ-ში.** დსთ-ს ქვეყნებიდან იგი ყველაზე მეტი იწარმოება **უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთშა და აზერბაიჯანში.**

საქართველოში ქიშმიში, სამწუხაროდ, არ იწარმოება. იგი სხვა ქვეყნებიდან შემოგვავქვს. სწორედ ამით აიხსნება მასზე ბაზრის მეტისმეტად მაღალი ფასები, რაც გვაფიქრებინებს მისი წარმოების გზების ძიების აუცილებლობაზე.

ქიშმიშსა და ჩვეულებრივ გამომშრალ ყურძენს (ჩამიჩი) შორის არ-სებობს განსხვავება. ქიშმიში უნიპნოა, ჩამიჩი ნიპნიანი. საქიშმიშე ჯიშების ყურძენი ხასიათდება რბილი სტრუქტურით, სასიამოვნო არომატით, მსხვილი ან ძალიან წვრილი მარცვლებით და შენახვისას მცირე წებოვნებით. საერთოდ, როგორც ქიშმიშის, ასევე ჩამიჩის მისაღებად საჭიროა ყურძნის გამოშრობა.

საქიშმიშე ყურძნის გამომშრობა კი ხორციელდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. ბუნებრივი შრობა წარმოებს ღიად, მზეზე. ეს წესი მიღებულია იქ, სადაც იცის ცხელი ზაფხული, ხანგრძლივი თბილი უნალექი შემოდგომა და შედარებით დაბალი შეფარდებითი სინოტივე. ხელოვნური შრობა ხორციელდება სპეციალურ ფარდულებში, რომლებიც კეთდება იმ ანგარიშით, რომ 100 ტ ყურძენს ესაჭიროება 0,6 ჰა ფართობის სათავსო (Jacob, 1944).

გამომშრალი პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებისა და სარისხის გასაუმჯობესებლად, მორწყვას წყვეტილ ყურძნის დაკრე-

ფამდე ორი კვირით ადრე. კრეფენ, როცა საქიშმიშე ჯიშების ყურძნის შაქრიანობა მიაღწევს 23-25%-ს, ხოლო საჩამიჩე ჯიშებისა — 22-23%-ს.

მსოფლიო ბაზარზე გამავალი ქიშმიში ძირითადად ვაზის სამი ჯიშისაგან მიიღება: **თეთრი ოვალური ქიშმიში, შავი კორინკა და ალექსანდრიული მუსკატი.**

გარდა აღნიშნული ჯიშებისა არსებობს:

**მოლდოვური ქიშმიში, მეჩტა, ნითელი თურქენული, პერლეტი** (საადრეო მომნიფების პერიოდის ჯიშები); **ხიშრაუ, სირანუში,** ასკერი, ქიშმიში შავი, ქიშმიში ვირა, ქიშმიში ზარაფშანი, ქიშმიში ირტიშარი (საშუალო მომნიფების პერიოდის ჯიშები).

საქართველოში გავრცელებული იყო ოთხი ადგილობრივი საჩამიჩე ჯიში: **მუღრია, მხარგრძელი, ქიშური თეთრი და ცხენის ძუძუ** (ბიბილაშვილი, 1971).

ზემოჩამოთვლილი საქიშმიშე ჯიშების მთელი სიმრავლიდან საქართველოში გასავრცელებლად შესაძლებელია შეირჩეს ჩვენი ქვეყნის აგროკლიმატური პირობებისათვის უფრო მისაღები ჯიში. საქიშმიშე ჯიში ადრე უნდა მწიფდებოდეს, რომ შესაძლებელი იყოს ყურძნის კარგად გამოშრობა, რადგან შემოდგომაზე დღის ხანგრძლივობა მოკლდება, ჰაერის ტემპერატურა ეცემა და წვიმები ხშირია.

**შესასწავლად შევარჩიეთ თეთრი ოვალური ქიშმიშის ჯიში,** რადგან იგი აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტს და ამასთან, მომნიფების საშუალო პერიოდისაა. თუ ჩვენი ქვეყნის აგროკლიმატური მაჩვენებლები დააკმაყოფილებენ საშუალო მომნიფების პერიოდის საქიშმიშე ჯიშს, მით უფრო ხელსაყრელი იქნება საადრეო ჯიშებისათვის. ჩვენი გამოკვლევის თანახმად, კვირტის დაბერვიდან ყურძნის სრულ სიმნიფერდე პერიოდში აღნიშნულ ჯიშს ესაჭიროება 160-მდე დღე და 3000<sup>0</sup>-მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. ყურძენში 18% შაქრიანობის მისაღწევად საჭიროა ყვავილობის შემდგომ პერიოდში დაგროვდეს 1150<sup>0</sup>, 23%-ის მისაღწევად — 1400<sup>0</sup>, ხოლო 25%-სთვის კი — 1700<sup>0</sup>-მდე.

თეთრი ოვალური ქიშმიშის ყურძენს, სპეციალურ ხსნარში წინასწარი დამუშავების გარეშე, მზეზე საშრობად 26,7<sup>0</sup> ჰაერის საშუალო ტემპერატურის პირობებში ესაჭიროება 12 დღე, 21,1<sup>0</sup>-ის საშუალო ტემპერატურის პირობებში ესაჭიროება 12 დღე, 21,1<sup>0</sup>-ის საშუა-

ალო ტემპერატურისას — 20 დღე,  $15,6^{\circ}$ -ის პირობებში კი 40 დღე. მზეზე გასაშრობად ყურძენი სექტემბრის შუა რიცხვებამდე მაინც უნდა იკრიფებოდეს. საზიანოა წვიმები სექტემბერში, განსაკუთრებით მაშინ თუ ნალექების რაოდენობა აღემატება  $2,5$  მმ-ს ან მოდის ზედიზედ სამი დღის განმავლობაში.

ქვემოთ მოგვაჯვს ცხრილი 20, სადაც მოცემულია ქიშმიშის აღნიშნული ჯიშის მნარმოებელი ზოგიერთი ქვეყნის (ესპანეთი, საბერძნეთი, აშშ) მეტეოროლოგიური სადგურების მაჩვენებლები. იქვე წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები ქიშმიშის წარმოების აგროკულიმატური ანალოგების ძიების მიზნით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვაზის ყვავილობა, რომელიც ემთხვევა საშუალო დღელამური ტემპერატურის  $20^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღს, აღნიშნება მაისის მეორე ნახევრიდან (მალაგა, კორინთო) ივნისის პირველ დეკადაში (საკრამენტო და საქართველოს პირობები). როგორც ცნობილია, ყურძნის საკრეფი სიმწიფე მაღალაგაში, კორინთოსა და საკრამენტოში აღნიშნება აგვისტოს შუა რიცხვებში; იგივე საკვლევი ჯიშის მომწიფებას საქართველოს პირობებში უნდა მოველოდეთ სექტემბრის დასაწყისში. ე.ი. ყვავილობიდან ყურძნის მომწიფებამდე პერიოდში ჩვენთან დაგროვდება აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $2000^{\circ}$  და მეტი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თეთრი ოვალური ჯიშის ქიშმიშის ყურძნები  $23\%$  შაქრიანობის მისაღწევად, საჭიროა ყვავილობის შემდგომ პერიოდში დაგროვდეს  $1400^{\circ}$  ტემპერატურათა ჯამი, ხოლო  $25\%-თვის$  კი  $1700^{\circ}$ -მდე. საქართველოს პირობებში ყვავილობიდან მომწიფებამდე პერიოდში დაგროვილი სითბოს ჯამი ( $2000^{\circ}$ )  $300^{\circ}$ -ით აღემატება  $25\%$  ყურძნის შაქრიანობის მისაღწევად საჭირო ტემპერატურათა ჯამს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მომწიფების პერიოდში საქიშმისე ყურძენს ესაჭიროება ჰაერის მაღალი საშუალო დღელამური ტემპერატურა. ჩვენს პირობებში ივლის-აგვისტოს საშუალო დღელამური ტემპერატურები  $25^{\circ}$ -ის ფარგლებშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონის აგროკულიმატური მაჩვენებლები სრულიად დამაკმაყოფილებელია ვაზის საშუალო მომწიფების პე-

რიოდის საქიშმიშე ჯიშების წარმატებით გასავრცელებლად; მით უფრო, იგი სავსებით ხელსაყრელი იქნება მისი საადრეო ჯიშებისა-თვის (Gagua, Gogitidze. 1999).

საყურადღებოა, აგრეთვე, საქიშმიშე ყურძნის გამოშრობის პრო-

ცხრილი 20

ქიშმიშის წარმოების აგროკლიმატური მაჩვენებლები

აუცილებელი	შემთხვევაში გამოიყენებული ტემპერატურის ზარიცვა	20°-ზე ზევით გამოიყენებული ტემპერატურის ზარიცვა	სექტემბრის თვეს	
			საშ. ტემ.	ტემპერატურის ზარიცვა (მე)
მალაგა (ესპანეთი)	24.V	2 400	23,4	22
კორინთო (საბერძნეთი)	18.V	2 620	23,1	27
საკრამენტო (აშშ)	5.VI	1970	21,2	8
რუსთავი	2.VI	2 200	20,3	32
გარდაბანი	1.VI	2 220	20,1	32
მარნეული	10.VI	1910	19,0	36
წნორი	1.VI	2 200	20,2	55
ალაზანი	1.VI	2 210	20,5	54
ელდარი	13.VI	1 860	18,9	41

ბლემა. ყურძნის მოკრეფა-გამოშრობა საქართველოს პირობებში უნდა მოხდეს სექტემბერში და აღნიშნული თვის კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული ყურძნის შრობის ნორმალური წარმართვა. ამ მიზნით ცხრილ 20-ში მოტანილი გვაქვს სექტემბრის თვის კლიმატური მახასიათებლები. საქართველოს ჩვენს მიერ წარმოდგენილ პუნქტებზე სექტემბრში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 20<sup>0</sup>-ზე მაღალია (მარნეულსა და ელდარში კი 19<sup>0</sup>).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქიშმიშე ყურძნის ბუნებრივი წესით, ღიად-მზეზე, გამოსაშრობად საჭირო მოთხოვნაა, რომ შრობის პერიოდში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 2,5 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. საზღვარგარეთის ჩვენს მიერ მოტანილი მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით, აგვისტოში, როცა იქ წარმოებს ქიშმიშის მზეზე გამოშრობა, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა შეადგენს: მაღაგაში — 1 მმ-ს, კორინთოში — 6 მმ-ს, ხოლო საკრამენტოში — 0-ს; სექტემბერში კი, შესაბამისად, 22, 27 და 8 მმ-ს. ამასთან, 2,5 მმ-ზე მეტი ნალექიან დღეთა რიცხვი საერთოდ არ აღინიშნება. საქართველოს პირობებში კი სექტემბერში, როცა უნდა ჩატარდეს საქიშმიშე ყურძნის მოკრეფა-გამოშრობა, ატმოსფერული ნალექების საშუალო ჯამი ყველა 30 მმ-ზე მაღალია; ამასთან, 2,5 მმ და მეტი ნალექიან დღეთა რიცხვი 3-ზე მეტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში საქიშმიშე ყურძნის ბუნებრივი წესით, ღიად — მზეზე, გამოშრობა არ შეიძლება. საქართველოს პირობებში ამ მიზნით უნდა იქნას გამოყენებული ჰელიოსაკნები — მარტივი, სპეციალურად მოწყობილი ფარდულები. ყურძნის გამოსაშრობად, აგრეთვე, ვთავაზობთ სათბურების გამოყენებას, რომლებიც სექტემბრის თვეში დანიშნულების მიხედვით ჯერ კიდევ დაკავებული არ არის.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში ვაზის საადრეო და საშუალო მომწიფების პერიოდის საქიშმიშე ჯიშების გავრცელება და მიღებული მოსავლის ხელოვნური წესით — ჰელიოსაკნებში ან სათბუ-

რებში გამოშრობა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ, ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მაინც, ვაწარმოოთ სასუფრე ყურძნის ეს ძვირფასი პროდუქტი — ქიშმიში.

## 4.4. მინდვრის კულტურები

### სიმინდი

2011 წელს საქართველოში შემოტანილ იქნა სიმინდის ამერიკული ჰიბრიდული ყვითელი ჯიში — „პიონერი“, რომელიც მოსახლეობის მიერ მასობრივად დაითესა. სამწუხაროდ, არ იყო გათვალისწინებული (ალბათ, არც შემომტანმა იცოდა) მისი მოყვანისათვის საჭირო აგროტექნიკური პირობები (ამასთან, საფურაუე ჯიშის აღმოჩნდა). შედეგი მივიღეთ სავალალო, პროექტი ჩავარდა...

სიმინდის ახალი უცხო ჯიშის შემოტანისას უნდა გავცნობოდით ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერების მიერ დაგროვილ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას ამ ჯიშის მოყვანის საქმეში (<http://www.pioneer.com/home/site/about/products/crops/corn-maize>).

1957 წელს ვაშინგტონში დაარსდა და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს სიმინდის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია - National Corn Growers Association (NCGA), რომელიც ეხმარება ფერმერებს სიმინდის მოსავლიანობის გაზრდის საქმეში (<http://www.ncga.com/know-before-you-grow/>). სასურველი იქნებოდა ანალოგიური ორგანიზაციის შექმნა საქართველოშიც. აქვე შევნიშნავთ, რომ ამერიკული ჰიბრიდული ყვითელი ჯიში, რომელიც შემოიტანეს, არ იყო ეფექტურად შერჩეული ჩვენი ქვეყნისთვის. ზემოაღნიშნული ყვითელი ჯიში ძირითადად გამოიყენება მეცხოველეობაში საკვებად, სასილოსედ. სპეციალური გამოკვლევების ჩატარების შემდეგ შესაძლებელია იგი გამოდგეს სასურსათედ. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ კარგად გავცნობოდით აშშ-ს მოწინავე გამოცდილებებს, სიმინდის წარმოების მოწინავე ტექნოლოგიებს მისი მოსავლიანობის გაზრდის საქმეში, ჩვენ ისიც კი მოვშალეთ, რაც გვექონდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის რაც გაგვაჩნდა.

საქართველოში ოთხი საუკუნეა (XVII საუკუნის შუა ხანებიდან) მოყავთ სიმინდი. იგი ქართველმა კაცმა სწრაფად გაითავისა; შექმნა ადგილობრივი ჯიშები. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის შემდეგ გარემოებებს:

გვყავდა აგრონომების დიდი სკოლა;

არსებობდა აგრომეტეოროლოგიური სადგურები და საგუშა-გოები;

არსებობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ინსპექციები, რომელთა საცდელ ნაკვეთებზე გადიოდა შემოწმებას ქვეყანაში ახლადშემოტანილი კულტურები და მათი ჯიშები. აღნიშ-ნული ინსპექციების ნებართვის გარეშე, მათი ფართოდ გავრცელება არ შეიძლებოდა.

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის გადასარჩენად აუცილებელია ყველა ამ ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინება.

სადღეისოდ სიმინდის წარმოება მსოფლიოში მოცემულია შემდეგ დღიაგრამაზე, რომელიც შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა (სურ. 21).

საინტერესოა, რომ სიმინდი მსოფლიოში მარცვლოვანი კულ-ტურების წარმოების მხრივ მესამე ადგილზეა ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ. სიმინდის მარცვლის მოსავლიანობა მთელ მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 4,5 ტ/ჰა, წლიური წარმოების მოცულობა კი — 630 მილიონ ტონას.

აშშ წარმოადგენს მსოფლიოში სიმინდის წამყვან მწარმოებელს და მას მოჰყავს მოსავლის საერთო მოცულობის 38%, ანუ 229 მილიონ ტონა წელიწადში.


\* \* \*

სიმინდის კულტურის წარმოების აგროკლიმატური პირობები განხილული გვაქვს კოლხეთის დაბლობის მაგალითზე.

კოლხეთის დაბლობი მოიცავს აჭარის, გურია-სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის დაბლობ ნაწილს. სამკუთხედისებური მოყ-ვანილობის მქონე ეს ვაკე დასავლეთის გვერდით ეკვრის შავ ზღვას, მდინარეების — კინტრიშისა და მაჭარას შესართავებს შორის; სამკუთხედის დანარჩენი ორი, კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ძირების გასწვრივ გაჭიმული გვერდი ქ. ზესტაფონთან ერთდება და მახვილ კუთხეს ქმნის. ამ რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება მდგომარეობს დაბლობსა და ბრტყელ ზედაპირში, თანაბრად ნესტიანსა და თბილ ჰავაში, უხვ ჰიდროგრაფიულ ქსელში, ჭარბად ტენიან ნიადაგებში (მარუაშვილი, 1964).

კოლხეთის დაბლობის ზამთარი უფრო თბილი და რბილია, ვიდრე ყოფილ მთელ საბჭოთა კავშირში. უცივესი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა აქ დადგებითია და ტერიტორიულად მერყეობს  $6 - 4^{\circ}$ -ს შორის. ზაფხული ზომიერად ცხელია; უთბილესი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა  $22 - 24^{\circ}$ -ს უდრის. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა დაბალია და მერყეობს  $16 - 20^{\circ}$ -ის ფარგლებში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა, ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, დაახლოებით,  $14^{\circ}$ -ს უდრის.

კოლხეთში, მიუხედავად მისი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთებით დაფარულობისა, ადგილი აქვს ჩრდილოეთის არქტიკული ცივი და სამხრეთის ცხელი ჰაერის მასების შემოჭრას. აბსოლუტური მინიმუმები აქ შეადგენს  $-10 - -20^{\circ}$ -ს, აბსოლუტური მაქსიმუმები აღწევს  $39 - 42^{\circ}$ -ს.



**სურათი 21. სიმინდის ნარმოების განაწილების სტატისტიკა თანამედროვე მსოფლიოში (2002 წლის მონაცემები).**

მზის ჯამური რადიაცია წლის განმავლობაში შეადგენს  $115 - 125$  კკალ/სმ<sup>2</sup>. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 1850-დან 2250 საათამდე იცვლება, ხოლო უმზეო დღეთა რიცხვი — 55-დან 75 დღემდე.

კოლხეთის დაბლობი ხასიათდება ნალექების სიუხვითა და ჰაერის მაღალი სინოტივით. ნალექების წლიური რაოდენობა აქ მერყეობს 1300 — 2700 მმ ფარგლებში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში შეადგენს 135 — 170-ს.

კოლხეთის დაბლობზე გაბატონებულია მუსონური ხასიათის ქარები: ზათრობით ქრის ხმელეთიდან და ზაფხულობით — ზღვიდან. აღმოსავლეთის (ხმელეთიდან) ქარები ატარებს ფიონურ ხასიათს. განსაკუთრებით ძლიერია ფიონები რიონის ხეობაში. ფიონებს აქვს როგორ დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. ძლიერი ფიონი იწვევს ციტრუსებისა და საერთოდ ხეხილის ცვენას, სიმინდის ფოთლების შეტრუსვას და სხვ. ფიონები აშრობს ნიადაგს, აზომიერებს ჰაერის სინოტივეს, ხელს უწყობს ნაყოფების დამწიფებას, ადიდებს მის შაქრიანობას.

კოლხეთის დაბლობის ზღვასთან სიახლოვე და რელიეფის დასერილობა იწვევს ბრიზებს და მთა-ხეობის ქარებს. ბრიზებს აქ ადგილი აქვს წლის ყველა სეზონში; განსაკუთრებით ხშირია წლის თბილ პერიოდში (კორძახია, 1964).

სიმინდის კულტურას კოლხეთში დიდი ხანია უჭირავს წამყვანი ადგილი მარცვლოვანებს შორის. იგი დასავლეთ საქართველოში შემოვიდა XVII საუკუნის შუა ხანებში, იმავე პერიოდში გავრცელდა აღმოსავლეთშიც. ვახუშტი ბაგრატიონი სასოფლო-სამეურნეო კუტურათა საერთო სიაში სიმინდსაც ასახელებს. დასავლეთ საქართველოში სიმინდი სწრაფად ვრცელდებოდა და დაბლობ ზონაში გამოდევნა აპორიგენული კულტურები — ღომი, ფეტვი და ხორბალი. ისე, რომ შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი რაოდენობით მისი საზღვარგარეთ გატანა. 1885 წლიდან დაწყებული, ყოფილი ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდის ექსპორტი წელიწადში საშუალოდ 5 მილიონ ფუთს შეადგენდა; ცალკეულ წლებში 10 მილიონ ფუთსაც კი აღწევდა (დეკაპრელევიჩი, 1957).

საქართველოში შექმნილია ისეთი მაღალმოსავლიანი ჯიშები, როგორიცაა „აჯამეთის თეთრი“, „აპაშის ყვითელი“, „აბაშის თეთრი“, „იმერული ჰიბრიდი“, „ქართლური კაურვანა“, „გეგუთის ყვითელი“, „ქართული კრუგი“ და სხვ. (ჯაფარიძე, 1970).

დადგენილია, რომ სიმინდის თესვა შესაძლებელია საშუალო დღ-

ეღამური ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლის შემდეგ, ამიტომ სიმინდისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამებს ან-გარიშობენ  $10^{\circ}$ -ს ზემოთ.

სავეგეტაციო პერიოდში დაგროვილ აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მიხედვით, სიმინდის ჯიშები შეიძლება დაიყოს:

ზეადრეული — „მილოვკა“, „სიბირიაჩკა“, „კაზანსკაია 108“, „სლავოროდსკაია 270“, „ჩიშმინსკაია“ და სხვ., რომელთაც სავეგეტაციო პერიოდში ესაჭიროებათ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2000-დან  $2500^{\circ}$ -მდე;

საადრეო — „სპასოვსკაია“, „ბეზენჩუკსკაია 41“, „ვორონეჟსკაია 76“, „მინეზოტა 13 ექსტრა“, „ჩოქელა“ და სხვ., რომლებიც მოითხოვენ  $2500 - 3000^{\circ}$ -ს;

საშუალო — „დნეპროპეტროვსკაია“, „ვირ — 25“, „ვირ — 42“, „სტერლინგი“ და სხვ., რომელთაც ესაჭიროებათ  $3000 - 3500^{\circ}$ ;

საგვიანო — „კრასნოდარსკი 4“, „ქართული კრუგი“, „აბაშის ყვითელი“, „აჯამეთის თეთრი“, „გეგუთის ყვითელი“ და სხვ., რომელთაც ესაჭიროებათ  $3500^{\circ}$ -ზე მეტი.

აღნიშნული ჯიშებიდან ჩვენს მიერ გამოყენებულია სიმინდის ჯიში — „აჯამეთის თეთრის“ ფენოლოგიური და მოსავლიანობაზე დაკვირვების მასალები (ცხრ. 21).

## ცხრილი 21

სიმინდის (ჯიში — „აჯამეთის თეთრი“)

სავეგეტაციო პერიოდის აგროკლიმატური მაჩვენებლები

პრეცენტი	თემპ	აღმოცენება	სარეალიზაციო სიმინდის დასავლიანობა	მოსავლიანობა	აქტიურ ტემპერატურის გადაცვალა და მინიმუმი	აგროკლიმატური მაჩვენებლები
ზუგდიდი	8.V	20.V	30.IX	37	2910	440
აბაშა	28.IV	14.V	3.X	63	3110	390
წყალტუბო	26.IV	11.V	17.IX	69	3090	370

სიმინდის მოთხოვნილება სითბოსადმი ცვალებადობს მისი ფენოლოგიური ფაზების მიხედვით. დადგენილია, რომ პირველი ფოთლის გამოჩენამდე, რასაც დაახლოებით  $10-12$  დღე ესაჭიროება, ჰაერის ტემპერატურა  $10^{\circ}$ -ზე ნაკლები არ უნდა იყოს; პირველი ფოთლის გამოჩენიდან ქოჩოჩის განვითარებამდე, რაც საშუალოდ 85 დღეს გრძელდება, ჰაერის საშუალო ტემპერატურა საჭიროა  $15$ -დან  $22^{\circ}$ -ის ფარგლებში; ქოჩოჩის განვითარებიდან მარცვლის მომწიფებამდე, რომელიც 95 დღემდე გრძელდება, ჰაერის ტემპერატურა  $20^{\circ}$ -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საერთოდ, სიმინდის ზრდა წყდება, თუ ტემპერატურა  $5^{\circ}$ -ზე ქვევით დაეცა, ან  $48^{\circ}$ -ს გადააჭარბა. სიმინდის მოსავლიანობის მეტეოროლოგიურ ელემენტებთან დამოკიდებულება და მოსავლიანობის პროგნოზირების ცდა მოცემულია ბევრი ავტორის მიერ. აღსანიშნავია ი. ჩირკოვის (1990) გამოკვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნანილისათვის. იგი დიდ გამოთვლებს ითხოვს.

საქართველოს პირობებისთვის კი მოცემული აქვს მ. არდიას (1976). იგი გვთავაზობს განტოლებას, რაშიც უნდა ჩაისვას შემდეგი მონაცემები: სიმინდის სიმაღლე ქოჩოჩის განვითარების ფაზაში, მესამე ფოთლისა და ქოჩოჩის განვითარების ფაზებს შორის მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და იმავე პერიოდში ჰაერის სინოტივის დეფიციტთა ჯამი.

სიმინდის მოსავლიანობის საპროგნოზოდ ჩვენ განსხვავებული გზა ავირჩიეთ, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

**სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე  
„ჭყინტი სიმინდი“) პერიოდში**

მეცხოველეობის საკვები ბაზა კოლხეთში მეტად სუსტია და ვერ აკმაყოფილებს მასზე მზარდ მოთხოვნილებას. საკვები ბალანსის გაუმჯობესების საქმეში აქ დიდი ადგილი უნდა დაიკავოს სიმინდის მწვანე მასის რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ფაზაში ფართოდ გამოყენებამ. ამ სტადიაში მისი მწვანე მასა მეტი ყუათიანობით ხას-იათდება. სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობა კოლხეთში დაბალია, და ჩვენი გაანგარიშებით, საშუალოდ მთელ რეგიონში შეადგენს 110 ც/ჰა-ზე. მოსავლიანობის მიხედვით გამოირჩევა ოზურგეთის, ქობ-ულეთის, ხელვაჩაურის, ლანჩხუთისა და წალენჯიხის რაიონები (იხ. ცხრ. 22).

გარდა იმისა, რომ სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტა-დიაში წარმოადგენს მეცხოველეობაში მტკიცე საკვები ბაზისათვის ერთ-ერთ სარეზერვო საშუალებას, მას ფართოდ იყენებენ, როგორც სასურსათე პროდუქტს. ჭყინტი სიმინდზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება მოსახლეობაში — ქალაქებში, კურორტებზე, ტურ-ისტულ ბაზებში; მატულობს მისი გამოყენება საკონსერვო წარმოე-ბაშიც.

**ცხრილი 22**

**სიმინდის მწვანე მასის საშუალო მოსავლიანობა (ც/ჰა)  
კოლხეთის შედარებით მოსავლიან რაიონებში**

რაიონები	მწვანე მასის საშუალო რაიონული მოსავლიანობა (ც/ჰა)
ოზურგეთი	205
ქობულეთი	200
ხელვაჩაური	180
ლანჩხუთი	176
წალენჯიხა	142

სიმინდის სხვადასხვა ჯიშის დაკვირვების მასალების დამუშავებითა და ანალიზით (გაგუა, 1988) დადგენილ იქნა, რომ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ფაზამდე პერიოდში საადრეო ჯიშებს ესაჭიროება  $80 - 100$  დღე და  $1700 - 2100^{\circ}$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. საშუალო პერიოდის ჯიშებს, შესაბამისად,  $100 - 110$  დღე და  $2100 - 2300^{\circ}$ , ხოლო საგვიანოებს —  $110 - 130$  დღე და  $2300 - 2700^{\circ}$ .

სიმინდის სიმწიფის სხვადასხვა პერიოდის ჯიშებისათვის დათესვიდან რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე გაანგარიშებულ იქნა აქტიურ ტემპერატურათა ჯამები, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, აორთქებლობა, აორთქლება და ჰიდროთერმული კოეფიციენტები.

სიმინდის საგვიანო ჯიშის — „აჯამეთის თეთრის“ დათესვიდან რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე პერიოდი გრძელდება საშუალოდ  $117$  დღეს. აღნიშნულ პერიოდში გროვდება საშუალოდ  $2440$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა შეადგენს საშუალოდ  $460$  მმ-ს. ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის გამოსაანგარიშებლად გამოყენებულია ცნობილი მეთოდი. ვიღებთ რაიონის ფარგლებში და მის მეზობლად მდებარე წვიმსაზომების ყოველთვიურ დაკვირვების მასალებს, ვასაშუალოებთ და ასე გამოვყავს რაიონის ტერიტორიაზე მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა.

აორთქლებლობის გამოსაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულა:

$$E_0 = R/60,$$

სადაც  $E_0$  არის აორთქლებლობა,  $R$  — რადიაციული ბალანსი, გამოსახული მცირე კალორიებში, რომელიც გამოიანგარიშება განტოლებით:

$$R = 0,0121 \sum t > 10^0 + 9,9289.$$

აორთქლებლობასა ( $E_0$ ) და აქტიურ ტემპერატურათა ჯამს ( $t > 10^0$ ) შორის არსებობს თითემის ფუნქციონალური ( $r = 0,99 \pm 0,002$ ) დამოკიდებულება. განტოლებას ასეთი სახე აქვს:

$$E_0 = 0,2 \sum t > 10^0 + 170. \quad (4.1)$$

მოცემული განტოლების საშუალებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამებზე დაყრდნობით, ამა თუ იმ პუნქტისათვის კოლხეთის პირობებში, გამოვთვალეთ შესაძლებელი აორთქლება. ცდომილება საკმაოდ დაბალია ( $S_y = \pm 4 \text{ მმ}$ ). აორთქლების გამოსაანგარიშებლად მოვიქეცით ასე: თუ ატმოსფერული ნალექების ჯამი მეტი იყო აორთქლებლობის სიდიდეზე, ვიღებდით აორთქლებლობის მნიშვნელობას, ხოლო თუ ნალექების ჯამი ნაკლები იყო, ვიდრე აორთლებლობა, აორთქლებად ვიღებდით მოსული ნალექების რაოდენობას.

გამოვლენილ იქნა დამოკიდებულება აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა ( $\Sigma t > 10^0$ ), აორთქლებასა (E) და სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობას (УЗМ) შორის. მწვანე მასის მოსავლიანობა კოლხეთში უფრო მეტად დამოკიდებულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამისაგან ( $r = 0,64$ ), ვიდრე აორთქლებისაგან ( $r = 0,59$ ).

გასინჯულ იქნა დამოკიდებულება აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა, ჰიდროთერმულ კოეფიციენტსა და სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობას შორის. კოლხეთის პირობებში მოსავლიანობა მცირედ ( $r = 0,38$ ) არის დამოკიდებული ჰიდროთერმულ კოეფიციენტის მნიშვნელობისაგან. რამდენადაც მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ძირითად ფაქტორებს სითბო და სინოტივე წარმოადგენს, ვცადეთ გამოგვევლინებინა დამოკიდებულება აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა, ატმოსფერულ ნალექების რაოდენობასა ( $\Sigma P$ ) და სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობას შორის. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს  $R = 0,81 \pm 0,02$ . კოლხეთის პირობებში სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობა უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ნალექებისაგან ( $r = 0,58$ ), ვიდრე სითბოსაგან ( $r = 0,64$ ). მიღებულ განტოლებას ასეთი სახე აქვს:

$$УЗМ = 0,6 \sum P + 0,5 \sum t > 10^0 - 1230. \quad (4.2)$$

აღნიშნული განტოლება საშუალებას გვაძლევს, თუ ვიცით სი-

მინდის დათესვიდან რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე დაგროვილი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რაც შეიძლება წინასწარ გამოვთვალოთ მატებადობის ნომინგრამით (იხ. სურ. 2), დათესვიდან 90 დღის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობით, შეგვიძლია მივიღოთ სიმინდის მწვანე მასის მოსავლის საპროგნოზო ოდენობა.

სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობის მაჩვენებლები წლების მიხედვით იძლევა კარგ დამოკიდებულებას თესვის ვადისაგან ( $r = -0,78 \pm 0,05$ ). განტოლებას ასეთი სახე აქვს:

$$Y_3M = -9,15n + 1400. \quad (4.3)$$

ნარმოდგენილი განტოლებით შესაძლებელია განვსაზღვროთ სიმინდის მწვანე მასის მოსალოდნელი ოდენობა დათესვის ვადის ( $n$ ) მიხედვით. კარგ შედეგს იძლევა აპრილის ბოლოს — მასის პირველ დეკადაში ნათესი. აპრილის ბოლოს დათესილი ზეადრეული ან საადრერ ჯიშის სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდს ივლისში მიაღწევს; შეიძლება მისი ალება, ნიადაგის ხელახლა დამუშავება და მეორედ დათესვა. ნოემბრის ბოლომდე დარჩენილი დრო სრულიად საკმარისია იმავე პერიოდის ჯიშების მეორე მოსავლის მისაღებად. ეს საშუალებას მოგვცემს ფართობის ერთეულიდან მივიღოთ წლის განმავლობაში სიმინდის თითქმის ორჯერ მეტი მწვანე მასა, ვიდრე ერთჯერადი თესვის შემთხვევაში. არსებობს თ. დავითაის მეთოდი (1964), რომლის მიხედვით შესაძლებელია გაზაფხულზევე, საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღზე, გამოვთვალოთ, თუ რა ხანგრძლივობის იქნება იმ წელიწადში თბილი პერიოდი და რა რაოდენობის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი დაგროვდება იმ პერიოდში. მითითებული მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ დამოკიდებულება  $10^{\circ}$ -ზე გადასვლის თარიღსა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამს შორის. დამოკიდებულება კოლხეთის პირობებისთვის ასეთია:

$$\begin{aligned} n &= -1,08 n_1 + 304, \\ \Sigma t &= -15,75 n_1 + 5338; \end{aligned} \quad (4.4)$$

ანალოგიურად, აღმოსავლეთი საქართველოს დაბლობი ზონისათვის:

$$\begin{aligned} n &= -0,87 n_1 + 247, \\ \Sigma t &= -15,63 n_1 + 4739; \end{aligned} \quad (4.5)$$

სადაც,  $n$  არის თბილი პერიოდის საპროგნოზო ხანგრძლივობა,  $\Sigma t$  – აქტიურ ტემპერატურათა მოსალოდნელი ჯამი, ხოლო  $n_1$  კი —  $10^0$ -ზე გადასვლის თარიღი.

თუ გვეცოდინება გაზაფხულზე საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^0$ -ზე გადასვლის თარიღი, შესაძლებელია გამოვთვალოთ იმ ნელინადში რა ხანგრძლივობის იქნება თბილი პერიოდი და რა რაოდენობის სითბო დაგროვდება.

წარმოდგენილი განტოლებების გამოყენებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ თუ გაზაფხულის  $10^0$ -ზე გადასვლა მოხდება მარტში, მაშინ კოლხეთში მოსალოდნელია თბილი პერიოდის ხანგრძლივობა 270-240 დღე, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება კი — 4000 — 4400 $^0$ . (აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონისათვის, შესაბამისად, 245 — 220 დღე და 4750 — 4250 $^0$ ). როდესაც  $10^0$ -ზე გადასვლის თარიღი აპრილზე მოდის, მაშინ კოლხეთში შესაძლებელია თბილი პერიოდის ხანგრძლივობა 240 — 210 დღე, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება კი — 4400 — 3900 $^0$ . (აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ნანილში კი, შესაბამისად, 220 — 195 დღე და 4250 — 3800 $^0$ ).

სიმინდის, როგორც სანაწვერალო კულტურის, გამოყენება კოლხეთში არ წარმოადგენს ახალ ღონისძიებას. იგი ჯერ კიდევ ადრე გამოიყენებოდა გურიის სიფლებში, როდესაც შემოდგომით დათესილი ჭვავის ზაფხულში აღების შემდეგ, იმავე ნაკვეთზე ითესებოდა ერთ დროს ღომი, ხოლო უფრო გვიან ხანებში — სიმინდი. ორივე შემთხვევაში ამისთვის იყენებდნენ ადგილობრივ საადრეო ჯიშებს — „შვიდკვირიას“, „ორმოსავლას“ და სხვ. მინდვრის ორჯერადი გამოყენების ასეთ წესს იცნობდნენ ყველა იმ რაიონში, სადაც სი-

მინდის გარდა გავრცელებული იყო აგრეთვე ხორბლის ან ჭვავის თესვა (ქუთაისი, ზესტაფონი, ხონი, სამტრედია და სხვ. რაიონებში). სამწუხაროდ, ეს გონივრული წესი თითქმის მივიწყებულ იქნა (დეკაპრელევიჩი, 1957).

## სიმინდი სრულ სიმწიფემდე (სამარცვლებლი) პერიოდში

როგორც აღნიშნული იყო, „აჯამეთის თეთრის“ დათესვიდან რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფემდე პერიოდი კოლხეთში გრძელდება 117 დღეს. აღნიშნულ პერიოდში გროვდება საშუალოდ  $2440^{\circ}$  აქტიურ ტეპერატურათა ჯამი. დათესვიდან აღმოცენებამდე საშუალოდ საჭიროა 14 დღე, რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფიდან სრულ სიმწიფემდე პერიოდი გრძელდება საშუალოდ 33 დღეს; ე.ი. დათესვიდან სრულ სიმწიფემდე პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 150 დღეს. ამ პერიოდში გროვდება საშუალოდ  $3040^{\circ}$ .

გამოვავლინეთ დამოკიდებულება სიმინდის მარცვლის მოსავლიანობასა ( $Y$ ), დათესვიდან სრულ სიმწიფემდე საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა ( $\Sigma t > 10^{\circ}$ ) და დათესვიდან 90 დღის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობას ( $\Sigma P$ ) შორის. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია ( $R = 0,89 \pm 0,02$ ). განტოლებას ასეთი სახე აქვს:


$$Y = 0,14 \sum P + 0,22 \sum t > 10^{\circ} - 668. \quad (4.6)$$

კოლხეთის დაბლობის პირობებში სიმინდის მარცვლის მოსავლიანობა დიდადაა დამოკიდებული ( $r_{zy} = 0,72$ ) აქტიურ ტემპერატურათა ჯამისაგან. მიღებული განტოლება საშუალებას გვაძლევს მოსავლის აღებამდე 2 თვით ადრე (საგვიანო ჯიში „აჯამეთის თეთრის“ მაგალითზე,  $150 - 90 = 60$  დღე) განვსაზღვროთ სამარცვლე სიმინდის მოსალოდნელი მოსავლიანობა (ც/ჰა). მოვიტანოთ მაგალითი: დავუშვათ, საგვიანო ჯიშის სიმინდი დაითესა 1 მაისს. სამარცვლე სიმინდის კარგი მოსავლიანობის მისაღწევად საჭიროა, დათესვიდან სრულ სიმწიფემდე პერიოდში დაგროვდეს  $3000^{\circ}$  და მეტი. აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატებადობის ნომოგრამის გამოყენებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ აღნიშნული რაოდენობის სითბოს დაგროვება შესაძლებელია 1 ოქტომბრისათვის მოხდეს. გამოვიანგარიშებთ დათესვიდან 90 დღის განმავლობაში (1 აგვისტოს, ე.ი. 1 ოქტომბრამდე ორი თვით ადრე) მოსული ატმოსფერული

ნალექების რაოდენობას, ვთქვათ, იგი შეადგენს 340 მმ-ს. ჩავსვამთ (6) განტოლებაში:


$$Y = 0,14 \cdot 340 + 0,22 \cdot 3000 - 668 = 40$$

მაშასადამე, სიმინდის მარცვლის მოსავლიანობა შეიძლება გვე-  
ქნეს 40 ც/ჰა (იგულისხმება აგროტექნიკის სათანადო პირობები).



სურათი 22. სიმინდის მოსავლიანობის (ც/ჰა) დამოკიდე-  
ბულება აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ნალექების /დათესვიდან 3 თვის განმავლობაში/ რაოდენობისაგან.


მიღებული დამოკიდებულების (სურ. 22) საფუძველზე, შედგე-  
ნილია ნომოგრამა (სურ. 23), რომელიც გვიჩვენებს, თუ აქტიურ ტემ-  
პერატურათა ჯამისა და ატმოსფერული ნალექების (დათესვიდან 90  
დღის განმავლობაში) რა თანაფარდობაა საჭირო სიმინდის მარ-  
ცვლის გარკვეული ოდენობის მოსავლის მისაღებად. ამასთან, ალ-



სურათი 23. აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ნალექების რაოდენობის მიხედვით სიმინდის მოსავლიანობის გაანგარიშების ნომოგრამა.

ნომოგრამა წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ატმოსფერული ნალექების რა საზღვრებშია სამართლიანი ზემოთ მოცემული განტოლება (გაგუა, გოგიტიძე, ცხაკაია, 2012).

აქტიურ ტემპერატურათა საშუალო ჯამების გათვალისწინებით შედგენილ იქნა კოლხეთისათვის კომპლექსური რუკა (სურ. 24), სადაც მოცემულია სიმინდის ძირითადი ფენოლოგიური ფაზები და მარცვლის მოსავლიანობა, გამოხატული  $\%$ -ში საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით. აღნიშნული რუკა ინტერესს იმსახურებს, ჯერ ერთი, რომ წარმოდგენას იძლევა, თუ რომელ ზონაში საშუალოდ როდის ტარდება სიმინდისათვის საჭირო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები (თესვა, თოხნა, მოსავლის აღება), მეორეც — გვიჩვენებს, რომელ ზონაშია შესაძლებელია სიმინდის საშუალო და მაღალი მოსავლის მიღება.



**სურათი 24. სიმინდის საგვიანო ჯიშების განვითარების ძირი-  
თადი ფაზები და მოსავლიანობა.**

ამინდის პირობების გარდა, სამინდის მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს აგროტექნიკური ღონისძიებების (სასუქების შეტანის ვადები, მისი ნორმები, ნიადაგის დამუშავება და სხვ.) დროული ჩატარება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე აგროტექნიკური ღონისძიებები ტარდებოდა შედარებით მაღალ მეცნიერულ დონეზე. ეს განაპირობებდა იქ საკმაოდ მაღალ მოსავლიანობას. აგროტექნიკა, ამინდიანიბის ერთდაიგივე პირობებში, განაპირობებს მაქსიმალურად შესაძლებელ მოსავლიანობას. აგროტექნიკურ ღონისძიებათა გავლენის რიცხობრივად შეფასების მიზნით, შევაფარდეთ კერძო მეურნეობებისა და ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მოსავლიანობა. მიღებულ სიდიდეებს პირობითად უწოდებენ აგროტექნიკური დონის კოეფიციენტებს.

ჯიშთაგამოცდის ინსპექციების არსებობის (გასული საუკუნის ბოლოს) უკანასკნელ წლებში აღეცული მასალების მიხედვით, აგროტექნიკური დონის კოეფიციენტები შეადგენს 0,50-ს, ე. ი. კერძო მეურნეობებში საშუალო მოსავლიანობა აღწევდა მაქსიმალურად შესაძლებელი მოსავლიანობის ნახევარს.

## ბრინჯი

ბრინჯის კულტურა საქართველოსათვის დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. მის მოყვანას ჩვენთან ისტორიულად მისდევდნენ. მისი სამშობლო სამხრეთი აზიაა. იგი საქართველოში ირანიდან შემოუტანიათ და გავრცელებულა ქვემო ქართლის სარწყავ ადგილებში მდ. მდ. ივრისა და ალაზნის ნაპირებზე, აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. 1900 წლიდან ბრინჯის ნათესების შემცირდა და მისი თესვა თანდათან შეწყდა (გუგუშვილი, 1954). საერთოდ, ჩვენში იგი ძლიერ გავრცელებული კულტურა ყოფილა, რაზედაც ვახუშტი მიუთითებს, რომ საქართველოში „...ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, შურივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.“ ვახუშტი ადგილებსაც მიუთითებს, სადაც ბრინჯი მოჰყავდათ. იგი ასახელებს მდ. ალაზნის ვაკისა და თბილისის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს, დასავლეთ საქართველოდან კი — სამეგრელოს, სადაც „...ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად.“

ბრინჯი ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურაა. არსებობს მისი ასობით ჯიში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით, ისე ნიადაგურ-კლიმატური და წყლის რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით. იგი მოჰყავთ ტროპიკებში, სუბტროპიკებსა და ზომიერ განედებშიც ( $50^{\circ}$ -მდე). მისი გავრცელების ზედა საზღვარი ემთხვევა  $3200^{\circ}$  ( $10^{\circ}$ -ზე მეტი) აქტიურ ტემპერატურათა ჯამის იზოთერმას (ჟაპბასბაევი, 1969; ზაიცევი, გალკინი, 1985; ჩირკოვი, პესტერევა, 1990).

დადგენილია, რომ  $10^{\circ}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე ბრინჯის თესლის გაღივება არ ხდება. გაღივებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის  $20\text{--}25^{\circ}$  ტემპერატურა; ამ დროს აღმონაცენი მესამე-მეოთხე დღეს გამოჩნდება. ადვილად ზიანდება სუსტი წაყინვების  $-1^{\circ}$ -ის დროსაც კი. დაბუჩქებისათვის მინიმალურ ტემპერატურად ითვლება  $14^{\circ}$ , ხოლო ოპტიმალურად  $16\text{--}18^{\circ}$ ;  $25^{\circ}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე დაბუჩქება ფერზდება. დათესვიდან აღმოცენებამდე და ყვავილობის ფაზაში ბრინჯი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სითბოს

მიმართ. თესვიდან აღმოცენებამდე პერიოდში საშუალო დღელამური ტემპერატურა არ უნდა იყოს  $15^{\circ}$ -ზე, ხოლო ყვავილობის პერიოდში  $22^{\circ}$ -ზე დაბალი. ყვავილობისათვის მინიმალურია  $15^{\circ}$ , ხოლო ოპტიმალური  $18-21^{\circ}$ ; რაც მაღალია ტემპერატურა ( $32^{\circ}$ -მდე), მით უკეთ მიმდინარეობს ყვავილობა. მარცვლების მომწიფების დასაწყისში ჰაერის ტემპერატურა არ უნდა იყოს  $12-15^{\circ}$ -ზე დაბალი, სასურველია აღნევდეს  $25^{\circ}$ . მომწიფების პერიოდში ტემპერატურის მცირე დღელამური ამპლიტუდა ხელს უწყობს მოსავლიანობის ამაღლებას და მარცვლის მომწიფებას (ჟაპბასბაევი, 1969; ჩირკოვი, ჰესტერევა, 1990; პროსუნკო, 1985).

ბრინჯის სითბოთი უზრუნველყოფაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მის ნათესებში განვითარების კრიტიკულ ფაზაში (ყვავილობა) 10-12 სმ სისქის წყლის ფენის არსებობას. ამ პერიოდში წყლის საშუალო დღელამური ტემპერატურა ჰაერისაზე  $1,5-4,5^{\circ}$ -ით მაღალია, რაც დამატებით იძლევა სავეგეტაციო პერიოდში 200-250<sup>0</sup> სითბოს ჯამს (სმეტანინი, ვოლკოვა, 1972).

როგორც ცნობილია, მცენარის ფოტოსინთეზის ინტენსივობა დაკავშირებულია გარემოს სითბოს რეჟიმთან. მაქსიმალური ფოტო-სინთეზი და წყლის უანგბადით ყველაზე უფრო მეტად გამდიდრება ხდება, როცა ნათესებში დატბორილი წყლის ტემპერატურა მერყეობს  $27-32^{\circ}$ -ის ფარგლებში. ზრდასრული მცენარის ფოტოსინთეზის ინტენსივობა ერთ დონეზეა ტემპერატურის  $18$ -დან  $33^{\circ}$ -მდე ცვლილების დროსაც (ჩირკოვი, ჰესტერევა, 1990; სმეტანინი, ვოლკოვა, 1972; Murata, 1975).

ბრინჯის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა მზის ინტენსიური განათება. მისი ყველა ჯიშისათვის მზის ნათების ხანგრძლივობა უნდა აღნევდეს დღეში 9-12 საათს. ღრუბლიანობა მასზე უარყოფითად მოქმედებს: ინვევს დაბუჩქების შეფერხებას, აჭიანურებს საგველას ამოღების ვადებს, ხელს უშლის მარცვლის მომწიფებას. საადრეო ჯიშები ნეიტრალურია დღის ხანგრძლივობის მიმართ. საგვიანო ჯიშების მომწიფება კი — მხოლოდ მოკლე დღის პირობებში მიმდინარეობს. ამიტომაც საჭიროა ნათესის წყლით დატბორვა. წყალი, ამცირებს რა ტემპერატურის დღელამურ ამპლიტუდას, აჩქარებს სინათლის სტადიის გავლას და ამოკლებს თვით

სავეგეტაციო პერიოდსაც (უაპბასბაევი, 1969; სმეტანინი, ვოლკოვა, 1972).

ყვავილობა და დამტვერიანება ხელსაყრელი ამინდიანობის პირობებში ერთ დღეში ხდება. არახელსაყრელი ამინდიანობის (მოლ-რუბლულობა, წვიმა, აცივება) დროს მისი ყვავილობა რამდენიმე დღეს ჭიანურდება. ამ პერიოდში აუცილებელია ნათესებში იყოს წყლის გარკვეული ფენა. დაბუჩქებისა და ყვავილობის პერიოდში ხშირი და თავსხმა წვიმები იწვევენ ყვავილების არასრულ დამტვერვას და მოსავლიანობის შემცირებას.

ბრინჯის ტრანსპირაციის დონე დაბალია, მისი ტრანსპირაციის კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენს 400-500 ერთეულს (სმეტანინი, ვოლკოვა, 1972).

ბრინჯის გავრცელების ჩრდილო განედებში (გავრცელების ზედა საზღვართან) მოჰყავთ ჯიშები: „დუბოვსკი 129“, „დალნევოსტოჩინი“ და „ნოვოსელსკი“. ამ ჯიშების სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 95-დან 125 დღემდე; ხოლო მოსავლიანობა 4-5 ტ/ჰა-ზე. ჯიშები მდგრადია მარცვლების დაცვისა და ჩანოლის მიმართ. აქვე მოტანილი გვაქვს მ. უაპბასბაევის მიხედვით შედგენილი ცხრილი (იხ. ცხრ. 23), სადაც მოცემულია ბრინჯის ჯიშების სავეგ-

### ცხრილი 23

#### მომწიფების სხვადასხვა პერიოდის ბრინჯის ჯიშების მოთხოვნილება სითბოს მიმართ

ჯიში	დათესვა — სრული სიმწიფე	
	15°-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, დღეთა რიცხვი
საადრეო	2400 — 2800	ნაკლები — 120
საშუალო	2800 — 3200	120 — 135
საგვიანო	3200 და მეტი	135 და მეტი

ეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და 15<sup>0</sup>-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა საჭირო ჯამების მნიშვნელობანი.

ცნობილია, ბრინჯის თესვის სამი მეთოდი:

თესვა მინიმალურ (0,5-1,0 სმ) სიღრმეზე და ნათესის მაშინვე 6-8 სმ წყლის ფენით დაფარვა;

შედარებით, ღრმად (4-5 სმ) თესვა, აღმოცენებამდე ნათესის დაფარვის გარეშე;

ავიაციის საშუალებით წყალში მობნევით თესვა.

თესვის დაგვიანებული ვადების შემთხვევაში, როცა წაყინვების საშიშროება გავლილია, გამოიყენება პირველი მეთოდი. ხელსაყრელი ამინდიანობისას, ადრეული თესვის პირობებში იყენებენ მეორე მეთოდს. ავიაწესი კი გამოიყენება, როცა სათესი მიწები ჭარბად დატენიანებულია და სათესი მანქანების გამოყენება შეუძლებელია. ბრინჯის თესვის პრაქტიკაში მიღებულია მისი მოყვანის — წყლით დაფარული და მშრალობის წესი. ნათესის წყლით დაფარვა შეიძლება მოხდეს მუდმივად, შემოკლებული ან წყვეტილი პერიოდით.

მუდმივი დატბორვისას ნაკვეთში წყლის ფენა შენარჩუნებულია მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. მუდმივი დატბორვა ხელს უწყობს მცენარის არა მხოლოდ ბიოლოგიური და ფიზიკური მოთხოვნილებების დაემაყოფილებას, არამედ აუმჯობესებს ნათესში მიკროკლიმატს, ქმნის „სათბურის ეფექტს“, რაც მეტად საჭიროა მის მოსაყვანად, შედარებით, ცივ რაიონებში.

შემოკლებული პერიოდით დატბორვას იყენებენ შორეულ აღმოსავლეთში ღრმად თესვის დროს. ამ მეთოდით მოყვანისას ვეგეტაციის დასაწყისა და დასასრულს ნათესის წყლით დაფარვა არ ხდება.

წყვეტილი პერიოდით დატბორვა გამოიყენება წყლის ეკონომიის მიზნით.

დავინტერესდით იმ რეგიონების კლიმატური რეჟიმით, სადაც ისტორიულად ყოფილა ბრინჯი გავრცელებული და მოტანილი გვაქვს ცხრილის სახით ამ რეგიონებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების მასალები (იხ. ცხრ. 24).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა წარმოდგენილი მეტეოსადგურის მიხედვით 15<sup>0</sup>-ზე მაღალი აქტიურ ტემპერატურათა

ბრინჯის კულტურის შესაძლებელი გავრცელების რაონების  
ზოგიერთი კლიმატური მაჩვენებელი

მეტეოროლოგიური სადგური	საშუალო თვიური ტემპერატურა						გადასვლა	15°-ზე გეტი ჯამი
	IV	V	VI	VII	VIII	IX		
სამტერდა ხონი	13,0	18,0	21,0	23,2	23,5	20,4	27.IV	3700
ხეთა	12,9	17,8	20,9	23,0	23,4	20,2	27.IV	3650
სენაკი	12,9	17,3	20,6	23,0	23,2	20,2	30.IV	3680
წნორი	12,8	17,6	20,8	22,8	23,2	20,1	29.IV	3660
ალაზანი	12,8	17,9	21,6	25,0	24,9	20,2	27.IV	3650
რუსთავი	12,6	17,7	21,7	25,1	25,1	20,5	30.IV	3630
გარდაბანი	11,9	17,5	21,6	25,0	25,0	20,3	2.V	3530
	12,1	17,8	21,9	25,3	25,0	20,1	30.IV	3550

ჯამი 3500°-ზე მეტია, რაც სავსებით საკმარისია ბრინჯის საგვიანო ჯიშების მოსაყვანადაც. ამასთან, 15° საშუალო დღელამურ ტემპერატურაზე გადასვლა ხდება აპრილის ბოლოს — მაისის დასაწისში, ბრინჯის თესვაც, სასურველია, ამ პერიოდში ჩატარდეს. საგველას ამოლება და ყვავილობა მოხდება ივლის-აგვისტოში. აღნიშნულ ფაზებში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა 22° და უფრო მაღალი ტემპერატურა, რაც ცხრილში მოცემული მეტეოსადგურის მონაცემებით უზრუნველყოლია. სიმწიფის პერიოდი ემთხვევა სექტემბრის თვეს. ამ ფაზაში ბრინჯისათვის საჭიროა 15-18° და მასზე მაღალი ტემპერატურა. მოყვანილი მონაცემებით სექტემბრის თვის ტემპერატურა აღნიშნულ მაჩვენებელზე მაღალია. ყოველივე აღნიშნული მიგვითოთებს, რომ ჩვენს მიერ მოტანილი მეტეოსადგურების კლიმატური მონაცემები ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებს შეუქმნის ბრინჯის კულტურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ბრინჯის სათესი ფართობები უნდა შეირჩეს:

დასავლეთ საქართველოში — სამტრედიის, ხონის, აბაშის, სენაკისა და ხობის რაიონებში;

აღმოსავლეთ საქართველოში — გარდაბნის რაიონში და მდ. ალაზნის ქვემო წელის ვაკის სარწყავ მიწებზე.

ამასთან, დასავლეთ საქართველოს რაიონებში შესაძლებელია ბრინჯის მოყვანა მშრალობის წესით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი — წყლით დაფარვით (გაგუა, გოგიტიძე, 1992).

## ბამბა

ბამბა საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი კულტურაა. ამიერკავკასიაში იგი XIII საუკუნეში ირანიდან შემოუტანიათ და საქართველოშიც გავრცელებულა. გასული საუკუნის დასაწყისში ბამბა ითესებოდა გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში, მდ. მდ. ივრისა და ალაზნის ნაპირებზე (ჯაფარიძე, 1971). დაახლოებით, იგივე რეგიონებს მიუთითებს ვახუშტიც. XX საუკუნის 40-იან წლებში შეწყვიტეს ბამბის მოყვანა და დაიწყეს ნედლეულის შემოზიდვა შუა აზიის რესპუბლიკებიდან. უკანასკნელ წლებში ჩვენთან არსებობდა ბამბის მრეწველობის მძღავრი სანარმოები, რომელთა დასატვირთავად საკუთარი ნედლეული არ გაგვაჩნდა, შემოტანა კი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

ბამბა ერთ-ერთი ძვირფასი ტექნიკური კულტურაა. იგი იძლევა ბოჭკოს და ზეთს; გარდა ამისა, მისგან ღებულობენ 200-მდე დასახელების პროდუქტს: თესლისაგან, გარდა ზეთისა, ინარმოება მარგარინი, გლიცერინი, კოპტონი; მრეწველობის ნარჩენებისაგან — საიზოლაციო მასალა, ცელულოზა, სპირტი, ლინოლეუმი, ლაქ-საღებავები, კინოფირი და სხვ., ფოთლებისაგან ამზადებენ ორგანულ მუავებს, ბამბის ღეროები გამოიყენება საზვავად. ამსთან, მისგან ამზადებენ ქაღალდს, მუყაოს და სხვ. გარდა ამისა, ბამბა თაფლვანი მცენარეფა (ჯაფარიძე, 1971; მებამბეობის ცნობარი, 1965).

1ც ხამი ბამბა გვაძლევს 32კგ ბოჭკოს და 65კგ თესლს. 1 კგ ბოჭკოსაგან შეიძლება დამზადდეს 20მ თეთრეულის ქსოვილი, 12გ ჩითი ან 50 კოჭის ძაფი. 1ც ბამბის თესლისაგან შეიძლება 17-19კგ ზეთის და 40-48კგ კოპტონის მიღება. ათას ჰა-ზე წარმოებული ბამბისაგან (30 ც/ჰა საშუალო მოსავლეობის პირობებში) შეიძლება მივიღოთ 2 მილიონი მ საკაბე ქსოვილი და 15-20 ათასი მომხმარებლისათვის წლის განმავლობაში საკმარისი ზეთი (ჯაფარიძე, 1971; მებამბეობის ცნობარი, 1965).

ბამბის სამშობლო ინდოეთია. მისი ყველაზე მეტი სათესი ფართობები არის აზიასა და ოკიანეთში, მომდევნო ადგილი უკავია ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას, შემდეგ მოდის აფრიკა, სამხრეთი ამერიკა და ევროპა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტო-

რიაზე მისი მნარმოებელი ქვეყნებია: უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი (მებამბეობის ცნობარი, 1965).

ბამბის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ჯიშების მიხედვით განსხვავებულია. დათესვიდან კოლოფების მომწიფებამდე პერიოდში საადრეო ჯიშებს ესაჭიროება 100-მდე დღე, ხოლო საგვიანოებს — 130-145 დღე და მეტი.

ბამბა სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების გასავლელად, ჩრდილოეთ კავკასიის პირობების მაგალითზე (იაკუშკინი, 1947), საჭიროებს:

**დათესვიდან აკოკრებამდე** — 56-68 დღეს,

**აკოკრების დასაწყისიდან ყვავილობის დასაწყისამდე** — 28-30 დღეს,

**ყვავილობის დასაწყისიდან კოლოფების გახსნის დასაწყისამდე** — 55 დღეს.

---

**სულ სავეგეტაციო პერიოდში** — 139-163 დღეს.

ბამბა სითბოს მოყვარული მცენარეა. დადგენილია, რომ მისი თესვა სასურველია მოხდეს მას შემდეგ, რაც ნიადაგის ტემპერატურა 10 სმ სიღრმეზე მიაღწევს, საშუალოდ,  $12^0$ -ს, რაც ემთხვევა პარეის საშუალო დღელამური ტემპერატურის  $15^0$ -ზე მდგრად გადასვლას. ასეთ ტემპერატურულ პირობებში მისი აღმონაცენი გამოჩნდება  $15-20$  დღის შემდეგ.  $20-25^0$ -ს პირობებში კი თესლის აღმოცენება  $6-10$  დღეში ხდება. განვითარების პირველ ფაზაში (აკოკრებამდე) მცენარეს სითბოსადმი დიდი მოთხოვნილება გააჩნია; ამ პერიოდში მისთვის ხელსაყრელია  $25-30^0$ . მგრძნობიარეა შემოდგომის წაყინვების მიმართ; -3 —  $-4^0$ -ის წაყინვისას მცენარე სიცოცხლეს წყვეტს (მებამბეობის ცნობარი, 1965).

ბამბა საკმაოდ გვალვაგამძლე მცენარეა, თუმცა, გვალვიან რაიონებში მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა დამატებით ნყლის მინოდება. თესლით თესვის შემთხვევაში, ივითარებს მძლავრ ღერძულა ფესვს, რომელიც ნიადაგში აღწევს  $1,5-2$  მ-დე სილრმეს.

პორიზონტალური მიმართულებით კი მისი ფესვები ვრცელდება 1 მ-მდე. ასეთი მძლავრი ფესვთა სისტემა ხელს უწყობს ბამბის გვალვაგამძლეობას (კრუჯილინი, 1954).

გამოკვლევებით (მებამბეობის ცნობარი, 1965) დამტკიცებულია, რომ ბამბის მოთხოვნილება წყალზე შეადგენს 8 ათას მ<sup>3</sup>/ჰა-ზე, რაც შეესაბამება 800 მმ ნალექს. ბამბა წყლის ნაკლებობისადმი ყველაზე მეტი მგრძნობიარეა კრიტიკულ პერიოდში. კრიტიკულად ითვლება აკოკრების წინა პერიოდი, ე.ი. რეპროდუქტიული ორგანოების ფორმირების ფაზა, რაც აკოკრებას, დაახლოებით, 1 კვირით უსწრებს. ამ ფაზაში მცენარე ხარჯავს ყველაზე მეტ საკვებ ნივთიერებებს და ამიტომ ესაჭიროება შეუფერხებლად წყლის მიწოდება. აღნიშნულ ფაზაში ნიადაგის სინოტივე უნდა შეადგენდეს მთელი ტენ-ტევადობის 60-70%-ს.

ბამბა ნიადაგის მიმართ არ ხასიათდება განსაკუთრებული მოთხოვნილებით. მებამბეობის რაიონებში იგი მოჰყავთ თითქმის ყველა ტიპის ნიადაგებზე.

ბამბის საადრეო ჯიშებიდან გავრცელბულია: შრედერი 1306, პიონერი 915, ოდესის 1, 20042, 661-ბ, დ-18, რომელთა ბოჭკოს სიგრძე აღწევს 31 მმ-ს. აღნიშნული ჯიშების გავრცელება შეიძლება შედარებით გრილ რაიონებში.

საშუალო ჯიშებია: ნავროცკი 8517 და ამიერკავკასიაში გავრცელებული — 700, რომელთა ბოჭკოს სიგრძე 33-34 მმ-ია.

საგვიანო ჯიშებია: ც 460 და აზერბაიჯანში გავრცელებული ჯიში 486-2, რომელთა ბოჭკოს სიგრძე 40 მმ-მდეა (ა. კრუჯილინი, 1954).

არსებობს ბამბის მოყვანის ორი მეთოდი: უშუალოდ მინდორში თესვით და ჩითილების დარგვით. ჩითილების მეთოდს მიმართავენ, შედარებით, გრილ რაიონებში. ჩითილების გამოყვანა უნდა მოხდეს სათბურში. ამ მიზნით სათბურში ბამბას თესენ თებერვლის ბოლოს, ხოლო აპრილის ბოლოს 4-6 ფოთლის ფაზაში უნდა გადაირგას ღია გრუნტში.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილის სახით იმ რეგიონებში არსებული მეტეოროლოგიური სადგურების სია, სადაც ვთავაზობთ ბამბისათვის სათესი ფართობების შერჩევას. მოცემულ სადგურებზე 15°-ზე მაღალი ტემპერატურათა ჯამები 3200°-ზე მეტია, ხოლო აღნიშნულ

ცხრილი 25

გამბის კულტურის შესაძლებელი გავრცელების რაონების  
ზოგიერთი აგრძოლიმატური მასშტაბების რაონების

გეტეოროლოგიური საღვარი	გადასვლის თარიღი	გადასვლის ხანგრძლ. დღე	პერიოდის ხანგრძლ. დღე	ტემპურატურათა ჯამი	ატმოსფერული ნალექების ჯამი (N-X) მმ
გარდაპანი	30.IV	163		3550	260
გარეული	3.V	157		3260	300
რუსთავი	2.V	163		3530	260
იორქულანლო	6.V	153		3170	350
ალაზანი	30.IV	168		3630	440
ნელი	27.IV	170		3650	390
სამტრედია	27.IV	179		3700	660
ხონი	27.IV	178		3650	890
ქუთაისი	28.IV	179		3700	670
საქართველო	28.IV	173		3620	510

საქართველოშიც, კერძოდ, ამ მიზნით ნაკვეთები უნდა შეირჩეს იმერეთის ბარის ზონაში (სამტრედიის, ხონის, ქუთაისის და ზესტაფონის რაიონები). ცნობილია, რომ სამტრედიის რაიონში გასული საუკუნის დასაწყისში მოჰყვავდათ ბამბა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილებს დღესაც „ნაბამბარს“ უწოდებს.

ზემოაღნიშნულ რეგიონებში (იხ. ცხრ. 25) საშუალო დღელამური ტემპერატურის  $15^{\circ}$ -ზე გადასვლა აღინიშნება აპრილის ბილოს-მაისის დასაწყისში; ბამბის თესვაც მაისის დასაწყისში უნდა ჩატარდეს. აკოკრება და ყვავილობა მოხდება ივლისში, რომლის საშუალო ტემპერატურა  $23-25^{\circ}$ -ის ფარგლებშია, რაც ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებს შეუქმნის ბამბას. კოლოფების დამწიფება მოხდება სექტემბერ-ოქტომბერში. ამ თვეების საშუალო ტემპერატურა  $12-15^{\circ}$ -ზე მაღალია, რაც სავსებით საკმარისია კოლოფების მოსამწფებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ბამბისათვის ნაკვეთები უნდა შეირჩეს დასავლეთ საქართველოს — იმერეთის ბარის ზონაში და აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ რეგიონებში: გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში, მდ. მდ. ივრისასა და ალაზნის ქვემო ნელის ნაპირებზე. ამასთან, დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში ბამბა შეიძლება მოჰყანილ იქნეს მორწყვის გარეშე. აღმოსავლეთ საქართველოს ზემოაღნიშნულ რეგიონებში კი ბამბის სავეგეტაციო პერიოდში მოსალოდნელია საშუალოდ 260-440 მმ ნალექის მოსვლა.


ნალექების ეს რაოდენობა არ არის საკმარისი ბამბის მორწყვის გარეშე მოსაყვანად; ამიტომ საჭირო იქნება დამატებით წყლის მიწოდება  $3,6$ -დან  $5,4$ -მდე ათასი  $მ³/ჰა$  მოცულობით. აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნულ რაგიონებში, კერძოდ, მდ. ალაზნის დაბლობსა და ქვემო ქართლის ბარის ზონაში შესაძლებელია, გაძნელდეს ნაკვეთების შერჩევა ვაზით მათი გადატვირთვის გამო. აღნიშნული რეგიონის ვენახები, ძირითადად, ორდინალური ღვინოების მწარმოებელია. საქართველოს მცირემინიანობის პირობებში კი ორდინალური ღვინოების წარმოებისათვის დიდი ფართობების ვაზით მოცდენა მიზანშენონილად არ მიგვაჩინა. აღნიშნულ რეგიონში საჭირო იქნება ვაზის ნაცვლად ბამბისა და ბრინჯის კულტურების გავრცელება (გაგუა, გოგიტიძე, 1992).

**თავი V. ფიზიკურ-გეოგრაფიული**  
**თავისებურებების გავლენა სასოფლო-სამიურნო**  
**პროდუქციის ხარისხი**

### 5.1. მეხილეობა შიდა ქართლში

შიდა ქართლი ისტორიულად მეხილეობის წამყვანად ითვლება. ხეხილოვან კულტურათა ზრდა-განვითარების აგროკლი-მატური პირობები აქ უფრო ხელსაყრელია მაღალხარისხოვანი, უკეთესი შეფერილობის მოსავლის მისაღებად, ვიდრე ევროპისა თუ მსოფლიოს სხვა მეხილეობის რეგიონებში.

შიდა ქართლი, ლ. მარუაშვილის მიხედვით (1964), მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, იგი ირგვლივ შემოფარგლულია მაღალი ქედებით — კავკასიონის მთავარი ქედიდან თრიალეთის ქედამდე და ლიხის ქედიდან ქართლის ქედამდე. თრიალეთის ქედიდან გამოდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული განშტოებები: ყელეთის, საცხენისის, წერეთის, ქსილისისა და სანკეპელას ქედები (ეს უკანასკნელი მდ. მტკვარს ებჯინება მცხეთასთან). აღნიშნული ქედები მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადების — ძამას, სკრის, ტანას, თეძამის და კავთურას ხეობებს იცავს ცივი ჰაერის მასების მოქმედებისაგან. შიდა ქართლს დასავლეთით ეკვრის ლიხის ქედი,



**სურ. 25. აქტიურ ტემპერატურათა ჯამის განაწილება შიდა ქართლში**

რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკვლევი მხარის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე.

შიდა ქართლის ტერიტორია კლიმატური თავისებურებით განსხვავებულია საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, რაზედაც გავლენას ახდენს მერიდიანული და განედური მიმართულების აღნიშნული ქედები.

ვახუშტი ბაგრატიონი (1997) ასე ახასიათებს საკვლევ ტერიტორიას: „ხილნი და საზრდელნი მრავალი, გემონიანნი.“ „„გორიდან სვერამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი.“ კავთისხევის ხეობას იგი აღწერს, როგორც „ზამთართბილი“, ხოლო გორი, როგორც „ზამთარცივი და ქარიანი“. საერთოდ, იგი მტკვრის მარჯვენა მხარეს ახასიათებს უფრო თბილს, ვიდრე მარცხენას. აღნიშნულ გარემოებას შემდგომში მ. კორძახია (1961) იმით ხსნის, რომ მტკვრის მარცხენა მხარეში კავკასიონის მარადი თოვლისა და მყვინვარების ზონიდან დროგამოშვებით ეშვება ცივი ჰაერი, რასაც თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობებზე ადგილი არა აქვს. ამასთან, მტკვრის მარჯვენა სანაპირო დიდ მანძილზე (75 კმ) დაცულია ჩრდილოეთის მხრიდან 800-1200 მ სიმაღლის კვერნაქის სერით კავკასიონიდან დაშვებული ჰაერის ცივი მასების უშუალო ზეგავლენისაგან და, ამასთან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ცივი ქარების გავლენისაგან თრიალეთის ქედიდან მტკვრისაკენ მიმართული განშტოებების მოქმედებით. შიდა ქართლის ვაკე, რომლის სიმაღლე საშუალოდ 600-800 მ შეადგენს, მოქცეულ მაღალ ქედებს შორის, საიდანაც წლის ცივ პერიოდში ხშირად ვითარდება ინვერსიები, ამიტომ ზამთარი აქ უფრო ცივია, ვიდრე საქართველოს სხვა, იმავე სიმაღლეზე მდებარე ადგილებში.

ნ. კეცხოველის მიხედვით (1957), „ხიდისთავ-ატენი მკვეთრად განსხვავდება ქართლის ვაკის სხვა დანარჩენი მიკრორაიონებისაგან. ხიდისთავში შესანიშნავად ხარობს და მწიფდება ლელვი... ჩვეულებრივია ბრონეულიც, მაშინ, როდესაც ბრონეული და ლელვი მცხეთის ზევით — ქართლის ვაკეზე აღარ გვხვდება.“

შიდა ქართლში სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურების გავრცელების საკითხზე დღემდე არსებულ ლიტერატურულ წყაროებში, აღნიშნულის გარდა, სხვა ინფორმაცია არ გაგვაჩნია,

რამაც გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ამ რეგიონის აგროეკოლოგიური თავისებურებების შესასწავლად.

აღნიშნული პრობლემების შესწავლის საფუძვლად ავიღეთ: სასოფლო-სამნეურნეო კულტურათა სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფა, მათი გამოზამთრების პირობების გამოკვლევა და არსებული კულტურებიდან მიღებული მოსავლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე წარმოებული ექსპერიმენტული დაკვირვებები.

შიდა ქართლის უკიდურესი სამხრეთით — თრიალეთის ქედის განშტოებებს შორის მოქცეული ტერიტორია დაცულია ქედებით, რომლებიც ქარსაფრის როლს ასრულებენ. დაბლობ ზონაში გაბატონებულია მტკვრის ხეობის გასწვრივი ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარები, რომელთაც დაბრკოლებად ხვდება თრიალეთის ქედის განშტოებები. ამის შედეგად ხეობებში იზრდება სითბოს რაოდენობა, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, მცირდება ჰაერის მინიმალური ტემპერატურების ინტენსივობა და ყინვასაშიშროება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარსაფარის დაცვითი ზემოქმედება ვრცელდება მისი სიმაღლის 20-ჯერ მეტ მანძილზე და თუ ჩავთვალით, რომ მთიანი სისტემების შეფარდებითი სიმაღლე 500 მ და მეტია, დავრწმუნდებით, ხეობებში მთიანი სისტემების დადებითი გავლენაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთიანი სისტემების დადებითი ზეგავლენა აშკარადაა გამოხატული მტკვრის მარჯვენა ნაწილის, კერძოდ, სკრისა და ტანას ხეობებში, სადაც ჩვენს მიერ ტარდებოდა დაკვირვებები (ცხრ. 26, 27).

ჩვენი გამოკვლევებით, უნაბის, აღმოსავლური ხურმისა და ლელვის სანაყოფე კვირტები მინუს  $14-15^{\circ}$ -ზე 50%-ით ზიანდება, მინუს  $16-17^{\circ}$ -ზე — 70%-ით, ხოლო მინუს  $18-19^{\circ}$ -ის შემთხვევაში ძლიერ — 90%-ით და იმ ნლის მოსავალი მთლიანად იკარგება. ამიტომ მინუს  $18-19^{\circ}$  უნაბის, აღმოსავლური ხურმისა და ლელვისათვის კრიტიკულად უნდა მივიჩნიოთ. ბრონეული უფრო მგრძნობიარე კულტურაა, მისთვის კრიტიკულად უნდა ჩავთვალოთ მინუს  $13-15^{\circ}$  ჰაერის მინიმალური ტემპერატურა.

გამოვლენილ იქნა შიდა ქართლის ცენტრალური ნაწილისათვის

ზოგიერთი აგროკულტურის მაჩვენებლის განაწილება შიდა ქართლში  
 (800 მ-დან სიმაღლის ზონაში)

ტერიტორია	უცივესი ზოს საშუალო ტემპერატურა (°C)	უფრო დანერგული საშუალო ტემპერატურა ჯამში ( $t > 10^\circ$ ) (°C)	უცივესი ზოს საშუალო ტემპერატურა ჯამში ( $\Sigma t > 10^\circ$ ) (დღე)	საკეთი აცილები პერიოდის სანცრონივობა
გდ. მტკნარის სანაპირო ზოლი	-1,9	20,6	2920	175
გდ. ლიახვის ხეობა	-1,6	20,8	3100	185
გდ. ტანას ხეობა	-1,6	21,2	3220	190

სითბოს ჯამისა და ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის დამოკიდებულება, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

$$Y = 5173 - 7,7X - 1,5Z,$$

სადაც  $X$  – არის დღეთა რიცხვი 1 იანვრიდან ჰაერის ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლამდე,  $Z$  – ჩვენთვის სანტერესო ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან,  $Y$  – აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.

დავუშვათ, გორში ჰაერის ტემპერატურის  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლა მოხდა 10 აპრილს, ე.ი. 1 იანვრიდან  $100$ -ე დღეს ( $X=100$ ). თუ გვაინტერესებს რა რაოდენობის სითბო დაგროვდება სავეგეტაციო პერიოდში 700 მ სიმაღლეზე მდებარე ნაკვეთზე ( $Z=700$ ), ჩავსვამთ მნიშვნელობებს:

$$Y = 5173 - 7,7 \cdot 100 - 1,5 \cdot 700 = 3350^{\circ}.$$

ამრიგად, ზემოთ მოცემული განტოლებით  $6-7$  თვით ადრე შეგვიძლია გამოვთვალოთ ჩვენთვის სასურველ ტერიტორიაზე მოსალოდნელი სითბოს დაგროვება, თუკი გვეცოდინება  $10^{\circ}$ -ზე ზევით გადასვლის თარიღი.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მინუს  $11-19^{\circ}$  ფარგლებში იცვლება. ასეთი ტერიტორიული ცვლილება ძირითადად რელიეფის სირთულით და ინვერსიული პროცესებით განისაზღვრება. ყველაზე დაბალი ტემპერატურებით ( $-18$ ,  $-19^{\circ}$ ) გამოირჩევა საკვლევი რეგიონის დასავლეთი ნაწილი. აღმოსავლეთით მტკვრის ხეობაში  $-17^{\circ}$ , მთის წინებზე  $-16^{\circ}$ , სიმაღლის 200-300 მ მატებით ყინვასაშიშროება, შესაძლოა,  $5-6^{\circ}$ -ით ნაკლები გახდეს. ასეთ ადგილებში სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელება, ძირითადად, სითბური პირობებით უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

უკანასკნელ ათწლეულებში ანომალურად ცივი იყო 1971-72 წ.წ. ზამთარი, როცა  $-20^{\circ}$ -ინმა ყინვებმა მნიშვნელოვნად დააზიანა შიდა

ქართლში გავრცელებული ხეხილოვანი კულტურები, განსა-  
კუთრებით, ვენახები, მაშინ, როცა მდ. მტკვრის მარჯვენას ნაწილში  
მთებით დაცულ ხეობებში ბალ-ვენახებმა უმნიშვნელო დაზიანება  
განიცადა.

მდ.მდ. ტანასა და სკრის ხეობებში ზღვის დონიდან 700-750მ  
სიმაღლის ნაკვეთებზე (გოგიტიძე, გაგუა, 2003) წარმოებული  
დაკვირვებების თანახმად, ბრონეული და აღმოსავლური ხურმა  
მოსაკრეფ სიმწიფეში ოქტომბრის შუა რიცხვებიდან შედის. მრავალ-  
წლიური ხარისხობრივი მაჩვენებლების სხვა ზონებთან შედარებიდან  
გამომდინარე, შიდა ქართლში იწარმოება, ნოტიო და თბილ  
ლაგოდებთან შედარებით, თანაბარი შაქრიანობისა და ოდნავ  
ნაკლები მუავიანობის ბრონეულის ნაყოფი. შიდა ქართლში იწარ-  
მოება აზერბაიჯანის — აფშერონის ზონის მსგავსი ხარისხის პრო-  
დუქცია.

შუა აზიაში (უზბეკეთი) ბრონეულის შაქრიანობა 1,2%-ით მაღ-  
ალია, ვიდრე შიდა ქართლის ზემოაღნიშნულ ხეობებში.

ლეგვის კახური წარმოშობის ჯიშების მოსავლის შაქრიანობა 4-  
5%-ით ჭარბობს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო  
ზოლის (გაგრა, ფოთი, ოზურგეთი) პროდუქციას და უახლოვდება  
ლაგოდებში მიღებულ მოსავლის ხარისხს.

აღმოსავლური ხურმის შაქრიანობა მდ. სკრის ხეობაში (კოშკები)  
16,3%-ს აღწევს, ხოლო დიდ ატენში 15,0%-ს არ აღემატება. მიღე-  
ბული მნიშვნელობები მაღალ მაჩვენებლად ითვლება.

უნაბი მწიფდება სექტემბრის ბოლოს. მისი პროდუქციის ხარისხი  
საკმაოდ მაღალია, არომატული და სასიამოვნო გემური თვისებებით  
გამოირჩევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თრიალეთის ქედის განშტოე-  
ბების ხელშეწყობით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაწილში სავეგეტაციო  
პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია და გროვდება ბევრად მეტი სითბო,

## ცხრილი 27

**სუბტროპიკული კულტურების ნაყოფების  
ხარისხობრივი მაჩვენებლები (შექრიანობა, %)**  
**750 მ-მდე სიმაღლეზე შიდა ქართლში**

პუნქტი	კულტურა, კიბე	ტემპი				საშუალება
		1998	1999	2000	2001	
<b>ს ი ნ ი ნ ი ნ ი</b>						
სოფ. კოშკები	კახური თეთრი	19,5	20,2	18,3	15,6	18,4
სოფ. კოშკები	კახური შავი	20,0	17,6	15,2	16,7	17,4
სოფ. დიდი ატენი	კახური შავი	17,8	15,6	13,8	14,2	15,4
<b>ბრონზეული</b>						
სოფ. კოშკები	გიულოშა ვარდის- ფერი	14,5	14,2	11,7	14,2	13,6
სოფ. დიდი ატენი	გიულოშა ვარდის- ფერი	13,3	13,6	15,6	11,4	13,5
<b>აღმოსავლური ხურმა</b>						
სოფ. კოშკები	ჰიაკუმე	18,3	14,5	18,2	14,2	16,3
სოფ. დიდი ატენი	ჰიაკუმე	14,2	14,0	16,5	15,2	15,0
<b>უნაბი</b>						
სოფ. კოშკები	ადგილო- ბრივი	33,0	32,4	31,6	32,5	32,4
სოფ. დიდი ატენი	ადგილო- ბრივი	32,5	32,6	30,6	31,0	31,7

ვიდრე მარცხენა ნაწილში, შესაბამისად, მაღალია უთბილესი და უცივესი თვეების ჰაერის საშუალო ტემპერატურები, ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო 4,—5°-ით ნაკლებია; რაც გვაძლევს საფუძელს აღვნიშნოთ, რომ დახასიათებული სუბტროპიუკული კულტურები (უნაბი, აღმოსავლური ხურმა, ლელვი, ბრონეული) წარმატებით გავრცელდება და მოგვცემს საკმაოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას. უფლება გვეძლევა, აგრეთვე ჩვენს მიერ შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში (მდ. მდ. სკრა და ტანა) წარმოებული გამოკვლევები (იხ. ცხრ. 27) განვაზოგადოთ მტკვრის მარჯვენა მხარის სხვა, კერძოდ, თეძამის, კავთურასა და ნაწილობრივ, ძამას ხეობებზედაც, ხოლო რაც შეეხება მარცხენა სანაპირო მხარისათვის მათ გამოყენებას, იგი მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას.

## 5.2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივები ჯავახეთში

მთიანი რაიონები დიდ როლს ასრულებს საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მთიან ტერიტორიას იყენებენ მიწათმოქმედებაშიც — კარტოფილის, ქერის, ბოსტნეულის და სამკურნალო მცენარეულობის მოსაყვანად, კენკროვანების გასაშენებლად. უკანასკნელ წლებში ყურადღება ეთმობა იქ ხეხილოვანი კულტურების გაშენებასაც. მაღალმთიან რაიონებში ხეხილოვანი კულტურების გავრცელების შესაძლებლობის საკითხი განხილული გვაქვს ჯავახეთის მაგალითზე. მ. კორძახიას მიხედვით (1961) ჯავა-



სურ. 26. დაკვირვება ვაშლის ხის ვეგეტაციაზე  
(სოფ. ფარავანი)



სურ. 27. ვაშლის მსხმოიარე ხე. ჯავახეთი.  
სოფ. ფარავანი (2100 მ ზღვის დონიდან).

ხეთის პლატო ხასიათდება მშრალი მთიანეთის კლიმატით — ცივი მცირეთოვლიანი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. აქ სავეგეტაციო პერიოდი ( $5^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალი საშუალო დღელამური ტემპერატურებით) იწყება მაისის პირველ დეკადაში და გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. ზამთარი ცივია, უცივესი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა  $-9^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია, წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო  $-25^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია.

ვაშლისა და ქლიავის ხეები საერთოდ ყინვაგამძლეა. ყინვაგამძლეობა ძირითადად დამოკიდებულია მათ ჯიშობრივ თავისებურებაზე. ყინვაგამძლე შუა რუსთის ვაშლის ჯიშებს შეუძლია აიტანოს  $-35$ ,  $-40^{\circ}\text{C}$ , ხოლო ციმბირისა და ურალის ჯიშებს  $-45$ ,  $-50^{\circ}\text{C}$ -მდე (ლიხონოსი, 1959, ჩენდლერი, 1960).

გამოყენებული გვაქვს მასალები საექსპედიციო დაკვირვებისა, რომელიც ჩავატარეთ ნინოწმინდის რაიონის სოფ. ფარავანში მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე (2100 მ) დარგული რუსული ჯიშის ვაშლის კულტურაზე. აღნიშნულ სოფელში არამც თუ ხეხილოვანი კულტურები, ხემცენარეებიც კი იშვიათია. თუმცა აქ შესა-

ძლებლად ვთვლით, ადგილობრივი მოხმარების მიზნით, ხეხილოვანი კულტურებიდან ვაშლისა და ქლიავის ყინვაგამძლე ჯიშების გავრცელებას.

დაკვირვებები ტარდებოდა ერთდროულად ორ ვაშლის ხეზე: ლია ადგილზე და ქარსაფარში. აღმოჩნდა, რომ ორივე შემთხვევაში მზისადმი პერპენდიკულარულად მიმართული ფოთლების ტემპერატურა ჰაერის ტემპერატურაზე მაღალია. განსაკუთრებით დიდია სხვაობა 13.00-დან 17.00 საათამდე. ამ დროს ქარისაგან დაუცველ ადგილზე მდებარე ვაშლის ხის ფოთლებისა და გარემომცველი ჰაერის ტემპერატურებს შორის სხვაობამ  $7 - 8^{\circ}\text{C}$  შეადგინა, ხოლო ქარსაფარში  $9 - 10^{\circ}\text{C}$ .

ჯავახეთის პლატო, მ. კორძახიას (1961) მიხედვით, ხასიათდება ზომიერად მშრალი მთიანეთის კლიმატით — ცივი მცირეოთვლიანი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. აქ სავეგეტაციო პერიოდი ( $5^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალი ჰაერის საშუალო დღელამური ტამპერატურებით) იწყება მაისში და გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე (იხ. ცხრ. 28).

მაღალმთიანი ზონის სოფლის მეურნეობის აგროკლიმატური რესურსების შესწავლის მიზნით, ნინოწმინდის რაიონის სოფ. ფარავანზე წლების განმავლობაში მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის კლიმატური ექსპედიცია ავტორის ხელმძღვანელობით. ცდები წარმოებდა სოფ. ფარავანზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურის ( $2100$  მ ზღვის დონიდან) ტერიტორიაზე დარგული ციმბირული ჯიშის ვაშლის კულტურის ორ ხეზე: ლია ადგილზე და ქარსაფარში. აღინიშნა, რომ მზის სხივებისადმი პერპენდიკულარულად მიმართული ფოთლებისა და ყლორტების ტემპერატურა ორივე შემთხვევაში მაღალია ჰაერის ტემპერატურაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვაობა  $13.00 - 16.00$  საათისათვის; ამ დროს ლია ადგილზე სხვაობა  $7 - 8^{\circ}\text{C}$  აღწევს, ხოლო ქარსაფარში  $9 - 10^{\circ}\text{C}$ -ს. ამრიგად, ქარსაფარის გავლენით მზისადმი პერპენდიკულარულად მიმართული ფოთლები და ყლორტები  $2 - 3^{\circ}\text{C}$ -ით მეტად თბება, ვიდრე გარემომცველი ჰაერი.

ამრიგად, მაღალმთიან რაიონებში ხეხილოვან კულტურების გავრცელებას ხელს შეუწყობს: ჯერ ერთი, თვით ბუნებრივი ფაქ-

**აუგანეთის ზოგიერთი კლიმატური მაჩვენებელი**



<b>ჰემისფერის საშუალო დღიულობური ტემპერატურა (<math>\Sigma t &gt; 5^{\circ}\text{C}</math>)</b>	<b>ნლიური ასოლუტური გინიშუმების საშუალო (<math>{}^{\circ}\text{C}</math>)</b>		
	<b>დღიული მატები (<math>{}^{\circ}\text{C}</math>)</b>	<b>დღიული მატები დღიული მატები</b>	<b>დღიული მატები დღიული მატები</b>
2100	6.V	15.X	161
2080	1.V	17.X	168
1840	5.IV	24.X	181
			1643
			-27
			-29
			-26

ტორი, მთაში მზის მაღალი პირდაპირი რადიაცია; მეორე, ხელოვნური ჩარევა — ქარსაფარის გაშენება. ორივე ფაქტორს შეუძლია 15-20%-ით გაზარდოს მცენარისათვის საჭირო სითბოს მიწოდება და აანაზღაუროს აქტიურ ტემპერატურათა ჯამების ნაკლებობა. ქარსაფარი, აღნიშნული დადებითი გავლენის გარდა, ხეხილოვან კულტურებს მოსვენების პერიოდში დაიცავს ზამთრის მკაცრი ყინვებისგანაც. გარდა ამისა, კულტურების გაშენებისას, სასურველია შეირჩეს სამხრეთის ექსპოზიცია და სარგავად გამოყენებულ იქნეს ყინვაგამძლე ჯიშები: პაპიროვკა, სუისლეპერი, ნითელი ასტრახანული, პეპინ-შაფრანი, რომლებიც უძლებენ -35, -40<sup>0</sup> C ყინვასაც კი.

ქარსაფრის გავლენით ვაშლის ხის ფოთლები 2—3<sup>0</sup> C-ით უფრო გათბა. მზის სხივების მოქმედებით თბება არა მარტო ფოთლები, არამედ ვაშლის ხის ერთნაიანი ყლორტები და თვით მთელი მცენარე, მზის სხივების მიმართ პერპენდიკულარულად მიმართული მწვანე ყლორტების ტემპერატურაც მაღალია ჰაერის ტემპერატურაზე და მაქსიმალური სხვაობა 3—4<sup>0</sup> C-ს აღნევს, ქარსაფრის პირობებში კი 4—5<sup>0</sup> C-ს (იხ. სურ. 28 — (ა)). მზის სხივებისაგან დაჩრდილული ფოთლისა და ყლორტის ტემპერატურა ჰაერის ტემპერატურას უზოლდება ღია ადგილზე, ხოლო ქარსაფარში მცენარე 1—2<sup>0</sup> C-ით თბილია ჰაერზე (სურ. 28 — (დ)).

აღნიშნული ფაქტი, რომ დღისით მცენარე გარემომცველ ჰაერზე უფრო მეტად თბება, ასენილ იქნა თ. დავითაიას (1962) მიერ მზის მაღალი რადიაციით, რომ მთაში ჰაერის დაბალი ტემპერატურა ნაზღაურდება მცენარეთა ქსოვილის გახურებით, რაც გამოწვეულია მზის რადიაციის უფრო მეტი ინტენსივობით. ამასთან, დადგენილ იქნა (გაგუა, 1969), რომ სავეგეტაციო პერიოდის ტემპერატურული კონსტანტები მთაში რამდენადაც მცირდება, ისეთივე რაოდენობით პროცენტულად იზრდება მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი.

ლამით, 22.00 საათიდან დილის 7.00 საათამდე მცენარის ფოთლების ტემპერატურა, პირიქით, დაბალია ჰაერის ტემპერატურაზე, სხვაობა 4 საათისთვის აღნევს მაქსიმუმს (ღია ადგილზე 3—4<sup>0</sup> C-ით, ქარსაფარში 1—2<sup>0</sup> C-ით). დროის აღნიშნული მომენტისთვის ქარი სუსტდება, ან საერთოდ წყდება და მცენარის ფოთლები ნამით



სურ. 28. ქარის სიჩქარე (ა), ჰაერის (ბ) და ვაშლის ხის ფოთლების (გ) — მზისადმი პერპენდიკულარულად მიმართული, (დ) — დაჩრდილული, ტემპერატურათა დღელამური მსვლელობა ღია ადგილზე (—) და ქარსაფარში (— — —).

იფარება. ნამი იცავს მცენარეს შემდგომი გადაცივებისაგან. მცენარის სუნთქვა სუსტდება და დღის განმავლობაში დაგროვილი ორგანული ნივთიერებები მცირე რაოდენობით იხარჯება, ე.ი. შემოსავალი ჭარბობს გასავალს. აღნიშნული პროცესი წარმოადგენს მთიან რეგიონებში ბოსტნეული პროდუქტების „გიგანტიზმის“ ერთერთ ხელშემყნობ პირობას.

საკვლევ ტერიტორიაზე წლის თბილ პერიოდში გაბატონებულია აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები, რომელთა სიჩქარე აღწევს 4 მ/წმ. (მელაძე, თუთარაშვილი, 1988). ქარსაფარი ტყის ზოლი საგრძნობლად ასუსტებს ქარის სიჩქარეს (სურ. 28 — (ა)), რის შედეგადაც მცირდება აორთქლება მცენარისა და ნიადაგის ზედაპირიდან. ამის შედეგად ქარსაფარში, ღია ადგილთან შედარებით, საშუალოდ  $1-2^{\circ}$  C-ითაც კი მაღალია ტემპერატურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალმთიან რაიონებში ხეხილოვანი კულტურების გავრცელებას ხელს უწყობს:

ჯერ ერთი, თვით ბუნებრივი ფაქტორი — მთაში მზის მაღალი პირდაპირი რადიაცია;

მეორე, ხელოვნური ჩარევა — ქარსაფარი ტყის ზოლების გაშენება.

ორივე აღნიშნულ ფაქტორს შეუძლია 15-20%-ით მაინც გაზარდოს მცენარისათვის საჭირო სითბოს მიწოდება და აანაზღაუროს აქტიურ ტემპერატურათა ჯამების ნაკლებობა.

ქარსაფარი ტყის ზოლების შექმნა, ზემოაღნიშნული დადებითი გავლენის გარდა, ხეხილოვან მცენარეებს დაიცავს ზამთრის მკაცრი ყინვებისგანაც (Gargya, 1990).

ამასთან, მათი გაშენებისას ყურადღება უნდა მიექცეს რელიეფის ფორმას, ექსპოზიციას, მზიან ფერდობს და, რაც მთავარია, უნდა შეირჩეს მათი ყინვაგამძლე ჯიშები. ვაშლის ასეთი ჯიშებია: რუსეთის — პაპიროვკა, სუისლეპერი, ასტრახანული წითელი, — ბელფლორ-ჩინურა და პეპინ შაფრანი. ქლიავის ყინვაგამძლე ჯიშებია: უსურიის ქლიავი, მწვანე რენკლოდი და სხვა.

მაღალმთიან რაიონებში მეხილეობის განვითარება წამონევს მთის

ეკონომიკას და უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობას ახალი ხილით. ამასთან, მთიანი რაიონების მეხილეობა შექმნის ერთგვარ დამზღვევ ფონდს ბარის ზონაში ხეხილოვანთა დაზიანების შემთხვევაში (გაგუა, გოგიტიძე, 2012).

### **5.3. ცქრიალა (შამპანური) ღვინომასალების წარმოება ზემო იმერეთში**

ზემო იმერეთი მდებარეობს იმერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის გაგრძელებაზე. იგი წარმოადგენს პლატოს, ძირითადად, 500 მ აბსოლუტურ სიმაღლეებზე. ძირულა-ყვირილას შუამდინარეთში მისი სიმაღლე კლებულობს ჩრდილო-დასავლური მიმართულებით. მდინარეული ხეობების სიღრმე რეგიონის შუა ნაწილებისაკენ მატულობს: იგი შორაპნის მიდამოებში უდრის 150-200 მ, ჭიათურასთან — 300 — 400 მ, ხოლო ლიხის ქედის დასავლეთ კალთებთან — 700 — 900 მ.

ზემო იმერეთის პლატო არაერთგვაროვანია და მასზე წარმოდგენილია რელიეფის ორი, გენეტიკურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ტიპი:

**რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს — ჭიათურის სტრუქტურულ პლატოს** — ახასიათებს არაღრმად დანაწევრებული ვრცელი შუამდინარეთები. თუ ამ პლატოს მაღალ პუნქტიდან გადავავლებთ თვალს, მისი ზედაპირი მოვაკებულად წარმოგვიდგება; რომელიმე ხეობის ფსკერზე მყოფი კი წარმოიდგენს მას, როგორც წამდვილ მთიან ტერიტორიას;

**რეგიონის დანარჩენი (სამხრეთ-აღმოსავლური) ნაწილი — ძირულას დენუდაციური პლატო** — წარმოადგენს ძველი პენეპლენის (მოვაკებული ზედაპირის) ნაშთს, დანაწევრებულს ეროზიული ხეობების მჭიდრო ქსელით. ზოგადად ეს ადგილები ტიპიური საშუალომთიანი რელიეფის შთაბეჭდილებას ქმნის.

ზემო იმერეთის პლატოს პიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდ. ყვირილას განტოტვილი სისტემით. რეგიონის ძირითად ნაწილს რწყავენ: ყვირილა, ძირულა და ჩხერიმელა, მათი მრავალი შემდინარით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია — მდ. მდ. საძალისხევი, გეძრულა, დუმალა და სხვ.; რაჭის ქედიდან ჩამომდინარე ძუსა, ბუჯა, კაცხურა, ჯრუჭულა და ლიხის ქედიდან — გვიზგა, რიკოთულა და სხვ.

ნიადაგური საბურველი რეგიონის დასავლურ, შედარებით დაბალ ნაწილში, წარმოდგენილია ნეშომბალა-კარბონატული, ყვითელმინა

და წითელმინა ნიადაგებით (მარუაშვილი, 1964).

რეგიონის ოროგრაფიული თავისებურება განსაზღვრავს ამ მხარის კლიმატურ პირობებს. აქ მზის ნათების ხანგრძლივობა საკ-მაოდ მაღალია და საშუალო წლიური სიდიდე ტერიტორიულად იცვლება 2100 — 2300 საათს შორის. მზის ჯამური რადიაცია საკ-მაოდ მაღალია და წელიწადში 130 — 135 კვალ/სმ<sup>2</sup>-ს შორის მერყეობს. რადიაციული ბალანსის წლიური მაჩვენებელი — 48 — 50 კვალ/სმ<sup>2</sup>. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა — 12,0 — 13,5°C. უცივესი თვის (იანვრის) ტემპერატურა ზღვის დონიდან 600 მ სიმაღ-ლემდე დადგებითია და მერყეობს 3-დან 0°C-მდე. საშუალო მინი-მაღური ტემპერატურა იანვარში ყველგან უარყოფითია — -0,5-დან -5,5°C-მდე. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა სიმაღლის მიხედვით იცვლება 255-დან 200 დღემდე (ჯავახიშვილი, 1977).

ზაფხული, მართალია ცხელი არ არის, მაგრამ საკმაოდ თბილი და ხანგრძლივია. უთბილესი თვეა აგვისტო, რომლის საშუალო ტემპერ-ატურა რეგიონში მერყეობს 23 — 15°C შორის. სავეგეტაციო პერი-ოდი, 10°C-ზე მეტი საშუალო თვიური ტემპერატურით, 7 — 5 თვეს გრძელდება. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე 4100-დან 2500°C-მდე მცირდება (იხ. ცხრ. 29).

რეგიონში მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი შეადგენს 900 — 1500 მმ-ს. აქ განსაკუთრებით მცირე რაოდენობის ნალექები მოდის მდ. ყვირილას ხეობაში, ჭიათურა-სხვიტორის მონაკვეთში (900 — 1200 მმ). ეს ადგილი, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე უფრო მშრალია.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2 — 4 მ/წ უდრის, მაღალ ადგ-ილებში უფრო ძლიერდება.

მევნახეობა — ზემო იმერეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. აქ გავრცელებულ ვაზის ჯიშებს შორის აღსანიშნავია: ცოლიკოური, ციცქა, ძელშავი, გორული მწვანე (ქვიშეური), ალიგოტე, პინო და სხვა. ცქრიალა ღვინოებისთვის აქ ძირითადად იყენებენ ადგილობრივ ჯიშებიდან: ციცქას, ძელშავს და გორულ მწვანეს (ქვიშეური); შემოტანილ ჯიშებიდან: ალიგოტეს, პინოს (ქავი, თეთრი) და შარდონეს.

ზემო იმერეთში მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას ძირი-

კლიმატური ელემენტების განაწილება ზემო იმერულში

პარასტატიკა, ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$		10 <sup>0</sup> -ჟ მდგალი ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	ატმოსფერული ნალექები, მმ	პროცენტის შეფარგლებით სინონიმუ %	% ‘დანიშვნიდ უძღვებისას ადამი ადამიერის მიერ გადასახ მდებარეობის ადგინიანების მდგრადი მდგრადი	ინდიკატორის გადასახ მდებარეობის ადგინიანების მდგრადი მდგრადი	ინდიკატორის გადასახ მდებარეობის ადგინიანების მდგრადი მდგრადი							
280	3,2	23,0	13,2	4.IV	15.XI	224	4090	1366	308	391	73	69	161	61
415	0,4	22,6	11,7	10.IV	2.XI	205	3730	904	172	284	76	69	140	65
793	-0,3	20,2	10,0	21.IV	27.X	188	3120	1477	253	528	76	72	161	65
1242	-3,9	16,2	6,3	15.V	4.X	141	1980	1101	226	327	83	79	181	70

თადად განაპირობებს ნიადაგურ-კლიმატური პირობების თავისებურება; მათ შორის, შედარებით გრილი და ზომიერად ნოტიო ამინდის პირობები. ცოლიკოურის, ციცქასა და გორულ მწვანესაგან აქ, განსაკუთრებით, დაბალ ზონაში, მზადდება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის სუფრის ღვინოები; შედარებით ამაღლებულ ზონაში კი იმავე ჯიშებიდან (ცოლიკოურის გარდა) ბუნებრივად ცქრიალა ღვინოები იწარმოება. ზემო იმერეთში მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის აუზის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ რეგიონში ჩამოყალიბებული, მაღალხარისხოვანი სუფრისა და ცქრიალა ღვინოებისთვის საჭირო ნედლეულის მწარმოებელ ტრადიციულ ციცქას.

**ციცქა** ადგილობრივი მაღალხარისხოვანი თეთრყურძნიანი, საგვანო სიმწიფის, საღვინე ვაზის ჯიშია. მკვლევართა აზრით, მისი წარმოშობის მხარედ ხარაგოულის მუნიციპალიტეტის სოფ. ციცქიური ითვლება. მისი კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში, ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის  $12^{\circ}\text{C}$ -ზე მდგრადი გადასვლიდან, აღინიშნება; ყვავილობა — მაისის ბოლო რიცხვებში. ყურძენი სიმწიფეს აგვისტოს მეორე ნახევარში, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის  $2800^{\circ}\text{C}$  დაგროვებისას იწყებს. ტერიტორიის დაბლობ ნაწილში, 450 მ სიმაღლემდე, საღაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ოქტომბრის პირველ დეკადაში  $3800^{\circ}\text{C}$ -მდე გროვდება, ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის. ამ დროს მისი შაქრიანიბა აღნევს 21,5 %-ს, მუავიანობა კი — 8,4 გ/დმ<sup>3</sup>-ს.

ყურძნის შაქარ-მუავიანობაზე, ვაზის ჯიშების თავისებურებასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობის რელიეფური (ჰიფსომეტრია, ფერდობის ექსპოზიცია, დახრილობა), კლიმატური და ნიადაგური პირობები. როგორც აკად. თ. დავითაია (Давитая, 1952) შენიშნავს, კლიმატი წარმოადგენს კლიმატური ფაქტორების რთულ კომპლექსს, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს ძირითადი, რომლებიც განსაზღვრავენ ღვინის ტიპს და ხარისხს. ყურძნის მომწიფების პერიოდში კლიმატურ პირობებიდან აღსანიშნავია: ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა; მოლრუბლულ, ნალექიან და მოწმენდილ დღეთა რაოდენობა; ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა.

ზემო იმერეთის მევენახეობის გავრცელების არეალში ნალექების ნლიური ჯამი 900 — 1500 მმ-ის, სავეგეტაციო პერიოდში კი — 450 — 700 მმ-ის ფარგლებში იცვლება. მდ. ყვირილას ხეობის მთისწინებზე ცალკეულ ნლებში ვაზის ბუნებრივად დატენიანება არასაკმარისია და იგი ზოგჯერ მორწყვას საჭიროებს.

ციცქას შაქარ-მჟავიანობის მათემატიკური დამოკიდებულება ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლესთან ასეთი სახისაა (გოგიტიძე, 1980, 10):

$$S = -0,00004 \cdot H^2 + 0,03 \cdot H + 16$$

$$T = 0,00003 \cdot H^2 - 0,014 \cdot H + 9,$$

სადაც  $S$  არის შაქრიანობა (%-ში),  $T$  — საერთო მჟავიანობა ( $g/dm^3$ ), — ზღვის დონიდან ადგილის აბსოლუტური სიმაღლე.

ზემო და შუა იმერეთში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, ყურძნის შაქრიანობა სიმაღლის მატებით განსაზღვრულ სიდიდემდე ჯერ მატულობს, შემდეგ კი თანდათან მცირდება. ასე მაგალითად, ზემო იმერეთში 400 მ სიმაღლემდე ციცქას შაქრიანობა 22 %-მდე მატულობს, 800 მ სიმაღლემდე კი თანდათან 16%-მდე მცირდება; საერთო მჟავიანობა 200 მ-ზე 7,4  $g/dm^3$ -დან, 600 მ-ზე — 11,5  $g/dm^3$ -მდე მატულობს, 750 მ-ზე — 15  $g/dm^3$  შეადგენს. 600-დან 800 მ სიმაღლემდე შაქრიანობის 19,5-დან 16%-მდე შემცირების მიუხედავად, მისი საერთო მჟავიანობა მეტად მაღალია, რაც 750 მ-ზე ზევით მისი გავრცელების არეალს ზღუდავს.

შიდა ქართლიდან ზემო იმერეთში შემოტანილი გორული მწვანე-საგან იწარმოება ევროპული ტიპის სუფრისა და ცქრიალასათვის საუკეთესო ღვინომასალა. ეს ჯიში პერსპექტიულია ზემო იმერეთის ზომიერი ტემპერატურის პირობებში. სამეურნეო მნიშვნელობით მისი გავრცელება დასაშვებია 750 — 800 მ სიმაღლემდე, სადაც ეს ჯიში 18 — 17 %-მდე შაქარს აგროვებს, 12 — 13  $g/dm^3$ -მდე მჟავიანობის შენარჩუნებით. 400 მ სიმაღლეზე გავრცელებული აღნიშნული ჯიში 24 %-მდე შაქარს და 6  $g/dm^3$  მჟავიანობას იძენს, 600 მ-ზე კი, შესაბამისად, — 21,5% და 9,5  $g/dm^3$ . გორული მწვანესაგან ევროპული ტიპის სუფრის ღვინოების მისაღებად ხელსაყრელია 400

— 550 მ სიმაღლის ადგილები, სადაც 24 — 22 % შაქრიანობისა და 6 — 8 გ/დმ<sup>3</sup> მჟავიანობის პროდუქტია მიიღება; 550 მ-ზე ზევით კი მის-გან ცქრიალასათვის კონდიციური ღვინომასალა იწარმოება.

ზემო იმერეთში, ციცქასა და გორული მწვანეს გარდა, გავრცელე-ბულია ცქრიალასათვის მაღალხარისხოვანი პროდუქტის მომცემი ადგილობრივი ძელშავი, საფრანგეთიდან შემოტანილი ალიგოტე, პინო და შარდონე. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ზემო იმერეთს გააჩნია სათანადო კლიმატური და ნიადაგური შესაძლებლობები, რომ შიდა ქართლთან ერთად, ჩვენი ქვეყნისთვის ცქრიალა ღვინო-მასალის წარმოების სანედლეულო ბაზად იქცეს (გაგუა, გოგიტიძე, ცხაკაია, 2012).

**დასკვნა.** ზემო იმერეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის კლიმატური და ნიადაგური პირობები, აქ გავრცელებული ზოგიერთი ადგილობრივი და შემოტანილი ვაზის ჯიშებისაგან, წარმოქმნიან სპეციფიკურ, ხარისხოვან ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს. შე-მაღლებული მთისნინა და დაბალმთიან ზონაში, 450-დან 750 მ სიმაღლის ფარგლებში, მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნება ცქრი-ალა ღვინომასალების საწარმოებლად.

## 5.4. სამარკო ლვინომასალების წარმოება

ვაზი მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა იმ მცირე ჯგუფს, რომლისგანაც მიღებული საბოლოო პროდუქცია — ლვინო მგრძნობიარეა გარემო პირობების ცვლილებების მიმართ. ლვნოში, როგორც სარკეში, აისახება ჯიში და მისი მოყვანის ადგილი. კახეთში მიღებული საფერავის ლვინო სრულიად არა ჰგავს ყირიმში იმავე ჯიშისაგან წარმოებულ ლვინოს. უფრო მეტიც, ერთიდაიგივე ჯიშის ვაზი საბოლოო პროდუქტში იძლევა მნიშვნელოვან სხვაობას ტერიტორიის არა მარტო მაკრომასტრატებში, არამედ მეზო — და მიკრო-რაიონებშიც. ასე, მაგალითად, ალაზნის ხეობის ცალკეულ მიკრო-რაიონებში მოწეული ერთიდაიგივე ჯიშის ყურძნის ლვინო არ-სებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან ტიპით და ხარისხით (Давитая, 1952).

აქ შესწავლილი გვაქვს ვაზის რამდენიმე ჯიშის ლვინომასალაზე ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურების გავლენა კახეთისა და რაჭის პირობებში.

„**მანავის მწვანე**“ — ლვინომასალა მიიღება კახური მწვანეს ყურძნის ჯიშისაგან. თვით სოფელი მანავი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, გარე კახეთში, ანუ ივრის ზეგანზე. გარდა მანავისა, აქ არის სოფლები: თოხლიაური, ბურდიანი, გორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, დიდი და პატარა ჩაილური, კაკაბეთი, ვერხვიანი.

ივრის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ინდივიდუალობას განსაზღვრავს მისი შემაღლებულ-ვაკისებური, დატალღული, სუსტად დანანერებული რელიეფი და კონტინენტური მშრალი კლიმატი, მათგან გამომდინარე ჰიდროლოგიური, ნიადაგურ-გეოგრაფიული და გეობოტანიკური შედეგებით. ზაფხულობით შემხუთველი სიცხე, დამშრალი ნაკადულები და წყაროები. მიუხედავად ნაყოფიერი მიწებისა, აქ მოსახლეობა ცოტაა. ივრის ზეგნის ლანდშაფტი იცვლება ნახევარულად ბნოებიდან სტეპებამდე და ტყესტეპებამდე. ნიადაგური საფარი მრავალფეროვანია — წარმოდგენილია წაბლა და შავმიწა სტეპური ნიადაგები, გარდამავალი ტყესტეპური და მლაშობ-ბიცობებიც (მარუაშვილი, 1964).

აღნიშნული რეგიონის მევენახეობის მიკროზონაში ჩატარებული გამოკვლევებით (გოგიტიძე და სხვ. 2005-2006, 108-114 გვ.), ყავის-ფერი ნიადაგები გავრცელებულია სოფლების: ჩალურის, კაკაბეთის და ვერხვიანის ტერიტორიებზე. მდელოს ყავისფერი ნიადაგები — სოფელ მანავში და ალუვიური ნიადაგები კი — მანავის, თოხლიაურის, ჩალურის, საგარეჯო-გიორგიშინდის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილში.

ივრის ზეგანზე მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2100-2400 საათს შეადგენს. ჯამური რადიაცია საკმაოდ მაღალია და წლიური სიდიდე 120-130 კელ/სმ<sup>2</sup>-ია. რადიაციული ბალანსი კი წლიურად 50-52 კელ/სმ<sup>2</sup>-ს შეადგენს. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 11-12°-ს შორის. უცივესი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა — -0,10°-ია, უთბილესი თვის (ივლისი) — +22°. საშუალო დღელამური ტემპერატურის ამპლიტუდა ყველაზე მაღალია აგვისტოში 11,6°; შემოდგომაზე ამპლიტუდა უფრო მაღალია, ვიდრე გაზაფხულზე. ეს ანგარიშგასასწევი ფაქტორია ყურძნის მომწიფებისა და მისი მაღალი ხარისხის მისაღწევად.

ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის 10°-ზე ზევით გადასვლა საშუალოდ აღინიშნება 16.IV-ს, ხოლო შემოდგომაზე დადგომა 27.X-ს, ე.ი. სავევეტაციო ჰერიოდის ხანგრძლივობა 193 დღეს შეადგენს. ამ ჰერიოდში დაგროვილი აქტიურ ტემპერატურათა საშუალო ჯამი 3420°-ია. რეგიონი გამოირჩევა ზაფხულის მაღალი ტემპერატურებით. ყველაზე ცხელი თვეებია ივლისი და აგვისტო. აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 38°-ს აღწევს, წლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო 33°-ია. აბსოლუტური მინიმუმების საშუალო -12°-ია.

ივრის ზეგანზე, საგარეჯოს მონაცემებით, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 865 მმ-ია, აქედან წლის ცივ ჰერიოდში მოდის 260 მმ, ხოლო თბილ ჰერიოდში — 605 მმ. ყველაზე ნალექიანია მაისი (133 მმ); მინიმალური აღინიშნება დეკემბერ-იანვარში (37 მმ). ნალექები თოვლის სახით იშვიათია. თოვლის საბურველის წარმოქმნის საშუალო თარიღია 10.XII, ხოლო გაქრობის — 19.III. თოვლის საშუალო სიმაღლე 5 სმ-ს არ აღემატება, მაქსიმალური კი — 20 სმ-ს.

**“კახური მწვანეს” ძირითადი ფაზები მანავის მიკროზონაში**

ცხრილი 30

ყურძნის ხარისხი (ლ/მ²)	(მდ-%) ღამების მარტივობა	ცხრილი 30		
		22.IV	5.VI	25.IX
ცხრილი 30	22-23	190	6,0-7,8	
ცხრილი 30	29.X			
ცხრილი 30	3500°			
ცხრილი 30				
ცხრილი 30				

თბილი პერიოდისთვის დამახასიათებელია სეტყვა. იგი წელიწადში 1-3-ჯერ მოდის, უფრო ხშირად მაისში.

შეფარდებითი სინოტივის ნლიური მნიშვნელობა 69%-ია. ისეთი დღეები, როცა შეფარდებითი სინოტივე დაკვირვების ნებისმიერ ვადაზე  $\leq$  30%, რეგიონში 20-მდეა (ჯავახიშვილი 1977).

ივრის ზეგანზე ნლის განმავლობაში გაპატონებულია ჩრდილო-დასავლეთის და დასავლეთის ქარები; თბილ პერიოდში მატულობს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარების სიხშირე. ზაფხულში და შემოდგომაზე ქარებს სამხრეთიდან (აზერ-ბაიჯანი) შემოაქვს დამატებითი სითბო, რაც კიდევ უფრო ამაღლებს სითბურ რეჟიმს. ეს ფაქტი ყურადსალებია ამ რეგიონის მევენახეობისათვის.

მაღალხარისხოვანი პროდუქცია (შაქრიანობა 22-23%) მიიღება იმ ნლებში, როცა აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $3500^{\circ}$ -ს აღემატება; მიკროზონაში კი ასეთი ნლების რაოდენობა 50%-მდეა (იხ. ცხრ. 30).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1). საგარეჯოსა და მის მეზობლად მდებარე სოფლების ტერიტორიის სპეციფიკურ კლიმატურ პირობებს განაპირობებს რადიაციული ბალანსის აქაური მაღალი მაჩვენებლები, რითაც გამოწვეულია თავისებური თერმიული რაჟიმი; ზაფხული და შემოდგომა ძლიერ თბილია.

2). ყურადღებას ისახურებს აქაური ქარების რეჟიმი; ზაფხულში და შემოდგომაზე სამხრეთის ქარებით აღინიშნება აჯერბაიჯანის ტერიტორიიდან დამატებითი სითბოს შემოდინება, რომელსაც კედლად ელობება და აკავებს ჩრდილოეთიდან გომბორის ქედის მთიანი სისტემა, რაც კიდევ უფრო ამაღლებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების სითბურ რეჟიმს.

3). განსაკუთრებულ პირობებშია სოფლები — მანავი და თოხლიაური, რომლებიც გომბორის ქედის განშტოებებით დამატებით დაცულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაც, რაც განაპირობებს აღნიშნული სოფლების სპეციფიკურ კლიმატურ რეჟიმს. აღნიშნულ სპეციფიკურობაში შესაძლებელია დავინახოთ „კახური მწვანეს“ მაღალი მოსავლეოანობა და თვით მიღებული ღვინის განსაკუთრე-

ბული სპეციფიკურობა.

4). მანავისა და თოხლიაურის ტერიტორიაზე ღვინის სპეციფიკურობა აიხსნება, აგრეთვე, აქაური ნიადაგების ტიპით — ალუვიური ნიადაგებითაც.

5). ჩატარებული კვლევის ანალიზი საფუძველს გვაძლევს პერსპექტიულად ჩაითვალოს მანავის მიკრორაიონის ვენახების ფართობის ზრდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით თოხლიაურიდან ხაშმამდე, ზღვის დონიდან 500 მ-დან 750 მ-დე სიმაღლის ზონაში.

„ქინძმარაული“ — მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოა. იგი მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან სოფ. ქინძმარაულში. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო „ქინძმარაული“ იწარმოება მხოლოდ ნიადაგურ-კლიმატური პირობებით გამორჩეულ უნიკალური ქინძმარაულის მიკროზონაში. ქინძმარაული მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ყვარელის მუნიციპალიტეტთან ახლოს, ალაზნის ვაკეზე. ალაზნის ვაკე წარმადგენს კახეთის გულს, რომელიც მოქცეულია, ერთი მხრივ, კავკასიონსა და, მეორე მხრივ, გომბორის ქედსა და ივრის ზეგანს შორის. იგი სამი მხრიდან ჩაკეტილია ქედებით. საქართველოს ფარგლებში ალაზნის ვაკე გაჭიმულია 110 კმ-ზე, მისი უდიდესი სიგანე კი 28-30 კმ-ს უდრის, რომელიც მაღლდება და გადადის მთისწინეთის ზოლში. ვაკის სიმაღლე 200-470 მ-ია, მთისწინეთისა კი 700-800 მ. მთისწინეთის ზოლი გაკვეთილია მდინარეებით, რომელთაგან მდ. მდ. დურუჯი და ბურსა ყვარელთან გამოედინება. ალაზნის ვაკეზე გამომავალი მდინარეები ქმნიან გამოზიდვის კონუსებს. მაგალითად, დურუჯს ყვარელთან აქვს ზომები: 10X6,5 კმ, შეფარდებითი სიმაღლე 180 მ (მარუაშვილი, 1964).

შიგნითკახეთის კლიმატი, თავისი ბუნებრივი პირობების გამო, მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, იმავე სიმაღლეზე მდებარე, ადგილების კლიმატისაგან. ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. აქაური კლიმატი და ნიადაგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, აქაური მევენახეობა კი მსოფლიოში სახელმოწვევეჭილი ღვინოებით ხასიათდება.

მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2300 საათს აჭარბებს.

მზის ჯამური რადიაცია მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს უფრო ნაკლებია და შეადგენს 110-120 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს, ხოლო მარჯვენა მხარეს — 120-139 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს. ამის მიზეზია მარცხენა მხარეში მომატებული ღრუბლიანობა. რადიაციული ბალანსი მარჯვენა მხარეში 51 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს აღემატება.

შიგნით კახეთში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია და ტერიტორიულად იცვლება 11-13° ფარგლებში; უცივესი თვეა იანვარი 0-დან 1°-მდე. უთბილესი თვეებია ივლისი და აგვისტო; ორივე ერთნაირად ცხელია და საშუალოდ შეადგენს 23,6°. ჰაერის საშუალო დღელამური ამპლიტუდა ზაფხულში და შემოდგომაზე 9,5°-ზე მაღალია; წლიური ამპლიტუდა კი 23°-ს აღწევს. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო 35°-ია, აბსოლუტური მაქსიმუმი კი 38°; აბსოლუტური მინიმუმების საშუალო შეადგენს - 11°-ს, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -23°-ს (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 175).

ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის 10°-ზევით მდგრადი გადასვლა აღინიშნება 5.IV-ს, ხოლო შემოდგომაზე დადგომა კი 4.XI-ს, ე.ი. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 212 დღეს. აღნიშნულ პერიოდში გროვდება საშუალოდ 4000°-ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. შემოდგომა სავრდნობლად თბილია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძენში შაქრიანობის ასამაღლებლად.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1070 მმ-ს შეადგენს. ნალექების მინიმალური რაოდენობა — 40 მმ მოდის ზამთარში (იანვარი), მაქსიმალური — 181 მმ (მაისში), ცივ პერიოდში მოდის 265 მმ, ხოლო თბილ პერიოდში — 805 მმ. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში 132 დღეა.

საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 72%-ია; ყველაზე მშრალი თვის (აგვისტო) — 64%-ს შეადგენს; ამავე თვეში 13 საათისთვის ყველაზე დაბალი შეფარდებითი სინოტივე 48%-ია.

რეგიონში ქარები ძირითადად ხეობის გასწვრივ ქრის. წლის ცივ პერიოდში უმეტესად აღინიშნება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულობით სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარები. ზაფხულის ქარებს სამხრეთიდან (აზერბაი-

ჯანიდან) შემოაქვს დამატებითი სითბო, რაც კიდევ უფრო ამაღლებს რეგიონის სითბურ რეჟიმს. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე დიდი არ არის, საშუალოდ 1,2 მ/წმ.

მიკროზონაში სეტყვიან დღეთა რიცხვი 2,1-ს უდრის. იგი ყველაზე ხშირად მაისში (0,9 დღე) მოდის; სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენ თვეებში — 0,1-0,3 დღის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1). საფერავისაგან სუფრისა და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ხარისხოვანი პროდუქციის მნარმოებელ კახეთის მევენახეობის ზონაში უნიკალურად ითვლება ქინძმარაულის მიკროზონა.  $10X6,5$  კმ<sup>2</sup> ფართობის მქონე აღნიშნული ტერიტორია წარმოდგენილია მდ. დურუჯის მონატანი შავი ფიქლების ნაშალი მასალით მოფენილი ტყის ალუვიურ უკარბონატო ნიადაგებზე. გამოზიდვის კონუსზე ნაცრისფერი მოშავო ფერის ფიქლებიანი ნიადაგის ზედაპირი დამატებითი სითბოს წარმომქმნელია. იგი დღისით მზის სხივური ენერგიით მეტად ხურდება, ღამით კი თანდათან გამოასხივებს დანაგროვებ სითბოს.

2). საკვლევ რეგიონში შემოდგომა საქმაოდ თბილია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი ყურძნის მოსავლის მისაღებად, მასში მაღალი შაქრიანობის დასაგროვებლად.

3). ზაფხულობით და შემოდგომაზე ქარები ძირითადად ქრის სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან, რომელსაც შემოაქვს დამატებითი სითბო ივრის ზეგნიდან და აზერბაიჯანიდან. ქარებს კედლად ელობება და აკავებს კავკასიონის მთიანეთი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს აღნიშნული მიკროზონის სითბურ რეჟიმს.

4). ყვარლის მუნიციპალიტეტის საკვლევი ტერიტორიის ბუნებრივი თავისებურება, აქაური კლიმატი და ნიადაგი განაპირობებს მსოფლიოში ცნობილი ღვინო „ქინძმარაულის“ წარმოებას. მსგავსი პროდუქციის წარმოება შესაძლებელია, აგრეთვე, მდ. დურუჯის ხეობის გარდა, მდ. მდ. ჩელთისა და ბურსას ხეობების სპეციფიკურ მიკროზონებშიც.

„ხვანჭკარა“ — ღვინომასალა ატარებს სოფლის სახელწოდებას. იგი საყოველთაოდ აღიარებული ბუნებრივად ნახევარტკბილი წითელი ღვინოა, მზადდება ალექსანდროულის და მუჯურეთულის

ვაზის ჯიშებიდან. სოფ. ხვანჭკარა მდებარეობს ლეჩხუმისა და რაჭის ქედებს შორის მოქცეულ მდ. რიონის ხეობაში, ამბროლაურის რაიონში. იგი გაშლილია ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 400-650 მ სიმაღლის ფარგლებში, მდ. რიონის განედური მიმართულების ხეობის გასწვრივ 35-40 კმ მანძილზე მდებარე ჩაკეტილ ქვაბულში. აღნიშნულ ხეობაში, გარდა ხვანჭკარისა, არის თვით დაბა ამბროლაური და სოფლები: დიდი და პატარა ჩორჯო, ტრებალო, სადმელი, I და II ტოლა, კვაცხუთი, ნესი და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმში მევენახეობა-მელვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. ასეთ პატარა ტერიტორიაზე, ხალხური სელექციის შედეგად, ჩამოყალიბდა ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს შეგუებული მრავალი ენდემური ვაზის ჯიში. მათგან, ამჟამად სამეურნეო დანიშნულებით ძირითადად გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე, რომლებიც აქ იძლევა ადგილდასახელებისა და ჯიშების თანამოსახელე სახელწოდების ღვინოებს: ხვანჭკარა, უსახელოური, რაჭული თეთრა, ორბელური, ტვიში, ალექსანდროული და სხვა.

ხვანჭკარის სანარმოო მიკროზონები მდებარეობს ქვემო რაჭაში მდ. რიონის განედური მიმართულების ხეობის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ, დაახლოებით 26 კმ მანძილზე მდ. მდ. ლუხუნის წყალსა და ლაჯანურს შორის არსებულ სოფლებში. ლეჩხუმის ქედის სამხრეთულ დაქანებზე ძირითადად გვხვდება მერგელებზე და ქვიშაქვებზე განვითარებული ნეშობპალა-კარბონატული ნიადაგები. ხარისხიანი ღვინოების მომცემია აქ გავრცელებული ხირხატიანი მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები. ნიადაგის ქიმიური შემადგენლობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კირს. იგი გავლენას ახდენს ვაზის ზრდა-განვითარებასა და მისი პროდუქციის ხარისხზე.

რაჭა-ლეჩხუმში ვაზის ენდემური ჯიშების გავრცელების მთავარი მაპროფილებელია კლიმატი. აქაური კლიმატის ფორმირებას განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში განვითარებული დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ატმოსფერული პროცესები. ამიტომ აქ, ხეობის გასწვრივ, გაბატონებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულების

ქარები. ხეობის ჩაკეტილობის გამო, ქარის სიჩქარე დიდი არ არის, საშუალოდ 0,7 მ/წმ. რეგიონისთვის დამახასიათებელია ფიონები და ბრიზული ცირკულაცია. ხშირად მათ ემთხვევა მთა-ხეობის ქარები, რითაც უფრო იზრდება მათი კლიმატური მნიშვნელობა.

მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში საშუალოდ 2000 სთ-ზე მეტია. მზის ჯამური რადიაცია მაღალია და 150 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს აღნევს. აქაურ მაღალ თერმულ რეჟიმს განაპირობებს ისიც, რომ იგი ჩრდილოეთიდან დაცულია ლეჩებუმის ქედით ცივი ჰაერის მასების უშუალოდ შემოჭრისაგან. ჰაერის საშუალო მრავალნლიური ტემპერატურა 11°-ია, უცივესი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა - 0,3°; ზაფხული ცხელია, უთბილესი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა 23°-ია. ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის 10°-ზე ზევით მდგრადი გადასვლა აღინიშნება აპრილის პირველი დეკადის დასასრულს, ხოლო შემოდგომაზე დადგომა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 205 დღეა, რომლის განმავლობაში გროვდება 3660° აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო 37°, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°, აბსოლუტური მინიმუმების საშუალო რეგიონში -16°, აბსოლუტური მინიმუმი კი -27° ( ჯავახიშვილი, 1977, გვ. 177).

ატმოსფერული ნალექების საშუალო ნლიური რაოდენობა 1070 მმ-ია, ყველაზე მცირეა იანვარში — 78 მმ, მაქსიმუმია მაისში — 106 მმ. ცივ პერიოდში (XI-III) მოსული ნალექების ჯამი 425 მმ-ია, ხოლო თბილ პერიოდში 645 მმ. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ შეადგენს 138 დღეს. თოვლის საფარის გაჩენა საშუალოდ აღინიშნება 19.XII-ს, გადნობის საშუალო თარიღია 18.III. დღეთა რიცხვი თოვლის საფარით შეადგენს 40 დღეს. პირველი ნაყინვა საშუალოდ აღინიშნება 12.XI, ბოლო ნაყინვა კი 5.IV-ს. უყინვო პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა 220 დღეა.

შეფარდებითი სინოტივეს ნლის განმავლობაში მცირე ცვლილება ახასიათებს, საშუალო ნლიური მნიშვნელობა 75%-ია, ზაფხულის თვეებში 71%.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

თავისებური ტიპის „ხვანჭკარის“ ღვინომასალის წარმოებას ქვემო რაჭაში განაპირობებს:

1). ამბროლაურის ქვაბულში რელიეფური პირობები — ჩრდილოეთიდან ლეჩეუმის ქედით დაცული განედური მიმართულების სამხრეთული დაქანების მთისწინებზე შექმნილი სპეციფიკური კლიმატური პირობები: მზის მაღალი სხივური ენერგია, ზაფხულის ტემპერატურების მაღალი თერმიული რეჟიმი, ზომიერი დაძაბულობა, ტერიტორიის საკმაო დატენიანება.

2). ნიადაგური პირობები: მერგელებზე და კირქვებზე განვითარებული ხირხატიანი, მსუბუქი, მექანიკური შემადგენლობის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები (გაგუა, გოგიტიძე, 2012).

## 5.5. საფერავის სამარკო ღვინოები შიგნითკახეთში

შიგნითკახეთი მდებარეობს, ერთმხრივ, კავკასიონსა და მეორე მხრივ, გომბორის ქედსა და ივრის ზეგანს შორის. ეს უკანასკნელი გაგრძელებას პოულობს აზერბაიჯანის ფარგლებში აგრიჩაის ველის სახით. მთებით თითქმის ყოველმხრივ შემოზღუდული ალაზნის ვაკის ჰავა არსებითად განსხვავდება მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის ჰავისაგან, მეტი დატენიანებით. აღმოსავლეთ საქართველოში არსად სხვაგან ესოდენ ნაზი, რბილი ჰავა არ გვხვდება. ეს ბუნებრივი თავისებურება კახეთის მეურნეობის დოკუმენტით მტკიცე საფუძველია — საკმარისია გავიხსენოთ აქაური მევენახეობა მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ღვინოების თაიგულით (მარუაშვილი, 1964, გვ. 277).

მიკროზონაში, თუ ნიადაგის გავლენა ყურძნისა და ღვინის ხარისხში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გარკვევულად უცვლელია, ეს არ ითქმის მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე, რომლებიც წლების მიხედვით მკვეთრი ცვლილებით ხასიათდება. ამიტომ კონკრეტულ ნიადაგურ პირობებში ამა თუ იმ ჯიშიდან წარმოებული ყურძნის ხარისხის ბუნებრივ ცვლილებას, ძირითადად განსაზღვრავს მეტეოროლოგიური ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედება. ასე მაგალითად, გასული საუკუნის განმავლობაში მდ. ალაზნის ხეობაში (თელავი) აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $\Sigma t > 10^\circ C$ ) იცვლებოდა  $3290^\circ C$ -დან ( $1907^\circ C$ )  $4250^\circ C$ -მდე ( $1966, 1989$  წ.წ.) ფარგლებში; ამპლიტუდა  $960^\circ C$  აღნევს. წლების მიხედვით იცვლებოდა დამზადებული ღვინის ხარისხი.


აკად. თ. დავითაიას (Давитая, 1952, с. 193) მიერ ჩატარებული კვლევიდან მრავალწლიური  $1887—1945$  წ.წ. (59 წელი) მასალებში ჩანს, რომ საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოები მიიღება წლებში, როცა სითბოს ჯამი საშუალოდ  $4000^\circ C$  ( $3800$ —დან  $4200^\circ C$ -მდე ფარგლებში) უდრის; ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა  $24^\circ C$  ( $23$ — $26^\circ C$ ), სექტემბრის საშუალო ტემპერატურა  $19^\circ C$  ( $17$ — $22^\circ C$ ) და ამ თვეში საშუალოდ 50 მმ—მდე ნალექი მოდის. კარგი ხარისხის სუფრის ღვინოები მიიღება წლებში, როცა საშუალოდ  $3780^\circ C$  ( $3600$ — $3900^\circ C$ ) სითბოს ჯამია,  $23^\circ C$ —ზე მეტი უთბილესი თვისა და  $18^\circ$

C-ზე მაღალი სექტემბრის საშუალო ტემპერატურებით და ამ თვეში 600 მმ — მდე ნალექებით. მდარე და ცუდი (უარესი) ხარისხის სუფრის ღვინოები იწარმოება წლებში, შესაბამისად, 3650° C (3500 – 3800° C) და 3400° C (3200 – 3600° C) სითბოს, უთბილესი თვის 22 – 24° C, სექტემბერში 16 – 18° C ტემპერატურებისას და ამ თვეში 80 – 110 მმ საშუალო რაოდენობის ნალექების პირობებში.

თ. დავითაიას მიერ გამოყენებული კვლევის მასალას, ჩვენს მიერ დაემატა 1946 — 2004 წწ (58) მასალები; მიღებული შედეგები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. 1887 წლიდან 2004 წლის ჩათვლით (117 წელი) პერიოდში: საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოების საწარმოო წლებია საშუალოდ 33%, კარგი ხარისხის ღვინოებისა — 27%, მდარე ხარისხის — 17% და ცუდი ხარისხის 23%. აქედან გამომდინარე აგროეკოლოგიური რესურსებთან დაკავშირებული მევენა-ხეობა—მებალეობა, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, მეტად რენტაბელურია.

საფერავი მსოფლიო სორტიმენტის საწარმოო წითელყურძნიან ჯიშთა საუკეთესო წარმომადგენელია; საკმაოდ უხვმოსავლიანია (8 – 10 ტ/ჰა), სიმწიფეში სექტემბრის მეორე ნახევრიდან შედის, მწიფე ყურძენში შაქრიანობა 26%—ს აღწევს, 7,5 – 8,5 გ/დმ<sup>3</sup> მუავიანობით. შიგნითკახეთში იგი მაქსიმალურად ამულავნებს თავის პოტენციურ შესაძლებლობებს და სამეურნეო დანიშნულებით საუკეთესო ხარისხის ღვინომასალას იძლევა თითქმის ყველა ტიპის წითელი ღვინისათვის (იხ. სურ. 29).

**ნაფარეულის** (420 მ ზ. დ.) მევენახეობის მიკროზონა მოქცეულია მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროსა და კახეთის კავკასიონის ქედის სამხრეთული დაქანების 350 — 500 მ სიმაღლის საზღვრებში. აქ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $\Sigma t > 10^{\circ}$  C) საშუალოდ 3980 – 3780° – ის ფარგლებში მერყეობს. 300 მ სიმაღლის მიკროზონაში, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 4250° გროვდება, საფერავისაგან ბუნებრივად ნახევარადტკბილ ღვინომასალას მივიღებთ 70% წლებში, ე.ი. 10 წლიწადში 7-ჯერ; 400მ სიმაღლეზე — ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინომასალას მივიღებთ 25% წლებში, ე.ი. 4 წლიწადში ერთჯერ; 500 მ სიმაღლეზე — ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინომასალას, რომელიც 4000° C-ზე მეტი სითბოს და-



**სურ. 29 საფერავის სამარკო ღვინომასალის საწარმოო ზონა  
შიგნითკახეთში.**

გროვების შემთხვევაში იწარმოება, მივიღებთ მხოლოდ 10% ნლებში, ე.ი. 10 წელინადში ერთჯერ.

მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს (გაღმამხარში), სანაპიროს გასწვრივ გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები, შემაღლებულ ადგილებში კი გვხვდება ტყის ყავისფერი და წაბლა ნიადაგები, მიკროზონაში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა  $12,4^{\circ} \text{C}$ —ია, ყველაზე თბილ თვეებში (ივლისი, აგვისტო) ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა  $23^{\circ} \text{C}$ —ს აღემატება. ნალექების წლიური ჯამი 845 მმ—ია, ხოლო სავეგიტაციო პერიოდში 630 მმ—ს უდრის.

„ნაფარეულის“ მარკის ღვინომასალის მისაღებად, საფერავის ყურძენი 19% — ზე მაღალი შაქრიანი იკრიფება. იგი შექმნილია 1890

წელს და მინიჭებული აქვს 7 ოქროს, 4 ვერცხლის და ბრინჯაოს მრავალი მედალი.

„ქინძმარაულის“ მევენახეობის მიკროზონა მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა შენაკად მდ. დურუჯის ხეობაში, კახეთის კავკასიონის ქედის სამხრეთისაკენ 3 – 5°-ით დახრილ გავაკებაზე. მდ. დურუჯის მიერ ჩამონაზიდი, მოშავო ფერის ფიქლებით დაფარული (10 X 6,5 კმგ ფართობის) გამოზიდვის კონუსი, დღის განმავლობაში მზის ენერგიით მნიშვნელოვნად ხურდება. მიკროზონაში ნიადაგისა და ჰაერის მინისპირა ფენის ტემპერატურა მიმდებარე ადგილებთან შედარებით 2—3°-ითაა მომატებული. „ქინძმარაულის“ მიკროზონაში დაგროვილ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ  $4150^{\circ}\text{C}$  აღნევს. ასეთ შემთხვევაში სითბოს საერთო რაოდენობა  $3850$  — დან ( $95\%$ )  $4400^{\circ}\text{C}$ —მდე ( $10\%$  ნლებში) ფარგლებში მერყეობს. საპაზისო შაქრიანობა მიკროზონაში  $22\%—\text{ს}$  უნდა აჭარბებდეს, ხშირად  $26—27\%—\text{ს}$  აღემატება, მჟავიანობა  $5—7\text{ g}/\text{დმ}^3$ .

„ქინძმარაულის“ მიკროზონის ბუნებრივი თავისებურება, აქაური კლიმატი და ნიადაგი განაპირობებს ცნობილი ღვინო „ქინძმარაულის“ წარმოებას. მსგავსი პროდუქციის წარმოება შესაძლებელია, მდ. დურუჯის ხეობის გარდა, მდ. მდ. ჩელთისა და ბურსას ხეობების სპეციფიკურ მიკროზონებშიც (გაგუა, გოგიტიძე, 2012, გვ. 37). „ქინძმარაულის“ მარკა შექმნილია 1942 წელს. ღვინო დაჯილდოვებულია 5 ოქროს, 7 ვერცხლის და მრავალი ბრინჯაოს მედლით.

„ყვარლის“ (440 მ ზ.დ.) მევენახეობის მიკროზონა მდ. ალაზნის მარცხენა მხარესაა, ნაფარეულის აღმოსავლეთით 28 — 30 კმ—ზე. აქ ნალექი შედარებით მომატებულია, ვიდრე ნაფარეულის მიკროზონაში. ამასთან, მომატებული ღრუბლიანობა და მზის ნათების ნაკლები ხანგრძლივობა და სხვა აგროკლიმატური მაჩვენებლები განაპირობებს ღვინომასალების სინაზეს.

ზღვის დონიდან  $350 — 450$  მ სიმაღლის ფარგლებში არსებულ ფართობებზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4050$ -დან  $3850^{\circ}\text{C}$ —მდე იცვლება. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოსათვის საკმაო  $4000^{\circ}\text{C}$  სითბოს დაგროვება დადაბლებულ ადგილებში უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით  $50\%$  ნლებში (ყოველ ორ წელიწადში ერთჯერ);  $450$  მ სიმაღლეზე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $3850^{\circ}\text{C} —$

25% ნლებში (ოთხ წელიწადში ერთჯერ); 500 მ სიმაღლის ზონაში ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინომასალას მივიღებთ 5% ნლებში (100 წელიწადში 5—ჯერ).

მიკროზონაში საფერავიდან წარმოქმული სუფრის წითელი ღვინო „ყვარელი“ დაჯილდოებულია 4 ოქროს და 3 ვერცხლის მედლით.

„მუკუზანი“ (450მ ზ.დ.) ერთ-ერთი საუკეთესო სუფრის წითელი ღვინოა. აღნიშნული მიკროზონა მდებარეობს მდ. ალაზნის წინამსარში, გომბორის ქედის 3 — 5°C დაქანების ჩრდილო — აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობზე, ზღვის დონიდან 450 — 550 მ სიმაღლის ფარგლებში. (სოფ. მუკუზანის ახლომდებარე სოფლებია: ჩუმლაყი, ახაშენი, ველისციხე, ზეგაანი). მიკროზონაში 250 ჰა-მდე საფერავის ჯიშის ვაზი გაშენებულია კირქვებსა და კირნარ კონგლომერატებზე განთავსებულ ტყის ყავისფერ ნეშომპალა—კარბონატულ ნიადაგებზე. მზის ნათების ხანგრძლივობა 2200 საათის ფარგლებშია. საშუალო წლიური ტემპერატურა  $12,4^{\circ}$  C, უცივესი თვეები იანვარი  $0,9^{\circ}$  C საშუალო ტემპერატურით; უთბილესი თვეებია ივლისი და აგვისტო  $23,6^{\circ}$  C საშუალო თვიური ტემპერატურით, საშუალო დღედამური ამპლიტუდა ყველაზე მაღალია აგვისტოში  $9,4^{\circ}$  C, საშუალო დღედამური ტემპერატურის  $10^{\circ}$  C-ზე ზევით გადასვლის თარიღია 5. IV, ხოლო შემოდგომაზე დადგომის თარიღი 3. XI-ია, სავეგიტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 211 დღეს შეადგენს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $3950 — 3750^{\circ}$  C ფარგლებში იცვლება. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის მისაღებად საჭირო ( $>4000^{\circ}$  C) სითბოს დაგროვებას აქ ადგილი ექნება 30% ნლებში, ე.ი. 10 წელიწადში 3-ჯერ.

შემოდგომა მუკუზანის მიკროზონაში საკმაოდ თბილია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად, მაღალი შაქრიანობის დასაგროვებლად. მიკროზონის ტერიტორიის ბუნებრივი თავისებურება, კლიმატური პირობების ჰარმონიული შერწყმა, განაპირობებს მსოფლიოში ცნობილი ღვინის „მუკუზანის“ ნარმოების შესაძლებლობას. მისი ღვინის დამზადების ტექნოლოგია „ნაფარეულისა“ და „ყვარლის“ ანალოგიურია, მათგან განსხვავებულია ოდნავ გაზრდილი ალკოჰოლით  $10,5 — 12,5^{\circ}$ , მუკუზანის 6,7 — 7,5 გ/დმ<sup>3</sup> და ექსტრაქტულობით 23გ/დმ<sup>3</sup>. სუფრის მშრალი, წითელი

სამარკო ლვინო „მუკუზანი“ გამოდის 1893 წლიდან, დაჯილდოვებულია 15 ოქროს, 5 ვერცხლის და ბრინჯაოს მრავალი მედლით.

„ახაშენის“ (450 მ ზ.დ.) მევენახეობა—მეღვინეობის მიკროზონა მდებარეობს „მუკუზნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. მოიცავს გომბორის ქედის ტყისპირა კალთებს, მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადების ჭერმისხევსა და ფაფრისხევს შორის 450 — 550 მ სიმაღლის არეალში. აქ ვენახები გაშენებულია 1123 ჰ-ზე. უნიკალური თვისებების ლვინომასალა ინარმოება ფაფრისხევის მინდვრებზე. ახაშენი ქინძმარაულის მიკროზონიდან დაშორებულია 15 კმ-ით, ადგილის სიმაღლეც მსგავსია. თუმცა ქინძმარაულში ატმოსფერული ნალექები მეტია, ჰაერის ტემპერატურული პირობები თითქმის თანაბარია. თუმცა ლვინო „ახაშენი“ მკვეთრად განსხვავდება „ქინძმარაულისაგან“. აქ ლვინო უფრო სქელია და მუქი ლილისფერი, არომატულია. მზის ნათების ხანგრძლივობა 2180 სთ-ის ფარგლებშია, ჰაერის საშუალო ნლიური ტემპერატურა 12,5°-ია. უცივესი თვეა იანვარი 1,1°-ით, უთბილესი თვეა ივლისი 23,7° საშუალო ტემპერატურა, თითქმის უზოლდება აგვისტოსი 23,5° C, საშუალო დღელამური ტემპერატურის 10° C-ზე გადასვლა აღინიშნება 5. IV-ს, ხოლო შემოდგომაზე დადგომა 4. XI-ს, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაშეადგენს 212 დღეს. ამ პერიოდში გროვდება 3940° C აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. სითბოს აღნიშნული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ბუნებრივი ნახევრადტკბილი ლვინოსათვის, უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით 50% ნლებში (ყოველ ორ წელინადში ერთჯერ).

ახაშენში საფერავის ჯიშის ვაზი თითქმის იგივე ბუნებრივ-კლიმატური პირობებშია, როგორც მუკუზანში, რაც განაპირობებს საყოველთაოდ აღიარებული ადგილდასახელების „ახაშენის“ წარმოებას. იგი გამოდის 1958 წლიდან; მიღებული აქვს 8 ოქროს, 6 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

„კარდანახი“ მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო ზოლში; მოქცეულია ბაკურციხე — ვაქირის ხევებს, მდ. ალაზანსა და გომბორის ქედის მთინინებს შორის. მიკროზონა კახური ტიპის ლვინოების წარმოების კლასიკურ მხარეს წარმოადგენს; უკავია 350—500 მ სიმაღლის არეალები. ჰაერის საშუალო ნლიური ტემპერატურა 12,5° C-ის ყველაზე თბილი თვეების (ივლისი-აგვისტო) საშუალო ტემპე-

რატურა 23–25° C-ის ფარგლებშია. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 780 მმ-დეა, სავეგიტაციო პერიოდში 580 მმ მოდის. ყველაზე ნალექიანია მაისი-ივნისი. ყურძნის სიმწიფის პერიოდში (აგვისტო, სექტემბერი) 60—65 მმ ნალექი მოდის.

მუქი მონითალო და წაბლისფერი, რკინითა და სხვა კარბონატებით მდიდარ თიხნარ ნიადაგებზე გაშენებული საფერავის ჯიშის ვაზი 25—27 %-მდე შაქარს აგროვებს.

„ფიროსმანი“ სუფრის ნახევრადმშრალი წითელი კახური ღვინოა. ინარმოება 1981 წლიდან. ალნიშნული სამარკო ღვინის მისაღებად ყურძენი იკრიფება 22% შაქრიანობისას, ასეთი ღვინომასალების მისაღებად საჭიროა წლები, როცა  $10^{\circ}$  C-ზე მეტი ტემპერატურათა ჯამი 4000–3800° C-ის ფარგლებშია. ღვინომასალას ადულებენ კლერტგა-ცლილ ჭაჭაზე კახური წესით თიხის ქვევრებში. ამ ტიპის ორიგინა-ლურობას განაპირობებს აგროკლიმატური პირობებისადმი ტექნოლოგიური პროცესების ზომიერი შერწყმა. ღვინო დაჯილდო-ვებულია 2 ოქროს მედლით.

„საფერავი“ – ინარმოება შიგნითკახეთის ყველა მიკროზონაში, გარდა ზემოდასახელებული მიკროზონებისა 1886 წლიდან. იგი ხა-სიათდება მუქი ბრონეულისფერით და ჯიშური არომატით. შეიცავს 10,5–12,5° ალკოჰოლს და 5,0–7,0 გ/დღ<sup>3</sup> მუავიანობას. ღვინო დაჯილ-დოვებულია 3 ოქროს, 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლით.

შიგნითკახეთში საფერავის ყურძნისაგან ამზადებენ აგრეთვე წითელ პორტვეინსა და კაგორის წითელ მოტკბო, საკმაოდ მაგარ ღვინოებს.

ამგვარად, შიგნითკახეთში, მდ. ალაზნის ხეობაში წნორიდან ნაფარეულამდე დაახლოებით 60 კმ. მანძილზე (პირდაპირი ხაზით) ზღვის დონიდან 300—600 მ სიმაღლის ზონაში გამოიყოფა განსხვა-ვებული რელიეფური, კლიმატური და ნიადაგური პირობების მქონე მიკროზონები, სადაც საფერავისაგან ბუნებრივად ინარმოება საყო-ველთაოდ აღიარებული: სუფრის მშრალი და ნახევრადმშრალი, ნა-ხევრადტკბილი და ტკბილი—შემაგრებული (პორტვეინის და კაგორის ტიპის), მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოები. ამგვარი, მცირე ტერიტორიულ ფართობზე ერთი ჯიშისაგან ფართო ასორტი-მენტის პროდუქციის ნარმოების პრეცედენტი როგორც საქართვე-

ლოს, ისე მსოფლიო მასშტაბით არ გვხვდება. ამასთან, მიკროზონებში თითოეული დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინის ტიპის საწარმოო წლებს საკმაოდ ხშირი განმეორება ახასიათებს.

**დასკვნა:** შიგნითკახეთში საფერავის ჯიში მაქსიმალურად ამჟღავნებს თავის პოტენციურ შესაძლებლობებს და 300—დან 600 მ სიმაღლემდე ზონაში ივი განსხვავებული ხასიათის საყოველთაოდ აღიარებული ადგილდასახელების წითელი ღვინოების მომცემია.

## 5.6. ვენახების სეტყვისაგან დაცვისა და დასეტყვილი ვაზის მოვლის ღონისძიებები კახეთში

კახეთი მოიცავს მდ. ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნისა აუზს. კახეთის ცალკეულ მხარეებს ენოდებოდა გარე კახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყ (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნითკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). კახეთში შედის: ახმეტის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროსა და ყვარლის მუნიციპალიტეტები. საქართველოს უმშვენიერ-უმშვენიერესი კუთხე — ალაზნის ვაკე, რომელიც კახეთის გულს წარმოადგენს, მდებარეობს, ერთი მხრივ, კავკასიონსა და, მეორე ხრივ, — გომბორის ქედსა და ივრის ზეგანს შორის. გომბორის ქედს, რომელსაც ზოგჯერ კახეთის ქედის სახელწოდებითაც აღნიშნავენ, 90 კმ სიგრძე და 20-22 კმ სიგანე აქვს. იგი შემოსაზღვრულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ალაზნის ვაკით, სამხეთ-დასავლეთიდან — კი ივრის ხეობითა და ივრის ზეგნით. გომბორის ქედი სეტყვიანობის კერაა, რომელიც კახეთის ვენახებს საფრთხეს უქმნის. ქედის უმაღლესი მწვერვალია ცივი (1990 მ). ქედის ჩრდილო-დასავლური ნაწილის მწვერვალები — გომბორი, სათიბე და სხვ. (1500-1850 მ-მდე). მთა მანავის ცივიდან დაწყებული ქედის თხემი იწყებს დადაბლებას სამხრეთ-აღმოსავლეთით; სოფ. ჭერემის მიდამოებში მისი სიმაღლე 1200-1300 მ-მდეა (მარუაშვილი, 1964).

სეტყვა საქართველოს ტერიტორიაზე გამოწვეულია როგორც ფრონტალური, ისე ადგილობრივი პროცესებით. ფრონტალური პროცესებით გამოწვეული სეტყვა უმეტესად მოიცავს დიდ ტერიტორიებს. ცალკეული დაკვირვებების მიხედვით, მოსული სეტყვის ცალკეული მარცვლები ზოგჯერ აღწევს ქათმის კვერცხის ზომას; ზოგჯერ მოსულმა სეტყვამ, თოვლის მსგავსად, დაფარა ნიადაგი რამდენიმე სმ-ს სისქეზე. სეტყვის პროცესები უმეტესად მთიან ადგილებში შეინიშნება. დიდ როლს თამაშობს: ოროგრაფია, მცენარეული საფარი, მთის ქედების ორიენტაცია ჰაერის ნაკადების გაბატონებული მიმართულებების მიმართ (გიგინეშვილი, 1960).

კახეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის ვენახები, თითქმის ყოველწლიურად ისეტყვება. ვახუშტი სეტყვიანობაზე ყურადღებას ამახვილებს ქართლში, ხოლო კახეთზე არაფერს ამბობს. სავარაუდოა, რომ ვახუშტის დროს ალაზნის ველის დიდი ნაწილი ტყით იყო დაფარული, რომელიც ამცირებდა ჰაერის მასების აღმავალ, ვერტიკალურ, დინებას და, შესაბამისად, სეტყვიანობას. ამჟამად, ტყეების მნიშვნელოვან გაჩეხვასთან ერთად, სეტყვის მოსვლის ალბათობა გაიზარდა (Давитая, Тавартиклиадзе, 1982).

კახეთში სეტყვის წარმომქმნელი პროცესები არაფრონტალური ხასიათისაა; გროვა-საწვიმარ ღრუბლებში (Cb) არსებული წყლის ორთქლის სითხედ, ან ყინულის კრისტალებად გარდაქმნა წარმოებს მათში არსებული მტვრისა და სხვა მინარევებით (კონდენ-




**სურ. 30. ბადით გადაფარვის კლიმატური ეფექტის გამოკვლევა სოფ. მანავში.**

საციის ბირთვებით); ჰაერის მასების შემდგომი ვერტიკალური გადაადგილებისას (დაახლოებით 1,5-დან 3,0 კმ-მდე), როცა მათი ტემპერატურა  $0^{\circ}$ -ზე დაბალი ხდება. კახეთში სეტყვის წარმოშობის კერად გომბორის ქედის მწვერვალები (ცივი, გომბორი, სათიბე) ითვლება, სადაც სეტყვიანი დღეების წლიური რიცხვი საშუალოდ 4-მდე აღწევს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში კახეთში სასოფლო-სამეურეო კულტურების სეტყვისაგან დასაცავად რაკეტულ დანადგარებს იყენებდნენ. ღრუბლებზე რაკეტის ზემოქმედებისას ტყვიის ნაერთებით მაკრისტალიზებელი ნივთიერებები მეტად საზიანოა ეკოლოგიურად, გარემოს გაჭუჭყიანებისა და სუფთა პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. ამიტომ ეს მეთოდი ჩვენში აიკრძალა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვენახების სეტყვისაგან დაცვა დაიწყეს ბადეებით გადაფარვით. კახეთში გადაიფარა ათეულობით ჰავენახი; დაიწყო გადაფარვის გავლენის შესწავლა ვაზის ზრდა-განვითარებაზე. აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის აგროეკოლოგიის განყოფილება. დაკვირვებები წარმოებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. მანავში (სურ. 30) ბადით გადაფარულ ( $24X40\varnothing$ ) და საკონტროლო (გადაუფარავ) ვარიანტებში ერთდროულად. გამოვლინდა, რომ ბადის ქვეშ ვაზის კრონის განათების ინტენსივობა 12%-ით მცირდება. ისრიმობის პერიოდში მზის პირდაპირი რადიაცია 9%-ით სუსტდება; გაბნეული რადიაცია, შესაბამისად, 5%-ით იზრდება. ქარის სიჩქარე ბადის ქვეშ მცირდება 44%-ით; ნიადაგის ზედაპირის მაქსიმალური ტემპერატურა  $2-3^{\circ}$ -ით დაბალია, ხოლო მინიმალური ტემპერატურა  $0,5-1,5^{\circ}$ -ით მეტია. ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ასეთი ცვლილება, ბადის ქვეშ მის ამპლიტუდას  $3-4^{\circ}$ -ით ამცირებს. თვით მცენარის ტემპერატურა ბადის ქვეშ  $0,5-1,0^{\circ}$ -ით მეტია, რაც განიავების შესუსტებით აიხსნება.

ტექნიკური სიმწიფის პერიოდში, საცდელ ვარიანტებზე დაკრეფილი 130-130 კგ „კახური მწვანეს“ ყურძნის ტკბილში, საკონტროლოზე შეარიანობა 18,39% აღინიშნა, ბადის ქვეშ კი — 17,0%; საერთო მუავიანობა საკონტროლო ვარიანტში 7,82 გ/დმ<sup>3</sup>, ბადის ქვეშ



სურვილის მონიტორინგის 19 ადგინილებული სისტემის მიზანთაღი მიმღებლების (→) და დაშემცნელებული უარითობების არეალი (●)

კი — 8,03 გ/დმ<sup>3</sup>-ით განისაზღვრა. ბადის ქვეშ აღეპული ყურძნის მოსავლიდან ღვინომასალამ დეგუსტაციისას დაბალი შეფასება დაიმსახურა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზისუბანში ანალოგიური

გამოკვლევებით მიღებული მონაცემების მიხედვით, მკვლევარები ასკვნიან, რომ კაპრონისაგან დამზადებული ბადის ქვეშ მყარდება ჰაერისა და ნიადაგის უკეთესი ტემპერატურული რეჟიმი, მნიშვნელოვნად მცირდება ქარის სიჩქარე და ნიადაგიდან ტენის აორთქლების ინტენსივობა. 10%-ით მცირდება მზის პირდაპირი რადიაცია, 15-20%-ით იზრდება გაბნეული რადიაცია. საბოლოო ჯამში ზვრებში იქმნება უკეთესი მიკროკლიმატური პირობები, რაც ხელს უწყობს მცენარის უკეთ განვითარებას. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩინა, ვიზრუნოთ ამ ღონისძიების (კაპრონისაგან დამზადებული ბადის გამოყენება) წარმოაებაში ფართოდ დასანერგად.

აქ განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ყველაზე მტკიცნეულ 2012 წლის სეტყვიანობის პრობლემაზე. განვიხილავთ 19 ივლისის შემთხვევას (იხ. სურ. 31), როცა მოსულმა სეტყვამ მოიცვა შიგნიკახეთის პროვინციის დიდი ნაწილი, დააზარალა ვენახები თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში.

**კერძოდ, თელავის** მუნიციპალიტეტში ძლიერ დაზარალდა სოფლები: აკურა, ვანთა, ბუშეტი, ქვ. ხოდაშენი, კონდოლი, კისისხევი, კურდღელაური, შალაური, ვარდისუბანი (საშუალოდ დაზიანდა), წინანდალი, იყალთო, ნასამხრალი, ყარაჯალა; **გურჯაანის** მუნიციპალიტეტში — ველისციხე, ჩუმლაყი, მუკუზანი (სუსტად დაზიანდა), ძირკოკი, ახაშენი, ჭანდარი, ვაზისუბანი, ვაჩინაძიანი, შაშიანი, კალაური, კახიფარი; **ლაგოდეხის** მუნიციპალიტეტში ნაკლებად დაზიანდა — აფენი, ჭაბუკიანი, ფონა, ზემო ნაშოვარი, ქვემო ნაშოვარი, ბალდათი, ონანური, გვიმრიანი, გიორგეთი, ფიჩისბოგირი, ლელიანი, ბებურიანი, აბაშისწილი, ზემო ბოლქვი, ქვემო ბოლქვი, ხოშატიანი, კაბალი, ვერხვისმინდორი, ფოდაანი, ყარაჯალა; **ყვარლის** მუნიციპალიტეტში მეტად დაზიანდა — ბალლოჯიანი, გავაზი, კუჭატანი, სანავარდო, ყვარელი.

იმავე წლის 20 აგვისტოს სეტყვა განმეორდა. ძლიერ დაზიანდა ვაზი კაკაბეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში — ჩუმლაყსა და ახაშენში.

იმავე წლის 20 აგვისტოს სეტყვა განმეორდა; ძლიერ დაზიანდა ვე-

ნახები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კაკაბეთში; გურჯაანის მუნიციპალიტეტში — ჩუმლაყსა და ახაშერში; ყვარლის მუნიციპალიტეტში — ჭიკანსა და ზენობიანში.

იმავე წლის 23 სექტემბერს ვენახები განმეორებით დაისეტყვა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ენისელში, გრემში და საბუეში. სეტყვას თან ახლდა ქარიშხალი. დაზიანდა დასაკრეფად მომზადებული ვენახების 50-60%.

სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის აღსადგენად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. დაზიანებული ვენახი უნდა შეიწამლოს ბორდოს 1%-იანი ხსნარით ან მისი შემცვლელი რომელიმე პრეპარატით;

2. ვაზზე გადარჩენილი კვირტებიდან ამონაყარი როცა მიაღწევს 12-15 სმ-ს, უნდა შეიწამლოს იმავე დოზის პრეპარატით;

3. აგვისტოს ბოლოს უნდა მოხდეს ვაზის საერთო მდგომარეობის შეფასება და კვლავ ჩატარდეს შესაბამისი სამუშაოები;

4. სექტემბრის თვეში ცალკეულ დანასეტყვ ვენახებში აღინიშნა ნაცრის დაავადება. ასეთ ვენახებში საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების (გოგირდი, ტრპაზი, ფალკონი და სხვ.) ჩატარება;

5. ფოთოლცვენის შემდეგ ვენახებში შეტანილი უნდა იქნას და ნიადაგში ჩაიხნას კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქები;

6. მომავალი წლის თებერვლიდან ვეგეტაციის დაწყებამდე ნაკლებად დაზიანებულ ვენახებში უნდა ჩატარდეს თავისუფალი სხვლა, მეტად დაზიანებული ვენახების შემთხვევაში — მოკლე, (მძიმე, 2-4 კვირტის დატოვებით) გასხვლა.

**დასკვნა:** მომავალში, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი სტიქიური უბედურებანი, საჭიროა სოფლის მეურნეობის შესაბამისი დაფინანსება მევენახეობის სპეციალიზებული მექანიზებული ბადეებით აღსაჭურვად. ვენახების სავეგეტაციო პერიოდში მუდმივი გადაფარვა არახელსაყრელია. ვენახების გადაფარვა სასურველია მოხდეს კაპრონისაგან დამზადებული ბადეებით მხოლოდ სეტყვასაშიშ სიტუაციების შემთხვევაში მექანიზებული წესით (გოგიტიმე, აბაშიძე, გაგუა, ცხაკაია, 2012).

## თავი VI. აგროკლიმატური რესურსების შეფასება

### 6.1. კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირების სამეცნიერო კვლევების მოკლე მიმოხილვა

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირება (bonitas — კეთილხარისხოვანი, ვარგისიანი, ნაყოფიერი) წარმოადგენს ბუნებრივი პირობების ბიოლოგიური პროდუქტიულობის შეფასების ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს. ბიოლოგიური პროდუქტიულობის საზომად მიღებულია ბიოკლიმატური პოტენციალი. აღნიშნული ტერმინი მეცნიერებაში შემოტანილია პ. კოლოსკოვის (1963) მიერ. მისი განმარტებით ბიოკლიმატური პოტენციალი ხასიათდება კლიმატური ფაქტორების კომპლექსით, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობებს, მიწების შესაძლებელ ბიოლოგიურ პროდუქტიულობას.

ბიოკლიმატური პოტენციალის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა კ. ტიმირიაზევმა (1957). იგი ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრის შეფასებას იძლევა მზის მოსული ენერგიის რაოდენობით. ეს იდეა შემდეგ განაგრძო ვ. დოკუჩაევმა (1948), რომელმაც მიწების ბიოლოგიური პროდუქტიულობის შეფასების მიზნით შემოიტანა ცნება „ნორმალური მოსავლიანობა“, რაშიც იგულისხმებოდა სახნავი მიწების მოსავლიანობის შედარება საშუალო მოსავლიანობასთან. აღნიშნული იდეა განავითარა გ. ვისოცკიმ (1905), რომლის მიხედვით ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრე განისაზღვრება კლიმატური პირობებით.

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირების (ნაყოფიერების შეფასება) საკითხზე, გარდა პ. კოლოსკოვისა, გამოკვლევები აქვთ: ს. საპოუნიკოვას (1963), თ. დავითაიას (1963), დ. შაშკოს (1967, 1985), ა. ეიუბოვს (1975). აღნიშნული საკითხისადმი მათ, თითქმის ერთნაირი, პრინციპული მიდგომა აქვთ: პირველ რიგში სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლიმატურ პირობებს და მათ გავლენას მოსავლიანობაზე, შემდეგ კი — კლიმატის პოტენციურ შესაძლებლობებს მოცემული კულტურის მოსაყვანად. ბიოკლიმატური პოტენციალის კვლევის სამუშაოები

ჩატარებულია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ბევრი დიდი ქვეყნისათვის. შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მცენარეთა ველური ფორმების პიოლოგიური პროდუქტიულობის, მერქნის საშუალო წლიური ნაზრდის დამოკიდებულება ბიოკლიმატურ პოტენციალთან — სითბოსა და ტენის უზრუნველყოფის მაჩვენებლებთან. გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა, სადაც ეს საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამ დროს კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში, რათა რაციონალურად იქნეს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი კლიმატური პირობები, ეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე (როგორც ამას მართებულად უწოდებს აკად. თ. დავითაია).

ს. საპოუნიკოვას (1967) კლიმატის ბონიტირების საკითხი განხილული აქვს მარცვლოვანი კულტურების მაგალითზე. სითბური რესურსების შესაფასებლად მას გამოყენებული აქვს  $10^0$ -ზე მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი; ტენის რესურსების დასახასიათებლად კი — გ. სელიანინოვის ჰიდროთერმიული კოეფიციენტი (ჰთკ).  
კლიმატის პროდუქტიულობის მაჩვენებელი (Пк) მას განსაზღვრული აქვს ფორმულით 6.1:

$$\text{Пк} = y / (\Sigma t > 10^0 : 100) \quad (6.1)$$

სადაც,  $y$  არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ც/ჰა,  $\Sigma t > 10^0$  — აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $10^0$ -ზე ზევით.

6.1 ფორმულაში კლიმატის პროდუქტიულობა განსაზღვრულია მხოლოდ აქტიურ ტემპერატურათა ჯამით.

ს. საპოუნიკოვა სხვა ავტორებთან ერთად (1970) გვაძლევს ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების აგროკლიმატური რესურსების რიცხვობრივად შეფასების მეთოდს; კერძოდ, დატენიანების კოეფიციენტი მათ გამოთვლილი აქვთ ფორმულით 6.2:

$$K_y = (0,5 R_x + R_T) / (0,18 \Sigma t > 10^0) \quad (6.2),$$

სადაც  $K_y$  არის დატენიანების კოეფიციენტი;

$R_x$  – ცივი პერიოდის (X-III თვეები) ატმოსფერული ნალექების ჯამი;

$R_T$  – თბილი პერიოდის (IV-IX თვეები) ატმოსფერული ნალექების ჯამი;

0,5 — კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ცივი პერიოდის ნალექების წილს;

$0,18 \Sigma t > 10^0$  – აორთქელებადობა მ. ბუდიკოს მიხედვით.

6. 2 ფორმულაში დაშვებულია უხეში განზოგადება, რაც მდგომარეობს ზამთრის ნალექების 0,5 ნაწილის აღებაში. ფაქტიურად, ცივ პერიოდში ნიადაგის მიერ ნალექების შთანთქმის სიდიდე იცვლება ზონალურად, რაც დამტკიცებულია გამოკვლევებით (ა. ალპატიევი, ლ. კელჩევსკაია და სხვ.).

ს. საპოუნიკოვას, ლ. არზამასცევას, ლ. ავდეიჩევას და დ. ბრინკინს (1970) კლიმატის პროდუქტიულობა ასე აქვთ განსაზღვრული:

$$\Pi_K = \Pi_y \cdot 0,01 \Sigma t > 10^0 \quad (6.3),$$

სადაც  $\Pi_K$  არის კლიმატის პოტენციური პროდუქტიულობა;

$\Pi_y$  – დატენიანების პროდუქტიულობა, ე.ი. — მარცვლოვანთა მოსავლიანობა ( $\psi/\psi_a$ ), მოსული  $100^0$  სითბოს ჯამზე დატენიანების მოცემულ პირობებში.

აღნიშნულ ავტორთა მიხედვით, დატენიანების პროდუქტიულობასა და დატენიანების კოეფიციენტს ( $K_y$ ) შორის დამოკიდებულებას ასეთი სახე აქვს:

$$\Pi_y = -2,2 K_y^2 + 5,0 K_y + 0,77 \quad (6.4)$$

პ. კოლოსკოვის (1963) მიხედვით ბიოკლიმატური პოტენციალი (БКП) გამოითვლება ფორმულით 6.5:

$$БКП = [БКП_M H / (E-e)] / 32 \quad (6.5),$$

სადაც  $H/(E-e)$  აღებულია ავტორის მიერ როგორც დატენიანების მაჩვენებელი,

**БКП<sub>M</sub>** – მაქსიმალური ბიოკლიმატური პატენციალი, რომელიც განისაზღვრება საქმარისი დატენიანების პირობებში დადებითი ტემპერატურათა ჯამებით 3/2 ხარისხში.

32 — დატენიანების სასაზღვრო სიდიდე ჭარბად დატენიანებულსა და საქმარისად დატენიანებულ ზონებს შორის.

დ. შაშვილი (1967) მიხედვით, კლიმატის ბონიტირების მეთოდი მდგომარეობს 100-ბალიანი სისტემით კლიმატის პროდუქტიულობის ფარდობით შეფასებაში. 100 ბალად მას აღებული აქვს მარცვლოვანთა საშუალო მოსავლიანობა. მაქსიმალურ ბიოლოგიურ-პოტენციურ პროდუქტიულობას დ. შაშვილი განსაზღვრავს არა ტემპერატურის ხარისხობრივი მნიშვნელობებით, როგორც ეს ჰქონდა პ. კოლოსკოვს, არამედ აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით; რამდენადაც იგი მიიჩნევს, რომ ბიოლოგიური მასის დაგროვება განისაზღვრება რადიაციული ბალანსით, რომელთანაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი პროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფება.

ბიოკლიმატური პოტენციალი დ. შაშვილი (1967) მიხედვით განისაზღვრება ფორმულით (6.6):

$$\text{БКП} = \text{Kp}[\Sigma t > 10^0]/1000 \quad (6.6)$$

სადაც **БКП** – არის ბიოკლიმატური პოტენციალის ფარდობითი მნიშვნელობა;

**K<sub>p</sub>** – ბიოლოგიური პროდუქტიულობის კოეფიციენტი, რომელიც ნარმოადგენს დატენიანების მოცემულ პირობებში მოსავლიანობის შეფარდებას ოპტიმალური დატენიანების პირობების მაქსიმალურ მოსავლიანობასთან;

1000 – სიდიდე, რაც წარმოადგენს ტემპერატურათა ჯამს მიწათმოქმედების ზედა საზღვარზე (საბაზისო ჯამი).

**K<sub>p</sub>** – ს გამოსაანგარიშებლად დ. შაშვილი შემოაქვს ასეთი ფორმულა 6.7:

$$K_p = 1,15 \lg (20\text{Md}) - 0,21 + 0,63\text{Md} - \text{Md}^2 \quad (6.7)$$

სადაც **Md** არის წლიური ატმოსფერული დატენიანების მაჩვენებელი, რომელიც მის მიერ გამოითვლება ატმოსფერული

ნალექების წლიური ჯამის (ΣP) შეფარდებით ჰაერის სინოტივის დეფიციტის წლიურ ჯამთან, მმ-ში (Σd):

$$Md = \Sigma P / \Sigma d \quad (6.8)$$

დ. შაშკო (1985) ბიოლოგიური პროდუქტიულობის (Бк) ქვეყნის საშუალო პროდუქტიულობის მიმართ შედარებითი შეფასებისთვის (ბალებში) გვთავაზობს ასეთ ფორმულას:

$$Бк = Kp[\Sigma t > 10^0 \cdot 100] / 1900 = 66 \text{ БКП} \quad (6.9)$$

სადაც 66 არის პროპორციულობის კოეფიციენტი პროცენტებში, რომლის საშუალებითაც ხორციელდება БКП-დან ბალებზე გადასვლა. იგი გაანგარიშებულია 1000 და 1700<sup>0</sup> C საბაზისო ტემპერატურათა ჯამების შემთხვევაში.

იგი Бк-ს გამოთვლის ასეთ ფორმულას გვთავაზობს:

$$Бк = 66 Kp[\Sigma t > 10^0] / 1000 \quad (6.10)$$

ა. ეიუბოვს (1975) აზერბაიჯანის პირობებში მარცვლოვანი კულტურებისათვის შემოაქვს ბიოლოგიური პროდუქტიულობის გამოსათვლელი ასეთი კოეფიციენტი:

$$Kp = 1,33 + 1,19 \lg Md \quad (6.11)$$

ა. ეიუბოვს გამოკვლევა კლიმატის ბონიტირებაზე მთლიანად ეყრდნობა დ. შაშკოს მეთოდს.

## **6.2. კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირება. აგროკლიმატური პოტენციალი**

საქართველოს კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირებაზე მუშაობისას ჩვენს წინაშე იდგა რამდენიმე რთული ამოცანა: ჯერ ერთი, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე დაკვირვების მასალები ხშირად არასამედოა, ჩვენი სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში ადრე, წლების განმავლობაში არსებული „მინერების“ გამო. ამიტომ აღნიშნული მასალები გამოყენებამდე საჭიროებდა საგულდაგულო ანალიზს.

მეორე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სავარგულების დიდი ნაწილი მთიან ზონაშია.

მესამეც, აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა მთლიანად სარწყავი მიწათმოქმედებითაა წარმოდგენილი, სადაც სარწყავ წყალს დიდი კორექტივები შეაქვს დატენიანების ბუნებრივი პირობების შესწავლაში.

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების საკითხის შესწავლა (გაგუა, 1988) დავიწყეთ კოლხეთის დაბლობის პირობებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება შესაძლებელია, ძირითადად, ბუნებრივი დატენიანებით.

საქართველოს კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების ჩვენი მეთოდი ეფუძნება ს. საპოუნიკოვას, თ. დავითაიასა და დ. შაშვილს გამოკვლევებს. სითბური რესურსების შესაფასებლად ვსარგებლობთ აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით, დატენიანების რეჟიმისათვის კი — დ. შაშვილს ტენიანობის მაჩვენებლით (Md — ატმოსფერული ნალექების ჯამის შეფარდება ჰაერის სინოტივის დეფიციტის ჯამთან).

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის მიხედვით ტერიტორიის შესაფასებლად, კოლხეთის დაბლობის პირობებში შემოვიტანეთ (გაგუა, 1988) ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მაგალითზე 100%-იანი სისტემა. აღნიშნული კულტურებისათვის შედგენილ რუკებზე (გაგუა, 1988, გვ. 80-81) მოსავლიანობა გამოხატულია პროცენტებში საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით. გამოყოფილი გვაქვს 100%-იანი მოსავლიანობის არეალი, რაც

შეესაბამება ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა საშუალო მოსავლიანობას ქვეყნის მასშტაბით. გამოყოფილი გვაქვს ზონები: > 120-ზე, 120, 100 — 100, 80, 60 და < 60%-ზე მნიშვნელობებით. მასალები მოსავლიანობაზე ავიღეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მონაცემებიდან. ვუშვებთ, რომ საცდელ ნაკვეთებზე კულტურები, დაახლოებით, თანაბარ აგროტექნიკურ პირობებში მოიყვანება; ამდენად, მოსავლიანობაზე აგროტექნიკური პირობების გავლენა შეიძლება გამოვრიცხოთ, გვრჩება განსხვავებული კლიმატური პირობების გავლენა (საცდელი ნაკვეთები, ძირითადად, განსხვავებულ კლიმატურ პირობებშია) და მისი შეფასება, რისთვისაც ასე ვიქცევით (გაგუა, 1995): ვანგარიშობთ მოსავლიანობის წილს, რაც მოდის ყოველ 100<sup>0</sup> ტემპერატურათა ჯამზე:

$$K_{II} = Y / [\Sigma t > 10^0 : 100] \quad (6.12)$$

სადაც  $K_{II}$  არის პროდუქტიულობის კოეფიციენტი (მოსავლიანობის წილი, გაანაგარიშებული ყოველ 100<sup>0</sup> ტემპერატურათა ჯამზე);

$Y$  – მოსავლიანობა ც/ჰა.

ბიოლოგიური პროდუქტიულობის ( $K_p$ ) გამოანგარიშებას ვაწარმოებთ განსხვავებული დატენიანების პირობების მქონე ზონების მონაცემებით; კერძოდ, ნაკლებად დატენიანებული პირობების პროდუქტიულობის შეფარდებით საკმაოდ დატენიანებული პირობების პროდუქტიულობასთან. გამოვავლინეთ დამოკიდებულება ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა ბიოლოგიური პროდუქტიულობის კოეფიციენტისა ( $K_p$ ) დატენიანების მაჩვენებელთან (Md).

სიმინდისათვის:

$$K_p = 0,84 + 1,45 \lg Md$$

ვაზისათვის:

$$K_p = 1,03 + 1,63 \lg Md$$

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებისათვის:

$$K_p = 0,75 + 2,6 \lg Md$$

ზემოაღნიშნულ მეცნიერთა (დავითაია, საპოუნიკოვა, შაშვილი) გამოკვლევებში კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირებაზე გამოყენებულია მხოლოდ სავეგეტაციო პერიოდის სითბო და დატენიანების რეჟიმი, რამდენადაც მათი მეთოდები გათვალისწინებულია მხოლოდ ერთწლიანი, მარცვლოვანი კულტურებისათვის. შევეცადეთ (გაგუა, 1995) კლიმატის სასოფლო-სა- მეურნეო ბონიტირების მეთოდი გამოვეყენებია მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. ბიოკლიმატური პოტენციალის ნაცვლად ამიტომ შემოგვაქვს აგროკლიმატური პოტენციალის ცნება, რომელიც უფრო სრულყოფილად შეისწავლის სუბტროპიკული ზონის, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს, აგრო-კლიმატურ რესურსებს.

მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობების შესაფასებლად, აგროკლიმატოლოგიაში საერთოდ მიღებულ მაჩვენებელს წარმოადგენს ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო სიდიდე. სწორედ ეს მაჩვენებელი შევიტანეთ ზემოაღნიშნულ მეთოდში.

ამრიგად, მრავალწლიანი კულტურებისათვის, კერძოდ, ხეხილოვანებისათვის აგროკლიმატური პოტენციალი (AKP) იანგარიშება ასე:

$$AKP = K_p \{ \Sigma t > 10^{\circ} / 1800 - \check{T}_{min} / (-23^{\circ}) \} \quad (6.13)$$

სადაც  $K_p$  – პროდუქტიულობის კლიმატური მაჩვენებელი და გამოითვლება ასე:

$$K_p = 1,35 + 1,24 \lg M_d \quad (6.14)$$

სადაც  $\check{T}_{min}$  არის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო;

$1800^{\circ}$  და  $-23^{\circ}$  — ხეხილოვანის კულტურების გავრცელების ზედა საზღვარზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მნიშვნელობანი (ცერცვაძე, ზაპოროჟსკი, 1962).

გაზისათვის აღნიშნული მაჩვენებლებია:  $2000^{\circ}$  და  $-16^{\circ}$ ;

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებისათვის:  $3000^{\circ}$  და  $-14^{\circ}$ .

ამრიგად, ვაზისათვის აგროკლიმატური პოტენციალის გამოსათვლელი ფორმულა ასეთ სახეს იღებს:

$$\text{AKPI} = K_p \{ \Sigma t > 10^{\circ} / 2000 - \dot{T}_{\min} / (-16^{\circ}) \} \quad (6.15)$$

ხოლო ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების შემთხვევაში:

$$\text{AKPI} = K_p \{ \Sigma t > 10^{\circ} / 3000 - \dot{T}_{\min} / (-14^{\circ}) \} \quad (6.16)$$

მიწათმოქმედების ზედა საზღვრამდე ტერიტორიის საერთო დახასიათების მიზნით ვიღებთ მხოლოდ აქტიურ ტემპერატურათა საპაზისო ჯამს  $1000^{\circ}$ . ტერიტორიის საერთო დასახასიათებლად გვექნება:

$$\text{AKPI} = (1,35 + 1,24 \lg M_d) \cdot (\Sigma t > 10^{\circ}) / 1000 \quad (6.17)$$

ფორმულებში (6.15, 6.16) ფრჩხილებში მოთავსებული სხვაობის მეორე წევრი ( $\dot{T}_{\min} / \dot{T}_{\min}$  საბაზ.) მოიხსნება ერთწლიანი კულტურებისა და ტერიტორიის საერთო დახასიათების შემთხვევაში.

თუ გამოვიყენებთ აგროკლიმატური პოტენციალიდან აგროკლიმატურ ინდექსის ბალებში გადამყვან კოეფიციენტს 66 (აღნიშნული სიდიდე ალებულია დ. შაშკოს მიხედვით), მაშინ აგროკლიმატური ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა საქართველოს პირობებისათვის გვექნება:

$$\text{AKI} = 66(1,35 + 1,24 \lg M_d) \cdot (\Sigma t > 10^{\circ}) / 1000 \quad (6.18)$$

როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენს მთაგორიან ქვეყანას, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი მთის ზონაშია, ამიტომ აგროკლიმატური პოტენციალი საჭიროებს შესწორებებს რელიეფის დახრილობასთან დაკავშირებით. მეცნიერული გამოკვლევებისა (ეიუბოვი, 1975) და ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშების შედეგად, შემოგვაქვს აგროკლიმატური

**აგროკლიმატური ინდექსის შესწორებები ფერდობის  
დახრილობასთან დაკავშირებით**

შესწორების დახრილობაზ. გრაფ.	5	10	15	20	25	30	35	40	45
შესწორება	0,98	0,95	0,92	0,88	0,84	0,80	0,76	0,72	0,68

ინდექსის შესწორებები ფერდობის დახრილობის მიხედვით (ცხრ. 31), რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ პირობებში, როცა ცნობილია ფერდობის დახრილობა.

შესწორებების გათვალისწინებით აგროკლიმატური ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა ასეთია:

$$\text{АКИ} = 66(1,35 + 1,24 \lg M_d) \cdot (\Sigma t > 10^0) / (\Sigma t \text{ საბაზ.}) \cdot i \quad (6.19)$$

სადაც  $\Sigma t$  საბაზ. არის აქტიურ ტემპერატურათა საბაზისო ჯამი. ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის საქართველოს პირობებში გამოანგარიშებულ იქნა აგროკლიმატური ინდექსის ბალის ერთეულის ფასი; კერძოდ, სიმინდისა და ჩაისათვის იგი შეადგენს 0,025 ტ/ჰა, ციტრუსოვანი კულტურებისათვის 0,02-ს, ხოლო ვაზისათვის 0,04-ს. აღნიშნული მონაცემების გამოყენებით აგროკლიმატური პოტენციალის საფუძველზე შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო პუნქტისა ან ტერიტორიისათვის განვსაზღვროთ სალიმიტო მოსავლიანობა. კერძოდ, სალიმიტო


მოსავლიანობა გამოიანგარიშება აგროკლიმატური ინდექსის ბალის გამრავლებით ინდექსის ბალის ერთეულის ფასზე. გარდა ამისა, აგროკლიმატური პოტენციალი შეიძლება გამოვიყენოთ მიწების, სავარგულების შესაფასებლადაც. კერძოდ, თუ აგროკლიმატური ინდექსის ბალს გავამრავლებთ შემოსავლიანობის კოეფიციენტზე (პროდუქციის ერთეულზე მიღებული შემოსავლის შეფარდება ეტალონად მიღებულ შემოსავალთან) მივიღებთ მიწების შეფასებისათვის ბალებში გამოსახულ მაჩვენებელს. საერთოდ, კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება იმაშია, რომ იგი იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების მეცნიერულ, აგროკლიმატურ დასაბუთებას.

გამოვთვალეთ აგროკლიმატური პოტენციალისა და აგროკლიმატური ინდექსის მნიშვნელობანი საქართველოს 100-ზე მეტი მეტეოროლოგიური სადგურისათვის. აღნიშნული მაჩვენებლების ტერიტორიული განაწილების თავისებურების გათვალისწინებით გამოყოფილ იქნა აგროკლიმატური პოტენციალისა და მისი ინდექსის ვერტიკალური ზონები საქართველოს ტერიტორიაზე (ცხრ. 32), რომლებიც წარმოდგენილია 5 ჯგუფად.

## ცხრილი 32

### საქართველოს ტერიტორიის აგროკლიმატური პროდუქტიულობის შეფასება

აგროკლიმატური პროდუქტიულობის ხარისხი	ჯგუფი	პროდუქტიულობის მაჩვენებელი	
		აკპ	აკი, ბალებში
ძალიან მაღალი	I	> 3,2	> 211
მაღალი	II	3,2 — 2,4	210 — 158
საშუალო	III	2,4 — 1,7	157 — 112
დაბალი	IV	1,7 — 1,0	111 — 66
ძალიან დაბალი	V	< 1,0	< 65



სურ. 32. ავროკლიმატური პოტენციალი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ტერიტორიის კლიმატი სასოფლო-სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით შეფასებული გვაქვს 5 ჯგუფად:

პირველ ჯგუფში მოქცეულია კოლხეთის დაბლობი, ზღვის დონიდან 250 მ სიმაღლემდე, სადაც აღინიშნება აგროკლიმატური პოტენციალისა ( $>3,2$ ) და აგროკლიმატური ინდექსის ( $>211$ ) ძალიან მაღალი მნიშვნელობები.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ბარის ზონა 500 მ სიმაღლემდე და ეწოდება მაღალი პროდუქტიულობის ხარისხის არეალი.

მესამე ჯგუფი, საშუალო პროდუქტიულობის ზონა ვრცელდება 500-დან დაახლოებით 750-800 მ სიმაღლემდე.

მეოთხე ჯგუფი, დაბალი პროდუქტიულობის ხარისხის არეალი ვრცელდება დაახლოებით 1200 მ სიმაღლემდე.

მეხუთე ჯგუფი, ძალიან დაბალი პროდუქტიულობი ხარისხის არეალი, რომელიც ვრცელდება მიწათმოქმედების ზედა საზღვრამდე.

### **6.3. ვაზის კულტურის აგროკლიმატური დარაიონება**

ვაზის კულტურის დარაიონებისას უნდა გავითვალისწინოთ ტერიტორიის ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები, რომელთა შორის ეკონომიკურს პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. თუმცა, მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნილების გათვალისწინება ხშირად უარყოფით როლსაც ასრულებს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების საქმეში. ასე მაგალითად, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ზოგიერთ მევენახეობის რაიონში ვაზს ჩეხავენ და მის ნაცვლად სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა მოჰყავთ. ასე განადგურდა საქართველოში ჩაი, ტუნგი და სხვა მრავალი.

ვაზის დარაიონებისას მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპონენტებია: კლიმატი, რელიეფი და ნიადაგი, რომელთა შორის წამყვანი — კლიმატია. აქედან გამომდინარე, ვაზის დარაიონების ამოცანა დაიყვანება ამ კულტურის ამა თუ იმ ტერიტორიაზე განლაგების კლიმატური მიზანშეწონილობის დასაბუთებამდე. ამიტომ ვაზის დარაიონებისას ძირითად კომპონენტებად ვიღებთ მისი ზრდისა და განვითარების კლიმატურ მაჩვენებლებს.

აკადემიკოს თ. დავითას (Давитая, 1981) მიერ შედგენილია აღმოსავლეთ ევროპის მევენახეობის აგროკლიმატური დარაიონების რუკა. ასზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამები  $400^{\circ}$  C-იანი გრადაციით გამოყოფილია მევენახეობის ზონები, რომლებიც დათმობილი აქვს მომწიფების სხვადასხვა პერიოდის ჯიშებს:

საადრეო  $2500^{\circ}$ -დან  $2900^{\circ}$  C-მდე,

საშუალო  $2900^{\circ}$ -დან  $3300^{\circ}$  C-მდე,

საგვიანო  $3300^{\circ}$ -დან  $3700^{\circ}$  C-მდე,

ძლიერ საგვიანო  $3700^{\circ}$  და მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით.

აღნიშნულ რუკაზე ტერიტორიის დატენიანების პირობების შესაფასებლად გამოყენებულია გ. სელიანინოვის პიდროთერმიტული კოეფიციენტი (პთკ). ზაფხულის პერიოდისთვის გამოყოფილია ორი ზონა: 1. მშრალი — 0,5-ზე ნაკლები (პთკ), საჭიროებს მორწყვას; 2. გვალვიანი — 0,5-0,7, ეპიზოდური მორწყვის საჭიროებით.

აღმოსავლეთ ევროპაში ვაზის გამოზამთრების პირობების შესაფასებლად გამოყენებული აქვს ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო.  $-16^{\circ}\text{C}$  აღებულია კლიმატურ ზღვრად, რომლის ქვევით ვაზი ზამთარში საჭიროებს დაცვას. აკადემიკოს თ. დავითაიას მიერ დამუშავებული ვაზის დარაიონების მეთოდი გამოვიყენეთ საფუძვლად (დავითაია 1981) და ზოგიერთი დამატებების შეტანით, ჩავატარეთ საქართველოში მევენახეობის აგროკლიმატური დარაიონება (გაგუა, გოგიტიძე, 2006).

**სითბოთი უზრუნველყოფა.** ვაზი, როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უმეტესეობა, ვეგეტაციას იწყებს და ამთავრებს ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურის  $10^{\circ}\text{C}$  დადგომასთან დაკავშირებით. ამიტომ აგროკლიმატოლოგიაში დარაიონებისას იყენებენ  $10^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ აქტიურ ტემპერატურათა ჯამებს.

ამ მიზნით ჩვენც საქართველოს პირობებისათვის იგივეს ვიყენებთ. სითბური რეჟიმის მიხედვით გამოვყავით სარტყლები და ქვესარტყლები (იხ. ცხრილი 33). ნოტიო სუბტროპიკული ქვესარტყელი მოიცვს კოლხეთის დაბლობს 250-300 მ სიმაღლემდე; მშრალი სუბტროპიკული — აღმოსავლეთ საქართველოს ბარს, დაახლოებით 400—450 მ სიმაღლემდე; სუბტროპიკულიდან გარდამავალი კი — 600 მ სიმაღლემდე. ზომიერ სარტყელში მევენახეობა, ძირითადად, წარმოდგენილია თბილ ქვესარტყელში, რომელიც მოიცავს 600—1200 მ სიმაღლემდე ზოლს.

**ტენით უზრუნველყოფა.** ვაზის, ისე როგორც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მყარი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ტენით უზრუნველყოფის პირობებია. მართალია, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა განსაზღვრავს ტერიტორიის დატენიანების რეჟიმს, მაგრამ მხოლოდ ნალექებით ძნელია დატენიანების პირობების შეფასება. ამ მიზნით საჭიროა საიმედო აგროკლიმატური მაჩვენებელი. ყველაზე მისაღებად მიგვაჩინია დ. შაშკოს დატენიანების მაჩვენებელი (Md), რომლის საფუძველზე საქართველოს მევენახეობის რეგიონებში გამოვყავით შემდეგი ზონა (იხ. ცხრილი 34, 35).

ძლიერ დატენიანებული — მოიცავს კოლხეთის დაბლობს, აჭარა-

დარაიონება სავეგეტაცია პერიოდის სითბოს მიხედვით

სარტყელი	კვესარტყელი	აქტიურ გამზ. °C	$10^0$ C-ზე მაღალი ტემპერატურიანი პერიოდის საშუალო ხანგრძლ. დღ.
სუბტროპიკული	ნოტიი სუბტროპიკული	მეტი — 4000	მეტი — 230
გომი	ერთალი სუბტროპიკული სუბტროპიკული გარდამავალი	მეტი — 4000 4000 — 3500 3500-2500	მეტი — 210 მეტი — 200 200-170

გურიის გორაკ-ბორცვიან ზოლს;

საკმაოდ დატანიანებული — დასავლეთ საქართველოში 1000 მ სი-  
მაღლემდე;

დატენიაბული — დასავლეთ საქართველოში ზემო იმერეთს და  
მდ.მდ. რიონისა და ცხენინყლის ზემო წელის აუზებს; აღმოსავლეთ

დატენიანების ხარისხი	დატენიანების კოეფიციენტი – <b>Md</b>
ძლიერ დატენიანებული (ქ დ)	მეტი — 1,0
საკმაოდ დატენანებული (ს დ)	1,0 — 0,6
დატენიანებული (დ)	0,6 — 0,45
ზომიერად დატენიანებული (ზ დ)	0,45 — 0,35
გვალვიანი (გ)	0,35 — ნაკლები

საქართველოში კი ზოლს — 1000-დან 1400 მ-მდე;

ზომიერად დატენიანებულია — მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში 600-1000 მ-მდე სიმაღლეთა შორის ზოლი;

გვალვიანი — მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში მთისწინეთის გორაკ-ბორცვიან ზოლს 600 მ სიმაღლემდე. მასში შედის ქვემო ქართლის ბარი, მდ. მდ. ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზები; თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო ზონები, გარდაბნის რაიონი, ელდარისა და შირაქის ტერიტორია.

**გამოზამთერბის პირობები.** ვაზისათვის ისევე, როგორც მრავალწლიანი კულტურებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზამთრის ტემპერატურებს. მცენარეთა გამოზამთრების პირობების შესაფასებლად იყენებენ: ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალოს, ზოგი კი — უცივესი თვის საშუალო ტემპერატურას. ჩვენ მიერ გამოყენებულია ორივე მაჩვენებელი და წარმოდგენილია კლასიფიკაცია შემდეგი სახით — იხ. ცხრილი 35.

ძალიან თბილი ზამთრის ქვეტიპი მოიცავს კოლხეთის დაბლობს 300 მ-მდე, თბილი ზამთრის — აღმოსავლეთ საქართველოს ბარს 450 მ სიმაღლემდე;

ზომიერად თბილი ზამთრის ქვეტიპი მოიცავს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთის გორაკ-ბორცვიან ზოლს 600 მ სიმაღლემდე;

## მევენაზეობის ზონის ზამთრების კლასიფიკაცია

ზამთრის ტიპი	ზამთრის ქვეტიპი	უცივესი თვეის საშუალო $t^{\circ}\text{C}$	ნლოური აბსოლუტური min საშუალო $t^{\circ}\text{C}$
თბილი	ძალიან თბილი (ძ თ)	მეტი — 3	გევით — -8
	თბილი (თ)	3 — 0	გევით — -12
	გომიერად თბილი (გ თ)	მეტი — 0	გევით — -14
რბილი	ძალიან რბილი (ძ რ)	0 — -3	-14 — -17

ძალიან რბილი ზამთრის ქვეტიპში შედის ზოლი 600-დან თითქმის 1200 მ-მდე.

**აგროკლიმატური პოტენციალი.** აგროკლიმატოლოგიაში შემოვიტანეთ აგროკლიმატური პოტენციალის ცნება (გაგუა, 1995). კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შესაფასებლად ჩვენს წინამორბედ მკვლევარებს (თ. დავითაია, ს. საპოუნიკოვა, დ. შაშვილა და სხვ.) გამოყენებული აქვთ მხოლოდ ორი კლიმატური მაჩვენებელი — სავეგეტაციო პერიოდის სითბო და დატენიანების რეჟიმი, რამდენადაც მათი მეთოდი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთნაირი მარცვლოვანი კულტურებისათვის. შევეცადეთ, აღნიშნული მეთოდი გამოგვეყენებინა მრავალწლიან კულტურებზე. ამ მიზნით მასში შე-

### ცხრილი 36 აგროკლიმატური პროდუქტიულობის შეფასება

აგროკლიმატური პროდუქტიულობის ხარისხი	აგროკლიმატური პოტენციალი
ძალიან მაღალი	> 3,3
მაღალი	3,3 — 2,7
საშუალო	2,7 — 2,1
დაბალი	< 2,1

ვიტანეთ დამატებითი პარამეტრი — გამოზამთრების პირობების შეფასება ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლიტური მინიმუმების საშუალო სიდიდით.

ვაზისათვის აგროკიმატური პოტენციალი (AKP) გამოითვლება ასე:

$$AKP = Kp \cdot \{(\sum t > 10^0) / 2000^0 - T_{min} / |-16^0|\} \quad (6.20),$$

სადაც  $Kp$  არის პროდუქტიულობის კლიმატური მაჩვენებელი და ასეთი სახე აქვს:

**საქართველოს მუნიციპალიტეტების  
დარაიონების სექტა**

ზომიერი	სუბტროპიკული	სარტყელი	ქვესარტყელი	დატენიანების ზონა	საზოგადოებისათვის ხელსაყრელი აგროკლიმა- ტური პირობები	
ზომიერი სუბტრო- პიკული $>4000^{\circ}\text{C}$	მშრალი სუბტრო- პიკული $>4000^{\circ}\text{C}$	ნოტიო სუბტრო- პიკული $>4000^{\circ}\text{C}$	გ დ გ	გ თ თ	3,3 2,7—2,1 3,3—2,7	საგვანონ და ძლიერ საგვანო ჯიშები: ჩიხვერი, ოჯალები, ჯანი, ალადასტური, ცოლიკაური; საშუალო: კაჭიჭი, შასხი, მგალიბლიშვილი, იზატელი; საადრეო; ალიგატები, პინოს ჯგუფი, თავევერი, კრატენი და სხვ.
ზომიერი სუბტრო- პიკული $4000^{\circ}—$ $3500^{\circ}\text{C}$	ზომიერი 3500 $^{\circ}$ —2500 $^{\circ}\text{C}$	ზომიერი 3500 $^{\circ}$ —2500 $^{\circ}\text{C}$	გ	გ თ თ	2,1	საგვანო რქანითელი, ცოლიკაური, ოცხანური საფრენი, ალექსანდრიული, საფერავი; საშუალო: კაზური მწვანე, კაბერნე სოვინიონი, ჩიხური, ქისი, ბუდეჭური, შასლა, განჯური, იზატელა; საადრეო: თბილისური, ხალიდი, ქართული საადრეო და სხვ.

$$K_p = 1,35 + 1,24 \lg M_d \quad (6.21),$$

**T<sub>min</sub>** არის ჰაერის ტამპერატურის წლიური აბსოლუტური მინი-მუმების საშუალო და **Md** – დატენიანების მაჩვენებელი.

აგროკლიმატური პროდუქტიულობის შეფასების საფუძველზე საქართველოს მეცნახეობის რეგიონებში გამოვყავით ყველაზე მეტი მოსავლიანობის ზონები (იხ. ცხრ. 37).

საქართველოში მეცნახეობის დარგი წარმოდგენილია ორ სარტყელში: სუბტროპიკულსა და ზომიერში. სუბტროპიკულში შედის სამი ქვესარტყელი: ნოტიო სუბტროპიკული, მშრალი სუბტროპიკული და სუბტროპიკულიდან გარდამავალი. ნოტიო სუბტროპიკული ქვესარტყელი მოიცავს კოლხეთის დაბლობს ზღვის დონიდან 300 მ სიმაღლემდე. ესაა აფხაზეთის, გურია-სამეგრელოს, იმერეთისა და აჭარის დაბალი ნაწილი, სადაც საშუალოდ გროვდება  $4000^{\circ}$  C და მეტი აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.

ქვესარტყელი ძლიერ დატენიანებულია (დ. შაშკოს დატენიანების მაჩვენებელი 1,0 და მეტია), ახასიათებს ძალიან თბილი ზამთარი: უცივესი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა  $3^{\circ}$  C და მეტია, ხოლო წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო  $8^{\circ}$  C და ზევითაა. გროკლიმატური პოტენციალი ძალიან მაღალია  $3,3$  და მეტი. ქვესარტყელში ვრცელდება როგორც საადრეო, ისე ძლიერ საგვიანო ვაზის ჯიშები, რომელთაც შეუძლია, ყურძნის მოსავალი მოგვცეს ივლისიდან ნოემბრის ბოლომდე.

მშრალი სუბტროპიკული ქვესარტყელი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ბარს 450 მ სიმაღლემდე. ქვესარტყელში საშუალოდ წელიწადში გროვდება  $4000^{\circ}$  C და მეტი სითბოს ჯამი; ზომიერად დატენიანებული და გვალვიანია. ზამთარი თბილი, უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა  $3^{\circ}$  C და მასზე ნაკლებია, ხოლო ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები საშუალო  $-12^{\circ}$  C და ზევითაა. აგროკლიმატური პოტენციალი არის  $2,7 - 2,1$ . ქვესარტყელში ვრცელდება როგორც ძლიერ საგვიანო, ისე საადრეო ვაზის ჯიშები, რომელთაც შეუძლია, ყურძნის მოსავალი მოგვცეს აგვისტოს შუარიცხვებიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

სუბტროპიკულიდან გარდამავალი ქვესარტყელი მოიცავს საკ-

მაოდ დიდ ტერიტორიას — დასავლეთ საქართველოში 300 მ ზემოთ, აღმოსავლეთ საქართველოში კი 450 მ ზევით, — 600 მ სიმაღლემდე. ქვესარტყელში გროვდება საშუალოდ  $4000^{\circ}$ -დან  $3600^{\circ}$  C-მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი; დატენიანებულია (დატენიანების მაჩვენებელი 0,60 — 0,45); ზამთარი ზომიერად თბილი: უცივესი თვის ტემპერატურა საშუალო  $0^{\circ}$  C-მდეა, ხოლო ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების საშუალო  $-14^{\circ}$  C და ზევითაა; აგროკლიმატური პოტენციალია 3,3 — 2,7. ქვესარტყლის სოფლის მეურნეობა ზირითადად წარმოდგენილია მევენახეობის დარგით. ვრცელება როგორც საადრეო, ისე საგვიანო ვაზის ჯიშები, რომელთაც ყურძნის მოსავალი შეუძლიათ მოგვცეს აგვისტოდან ნოემბრამდე.

ზომიერ სარტყელში მევენახეობა ძირითადად წარმოდგენილია თბილ ქვესარტყელში, რომელიც მოიცავს ზღვის დონიდან 600 — 1200 მ სიმაღლის ზოლს, სადც გროვდება  $3500$ — $2500^{\circ}$  C აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. ტერიტორია საკმაოდ დატენიანებულია (დატენიანების კოეფიციენტი შეადგენს 0,6—0,1). ძალიან რბილი ზამთრით: უცივესი თვის ტემპერატურა  $0^{\circ}$  —  $-3^{\circ}$  C-მდეა, ხოლო ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო  $-14^{\circ}$  —  $-17^{\circ}$  C-მდეა. აგროკლიმატური პოდუქტიულობის ხარისხი დაბალია  $< 2,1$ . ქვესარტყელში გავრცელებულ ვაზის ჯიშებს შეუძლია მოსავალი მოგვცეს სექტემბერ-ოქტომბერში (გაგუა, გოგიტიძე, 2006).

## **6.4. აგროკლიმატური დარაიონება**

სოფლის მეურნეობაში კლიმატის აღრიცხვა-შეფასების ყველაზე სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს აგროკლიმატური დარაიონება. იგი არის ტერიტორიის დაყოფის ისეთი სისტემა, სადაც ცალკეული დანაყოფი ერთმანეთისაგან განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარებისა და გამოზამთრების კლიმატური პირობებით და სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებით.

საქართველოს აგროკლიმატური რესურსების შესწავლის საფუძველზე ჩატარებულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის აგროკლიმატური დარაიონება, რასაც საფუძვლად დაედო: სავეგეტაციო პერიოდის სითბო და ტენით უზრუნველყოფა, გამოზამთრების პირობების შეფასება და აგროკლიმატური პოტენციალი ( გაგუა — საქართველოს აგროკლიმატური დარაიონება. წიგნში: „საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები“. თბ. 2001, გვ. გვ. 36-46).

### **1. სითბოთი უზრუნველყოფა.**

**სუბტროპიკული სარტყელი** — 3500<sup>0</sup>-ზე მეტი ტემპერატურათა ჯამებით და 200 დღეზე მეტი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით. მასში შედის ქვესარტყლები:

ნოტიო სუბტროპიკული — მოიცავს კოლხეთის დაბლობს 250-300 მ სიმაღლემდე;

მშრალი სუბტროპიკული — აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონას, დაახლოებით, 400-450 მ სიმაღლემდე;

**სუბტროპიკულიდან გარდამავალი** — საქართველოს ტერიტორია 600 მ სიმაღლემდე.

**ზომიერი სარტყელი** — 3500-1500<sup>0</sup>-მდე ტემპერატურათა ჯამებით და 200-დან 110 დღემდე სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით. მასში შედის ქვესარტლები:

თბილი — 600-1200 მ სიმაღლემდე;

ზომიერად თბილი — 1500 მ სიმაღლემდე;

ზომიერიდან გარდამავალი — 1900 მ სიმაღლემდე.

**ცივი სარტყელი** — 1500<sup>0</sup>-ზე ნაკლები ტემპერატურათა ჯამებით და 11 დღეზე ნაკლები სავეგეტაციო პერიოდით. მასში შედის ქვეს-არტლები:

ზომიერად ცივი — 1900-2200 მ სიმაღლემდე;

ცივი — 2200 მ სიმაღლის ზემოთ;

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უმეტესობა ვეგეტაციას იწყებს და ამთავრებს საშუალო დღებულები ტემპერატურის 10<sup>0</sup>-ის დადგომასთან დაკავშირებით. ამიტომ სითბოთი უზრუნველყოფის მაჩვენებლად აღებულია 10<sup>0</sup>-ზე მაღალი საშუალო დღებულები ტემპერატურების ჯამი, რომელთა განაწილების საფუძველზე გამოყოფილია სარტყლები და ქვესარტყლები (იხ. ცხრ. 38).

## 2. ტენით უზრუნველყოფა

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტერიტორიის დატენიანების ხარისხზე. თუმცა, მხოლოდ ნალექებით ძნელია მისი სასოფლო-სამეურნეო შეფასება. ამ მიზნით საჭიროა საიმედო აგროკლიმატური მაჩვენებელი; ასეთად ჩვენს მიერ მიჩნეულია დ. შაშკოს (1961) დატენიანების მაჩვენებელი, რომლის მიხედვით გამოყოფილია დატენიანების ზონები. (ტენით უზრუნველყოფის საკითხი მოცემულია წიგნის II თავში).

## 3. გამოზამთრების პირობები (მოცემულია წიგნის III თავში)

გამოზამთრების პირობებში იგულისხმება როგორც ზამთრის ყინვები, ისე შემოდგომისა და გაზაფხულის წაყინვები. ზამთრის პირობები დახასიათებულია უცივესი თვის (იანვარი) ჰაერის საშუალო ტემპერატურითა და ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო სიდიდეებით. აღნიშნული მაჩვენებლებით გამოყოფილია ზამთრის სამი ტიპის რეგიონი: თბილი, რბილი და ცივი; თითოეულში გამოყოფილია ქვეტიპები.

## 4. აგროკლიმატური პოტენციალი

ბიოკლიმატური პოტენციალის ტერმინი მეცნიერებაში შემოტა-

## კლასიფიკაცია სავეგეტაციო პერიოდის სითბოს მიხედვით

სარტყელი	ქარსარტყელი	$\Sigma t > 10^{\circ}$	ღლუთა რიცხვი $10^{\circ}$ -ზე მეტი
ნოტიო სუბტროპიკული	> — 4000	> — 230	
მშრალი სუბტროპიკული	> — 4000	> — 210	
სუბტროპიკულიდან გარდამავალი	4000-3500	> — 200	
თბილი	3500-2500	200-170	
ზომიერად თბილი	2500-2000	170-140	
ზომიერად გარდამავალი	2000-1500	140-110	
ზომიერად ცივი	1500-1000	110-80	
ცივი	1000 — <	80 — <	

საზღვარგაუყოფს ზოგიერთი მუტენისარისადაბაზული საჟღურისათვის  
გამოთვლილი აგრძლივრიმატური პოტენციალი

მუტენისალგური (ქვეანა)	$\Sigma t < 10^0$	აღ.	ნლიური	ნლიური	აგრძლივრიმატური
ნანტი (საფრანგეთი)	3000	ნალექები, მმ	აპ. მინიმ. საშუალება	-8	პოტენციალი
პორტი (საფრანგეთი)	3100	900	-7		1,89
ბულაპეშტი (უნგრეთი)	3350	630	-13		1,79
ზაგრები (ხორვათია)	3200	860	-13		1,72
ცინცინატი (აშშ)	4100	940	-18		1,9
ვაშინგტონი (აშშ)	4000	1040	-14		2,0

ფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შესასწავლად გამოყენებულია: სავეგეტაციო პერიოდის სითბო და დატენიანების რეზიმი, რამდენადაც მათი მეთოდი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთნლიანი მარცვლოვანი კულტურებისთვის. შევეცადეთ (გაგუა, 1995, 2001) კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების მეთოდის გამოყენება მრავალწლიანი კულტურებისთვის. ამ მიზნით მასში შევიტანეთ დამატებითი პარამეტრი — გამოზამთრების პირობების შეფასება ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო სიდიდით და უცივესი თვის ჰაერის ტემპერატურით. ამასთან, ბიოკლიმატური პოტენციალის ნაცვლად შემოგვაქვს აგროკლიმატური პოტენციალის ცნება ჩვენს მიერ შემოტანილი აგროკლიმატური პოტენციალის გამოსაანგარიშებელი ფორმულა ასეთი სახისაა:

$$\text{АПК} = \text{Kp} \cdot \{\text{åt.}10^0 / 1800^0 - \text{Tmin} / |-23^0\} \quad (6.22)$$


სადაც  $\text{Kp}$  არის პროდუქტიულობის კლიმატური მაჩვენებელი და გამოითვლება ასე:

$$\text{Kp} = 1,35 + 1,24 \text{LgMd} \quad (6.23)$$

$\text{Tmin}$  არის ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო:  $1800^0$  და  $-23^0$  არის აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ჰაერის ტემპერატურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მნიშვნელობანი ხეხილოვანი კულტურების გავრცელების ზედა საზღვარზე (ცერცვაძე, ზაპოროჟსკი, 1962). ვაზისათვის აღნიშნული მაჩვენებელი იქნება  $2000^0$  და  $-16^0$ ; ჩაისა და ციტრუსებისათვის კი —  $3000^0$  და  $-14^0$ .

აგროკლიმატური პოტენციალიდან აგროკლიმატური ინდექსის ბალებში გადასაყვანად ფორმულას (6.10) ვამრავლებთ 66-ზე (აღებულია დ. შაშვილს მიხედვით).

აგროკლიმატური პროდუქტიულობის შეფასების სკალა მოცემულია 6.2-ში.



სურ. 33. აგროკულიმატური დარაიონება.

დავინტერესდით ჩვენ მიერ მიღებული აგროკლიმატური პოტენციალის გამოსათვლელი ფორმულის საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოყენების შესაძლებლობით. აქვე წარმოდგენილია საზღვარგარეთის ზოგიერთი მეტეოროლოგიური სადგურისათვის გამოანგარიშებული აგროკლიმატური პოტენციალის მნიშვნელობები, რომელიც კარგად თავსდება საქართველოს პირობებისათვის შედგენილი პროდუქტიულობის საშუალო ხარისხის ზონაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს პირობებისათვის წარმოდგენილი აგროკლიმატური პოტენციალის გამოსაანგარიშებელი ფორმულა შევთავაზოთ მსოფლიოს სუბტროპიკული ზონისათვის (იხ. ცხრ. 39).

მოგვაქვს საქართველოს აგროკლიმტური დარაიონების რუკა (იხ. სურ. 33), რომელზეც სარტყელები და ქვესარტყელები გამოყოფილია აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით, ზონები — დ. შაშკოს დატენიანების მაჩვენებლით, ზამთრის ტიპები — ჰაერის ტემპეტარურის ნლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალოსა და უცივესი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურებით; გამოყენებულია კომპლექსური მაჩვენებელი — აგროკლიმატური პოტენციალი. თითოეულ ქვესარტყელში მითითებულია ის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთათვის იქ უფრო მეტი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები არსებობს.

რუკაზე თითოეულ ქვესარტყელში მითითებულია ის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთათვის იქ უფრო მეტი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები არსებობს.

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების სწორ მეცნიერულ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში, რათა რაციონალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის აგროკლიმატური რესურსები, რაც ჩვენს „ეროვნულ სიმდიდრეს“

ცხრილი 40

საქართველოს აგროკლიმატური დარაიონების სქემა

სარტყელი	დატენიანების ზონა	ზამთრის ტიპი (ჰარის ტემპერატურის ნოლური ასოლუტური მინიმუმის საშუალო)	აგროკლიმა-ტური პოტენციალი	სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები	
სუბტროპიკული	ქარტყელი $T_{\text{mean}} > 10^{\circ}$	ჭარბად დატენიანებული ( $\geq 1.20$ )	ძალიან თბილი ( $\geq -8^{\circ}$ )	ძალიან მაღალი ( $\geq 3,0$ )	ჩაი, ციტრულები, დავწა, ვაზი, ხეხილივანები, თხილი, ზეთისხილი, კვირ, თამბაქო, რონიგი, ბოსტნეულ-ბალტეული
სუბტროპიკული	მშრალი სუბტროპიკული $(\leq 4000)$	გვალვანი, ძლიერ გვალვანი ( $0,25 < 0,20$ )	თბილი ( $\geq -12^{\circ}$ )	საშუალო ( $\geq 1,8$ )	ვაზი, ხეხილოვანები, კვირ, თხილი, ზეთისხილი, ბამბაკი, ხინდინი, ბოსტნეულ-ბალტეული
ზომიერი	სუბტროპიკული გარდაცვლილი $(\leq 3500)$	საკმაოდ დატენიანებული ( $1,00-0,60$ ), სუსტად გვალვანი ( $0,35-0,25$ )	ზომიერად თბილი ( $\geq -12 - -14^{\circ}$ )	საშუალოზე მაღალი ( $2,6-2,2$ ), საშუალო ( $1,8 - 1,4$ )	ვაზი, ხეხილოვანები, თხილი, დაფწა, ხინდინი, სმინდი, თამბაქო, შაქრის ჭარბელი, ბოსტნეულ-ბალტეული
ზომიერი	თბილი $(3500-3000)$	საკმაოდ დატენიანებული ( $1,00-0,60$ ); ზომიერად დატენიანებული ( $0,45-0,35$ ); დატენიანებული ( $0,60-0,45$ )	ძალიან რბილი ( $-16 - -18^{\circ}$ )	საშუალო ( $1,8 - 1,4$ ), საშუალოზე დაბალი ( $1,4-1,0$ )	ხეხილოვანები, ვაზის საშუალო და სადრენო ჯიშები, ხინდალი, ქერი, ჭავავი, სმინდი, შაქრის ჭარბალი, კარტოფილი, ბოსტნეულ-ბალტეული
ზომიერი	ზომიერი გარდაცვლილი $(3000-2000)$	საკმაოდ დატენიანებული ( $1,00-0,60$ )	რბილი ( $-16 - -18^{\circ}$ )	საშუალოზე დაბალი ( $1,4-1,0$ )	ხეხილოვანები (კაშლი, ქლიავი), ხორბალი, ქერი, ჭავავი, სმინდის სადრენო ჯიშები, კარტოფილი, ბოსტნეული
